

# სხაი უმკობელი

ივლისი 2009 №51  
ფასი 5 ლარი

## ისტორიები

### მაკა მიქელაძე

ანა კორაძია-სამადაშვილი

### ნიკოლოზ რურუა

შოკანა შავერდაშვილი

### ბიძინა ყანდავლი

ლევით ზუსრიძე

## ესაი

### ყურმოკრული დიალოგებით აწყობილი აზვანი

თამარ სუნიშვილი

### შორა

ლევან ბერძენიშვილი

## წერილი

### კანი 2009

ბიორბი გვასარია

## კომენტარები

### ყველა, რომორს ერთი

თელ სატიაშვილი

### ლოცვა-კურთხევა!

სანდრო ნავერიანი

### მიქი მაუსი

ლევით ქოვენიძე

## ლიტერატურა

### ზურაბ ქარუმიძე

რუსა ამირაშვილი

### ბორის აკუნინი

სუზან ზომბაძე

ISSN 1512-2220



9 771512 222006



## ყველაზე ხელსაყრელი პირობები ჰუმინგით სახგებლობისას:



**ჰაოსი**

- დაზოგეთ 50%-მდე ჰუმინგში ექსპონსა და აწიის ქვეყნებში
- დაი დაის აბონენტთათვის ჰუმინგის აქტივაცია უფასოა
- ჯეოსელის აბონენტთათვის ჰუმინგის დეპოზიტის თანხა მხოლოდ 100 ლაჩია



50 Rustaveli ave. Tel: +995 32 98 30 68; Fax: + 995 32 92 08 50, zegna.com

# GREAT MINDS



Ermenegildo Zegna  
COOL EFFECT BLAZER

THINK ALIKE

# დააზღვიეთ მანქანა და მოიგეთ მეორე



იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაასრულოთ დავა ამ საკითხზე, დააზღვიეთ მანქანა და მოიგეთ მეორე.

წელს, სადაზღვევო ისტორიაში პირველად, ხოლო ალდაგი ბისიას ისტორიაში უკვე მეორედ, სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისია იდეალურ შანსს გაძლევთ მეორე ავტომობილის მფლობელი გახდეთ და ამ გზით სამუდამოდ გადაჭრათ ოჯახში „ერთი მანქანის პრობლემა“.

ალდაგი ბისია პირველი სადაზღვევო კომპანიაა ისტორიაში, რომელმაც გათამაშების პრინციპს მიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელმა გათამაშებამ კომპანიის გაყიდვებიც მნიშვნელოვნად გაზარდა და მომხმარებლების კმაყოფილებაც.

ბევრ ოჯახში მეუღლეებს ერთი მანქანა ჰყავთ და არ ყოფნით. დროა შეწყდეს კამათი იმაზე, თუ რომელ დღეს, რომელი მეუღლე წაიყვანს მანქანას. თუკი გყავთ მანქანა, რომელსაც მეუღლესთან ვერ ინანილებთ და ამის გამო ოჯახში მუდამ კონფლიქტური სიტუაცია გექმნებათ, მორჩით დავას! მიიყვანეთ ავტომობილი ალდაგი ბისიაში 12 სექტემბრამდე, დააზღვიეთ და გახდით გრანდიოზული გათამაშების მონაწილე, მოიგეთ მეორე ავტომობილი თქვენი მეუღლისთვის და ოჯახში „ერთი მანქანის პრობლემა“ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეთ.

წელს კომპანია გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობს მომხმარებლებს. თუკი შარშან გათამაშებაში მონაწილეობას მხოლოდ ის ადამიანები იღებდნენ, ვინც მანქანას გათამაშების პერიოდში დააზღვევდა, წელს მოგების შანსი მათაც აქვთ,

ვისაც წინა გათამაშებიდან ანუ 27 სექტემბრიდან მოყოლებული აქტიური აქვს სადაზღვევო პოლისი ან 12 სექტემბრამდე გაააქტიურებს.

განსხვავებულია ბილეთის გაცემის პროცედურაც. წლის განმავლობაში ვისაც მეტი პრემია აქვს შეტანილი კომპანიაში, ის ყველაზე მეტ ბილეთს მიიღებს. ყოველ \$150-ზე თითო ბილეთი გერგებათ. ის კი, ვისაც ან დავალიანება აქვს, ან პოლისი გაუქმებული აქვს, გათამაშებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

და კიდევ ერთი და ყველაზე საინტერესო ნლევანდელი სიახლე ის არის, რომ პრიზები ბევრად უფრო განსაცვიფრებელი და მოულოდნელია! თამაშდება 2 ჯიპი. 2 ყველაზე უსაფრთხო ავტომობილი თქვენი ოჯახისათვის. Toyota Prado და Land Rover Discovery. არანაკლებ საინტერესოა სხვა პრიზებიც. ალდაგი ბისია განუმეორებელ შანსს გაძლევთ, განუმეორებელი დრო გაატაროთ თქვენს მეუღლესთან ერთად. თამაშდება ევროტური (ესპანეთი, პროტუგალია), 14-დღიანი საგზური მალდივებზე და ყველაზე მთავარი და გრანდიოზული – ვიზიტი რიოს კარნავალზე!

გრანდიოზული იქნება პრიზების გათამაშებაც. 12 სექტემბერს კომპანია კორპორატიულ ივენთზე, გათამაშების ყველა მონაწილეს დაპატიჟებს. გათამაშება ღია ცის ქვეშ შამპანურისა და ცნობილი მომღერლების თანხლებით ჩაივლის.



ԵՐԵՎԱՆԻ ԲՈՒՍԻՆՍԻՆԻ  
ԼՈՒՆԱԳՆԱԿԱԿԱՆ ՎՈՐՈՒՄՆԵՐ


**ALDAGI BCI**  
INSURANCE COMPANY

ԴԻ ԵՆՁՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ  
ԵՆՁՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ ԵՆՁՆԱԿԱՆ ԵՆ  
ԵՆՁՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ ԵՆՁՆԱԿԱՆ ԵՆՁՆԱԿԱՆ



ԵՆՁՆԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ ԵՆՁՆԱԿԱՆ

ԵՆՁՆԱԿԱՆ ԵՆՁՆԱԿԱՆ



## Non scholae sed vitae discimus

(**ვსნავლობთ არა სკოლისთვის, არამედ ცხოვრებისათვის**)

სკოლა აკადემიური 2003 წელს “ბრიტიშ ქონექშენ” (BC) ბაზაზე დაარსდა, რომელიც Edexcel International-ის (ბრიტანული ეროვნული სასკოლო პროგრამებისა და წინასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების საერთაშორისო ცენტრის) და LCCL IQ-ს (ლონდონის კომერციისა და ინდუსტრიის პალატის საერთაშორისო კვალიფიკაციების) ერთადერთი რეგისტრირებული ცენტრია სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ამ სტატუსის ტარების ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს.

სკოლა, მოსწავლეებს ორი სტანდარტით ამზადებს: ისინი სრულად, მაღალაკადემიურ დონეზე ფარავენ **ეროვნული პროგრამით** გათვალისწინებულ ყველა საგანს და, პარალელურად, **ბრიტანული სასკოლო პროგრამით** გათვალისწინებულ ინგლისურენოვან საგნებსაც სწავლობენ. ამ საგნებიდან ზოგი სავალდებულოა (მაგალითად ინგლისური ენა და ლიტერატურა, სოციოლოგია და მსოფლიო ისტორიისა და გეოგრაფიის ინტეგრირებული კურსი), ზოგიც — არჩევითი (მაგალითად საბუნებისმეტყველო საგნები, ხელოვნება და დიზაინი, ფსიქოლოგია, ეკონომიკის შესავალი, ბიზნესის საფუძვლები და ა.შ.). ასეთი პოლიტიკით, სკოლა მოსწავლეებს ადგილობრივი უნივერსიტეტებისთვისაც საფუძვლიანად ამზადებს და პრესტიჟული უცხოური უნივერსიტეტებისკენაც უხსნით გზას, რადგანაც ბრიტანული წინასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგები მთელ მსოფლიოშია ვალიდური.

ამჟამად, სკოლის ორი გამოშვებიდან, 12 კურსდამთავრებული უკვე სწავლობს ევროპისა და ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში ნაწილობრივი ან სრული დაფინანსებით, წლევანდელი გამოშვებიდან კი 21 მოსწავლეს უკვე ჩამოუვიდა მსგავსი მონვევები.

ინგლისურენოვანი საგნები, რომლებიც ბრიტანეთიდან გამოგზავნილი სახელმძღვანელოებით ისწავლება, სკოლაში საშუალო საფეხურიდან, მხოლოდ მე-7 კლასიდან შემოდის.. სწორედ ამ საფეხურიდან იწყებოდა ადრე მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვა. თუმცა რამდენიმე წლის გამოცდილებამ და მშობლების დაჟინებულმა მოთხოვნამ დამფუძნებლები დაარწმუნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ქვედა საფეხურებიც გაეხსნათ. **დღეს სკოლა უკვე სამსავე საფეხურს მოიცავს — დანყებით, საბაზოსა და ზედას.** ქვედა საფეხურებზე სკოლის ძირითადი საზრუნავი ისაა, რომ მოსწავლეებს ინგლისური ენის სერიოზული ლექსიკური ბაზა შეუქმნას. როდესაც მოსწავლეები ინგლისურ ენას სათანადო დონეზე ეუფლებიან, მათთვის სირთულეს უკვე აღარ წარმოადგენს რომელიმე ახალი საგნის, ვთქვათ იმავე სოციოლოგიისა თუ ეკონომიკის შესავალი კურსის, ინგლისურ ენაზე სწავლა, რომ აღარაფერი ითქვას, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო ბლოკზე, ანუ იმ საგნებზე, რომელთა სწავლის გამოცდილებაც უკვე მშობლიურ ენაზე აქვთ შეძენილი. ამას ისიც აადვილებს, რომ ბრიტანული სახელმძღვანელოები ზედმინვენით ზუსტად ითვალისწინებენ ამა თუ იმ ასაკობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიას, ინტერესებსა თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და შესაშური ოსტატობით აწვდიან ბავშვებს სასწავლო მასალას.

რაც შეეხება სხვა სკოლებიდან გადმოსვლის მსურველებს, მათი ჩარიცხვა სკოლაში ყველა საფეხურზეა შესაძლებელი. ქვედა საფეხურებზე ამისათვის მხოლოდ სურვილი ან ინგლისურ ენაზე გასაუბრებაც კმარა, მე-7 კლასიდან ზემოთ, კი ჩარიცხვა მისაღები გამოცდების საფუძველზე ხდება მშობლიურ ენაში, მათემატიკასა და ინგლისურში.





ინგლისური ენის ცოდნის გამყარებისა და დასავლური კულტურის უფრო ახლოს გაცნობის მიზნით, სკოლა მოსწავლეებს ბრიტანეთსა და ამერიკაში ერთვინან საზაფხულო სკოლებში გამგზავრებითაც უზრუნველყოფს, წლის განმავლობაში დაგეგმილ არდადეგებზე კი სხვა ქვეყნებშიც (იტალია, ესპანეთი, ეგვიპტე და ა.შ.) მიყავს დასასვენებელი და საგანმანათლებლო პროგრამებით.

ამის გარდა, მოსწავლეები თითქმის ორ კვირაში ერთხელ აწყობენ ექსკურსიებს საქართველოს ამჟამინდელ ისტორიულ ძეგლებსა და ყოფილ ისტორიულ ადგილებში. სულ ახლახანს, მაგალითად, ორდლიანი ლაშქრობა მოწყო ყინწვისის მონასტრის დასასუფთავებლად, ხოლო გამოცდების დასრულებისთანავე, უკვე მესამედ მიდიან ტაო-კლარჯეთში.

რაც შეეხება მოსწავლეთა სააბიტურო პროგრამებით “ორმაგი სტანდარტით” (ეროვნულითა და ბრიტანულით), მაღალაკადემიურ მომზადებას, ზედა, ანუ კოლეჯის დონეზე მათი ცხრილი (რომელიც დღეში ხუთ 55-წუთიან გაკვეთილს გულისხმობს) მეტად მოქნილია და შესანიშნავად იტევს როგორც ქართული ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სავგნებს, ისე ბრიტანული წინასაუნივერსიტეტო არჩევითი სავგნების კურსს. მე-12 კლასიდან, თუ უცხოეთში გამგზავრებას არ აპირებენ, მოსწავლეებს უფლება ეძლევათ ორი აბიტურ კურსიდან (ეროვნული და ბრიტანული) მხოლოდ ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული სავგნები გაიარონ ინტენსიურად. თუმცა, მოსწავლეების 95%, როგორც წესი, ორივე კურსს ირჩევენ, რადგანაც ბრიტანულ გამოცდათა მეტი წილი საკვალიფიკაციო გამოცდებითაა, რომელთა ჩაბარებაც მათი მომავალი სამსახურობრივი კარიერისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება მასწავლებლებს, ისინიც სკოლაში ორ კატეგორიად იყოფიან. ერთნი მხოლოდ ქართულ პროგრამებზე მუშაობენ, მეორენი — ორივეზე, რადგანაც საკუთარი სპეციალობის გარდა, შესანიშნავად ფლობენ ინგლისურ ენას; მათ უმრავლესობას ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა საზღვარგარეთ აქვს დამთავრებული. სხვებიც უცხოურენოვანი ქართული უნივერსიტეტების პროფესორები არიან. წელს მასწავლებელთა ვრცელ კოლექტივს უცხოელებიც შემოუერთდებიან. ასე რომ, საგნობრივი სწავლების დონე მართლაც მაღალაკადემიური ხარისხისაა და სკოლის ოფიციალურ სახელს — აკადემიური — ნამდვილად ამართლებს.


ბრიტანული წინასაუნივერსიტეტო გამოცდები თავისთავად აქვე, სასწავლო ცენტრში იმართება. რადგანაც, “ბრიტიშ ქონექშენი” ბრიტანული საერთაშორისო საგამოცდო ორგანიზაციის რეგისტრირებული რეგიონალური ცენტრია. რაც შეეხება საგამოცდო მასალას, ის ინგლისიდან დალუქული კონვერტებით ჩამოდის და მითითებულ დროს,


მოსწავლეების თვალწინ იხსნება. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ბრიტანული სკოლის მოსწავლე, თბილისში იქნება ეს, ლონდონში თუ სადმე სხვაგან, ამ საგამოცდო ტესტებს ერთდროულად წერს. გამოცდის შემდეგ ნაწერები ინგლისიდანვე გამოგზავნილ სხვა კონვერტებში იდება, ილუქება და მაშინვე უკან, ინგლისში იგზავნება გასასწორებლად. ყოველ გამოცდაზე გამსვლელ მოსწავლეს, ინგლისური მხარე პირად კოდს წინასწარ, რეგისტრირებისთანავე ანიჭებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსწავლეები თავად, ამ კოდის მიხედვით პოულობენ სპეციალურ საიტზე გამოქვეყნებულ საკუთარ ნიშნებს. საინტერესოა ისიც, რომ შეფასებების საიტზე საერთოდ არ ჩანს, თუ სად, რომელ ცენტრსა თუ რომელ ქალაქში ჩაბარდა გამოცდა მოსწავლემ, ლონდონში თუ სადმე სხვაგან. ამდენად, გინდ თბილისში ჩაუბარებიათ ბავშვებს ეს გამოცდა, გინდ - ინგლისში. ამ მხრივ, ბრიტანული გამოცდები თითქოს ჩვენს ეროვნულ გამოცდებს ჰგავს, მაგრამ ეროვნული გამოცდებთან შედარებით, ბრიტანული გამოცდები გაცილებით უფრო კომფორტულია; კერძოდ, ბრიტანული სისტემა აბიტურიენტს საგნობრივი გამოცდის რამოდენიმე მცდელობით ჩაბარების შანსს აძლევს და პირველსავე ნარუმატებელ მცდელობაზე “იმედს არ უწურავს”. ამას გარდა, გამოცდა წელიწადში ოთხჯერ ინიშნება და აბიტურიენტს შეუძლია ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად ჩააბაროს საგანი.

ამის შემდეგ, სკოლის მესვეურები საზღვარგარეთ წასვლის მსურველებს მათთვის სასურველ უნივერსიტეტებთან აკავშირებენ მთელი ევროპისა და ამერიკის მასშტაბით და ცდილობენ, სტიპენდიის მოსაპოვებელი რეკომენდაციების საფუძველზე, მატერიალური მხარეც შეუძლეს.

ჩვენი მისამართები:  
ბუდაპეშტის ქ.1. (საბაზო სკოლა და კოლეჯი)  
ვაზისუბნის ქ. 6 (დანყებითი სკოლა)

საკონტაქტო ტელეფონები:  
308-133, 308-134, 308-135, 183-783  
E-mail: [info@britishconnection.ge](mailto:info@britishconnection.ge)  
[academicschool@britishconnection.ge](mailto:academicschool@britishconnection.ge)  
[www.britishconnection.ge](http://www.britishconnection.ge)





**burn**<sup>®</sup>



**BLACK SEA JAZZ  
FESTIVAL  
BATUMI 2009**

**BURN-ის შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი ბათუმში**

ჯაზი ზღვის პირას ქართველი მელომანებისთვის უცხო აღარ არის. უკვე ორი წელია, საქართველოში მსოფლიოს ლეგენდარული მუსიკოსები ჩამოდიან.

19-დან 21 ივლისის ჩათვლით ბათუმში, „ბერნი შავის ზღვის ფესტივალზე“ ხუთი სხვადასხვა მიმართულების ბენდი დაუკრავს.

**The Alps Adriatic Jazz ensemble, Airtó Moreira & Flora Purim, Maceo Parker Quartet Muartet, Naturally 7** – ეს სრული ჩამონათვალა იმ ბენდების, რომლებიც ზაფხულის ცხელ საღამოს ქართველი მსმენელისთვის დაუკრავენ.

მათი ჩამოყვანა კომპანია „ისტერნ პრომოუშენმა“ უზრუნველყო. უკვე თოთხმეტი წელია, ეს კომპანია საერთაშორისო ფესტივალებს მართავს და ათასობით მსმენელს იზიდავს.

წელს, კრიზისის გამო, ფესტივალის ჩატარებას სათუო იყო, თუმცა ახალი სპონსორების – Batoil-ის, new-energy-ის, Burn-ისა და სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერით, ფესტივალი ჯაზის მოყვარულთათვის კვლავ ჩატარდება.



## 19 ივლისი

აჭაჩა მუზიკ ჰოლი, ბათუმი

20:00 - The Alps Adriatic Jazz ensemble (AUT/SLO/HUN)

The Alps Adriatic Jazz ჩამოყალიბდა სპეციალურად Alps Adriatic Jazz Nights-ის პერფორმანსებისთვის. მას მერე ბენდი წარმოდგენებს მართავდა ავსტრიაში, იტალიაში, სლოვენიაში, ხორვატიასა და უნგრეთში. პერფორმანსების მიზანი იყო ერთად მუშაობისთვის მუსიკოსების პოვნა.

21:00 - Airtio Moreira & Flora Purim (Brazil)

აირტიო მორეირა – ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრაზილიელი პერკუსიონისტი, რომელმაც პერკუსია თანამედროვე ჯაზის მნიშვნელოვან ნაწილად აქცია.

ის ცამეტი წლიდან უკრავდა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად.

მაილს დევისთან დებიუტის შემდეგ მან დაიწყო თანამშრომლობა Stan Getz and Lee Morgan-თან.

ფლორა ფარიმი – მან უნიკალური ხმის წყალობით, ორი გრემი აიღო ნომინაციაში – საუკეთესო ჯაზის მომღერალი ქალი.

## 20 ივლისი

21:00 – მეისიო პარკერი

ფესტივალის ყველაზე დიდი სიურპრიზია ლეგენდარული მეისიო პარკერი, რომელიც საქართველოს უკვე მეორედ სტუმრობს. მეისიო პარკერი, ამერიკელი ფანკ სოულ და ჯაზ-საქსოფონისტი. კარიერის მანძილზე უკრავდა ალტ, ტენორ და ბარიტონ საქსოფონებზე. პარკერის დაკვრის მანერა დაფუძნებულია ძველი, ბი-ბოპერის, ჩარლი პარკერის, ადერლეის და ჯეიმს ბრაუნის ინოვაციებზე. მეისიო პარკერი კინგსტონში, ჩრდილო კაროლინაში მუსიკოსების ოჯახში გაიზარდა.

მეისიოს ბოლო ალბომი Roots & Grooves რეი ჩარლზის ხსოვნას ეძღვნება. მეისიო რეის მისთვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მუსიკოსად ასახელებს.



## 21 ივლისი

20:00 - Quartet Muartet (Turkey)

21:00 - Naturally 7 (USA)

ჯგუფი 1999 წელს ნიუ-იორკში ჩამოყალიბდა. როჯერ ტომასმა დაიწყო ჯგუფის შექმნა ძმასთან ვარენტან და კიდევ 5 ნიჭიერ მუსიკოსთან ერთად. როჯერმა შექმნა უნიკალური ვოკალური გაფორმება, რისთვისაც მათ ნიუ-იორკში კაპელაში მონაწილეობის დროს გაიმარჯვეს. ჯგუფი Naturally 7 ერთდროულად იყო, როგორც კაპელა, ასევე – ტრადიციული ბენდი. ჯგუფის განსაკუთრებულობა ისაა, რომ ყველა ინსტრუმენტის ჟღერადობას ისინი ვოკალურად ასრულებენ.





**გარეკანზე:** მაკა მიქელაძე  
**ფოტო:** დავით მესხი

# სხანი შოქოლადი

N51, ივლისი 2009


**მთავარი რედაქტორი**  
ნინო ლომაძე  
**აღმასრულებელი რედაქტორი**  
ნინო ჯაფარიძე  
**არტ-რედაქტორი:** გიორგი ნადირაძე  
**რედაქტორ-სტილისტი:** ნინო სვანიძე  
**კორექტორი:** ნინო საითიძე  
**ნომარა მშპ-მომხმარებელი:** თამარ  
ბაბუაძე, გიორგი მაისურაძე, სალომე  
კიკალაიშვილი, დავით ბუხრიკიძე,  
ანა კორძია-სამადაშვილი, სანდრო  
ნავერიანი, დავით ჩიხლაძე, თეო  
ხატიაშვილი, ლევან ბერძენიშვილი,  
გიორგი გვახარია, შორენა შავერდაშვილი,  
ლანა ლოლობერიძე, რეზო გეთიაშვილი,  
დავით კოვზირიძე, თამარ სუხიშვილი.  
**ფოტო:** დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე,  
მარიკა ქონიაშვილი, ქეთო ცაავა  
**ილუსტრაცია:** მაია სუმბაძე  
**დიზაინი:** თორნიკე ლორთქიფანიძე  
**საზოგადოებასთან ურთიერთობა:**  
ლელა შუბითიძე  
**სარეკლამო განყოფილება:** ნესტან ავალიანი  
**დისტრიბუცია:** ზვიად შენგელია

**გამომცემელი:** შორენა შავერდაშვილი  
**გამომცემლობა:**  
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105,  
ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net  
**სხვა გამომცემები:** ლიბერალი, ბიზნესი-  
ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები,  
დიალოგი, თიბისი და თიბისელები.  
**სტამბა:** შპს „სენანი“, თბილისი,  
წერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002  
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან  
© “M Publishing” საავტორო უფლებები  
დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული  
მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი  
გამოყენება გამომცემლობის ნებართვის  
გარეშე აკრძალულია.

- 14 რედაქტორის წერილი
- 16 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვა** 18 კავკასიის როკ-ფესტივალი **დავით ჩიხლაძე**
- 19 კონცერტი NumBar 1-ში **დავით ჩიხლაძე**
- 20 ბგერა, რომელიც მხოლოდ აქ არის **დავით ჩიხლაძე**
- 22 გამოფენები **დავით ჩიხლაძე**
- 24 კინო **დავით ჩიხლაძე**
- კომენტარები** 26 ყველა, როგორც ერთი **თეო ხატიაშვილი**
- 30 ლოცვა-კურთხევა! ლოცვა-კურთხევა! ლოცვა-კურთხევა!  
**სანდრო ნავერიანი**
- 34 მიკი მაუსი **დავით კოვზირიძე**
- წერილები** 36 **კანი 2009** – დამშვიდობება სამოთხესთან  
**გიორგი გვახარია**
- ისტორიები** 42 **მაკა მიქელაძე** – ნიუტონის ქალი **ანა კორძია-სამადაშვილი**
- 48 **ნიკოლოზ რურუა** – ძალაუფლება, როგორც ოქსიმორონი  
**შორენა შავერდაშვილი**
- 56 **ბიძინა ყანჩაველი** – ახალბედა N21 **დავით ბუხრიკიძე**
- სპეცპროექტი** 61 მერე, რა! **ანა კორძია-სამადაშვილი, CANDY CACTUS**
- ისაქართველო** 68 SOS!!! ექსკლუზიური უბანი **Urban Reactor**
- 70 რაფაელის სახარება **პაატა ქურდაძე**
- ესეი** 76 ყურმოკრული დიალოგებით აწყობილი ამბავი  
**თამარ სუხიშვილი**
- 80 უკანასკნელი კატერინენფელდელები **რეზო გეთიაშვილი**
- 84 ჟორა **ლევან ბერძენიშვილი**
- საავტორო** 88 გმირი **გიორგი მაისურაძე**
- 94 „პირველად იყო სიტყვა“ **ლანა ლოლობერიძე**

# "გამოგატანარი" ანატარი

## გახსნარი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალებიდან - უფასო



ბანკი რესპუბლიკა  
BANK REPUBLIC

ჭაჭუნი სოსიხთა ქანაჩალი

(822) 92 55 55  
[www.republic.ge](http://www.republic.ge)



ეს არის „ცხელი შოკოლადის“ ივლისის ნომრის სვეტი, ჟურნალში შეცდომით დაიბეჭდა ნინა ნომრის რედაქტორის სვეტი. ბოდიშს გიხდით ამ შეცდომისთვის.

– რატომღაც თავისუფლებაზე მაშინ ვინყებთ ლაპარაკს, როდესაც სალაპარაკო სხვა არაფერი რჩება, უხერხული სიჩუმე რომ ჩამოვარდება ხოლმე, – ამბობს სებასტიანი, ჩემი გერმანელი მეგობარი, – ამინდის ამბავია მოკლედ.

– მაგარი აქტუალური თემა ყოფილა თქვენთან ამინდი, – ბრაზობს ავღანელი ნასიმი. და სასწრაფოდ რაღაც ჰორორს გვიყვება საკუთარი მონაწილეობით, რასაკვირველია თავისუფლების კონტექსტში. სებასტიანი თავის გამართლებას ცდილობს, – რა ვქნა, ასეა. ამ თემაზე ინტელექტუალური წიაღსვლები უსაქმურ ბურჟუებს უყვართ. დიდი ტანჯვაა მათი მოსმენა, მონყენილობისგან ეგრევე მთქნარება მიტყდება ხოლმე.

– როგორი კატეგორიულები ხართ? – საუბარში ერთვება მიშელი, თან „ნიუ-იორკ თაიმსს“ ზანტად ფურცლავს, აშკარად არ მოსწონს მოსაწყენი ბურჟუას იარლიყი – ყველას თავისი თავისუფლება, სიმართლე და, ბოლოს და ბოლოს, ამინდი აქვს. რა მოგივიდათ? – ისე, თავისუფლებაზე ლაპარაკს საოცრად უხდება თბილ-თბილი კრუასანები... ყავასთან ერთად... ნასიმი მანიშნებს, – ოთახიდან გავედითო. გავედივართ.

– წყობიდან გამომიყვანეს, – აქეთ-იქით დარბის და ხელებს იქნევს. ამათ უნდა გვასწავლონ ჭკუა? ესენი არიან „პირველი მსოფლიოს“ მოქალაქეები?

ეს საუბარი თამარ სუხიშვილის „ყურმოკრული დიალოგებით აწყობილმა ამბავმა“ გამახსენა. თუკი ერთხელ მაინც მოხვედრილხართ საერთაშორისო კონფერენცია-სემინარზე, აუცილებლად მოისმენდით რამე ამდაგვარს – თავისუფლებაზე, მრავალფეროვნებაზე, ჰუმანიზმზე.

რამდენიმე დღის წინ მივიღე წერილი „ევროპიდან“, ეშველებათ რამე ირანში? – პათოსით. და ისევ ნასიმი გამახსენდა (რომელიც ადრესატთა ნუსხაში ვერ ვიპოვე. არც გამკვირვებია). წარმოვიდგინე როგორ აღშფოთდებოდა ასეთ წერილზე და როგორ გულით გალანძღავდა ბურჟუა ევროპელებს, სადღაც ზემოდან, ჭოგრიტით რომ აკვირდებიან მოვლენებს. მერე ფინჯან ყავაზე, თავაზიანად გაუზიარებენ ერთმანეთს ინტელექტუალურ თვალსაზრისებს და „მსოფლიოსევედაგანცდილები“ მშვიდად დაიძინებენ.

მაგრამ არც ასეა საქმე. მიშელისთვის საყვარელმა ეგზიუპერიმ მხოლოდ ერთი თავისუფლება იცის და ეს გონის თავისუფლებაა. ამიტომ, თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ ეს „გლამურიც“ მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ მოდის. და ის, რაც ნასიმს ასე აბრაზებს და თან ასე ძალიან უნდა, საკუთარ ქვეყანაში რომ ჰქონდეს, „ბურჟუებად ქცეულმა“ ევროპელებმა თავად მოიპოვეს.

ნინო ლომიძე  
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

გახსენი ანაბარი...

მოიგე ყოველთვა ბინა... და...

წლის ბოლოს **1.000.000**



მინიმალური შენატანი

500 ლარი

☎ 27 27 27 | 📠 • 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



თიბისი ბანკი  
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



### შორენა შავერდაშვილი

ერთმა მწერალმა მითხრა, – რაც უფრო შეზღუდულია საზოგადოება, მით უფრო მორალისტური იყო. ალბათ ასეა. რაც უფრო თავისუფალია ქვეყანა, მით მეტად გაძლევს შანსს, იყო იმაზე უკეთესი, ვიდრე ხარ, იმაზე მეტი, ვიდრე ხარ. თავისუფალი ქვეყნებიცა და ადამიანებიც ამით არიან ძლიერები. ისინი ნაკლებად განიკითხავენ და ცდილობენ, ადამიანები იარლიყების მიღმა დაინახონ, მაშინაც კი, თუ ეს იარლიყები სამართლიანია. ჩემი გულწრფელი სურვილი იყო, სხვების შეფასებები გვერდზე გადამედო, მომესმინა ნიკასთვის და გამეგო, როგორ გადადის ადამიანი ერთი მოცემულობიდან, მეორეში, ერთი რეალობიდან – სხვა რეალობაში, რას აღწევს და რის ხარჯზე. ვისაც ინტერვიუსთვის შევხვდი და რურუაზე კარგი არაფერი ჰქონდათ სათქმელი, ღიად არავინ დამელაპარაკა. ამიტომ ტექსტში მნიშვნელოვანი კომენტარების მხოლოდ ნაწილი დარჩა, დარჩა ის, რასაც ანონიმურობამ ლეგიტიმურობა არ დაუკარგა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ისტორიის მოყოლა მინდოდა თქვენთვის, არ ვარ დარწმუნებული, რომ ნოკოლოზ რურუას პროფაილი, რომელზეც დაახლოებით 3 თვე ვმუშაობდი, მისი ცხოვრების ყველა განზომილებას მოიცავს. შესაძლოა, ეს სტატია ერთი ვერსიაა, ვერსია, რომელსაც ნიკა თავად გვთავაზობს. ვილაცას შეუძლია სხვისი განკითხვა, ვილაცას – არა. თავისუფლება კი იმათ მხარეზეა, ვინც არ განიკითხავს. მე არჩევანი თავისუფლების სასარგებლოდ გავაკეთე.



### თამარ სუსიშვილი

– სად მიდიხართ?  
 – დიდ ბრიტანეთში.  
 – მიზანი?  
 – როიტერის სააგენტოს ტრენინგზე მივდივარ, – ვპასუხობ და უფარავი თვითკმაყოფილებით და, რაღა დაგიძლიოთ, ჩემი ამაღლებული განწყობის ადეკვატურ რეაქციასაც ველოდები.  
 – ჰმ!..  
 სტამბოლის აეროპორტში უსაფრთხოების სამსახურის მოხელე საქართველოს რომელიღაც მოქალაქის პასპორტს უემოციოდ ჩაჰკირკიტებს. მწვანე ფერის დოლბანდის ნიღაბი და ხელთათმანები უკეთია. მეც მოვიხდომე რა თავის მოწონება! ამისთვის როიტერის ტრენინგი ისევე საეჭვოდ ჟღერს, როგორც ღორის გრიბის ვირუსი, ანდა ტრეფიკინგი. ისე, რა ამათი საქმეა, რისთვის მივდივარ. ეს ხომ ტრანზიტული ფრენაა, – ცოტას ვბრაზობ, უფრო ჩემს თავზე, მაგრამ მაინც ვიღიმები. უკვე ლონდონის ხალხმრავალ აეროპორტში ვარ. აქ არავის ეშინია ღორის ვირუსის. სასტუმროში პატარა ავტობუსით მივდივართ. ავტობუსის მძღოლი მხიარული და მოლაპარაკე ბიჭია, როგორც ჩანს, საშინელებათა ამბების ტრფიალი. ჰოდა, დიდი გატაცებით გვიყვება და გვიყვება ნისლიანი ალბიონის ბურუსით მოცული და ჩახლართული ისტორიების ტყუილსა და მართალს. ცალი ყურით ვუსმენ ენაგაკრეფილ მძღოლს და თან ტრენინგის მასალებსა და განრიგს ვათვალიერებ. უკვე ხვალ დილიდან ერთკვირიან ახალ ცხოვრებას შევუდგები, როგორც თომსონ როიტერის ფონდის პროგრამის მონაწილე. ძალიან ამყი ვარ. ცოტა ხანს მაინც ვიცხოვრებ იმ გარემოში, სადაც ბევრ ჩემნაირ უცხოქვეყნელს კიდევ ერთხელ ასწავლიან და შეახსენებენ ჟურნალისტიკის ღირსების ყველაზე არსებით მახასიათებელს – აზროვნების პატიოსნებას, რაც მართალი სიტყვით უნდა აისახოს. მერე? მერე – არაფერი: მართალი სიტყვის სივრცეში თითქოს აღარავის უნდა მოაფიქრდეს ჟურნალისტიკისათვის ბოიკოტის გამოცხადება, სირცხვილის კორიდორის ორგანიზება და სხვა მორალური წნეხები, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. მართალი სიტყვის სივრცეში ყველას არ ეცხოვრება. აკი შევიტყობ კიდევ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ჩემს მშვენიერ სამშობლოში, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, როიტერის ქართველი ოპერატორიც მამაპაპურად და ლაზათიანად დაჟეჟეს და თან კადრებიც ნაუშალებს. მანამდე კი ლონდონის ერთკვირიანი შეკრების მონაწილეთა დიალოგების ფრაგმენტები მინდა შემოგთავაზოთ, რომლებიც ძალიან თბილად ჩაინერა ჩემს მესხიერებაში.





მიღწევა



მიღწევა



მიღწევა

რაც უფრო მეტად  
აკვირდები სამყაროს,  
მით უფრო მეტად  
აცნობიერებ, რა არის  
ნამდვილად ღირებული  
ადამიანებისთვის

**HSBC ბანკის ანაბრები**  
მართეთ თქვენი ფული  
გონივრულად

დაგვირეკეთ 17 77 77  
ან იხილეთ [www.hsbc.ge](http://www.hsbc.ge)  
ან მობრძანდით რუსთაველის გამზ. 15



თქვენი ბანკი მთელ მსოფლიოში



# კავკასიის როკ-ფესტივალი

ავტორი: დავით ჩინლაძე

ფოტო: ქეთო საავა

2-13 ივნისს ვაკის პარკის სცენაზე „33ა“ კავკასიის როკ-ფესტივალი ჩატარდა, სადაც აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ჯგუფები გამოვიდნენ. კარგი ამინდის და ასეთი კონცერტების ნაკლებობის მიუხედავად, მაყურებელი ბევრი არ იყო. შეიძლება ამას ბილეთის ფასიც განაპირობებდა – 10 ლარი. თუმცა, არც სხვა მიზეზებია გამორიცხული.

როგორც პროგრამის წამყვანმა, ლადო ბურდულმა შეგვასხენა, ეს ფესტივალი 2005 წლიდან ტარდება და მას არაერთხელ მიუნიჭებია სიხარული თბილისის როკის მოყვარულებისთვის. აქ თავს იყრის მთელი ამიერკავკასიის, ასევე რუსეთისა თუ ევროპის თანამედროვე მუსიკალური გამოცდილება.

მაგრამ მიუხედავად საპროგრამო განაცხადებისა, ფესტივალი არარსებულს ვერ წარმოაჩენს. არარსებულია არა ბენდები, არამედ სწორედ ის ატმოსფერო და სივრცე, რაც მათ შეიძლება აერთიანებდეთ, თუნდაც ამ ფესტივალზე, და ის, რასაც როკ-მუსიკის კულტურა შეგვიძლია ვუნოდოთ. კულტურა კი წაკითხვას ნიშნავს, კითხვის კულტურას ანუ კონტექსტების წარმოებას და კვლავ წარმოებას, მარტივ ენაზე – შეფუთვას, რაც მხოლოდ სპონტანური სიცოცხლის სიყვარულით არ იქმნება.

ფესტივალზე გამოსული ბენდები მაღალი არტისტულობით არ გამოირჩეოდნენ და, საერთოდ, ირაკლი ჩარკვიანის მერე ქართულ როკ-კულტურას ტრაგიკულად მოაკლდა შარმი. ეს ალბათ პირველ რიგში იმის ბრალია, რომ როკ-მუსიკა აღარ აღიქმება კულტურად. ის უბრალოდ მუსიკად მიიჩნევა თვითონ შემსრულებლებისა და ასევე პროდიუსერების მიერ. ან შეიძლება ეს საერთოდ ზოგადი ტენდენციაა და აქ საქართველო არაფერ შუაშია; ანუ, როგორც ედუარდ ლიმონოვი ზუსტად აღნიშნავს, „სექს პისტოლსის“ ბასისტის სიდ ვიშესის სიკვდილთან ერთად ნამდვილი როკ-კულტურის ეპოქა საბოლოოდ დამთავრდა 1978

წელს. და დღეს უფრო, ვიდრე ადრე, ეს მხოლოდ გასაყიდი ბრენდებია, რაც შეიძლება გვიზიდავდეს; გასაყიდი, გასართობი შოუ, რასაც ალის კუპერიც შეეგუება და დამწყები მუსიკოსიც.

მაგრამ ასეა თუ ისე, კულტურის აღიარება მაინც მოგვიწევს. სხვანაირად, ვერ გაუუნაყუნებთ იმ თბილისელ მაყურებელს, რომელიც სიამოვნების მიღების იმავ მიზეზით შარდენის ქუჩას მიაშურებს კარგად შეფუთული პროდუქტის, ჯაზის მოსასმენად.

თვითონ მუსიკას რაც შეეხება, პირველ დღეს საინტერესო იყო რომანტიკული, მელოდიური და კარგი არანჟირების მქონე ჯგუფი „ტელესკოპი“ და „ლაბირინთი“ სამტრედიიდან, რომელიც ჰარდ როკს ასრულებდა. მეორე დღის პროგრამა უფრო დინამიურად გამოიყურებოდა: ფესტივალზე გამოვიდა ჯონ ბარი დაიკი, გერმანელი არტისტი, რომელმაც „კრაფტვერკის“ დრამერს ვოლფგანგ ფლურს ერთხელ ისეთი ინსპირაცია გადასცა, რომ მან „კრაფტვერკის“ დაშლის შემდეგ პირველად აიღო ხელში ჯოხები და მასთან ერთად დაიწყო ცოცხალი შესრულება. ამ დღეს „მი ენდ მაი მანკის“ გამოც ელოდებოდა აუდიტორია. ფესტივალის მეორე დღეს ქუთაისური ჯგუფი ხსნიდა პროგრამას შემამინებელი სახელწოდებით „სომალი“. შემდეგ იყო ბათუმიური ჯგუფი „პლასტიკი“, „მი ენდ მაი მანკი“ და „ვიტამინი“.

ალბათ დღეს რომ როკ-კულტურა ისევ საგანმანათლებლო სტატუსითაა, მხოლოდ ფესტივალებისა და ლეიბლების ბრალი არაა. ირაკლი ჩარკვიანს ეს პრობლემა არ ჰქონია, და არც დღეს ექნება ზურა ჯიმკარიანს. მთავარი მსხვერპლის გაღებაა – კონტექსტების წაკითხვა; ანუ კულტურას, თუ პირდაპირი მნიშვნელობით კითხვას, პირველ რიგში, ბევრი დრო სჭირდება. სამწუხაროდ, სურვილებისა და ინსპირაციების მიუხედავად, კარგი პროდუქცია არც იქმნება და არც იყიდება.



## კონსერტი NUMBAR 1-ში

ავტორი: დავით ჩიხლაძე

ფოტო: ქეთო საავა

30 მაისს შარდენის №1-ში არცთუ დიდი ხნის წინ გახსნილი ექსკლუზიური ბარის NumBar One სახურავზე მაისის ღამის ღია ცის ქვეშ ტექნო პოპის და ელექტრონული ექსპერიმენტული მუსიკის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ, დრო გაეტარებინათ ისეთ საინტერესო ახალგაზრდა მუსიკოსებთან, როგორცაა „სპანდერა და კომპარტია“ და „ბები ნიუზი“. მართლაც დიდი აუდიტორია შეგროვდა, თუმცა ყველა ვერ ახერხებდა შემოსვლას „ფეის“ და ასაკის კონტროლის გამო; 25 წლამდე ახალგაზრდა ადამიანებს ბარის სახურავზე მოხვედრის არანაირი შანსი არ ჰქონდათ.

ბარის მენეჯმენტის ეს გათვლა, კონცერტს მშვიდ და პოსტპანკისთვის დამახასიათებელ დეკორატიულ და არა აუტირებულ გარემოში ჩაეწყო, არა მხოლოდ უსაფრთხოების მოთხოვნილებებს პასუხობდა, არამედ მართლაც თვით აქ წარმოდგენილი მუსიკოსების შესანიშნავ თანამედროვე აპლომბს ეხმარებოდა – ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშვიდ და ნიჰილისტურ თეატრალურობას, კიტჩისა და გლემის კომბინაციას.

მუსიკალურად ორივე ჯგუფი დამაჯერებლად პასუხობდა თანამედროვე მუსიკისა და კულტურის რანგს. „სპანდერა და კომპარტია“ უფრო მონოტონურ ლუპებზე აგებდა საკუთარ ჰარმონიას, სადაც სინთეტიკური ბგერა ნატურალურ ვოკალთან იყო შეერთებული. კომპიუტერზე შექმნილი ეს სინთეტიკური ფლერადობა კიდევ უფრო ხისტი ტონებით იყო წარმოდგენილი, რაც სათამაშო ელექტრონულ ელფერს აძლევდა მას და ცოტა ძნელად ასატანსაც ხდოდა ბგერის პრიმიტიულობისა და ვაკუუუმის გამო.

მაინც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს შეზავება საინტერესო იყო, როგორც გამართლებული ექსპერიმენტი, სადაც სიმღერის ემოციები ინტელექტუალურ პლანზე გადადის და მიუხედავად დიჯეის უწყვეტ მოძრაობებში რევოლუციური თუ სოციალური

კრიტიკის ნიშნების ამოკითხვისა, აუდიტორია მაინც უფრო ერთობოდა, ვიდრე ჩართული იყო.

„ბები ნიუზი“ წარმოადგინა ელექტრონული პოპის სხვა მხარე. მიუხედავად იმისა, რომ უხვად იყო ამბიენტი ანუ სივრცობრივი მუსიკა და ალესატორიკა, მისი ლირიკული და ჰიპნოზირებული მუსიკა ულამაზეს სიმღერებად და სიმღერის ქარგებად გარდაიქმნებოდა. ნამდვილად, „ბები ნიუზი“ უფრო ლირიკული ბენდი აღმოჩნდა და შესანიშნავად შეესაბამებოდა ჩვენ თავებს ზემოთ ღამის ცის უსაზღვრობას და მთვარესაც და ქვემოთ, თბილისური ხეების ჩრდილებქვეშ დარჩენილ, ღამის ანტიურაჟით აუტირებულ ან მშვიდად მოსეირნე ადამიანებსაც.

„ბები ნიუზიც“ ორი მუსიკოსისგან შედგება. გრინჩი თავის ლეპტოპზე სიუჟეტურ შამანურ რიზომას ქმნის წვიმის წვეთებიდან დაწყებული, პლანეტებით და დავინყებული პეიზაჟებით დამთავრებული, როგორც ნიუ ეიჯის ჯადოქარი. მისი ვოკალური შესრულების მანერა ძალზე მგრძობიარე და რომანტიულად ატონალური იყო – ახალი შანსონიეს შესაძლებლობის დადასტურება, რომელიც კამერულ, ბარის სიტუაციაში სწორედაც რომ თავის ადგილს ნახულობს – როგორც დიჯეი, როგორც არტისტი და პოეტი ერთდროულად. მისი უცვლელი კომპანიონი და, შეიძლება ითქვას, თანა-იდოლოგი, ზურაბ ჯიშკარიანი, ანუ ზომბი, სადაც მის ზურგს უკან იყო, მერე კი შეუმჩნევლად გამოვიდა წინ, როგორც ახალი ტიპის შოუმენი, რომელსაც ჩინური, ნათურებიანი ხმალი ეჭირა ხელში – ასევე, სრულიად არაპათეტიკურად, როგორც უბრალოდ ნიშანი – ნიშანი კიტჩის და გლემის, ნიშანი იდეის და პოეტის.

შოუ შედგა – კარგი დასვენების შესანიშნავი შანსი მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, ან როგორც იმის დადასტურება, რომ ანდერგრაუნდში თუნდაც დასვენებისთვის მოწყობილი შოუ უკეთესად კეთდება, რადგან აქ უჩუმრად უკეთესი შოუმენებიც არიან.



### ბებრა, რომელის მხოლოდ აქ არის

25 მაისს რუსთაველის თეატრში ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო კონცერტი მოეწყო. გამოჩენილ ქართველ პიანისტთან ერთად, რომელთან შეხვედრასაც 12 წელი ელოდა ქართველი მაცურებელი, აუდიტორიის წინაშე წარდგა ცნობილი ფრანგი დირიჟორი ლორან პეტიჟირარი. კონცერტის პროგრამაში იყო ბეთჰოვენის №1 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, მენდელსონ-ბარტოლდის №4 იტალიური სიმფონია და გაბრიელ ფორეს საორკესტრო სუიტა „მასკები და ბერგამასკები“.

25 მაისს გამართული კონცერტი ორმაგი ზეიმი იყო მუსიკის ქართველი თაყვანისმცემლებისთვის, რადგან მათ საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ უდიდეს ფრანგ თანამედროვე კომპოზიტორსა და დირიჟორს ლორან პეტიჟირარს. კონცერტი გაბრიელ ფორეს „მასკები და ბერგამასკებით“ გაიხსნა, რომელსაც თავად ავტორმა დელიკატური უწოდა და დებიუსის ტრადიციას მიაკუთვნა. ჟანრულად ეს განსაზღვრება სწორი იყო, რადგან ეს არა მხოლოდ ე.წ. მსუბუქი კლასიკური მუსიკის ნიმუში აღმოჩნდა, არამედ იმ ფრანგული დელიკატური, მოდერნისტული არტისტულობის ტრადიციის გაგრძელებად მოგვევლინა, რომელსაც სათავეში სწორედ კლოდ დებიუსი და ერიკ სატი ედგნენ. აქ მელოდური ან ადამიანური უფრო მთავარია და არა ლეთაებრივი ჰარმონიის ძალა, ამიტომაც იყო „მასკები და ბერგამასკები“ ასეთი ფერწერული და, შეიძლება ითქვას, კაპრიზულიც კი. მელოდურის ასეთ გამოკვლევას კი პეტიჟირართან რაღაც თეატრალურობაც ახლავს, თითქოს მისი ნაწარმოების ქარგები მხიარული თუ მოწყენილი გროტესკული პერსონაჟები არიან. მართლაც, ეს ნაწარმოები დრამატული ინტენციის მქონეა და ის დაწერილია, როგორც დივერტისმენტების მუსიკა დრამატული აქტებისთვის.

ლორენ პეტიჟირარის, როგორც დირიჟორის პერფორმანსი, მაცურებლისთვის ცალკე მოვლენა იყო. მენდელსონის შესრულებისას მისი პოეტური ექსპრესია მთელ დარბაზს გადაედო. ის არა მხოლოდ ორკესტრს ხელმძღვანელობდა, არამედ თავად მუსიკას თითქოს ხილულს ხდიდა მაცურებლისთვის.

კონცერტი თბილისის მერიის, კულტურის სამინისტროსა და „კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციის“ (რომელსაც საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი ხელმძღვანელობს) მხარდაჭერით და „თიბისი ბანკის“ გენერალური სპონსორობით მოეწყო.

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: ქეთო სავაძე

### ტანიავუტი

#### „აქ საქართველოა...“

11 მაისს „მაგთის“ ადმინისტრაციულ ოფისში ახალი პროექტის „აქ საქართველოა...“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციაზე ნაჩვენები იყო ამ დროისთვის უკვე დასრულებული სამი მიკროფილმი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაღებული პატარა კინოისტორიაა. ფილმები აკა მორჩილაძის მოთხრობების მიხედვით აჭარაში, შატილსა და კახეთშია გადაღებული.

პროექტის ყველა ფილმზე ერთი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. ფილმების სცენარი აკა მორჩილაძის ნაწარმოებების მიხედვით იქმნება, რეჟისორი გახლავთ გიორგი ებრაღიძე, ოპერატორი ილია ვაჩნაძე, მხატვარი კოტე ჯაფარიძე კომპოზიტორი კი მიხეილ მდინარაძე.

პროექტზე მუშაობა არ დასრულებულა. მალე „მაგთი“ „ნეოსტუდიასთან“ ერთად საქართველოს კიდევ ექვს მხარეში გადაღებულ კინოისტორიას შემოგვთავაზებს.






# ბაზანიჭვიბუნი საქანიტვიტის ბანკი

ბანსანიტი ანაბანი,  
ჩანიტი ბანიბანი,  
ბანიტი ბანიტი ბანიტი  
და ბანი



საქანიტვიტის ბანკი  
BANK OF GEORGIA





# გამოფენები

ავტორი: დავით ჩიხლაძე

ფოტო: ქეთო საავა

## ლალი ბაიას ბალერაპაში

„ბაია გალერეაში“ წარმოდგენილი იყო ექსპოზიცია „ლალი“, რომელიც „ცნობილი უცნობი პერსონას“ პროექტის ფარგლებში ემა ლალაევა-ედებერიძის (1904–1991) ნამუშევრებს გვაცნობდა. აქ გამოფენილი იყო ულამაზესი აბსტრაქტული ტილოები – ქართველი მოდერნისტი მხატვარი ქალის ერთგვარი კამეები, რომლის სახელიც დიდი ხნის განმავლობაში დაგინწყებული გვექონდა. მისი შემოქმედების მეორედ აღმოჩენა მხოლოდ 21-ე საუკუნეში გახდა შესაძლებელი და ეს უკვე ლალის (ამ სამუშაო ფსევდონიმს ირჩევდა თავად ავტორი) მეორე პერსონალური გამოფენაა.

პირველი გამოფენა 2001 წელს „ძველ გალერეაში“ მოეწყო. მხატვარი მრავალმხრივ სამხატვრო მოღვაწეობას ეწეოდა. გარდა ფერწერისა, მას აქვს სათეატრო ნამუშევრები, გაფორმებული აქვს წიგნები, თანამშრომლობდა მრავალ ჟურნალთან თუ გამომცემლობასთან და იყო ტანსაცმლის დიზაინერიც. თუ ქართული ავანგარდის ისტორიას საკუთარი ცარიელი ფურცლებ-

ბის შევსება სურს, მან აუცილებლად ლალიც უნდა გაიხსენოს და შეისწავლოს. ის ითვისებდა სხვადასხვა მიმდინარეობას, როგორცაა კუბიზმი, კონსტრუქტივიზმი თუ ფუტურიზმი, მეგობრობდა „ცის-ფერყანწელ“ პოეტებთან. თუმცა, როგორც ჩანს, მისი სამხატვრო პოზა ზომიერზე მეტად მორიდებული იყო და ჩრდილში ყოფნას თავადვე შეუსწო ხელი; შეიძლება ეს იმ ტენდენციის შედეგიც იყოს, რამაც 30-იანი წლებიდან საბჭოთა საქართველოში ყოველივე ავანგარდისტული მარგინალურად აქცია.

ყოველ შემთხვევაში, მისი შემოქმედების ეს ხილული კომპონენტები – არაპრეტენზიულობა, დეკორატიულობა, ზომიერი ესთეტიკური ეკლექტიურობა, თუნდაც ულამაზეს, ძვირფას ქვასთან დაკავშირებული მისი სახელის დაშაქრული ხაზგასმა – ეს მსუბუქი ჰარმონია დღეს ლალის ულტრათანამედროვე ხელოვნების ყველა ღირსეული ნიშნით ამკობს და მხოლოდდა მე-20 საუკუნის რომელიმე ერთ მოდერნისტულ წარმომადგენლად არ ტოვებს.

## თბილისის ანდერგრაუნდის ფრანგული იერსახე

როგორც ანონსში ვიუწყებოდა, 11-30 მაისს ქალაქ ნანტში ელოდნენ გამოფენას „თბილისის ანდერგრაუნდი“, შალვა ხახანაშვილის და არნო კონტრერასის კურატორობით. გამოფენას უნდა წარმოედგინა ფოტოარქივები, ფილმები, აფიშები და სხვა მემორაბილია თბილისის პარალელური და ავანგარდისტული ხელოვნების სცენიდან – იმ მასალიდან, რაც 30 წლის მანძილზე შეიქმნა და დაგროვდა. თანაც, რაც უნდა მოულოდნელი იყოს, ნანტში გამართული ე.წ. არაოფიციალური ხელოვნების ეს ექსპოზიცია ოფიციალურად აღნიშნავდა და ეხმიანებოდა ნანტის და თბილისის დამშობილების 30 წლისთავს.

ანდერგრაუნდის თემატიკისთვის მოულოდნელზე მეტი აღმოჩნდა ისიც, რომ გამოფენა საზეიმოდ გაიხსნა ილია ჭავჭავაძის წიგნის „ლექსების და პროზის“ გასტონ ბუაჩიძისეული ფრანგული თარგმანის პრეზენტაციით, რომელიც რუსუდან ფეტვიაშვილის ილუსტრაციებით არის გაფორმებული.



შემდეგ გაიმართა ოფიციალური ინაუგურაცია, სადაც პროექტის გახსნას მიესალმნენ ნანტის ვიცე-მერი ჟან-მარკ აირო, თბილისის მერი გიგი უგულავა და სარბრუკის თანამერი ფრანკ ორანი. პირველი დღე ასეთივე ეკლექტიკურ რეჟიმში, მრგვალი მაგიდით დამთავრდა თემაზე „ეროპისა და საქართველოს თანამშრომლობა“.

12 მაისს მოენყო ე.წ ქართული კაფე, თავისუფალი სადისკუსიო შეხვედრა, რაღაც ფიროსმანის „სამოვარის გარშემოს“ მსგავსი, სადაც სხვადასხვა ისტორიითა და მოგონებებით შეიკრიბნენ და მსჯელობდნენ პოეტი კოტე ყუბანიევილი, მხატვრები თემო ჯავახიშვილი და ნიკო ცეცხლაძე, მუსიკოსი ლადო ბურდული და გალერისტი ნინო მეტრეველი.

ასოციაცია ნანტი-თბილისის პრეზიდენტმა გასტონ ბუაჩიქმ აუდიტორიას შესთავაზა დისკუსია, რომელიც ნიკო ფიროსმანაშვილის, ლადო გუდიაშვილის და დავით კაკაბაძის შემოქმედებას საფრანგეთის კონტექსტში განიხილავდა.

თემატკასთან სრული აცდენა იყო თბილისის ანდერგრაუნდის პროექტის დახურვა ქართული პოლიფონიური ანსამბლის „მზე შინას“ საზეიმო კონცერტით.

მოკლედ, ამ გამოფენის უნებლიე შინაარსობრივი გზავნილი იმდენად მარტივია, რომ კომენტარს აღარც საჭიროებს: ანდერგრაუნდი საქართველოში ალბათ ჯერ კიდევ ცოცხლობს. ალბათ იმიტომ, რომ ასეთი არეული კულტურული ინდექსებისა და უზრუნველი დეფინიციების ქართულ ეპოქაში დასაშვებია, რომ ის სულაც აღარ არსებობდეს.

ყოველ შემთხვევაში, თბილისის ანდერგრაუნდის ისტორია, თუ ვინმეს როდესმე

მართლა დასჭირდა, ჯერ კიდევ აღმოსაჩენია; და არა მხოლოდ აღმოსაჩენი – მის ირგვლივ საინტერესო კვლევის ჩატარება ნამდვილად შესაძლებელია.

**STOP WAITING GEORGIA**

ქარვასლაში 12-19 ივნისს მიმდინარეობდა გამოფენა ინგლისური სახელწოდებით **Stop waiting Georgia**. სოფია ჩერქეზიშვილის ნამუშევარი იმავე სახელწოდებით – შარავაზე მარტოდ მჯდომი და უაზრო ლოდინით დაღლილი პატარძალი – არა მხოლოდ ცენტრალურ ადგილას იყო გამოფენილი, არამედ თვით ამ ჯგუფური გამოფენის აფიშაზეც იყო აღბეჭდილი. შინაარსი კი ის არის, რომ საქართველომ უნდა შეწყვიტოს ვიღაც ჩვენთვის უცნობი სასიძოს ლოდინი, რომელიც ამდენი ხანია, არ ჩანს; ანუ დროა, ვიზეიმოთ ან დავუბრუნდეთ ჩვეულებრივ, ადამიანურ და სასიამოვნო ცხოვრებას.

ცხოვრება კი მართლაც პარადოქსულია და ვიდრე ჩვენი თანამედროვე მხატვრები არ მიხვდებიან, რომ ეს მხოლოდ აქტივისტური ხელოვნება არაა პოლიტიკური თუ სოციალური განცხადებებით, და რომ თვით აბსტრაქციონიზმის მექანიზმი, როგორც სამუშაო სტრატეგია, უკვე საკმაოდ დამუშავებული და მოძველებულია, მანამდე მას მართლაც მოუწევს პოლიტიკურის უკან ჩანჩალი და მუდმივად მასზე რეაგირება.


თანამედროვე ხელოვნება თავის არსით არ არის რეაქციული, ის პროაქციულია. თუნდაც მისი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიის სახელი გავისხენოთ – აქციონიზმი. დღეს კი ამას, მგონი, პოლიტიკოსები უკეთ ახორციელებენ, მათი ყოველი გამოვლინება სიმულაკრასა და აქციონიზმს უკეთესად

ნარმოაჩენს, ვიდრე ჩვენი თანამედროვე მხატვრობა, რომელსაც ომის თემასთან დაკავშირებით რევოლუერისა და, ვთქვათ, საქართველოს რუკის გადაღება და გამოფენა ესთეტიკური კომუნიკაციის დიდ მიღწევად იჩვენება.

პარადოქსულია ცხოვრება და პარადოქსულია ჩვენი თანამედროვე კულტურის ბედიც – ის ელოდება, რომ პოლიტიკური თუ სხვა ანგაჟირებისთვის მას ძვალს გადაუგდებენ. ხშირ შემთხვევაში, ეს ასეც ხდებოდა, მაგრამ იმიტომ არა, რომ მისი ეს ანგაჟირება მოსწონდათ. უბრალოდ იმიტომ, რომ მასში სინათლეს ეძებდნენ, ელოდნენ და ეს სწყუროდათ; და როდესაც საბოლოოდ ყველა დარწმუნდება, რომ მას ამის უნარი არ გააჩნია, ალბათ მაშინ ძალაუნებურად დამთავრდება ეს პატარძლური მოლოდინიც და, უბრალოდ, ყველა თავის საქმეს გააკეთებს პატიოსნად.

ფორმულა მარტივია: ვერ ვთხოვდები იმიტომ, რომ ასე ვაზროვნებ და ასე ვაზროვნებ იმიტომ, რომ ვერ ვთხოვდები. მაგრამ ვის ელოდება საქართველო, ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ აღარ ელოდოს და თავის თავს მიხედოს. ან როგორ უნდა მიხედოს თავს თანამედროვე მხატვრობამ, იქნებ სოპოს გალერეის გახსნით თბილისში? ამ კითხვებზე პასუხები ალბათ არსებობს და მათ მაშინ გავიგონებთ, როდესაც მათი ჩამახშობელი ხმაური შეწყდება. ეს ხმაური კი ქვემეხების სულაც არ არის.

გამოფენაში მონაწილეობდნენ თეა თელია, ირინა გაბიანი, ლიზა ოსეფაშვილი, ერნა დოლმაზოვა, ნინო ბინიაშვილი, მაკა ბატიაშვილი, ლევან კაკაბაძე და სოფია ჩერქეზიშვილი.



# კინო

ავტორი: ლავით ჩიხლაძე

## ბრიტანული რუსთაველის თეატრში

1-5 ივნისს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა ბრიტანული ფილმების ფესტივალს დაეთმო. ქართველ მაყურებელს საშუალება მიეცა, ენახა თანამედროვე ინგლისური კინოს რამდენიმე საუკეთესო ნიმუში.

ფესტივალი გახსნა შეინ მიდოუსის ფილმმა „ეს ინგლისია“. ფილმი რეჟისორის პირად გამოცდილებას ეფუძნება და მოგვითხრობს 1983 წლის ისტორიას ერთი პრობლემური პატარა ბიჭის, 11 წლის შონის შესახებ. ის დაუმეგობრდება სკინჰედების ჯგუფს, რომელიც მას თანასკოლელებისგან მის მიმართ გამოვლენილ აგრესიას აარიდებს და რადიკალიზაციას იწვევს. შინ მას მხოლოდ ომში დაღუპული მამის სურათი ელოდება და დედასთან ფორმალური კომუნიკაცია. მალეინასავით ჩაცმული პანკი გოგონა, მეტსახელად სმელი, მისი შეყვარებულის როლსაც კი თამაშობს, რათა ბიჭს გარემოსთან ადაპტირება გაუადვილოს.

მოგვიანებით ციხიდან რასისტული შეხედულებების მქონე მათი უფროსი მეგობარი, კომბო გამოდის და ჯგუფის უწყინარ, ჰიპსტერულ იდეოლოგიას რასისტული გავლენის საშიშროება ემუქრება. ისინი ინგლისში არსებული მწვავე ეკონომიკური და უმუშევრობის პრობლემების გამო პაკისტანელ ემიგრანტებს ადანაშაულებენ და გმობენ მოლაღატი, ანტინაციონალურ მთავრობას არგენტინასთან გამართული ომის მსხვერპლისთვის. კომბო ტიპური სკინჰედი არ არის, ის ექსტრემალური მემარჯვენე პერსონაჟია, თუმცა მას ეს შეიძლება საკუთარი არეული ცხოვრების პრობლემებიდან გამოსავლად ეჩვენება, მაშინაც კი, როდესაც მეგობარი ქალი სიყვარულზე უარით პასუხობს.

კრიზისი მატულობს და ბოლოს, ციხიდან გამოსული აგრესიული კომბო მხოლოდ პა-

ტარა შონის ვაჟკაცური მხარდაჭერის ანაბარად რჩება. მაგრამ, შონიც მიხვდება, რომ მეგობრობას და მამის ხსოვნას ასეთი მცირადაა ლოზუნგები და ბრუტალური აგრესია არ სჭირდება და რომ არც პაკისტანელები არიან დამნაშავე. ფილმის ბოლოს შონი ზღვის ნაპირთან მიდის და ინგლისის ნაციონალურ დროშას ტალღებს გაატანს.

მოუხედავად მრავალი მნიშვნელოვანი ნარმატივისა, შეინ მიდოუსი თავს დღემდე რეგიონულ რეჟისორად მიიჩნევს და ეს ნამდვილად უფრო მოსწონს, ვიდრე დედაქალაქელობა. „ეს ინგლისია“ 2008 წლის საუკეთესო დამოუკიდებელ, ბრიტანულ ფილმად აღიარეს.

შეინ მიდოუსი ბრიტანული კინოს ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. კრიტიკოსები მას ე.წ. „ხელსაბანის რელიზმის“ წარმომადგენლად მიიჩნევენ, თუმცა მცირე პოსტმოდერნისტული გადახრებით. 1998 წელს ბრიუსელის საერთაშორისო კინოფესტივალზე შეინ მიდოუსმა 27 წლის ასაკში საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ევროპული ფილმითვის კრისტალის ვარსკვლავი მოიპოვა.

„ბრიტფესტი 2009“-ზე ნაჩვენები იყო კიდევ 4 ძალიან საინტერესო ფილმი: ჯონ კროულის „ბიჭი ა“, მაიკ ლის „უდარდელი“, სტივენ მაკქუინის „შიმშილი“ და სოლ დიბის „პერცოგი ქალი“.

ეს ფესტივალი მხოლოდ ბრიტანული კლუბის წევრებისათვის იყო განკუთვნილი და ამიტომ გარკვეული ელიტარულობის ელფერიც დაჰკრავდა. თუმცა, ნაჩვენები ფილმები იმდენად აქტუალური იყო საქართველოსა და ალბათ ნებისმიერი სხვა ქვეყნის რეალობისთვისაც, რომ სასურველი იქნებოდა, ასეთი ჩვენებები ფართო აუდიტორიისთვის ჩატარებულიყო; როცა ადამიანი უბრალოდ კინოში ნავა, ახალი, შინაარსიანი ფილმის სანახავად და სულაც არ ექნება იმის შეგრძნება, რომ

წვეულებაზე იმყოფება; თანაც, ასეთი ჩვენებები შეიძლება პატარა შონთან ერთად ჩვენს სამშობლოსაც ემელოს.

## კინოლაზი პარაპაში

ივნისში ვარშავაში იხსნება ფესტივალი „ტრანსკავკასია“, სადაც თბილისის გალერეის „ნიუ არტის“ კურატორი და მფლობელი რუსიკო ოატი ქართულ ექსპერიმენტულ ფილმს და ვიდეო არტს წარადგენს. ჩვენება 26 ივნისს არის დაგეგმილი „კინოლაზში“. „ტრანსკავკასია“ ერთადერთი ფესტივალია, რომელიც კავკასიის ქვეყნების მულტიმედია-ცენტრის თანამედროვე ხელოვნებას აჩვენებს ევროპაში. ქართული პროექტი წარმოდგენილი იქნება სახელწოდებით: All & Now: Moving Reality.

ჩვენება 2 ბლოკად იქნება გაყოფილი, რომლებსაც პირობითი სახელწოდებები აქვს: „მოძრავი რეალობა“ და „მოძრაობა რეალობისკენ“. ნაჩვენები იქნება სოფია ჩერქეზიშვილის, კოკა რამიშვილის, ნიკო ცეცხლაძის, კოტე ჯინჭარაძის, ნიკო ლომაშვილის, ანა რიბაშვილის, კოტე სულაბერიძის, თეა თელიას, გელა კინურაშვილის, თემო ჯავახიშვილის, ილიკო ზაუტაშვილის, მანანა დვალის, უშანგი ხუმარაშვილის ვიდეო და ფილმები, რომლებსაც ინგლისურ ენაზე სუბტიტრები დაედება.

ფესტივალი 25 ივნისიდან 5 ივლისამდე გრძელდება; ასევე ნაჩვენები იქნება გელა ბაბლუანის და ოთარ იოსელიანის ფილმები.

პარალელურად, მოეწყობა გამოფენა, სადაც აზერბაიჯანელ და სომეხ მხატვრებთან ერთად გამოფენილი იქნება ქართველი მხატვრების: შალვა კობალაძის, არჩილ თურმანიძის, ელენე რაქვიაშვილის, კონსტანტინე მინდაძის, ვატო წერეთლის, ნინო ლომაძის, გიო სუმბაძის, მაია სუმბაძის და მიხეილ გოგრიჭიანის ნამუშევრები.



# მე-4 თაობის ყველაზე ინტერნეტი



მომსახურების პაკეტი	ოპტი	პროფი	მეტი
საბონინტო გადასახადი	55 ლარი	75 ლარი	95 ლარი
ინტერნეტკავშირის სიჩქარე	500 კბ/წმ-მდე	1000 კბ/წმ-მდე	1500 კბ/წმ-მდე
ტრაფიკი	ულიმიტო	ულიმიტო	ულიმიტო
მოდეზი	USB მოდეზი	USB მოდეზი	USB მოდეზი
დომენის პოსტინგი	1	1	1
ვებსიორეცე	20 მგბ	50 მგბ	80 მგბ
სადოსტო ცვლების რაოდენობა	1	2	2
სადოსტო ცვლების საერთო მოცულობა	40 მგბ	100 მგბ	200 მგბ
<b>მოდეზის შეყენების შეზღუდვაში</b>			
საბონინტო გადასახადი	35 ლარი	55 ლარი	75 ლარი
USB მოდეზის ფასი	195 ლარი	195 ლარი	195 ლარი



## საფილარი ჰყვამბები

### მზილი

MBC – ზეგნის ქ. №5  
 ორთხ ბეწილი – განეხის ქ. №5  
 ანტ ანთი – მარტინილის ქ. №2  
 ვე ვანი – აღმანტელის გან. №195  
 VPC – აღმანტელის გან. №78  
 კომპიეტერი სანაო – აღმანტელის სეგანი  
 LAB სეგანი – სანაო ცენტრი „ვეგალინი“, მადანი №84  
 ლენი კომპიეტერი – სანაო ცენტრი „კეონანი“, მადანი №38  
 LAB სეგანი – მისანულის ქ. №1  
 ჯლი კომპიეტერი – ვეგლის ქ. №15  
 სოფლისტერი – ვეგლის გან. №17  
 სეი+ – მანარსულის გან. №10  
 კომპი – ვეგლის გან. №17  
 კომპიეტერი სანაო – ვეგლის გან. №37  
 კანსი კომპიეტერი – ვეგლის ქ. №16/20  
 სეგისტერი – კონტის გან. №72  
 შეღისი – ვეგლის გან. №10  
 სოფლისტერი – განმანტელის გან. №29  
 ვეგისი – მან სეგლის გან. №1  
 მონილის ბეწილი – სანაოლის ქ. №41  
 ლენი კომპიეტერი – მონილის გან. №37  
 ჯლი ბეწილი – მონილის გან. №48

### მზილი სანაო

#### მონილის

მონილის, მეგის ქ. №22

### მონილის

ვე – კონტის ქ. №14  
 მონილის 50 – მონილის გან. №6  
 ვეგისი – მონილის მ. №16 მონილისი

### მონილის

კომპიეტერი 99 – ვეგის ქ. №18/18

### მონილის

სანაო – ვეგლის გან. №40  
 მონილის – მონილის გან. №24  
 სეგისტი – მონილის ქ. №10  
 EDV – ვეგლის ქ. №66  
 LAB სეგანი – განმანტელის ქ. №18

### მონილის

კომპიეტერი მონილისი – მონილის ქ. №24

### მონილის სანაო

#### მონილის

მონილის, განმანტელის გან. №38



## ყველა, როგორც ერთი – მამულისა და სარწმუნოებისთვის!

ავტორი: თაო ხატიაშვილი

ილუსტრაციები: მარია ჯალღასტანიშვილი

პოლიტიკურად დაძაბული გაზაფხული ყოველდღიურად, ზოგჯერ დღის განმავლობაში რამდენჯერმეც კი, წამოატივტივებდა ხოლმე ამა თუ იმ პრობლემას, რომელიც არა იმდენად კრიზისულ პოლიტიკურ პროცესს უკავშირდება, რამდენადაც ამ ფონზე კიდევ უფრო გამოაშკარავებულ და გამძაფრებულ საზოგადოებრივ ვნებებს, დავაზუსტებ – პუბერტატის მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებისა, რომლის ღირებულებათა შკალაზე ყველაფერი ერთმანეთში არეული და გაურკვეველია, რომელიც გვაროვნულ-ნაციონალისტური რიტორიკით ლაპარაკობს დემოკრატიაზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე – სხვისი და სხვაგვარი სიტყვისადმი სრული მიუღებლობით ან უკეთეს შემთხვევაში იგნორირებით, უფლებების შელახვასა და დაუცველობაზე – სხვისი უფლებებისადმი სრული უპატივცემულობით და ა.შ.

„ტელე-იმედის“ ეთერით გასული ერთი რეპორტაჟი, რომელსაც უფრო კონკრეტულად განვიხილავ, ჩემი აზრით, ძალზე ტიპურია და აჩვენებს პრობლემის კომპლექსურ სახეს, რომელიც უკავშირდება ინსტიტუციებს, მედიასა თუ საზოგადოების განწყობებს. სკანდალურ ინფორმაციაზე ორიენტირებული ტელევიზიების (არ აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა, რომელი არხი იყო, რამდენადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, რეპორტაჟი ტიპურია ჩვენი რეალობისთვის) ყურადღების ცენტრში ამჯერად

გურიის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ორი თინეიჯერი გოგო მოექცა, რომლებსაც უყვართ როკი, აცვიათ „სხვანაირად“ და ინტერესებიც („ორიენტაციის“ მსგავსად – ამ თემას კიდევ დავუბრუნდები) „არატრადიციული“ აქვთ. მათი სხვაგვარობა უკვე საკმარისია, რომ ისინი „სატანისტებად“ და „ლესბოსელებად“ მოინათლონ; ერთი კვირით სოფლიდან გაუჩინარება კი სკოლის „თავმოყვარეობას საბოლოოდ ლახავს“ და მასწავლებლების ნაწილი მოითხოვს, რომ ისინი სკოლიდან გააძევიონ. თუმცა თავად ოჯახებსაც აღარ უნდათ იმ სოფელში დარჩენა.

რეპორტაჟზე საჯარო რეაგირება, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში შეკრებილი ორი-სამი ათეული ადამიანის გარდა, არავის მოუხდენია, არც განათლების სამინისტროს, არც პრეზიდენტს, რომელიც ამ ფაქტიდან ცოტა ხანში ლამის თავად ხელმძღვანელობდა მძიმე დამწვრობის მქონე პატარა ბიჭის იელოველი მშობლებისგან „გამოხსნის ოპერაციას“, როგორც თავისი სამწყსოს თითოეულ წევრზე მზრუნველი ხელისუფალი, არც ოპოზიციონერ ლიდერებს, რომლებიც ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის ზეობაზე წუხან დილა-საღამოს და ვერ (თუ არ) აცნობიერენ, რომ ეს მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა არ არის, არც სახალხო დამცველის...

ამასთან დაკავშირებით ომბუდსმენის ოფისს და კერძოდ ბავშვთა უფლებების ბიუროს უფროსს მერი მაღლაფერიძეს ძალ-

**გათამაშება ჯი პი სი-ს და წითელი ა-ს ავთიაქებში!**

**დააბროვე რაც შეიძლება მეტი ვაშლი**

**15 ივნისიდან 25 ივლისამდე და მოიბა:**

## მოგზაურობა ნიცაში



კლასიკური  
ტელევიზორი



ფოტოაპარატი  
GE



ლექტოპი  
McBook




DVD ფლეერი  
Pioneer



კამერა  
Canon



1 წლიანი აუზის  
აბონიმენტი



iPod Nano



ისი პარის ერთი წლიანი  
მომსახურების პაკეტი



**10 ვაშლი = 1 ბილეთს**

ზე ლოგიკური და, ერთი შეხედვით, სამართლიანი პასუხი აქვს. მისი აზრით, ადამიანის, მით უმეტეს არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების ასეთი საჯარო დისკუსიით გამოტანა პრობლემას მხოლოდ ამძიმებს, თანაც როცა სიუჟეტში დაუზუსტებელი ფაქტები მოყვანილი. „ეს არის უმწვავესი პრობლემა, რომელმაც გამოამჟღავნა ტელეკომპანია „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმი, რომლითაც აღნიშნული სიუჟეტი მომზადდა. მათ ასეთი ქმედებით დაარღვიეს როგორც ადამიანური ქცევის დაუნერვლი კოდექსი, ასევე ჟურნალისტური ეთიკის ნორმები“. სავსებით ვეთანხმები ქალბატონ მერის. რამდენჯერ გვინახავს, ფაქტობრივად, მითქმა-მოთქმაზე აგებული მსგავსი სიუჟეტები ხანგრძლივი მსხვილი ხედებით, სახელისა და მისამართის ზუსტი მინიშნებებით... ამის საპირისპიროდ, ომბუდსმენის ოფისი შეისწავლის ფაქტებს (დარწმუნებული ვარ, გულდასმით და ობიექტურად), რომელიც თაროებზე შემოდებულ თაბახის ფურცლებსა და მათ ყოველწლიურ მოხსენებაში აისახება; „პუბერტატის“ საზოგადოების მახსოვრობაში კი, რომლის ცნობიერება უმეტესად მედიით არის კონსტრუირებული, რჩება ორი

**სხვანაირად იცვამ, სხვანაირად იქცევი, სხვა მუსიკას უსმენ, სხვანაირ საჩუქრებს ჩუქნი მებოზარს – ე.ი. ხარ ჰომოსექსუალი, სატანისტი (ან იელოველი) ანუ არაგართლმადიდებელი, „სოროსელი“, „გადამთიელი“, „ურჯულო“.**

„სატანისტი-ლესბოსელი“ გოგო, რომელიც უნდა მოიკვეთოს. ამ შემთხვევაში, არ მგონია, მნიშვნელობას (და პასუხისმგებლობას) მოკლებული იყოს ომბუდსმენის საჯარო შეფასება, თუნდაც იმის აღნიშვნით, რომ ფაქტს დაზუსტება და შესწავლა სჭირდება; მით უმეტეს, რომ ბატონი სოზარ ადამიანის უფლებების პოლიტიკური ხასიათის დარღვევებზე „შეუხსნავლელადაც“ აკეთებს მეყსეულ განცხადებებს; მით უმეტეს მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებაში, რომელიც მუდმივად ითხოვს „ცნობადი ადამიანებისგან“ პოზიციის „დაფიქსირებას“ და რომელიც საჭიროებს იმის ახსნას, რომ თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში (რომლის აშენება რიტორიკის დონეზე თითქოს ყველას უნდა) როკის მოსმენა „სატანისტი-ლესბოსელი“ გოგოსთვის ისეთივე უფლებებაა, როგორც ხალხური საკრავების წრეზე სიარული.

ჩემი აზრით, ერთი მხრივ, რეპორტაჟი და, მეორე მხრივ, მასზე რეაქცია (თუ ურეაქციობა) ძალიან მკაფიოდ აჩვენებს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხის ორ ასპექტს – 1. როგორ ხდება რაღაც თემების „გამოტოვება“ ხალხში მათი არაპოპულარულობის გამო; 2. როგორ ხდება ადამიანის სტიგმატიზირება. პრობლემის გაანალიზების თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა, გოგოები მართლაც იყვნენ თუ არა სატანისტები და ლესბოსელები („არატრადიციული ორიენტაციის“ წარმომად-

გენლები, როგორც მოიხსენია ისინი რამდენჯერმე ჟურნალისტმა. ამ ტერმინით ხაზი ესმება, რომ არსებობს რაღაც სხვა – „ტრადიციული“/„მიღებული“/„ჩვეულებრივი“, რის საშუალებითაც უკვე ხდება ამ ადამიანთა გამოყოფა „ნორმალური“ სოციალურიდან). საზოგადოებაში არსებობს დეტერმინაციული ჯაჭვი, რომელიც, ნორმიდან გადახვევის შემთხვევაში, ავტომატურად ვრცელდება. სხვანაირად იცვამ, სხვანაირად იქცევი, სხვა მუსიკას უსმენ, სხვანაირ საჩუქრებს ჩუქნი მეგობარს – ე.ი. ხარ ჰომოსექსუალი, სატანისტი (ან იელოველი) ანუ არამართლმადიდებელი, „სოროსელი“, „გადამთიელი“, „ურჯულო“ და ა.შ.

ბოლო წლებში სულ უფრო აშკარად იკვეთება ჩვენი საზოგადოების ქსენოფობიურ საზოგადოებად ჩამოყალიბების ტენდენცია, სადაც განსაკუთრებით მწვავედ სექსუალური და რელიგიური ფობიები იჩენს თავს. სოფლის სკოლის მასწავლებელთა ნაწილი გოგონების მიმართ სრულიად ლოიალურად არის განწყობილი და მათ გარიცხვას ეწინააღმდეგება. ერთ-ერთმა მათგანმა მათი გამართლება ასე სცადა: ისინი ამბობენ, რომ არ არიან სატანისტები, ჩვენ მართლმადიდებლები ვართო. საინტერესოა, რა აზრის იქნებოდა „ლიბერალი“ მასწავლებელი, გოგონებს რომ ეთქვათ, რომ სატანის მიმდევრები არიან და/ან ერთმანეთი უყვართ?

ერთ აზრზე სწორების (ტოტალიტარული) მოთხოვნისგან ვრცელდება საზოგადოების ყველა დონეზე, როგორცაა ერთიანდება ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგთან და შეუთავსებადობის უხერხულობა სრულიადაც არ იგრძნობა: ხელი-სუფლებას აკრიტიკებ? ე.ი. მოლაღატე და აგენტი ხარ, იმიტომ, რომ დღეს გარეშე მტრის საფრთხის წინაშე მეგარ სამშობლოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ერთიანობა. არ მიდინარ მიტინგზე და „საკენების ქალაქი“ წარსულში დაბრუნებას გააგონებს? ე.ი. „მიშისტი“ ანუ ისევე და ისევე მოლაღატე, მშიშარა, იელოველი ხარ, რომელიც ანგრევს ყველაფერ ქართულს, ებრძვის მართლმადიდებლობას. სიმპტომატურია, რომ ბოლო წლებში ჩვენი ლექსიკიდან, ფაქტობრივად, ამოვარდა სიტყვა „ქრისტიანობა“ – ყველაზე უფრო მართლმადიდებელი/ქრისტიანი ხალხი შესაშურ არაქრისტიანულ შეუწყნარებლობას იჩენს განსხვავებულის მიმართ.

ცოტა ხნის წინ ტელევიზიით რომელიღაც პოლიტიკოსი დებდა ფიცს, – ზანგსაც კი დაფუდები გვერდით ჩემი ქვეყნის გადასარჩენადო. ისე თქვა ეს „ზანგს“, რომ მთელი გული ამოაყოლა; ხედები, რამხელა თავგანწირვაა ეს ფაქტი პროფესია-გვერდზე გადადებული პატრიოტიკისთვის.


პოლიტიკური გაზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე ფრთიანი ლოზუნგი იყო „ჯერ სამშობლო, მერე პროფესია“ არაპროფესიონალიზმი რომ სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, ამ სიუჟეტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა (და არა მხოლოდ ჟურნალისტების, მასწავლებლებისაც). იქნებ სამშობლოს სიყვარული განსაკუთრებული პროფესიაა, რომელიც სადღეგრძელოებში, მითოლოგიური ისტორიებით თავმონონებაში, „წინ დავით აღმაშენებლისკენ“ იდეოლოგიაში, პირველისწერასა და მოდური მოძღვრების მრევლად ყოფნაში ვლინდება?... „ჭეშმარიტება უფრო დიდიაო“. ჩაქოლეს... ჭეშმარიტება, რომელთანაც არჩევანის თავისუფლებით მიდიხარ.

# სარჯე და აბროვე! GPI Card -ით!

დააფიქსირეთ შენაძენი 150-მდე  
ობიექტში თბილისში!

დააგროვეთ თანხა პერსონალურ ანგარიშზე  
„კიპიაი ჰოლდინგში“...



 სილაგაზის სალონები, გასაჯანსაღებელი  
ცენტრები GPI Card-ით!

21% 

20% ნეფერტიტი  
საქართველოს სალონი

20% Ergoline

10% 

10% ESTHETIC SERVICE

7% ჯთ სპა  
სადაზღვევო კომპანია

5% 

5% 

15% 

10% 

10% 



# ლოცვა-კურთხევა! ლოცვა-კურთხევა! ლოცვა-კურთხევა!

ავტორი: სანდრო ნაპირანი

ინფორმაციის შემდეგ გამიჩნდა სურვილი დამენერა ამ თემაზე). ამაში არაფერი საგანგაშო არ იქნებოდა, რომ არა – საყოველთაო ლოცვა-კურთხევა, ყველაფრის ლოცვა-კურთხევა: ჯიპების ლოცვა-კურთხევა, მალაზიების ლოცვა-კურთხევა, ეკონომიკური პროგრამების ლოცვა-კურთხევა, სტადიონების ლოცვა-კურთხევა, ნამონყებების და იდეების ლოცვა-კურთხევა...

ლოცვა-კურთხევა, ლოცვა-კურთხევა, ლოცვა-კურთხევა!

საყოველთაო ლოცვა-კურთხევა საქართველოში სპეკულირების ძალიან კარგ და მომგებიან მეთოდად იქცა. უკლებლივ ყველა – სამოქალაქო თუ პოლიტიკური საზოგადოება, სპორტსმენები, მუსიკოსები და მელომანები, „კინოშნიკები“ თუ დიასახლისები, ყველა სპეკულირებს ლოცვა-კურთხევით და, ზოგადად, რელიგიით. რელიგიით სპეკულირება გახდა ჯოკერი, რომელიც საშუალებას იძლევა, მიღებული პერსონა იყოს იქაც კი, სადაც არ გწყალობდნენ.

ჩემი აზრით, ყველაფრის ლოცვა-კურთხევის აქტუალურობა გამოიწვია იმის შიშმა, რომ თუ არ დგახარ ეკლესიის მხარეს, დარჩები მარტო. ზედა, ქვედა და კარის მეზობლები, რომელთაც სახლები ნაკურთხი აქვთ, გაგრიყავენ სამეზობლო „ერთობიდან“, ერთმანეთში შენზე იჭორავებენ, სადარბაზოში ან ეზოში თუ რამე ცუდი მოხდა, შენ უკურთხებელ სახლს დააბრალებენ, იმას, რომ ეშმაკი გაზის მხარზე... ჭორაობას ხშირად მათი შვილებიც ისმენენ, მერე თქვენ შვილს ეზოში თამაშისას წამოაძახებენ, – შე ურჯულოო, – მერე თქვენი შვილი თქვენზე გაბრაზდება, – ყველა ბავშვი ნაკურთხია ეზოში და მე რატომ არაო, – და ათასი გეგთი წვრილმანი, რის გამოც საბოლოოდ შეიძლება საცხოვრებლის შეცვლაც დაგჭირდეთ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ საცხოვრებლის შეცვლაც არაფერს მოგცემთ, იმიტომ, რომ იქაც ზუსტად ის მეზობლები დაგხვდებიან, უბრალოდ სხვა ჰაბიტუსებით. ასე რომ, აკურთხეთ, აკურთხეთ ყველაფერი, მეზობლებიც აკურთხებინეთ და ისინიც დაისვენებენ თქვენგან და თქვენც – მათგან. მერე კი მშვიდად შეგეძლებათ, რომელიმე მარხვის დასრულების შემდეგ მათთან ერთად ნაკურთხ სუფრაზე გემრიელი ხორციულობა მიირთვათ. ასე რომ, აკურთხებინეთ...

ლოცვა-კურთხევის პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ვთქვათ, თქვენ შეიძინეთ სარეცხი მანქანა, რამე, სუპერ-სარეცხი მანქანა. ოჯახის დიასახლისს ერთი სული აქვს, როდის შეყრის სარეცხს ავტომატში და დააბზრილებს, მაგრამ რაღაც აჩერებს, უხილავი ძალა არ აძლევს საშუალებას, რომ სარეცხი გარეცხოს. რა ხდება? რა და, სარეცხი მანქანა არ არის ნაკურთხი. სასწრაფო წესით, ოჯახის ბურჯი ჯდება თავის უკვე ნაკურთხ შავ ჯიპში, რომლის გაბარიტებიც დაახლოებით მისივე სახლის ზომისაა, რომელსაც უკან მიკრული აქვს ბოლნური ჯვრის სტიკერი და მიდის მოძღვართან. გზად, შიგადაშიგ იცავს საგზაო წესებს, ძირითადად კი წითელ შუქზე არ აჩერებს – საღვთო საქმეზე მიდის და ღმერთი აუცილებლად დაეხმარება – პოლიცია არ გააჩერებს... უხილავი ძალა ეხმარება... როგორც იქნა, მივა მოძღვართან და მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ თავის გასაჭირზე მოუყვება. ამასობაში,

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვინმე პაატა თექეთუმანიშვილი გოლგოთის „ინციდენტის“ გამეორებას აპირებს თბილისში, რუსთაველის გამზირზე. თუმცა, 20 საუკუნის წინ მომხდარი ამბებისგან განსხვავებით, ბატონი თექეთუმანიშვილი ჯვარზე გაკერას ნებაყოფლობით გეგმავს. მას გადაწყვეტილი აქვს, რომ ქუთაისში „შეაჭედინოს“ გოლგოთის ჯვრის ზუსტი ასლი, მოიკიდოს ზურგზე და ქუთაისიდან თბილისამდე, კერძოდ რუსთაველის გამზირამდე მხრებით ჩამოიტანოს, აღმართოს პარლამენტის წინ და ზედ ეცვას. რატომ აპირებს ამის გაკეთებას ბატონი პაატა? არც მეტი არც ნაკლები, ის ითხოვს მიხეილ სააკაშვილის გადადგომას და იქამდე იქნება ჯვარზე გაკრული, სანამ სააკაშვილი არ გადადგება. მე კი ვიცი, რომ სააკაშვილი ვადის ამონურვამდე არსად არ გადადგება და ბატონ პაატასაც თუ გიორგი გაჩეჩილასისნაირი გამძლეობა და მოთმინება აღმოაჩნდა, 2013 წლამდე პარლამენტის წინ ჯვარზე იქნება გაკრული და საქართველოს ტურისტულ რუკას კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა შეემატება – ქალაქის ცენტრალურ გამზირზე ჯვარზე გაკრული ადამიანი. წარმომიდგენია, როგორი სიამაყით ვუჩვენებ ჩემ უცხოელ სტუმარს ამ ღირსშესანიშნაობას, რის შემდეგაც ის უახლოესი რეისით გაფრინდება ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

ხუმრობა იქით იყოს და, ყველამ კარგად ვიცით, ბატონმა პაატამ თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა თუ შეძლო, მიმტევებელი და კაცთმოყვარე „ქართველი ხალხი“ მას დააჯერებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ამაღ არ ღირს და ჩამოხსნიან ჯვრიდან. ასე თუ არ მოხდა, ბუნებრივი მოთხოვნები მანც ხო შეანუხებს და იძულებული გახდება, ჩამოეხსნას ხოლმე.

დაახლოებით წელწინა-ნახევრის წინ ტელევიზორში მოვისმინე, რომ გაიხსნა რაღაც ლოკალური თეატრალური ფესტივალი, რომელიც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გაიმართება (სწორედ ამ



## ... და ერთი ჭიქა ღვინო

თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან

დააგემოვნეთ არაჩვეულებრივი ღვინო  
თბილღვინოს კლასიკური კოლექციიდან  
და გაიხანგრძლივეთ ურთიერთობით  
მიღებული სიამოვნება.



**TBILVINO**

## კომენტარი

რას აკეთებს დიასახლისი? რას და ფუსფუსებს, სუფრას შლის, სამარხო გემრილობებს აწყობს ზედ და „მორწმუნე“ მეგობრებს ურეკავს, – მოდით, მოდით, მამაო მოვა სულ მალე. სანამ დიასახლისი ფუსფუსებს, ოჯახის ბურჯი მამაოს ელოდება, როდის მოიცილს, როდის დაასრულებს თავის საქმეს... და აი, როგორც იქნა, მოძღვარი შავ ჯიპში ზის მძღოლის გვერდით, შავ ჯიპში, რომელიც თვითონვე აკურთხავს ცოტა ხნის წინ. უკანა სავარძელზე კი მორწილი/სტიქაროსანი იოანე, რომელსაც ხელში ლოცვა-კურთხევისთვის საჭირო ატრიბუტიკით სავსე ქეისი უჭირავს. შავი.

სახლში მისულ ოჯახის ბურჯს და მამაოს ქედმოხრილი დიასახლისი და ოჯახის „მორწმუნე“ მეგობრები ეგებებიან. ოჯახის ბურჯი ცდილობს, მამაოს გზა გაუთავისუფლოს და პირდაპირ ურჯულო სარეცხი მანქანისკენ მიჰყავს. იოანე ამოალაგებს ატრიბუტიკას და იწყებს ლოცვა-კურთხევის პროცესს. სავალდებულო, ზოგად ლოცვას მოჰყვება ტექსტი: ღმერთო, შენ მიეცი ძალა სარეცხ მანქანას, უანგაროდ რეცხოს ამ ოჯახის სარეცხი, მუდამ ღვთის ძალით ეტრიალოს და ერთხელაც არ გაეჭედოს, ლაქა არ დაეტოვებინოს მონა ზეზვას (ოჯახის ბურჯი), მხევალი მზიას (დიასახლისი) და მონა ზოროს (ზეზვას და მზიას ვაჟი, რომელიც სახლში არ არის, არ აინტერესებს ეგეთი ამბები, მაგრამ დიდი ხის ჯვარი მაინც უკიდია გულზე) პურანგებზე, შარვლებზე, კაბებზე, წინდებზე, ბიკინებზე და ტანგებზე, პიჯაკებსა და „ნორკის შუბებზე“...

**და აი, რობოტს იქნა, მოძღვარი**

**შავ ჯიპში ზის მძღოლის გვერდით,**

**შავ ჯიპში, რომელიც თვითონვე**

**აკურთხავს ცოტა ხნის წინ. უკანა**

**სავარძელზე კი მორწილი/სტიქაროსანი**

**იოანე, რომელსაც ხელში ლოცვა-**

**კურთხევისთვის საჭირო ატრიბუტიკით**

**სავსე ქეისი უჭირავს. შავი.**

ამის შემდეგ კი, მობრძანდით, მამაო... დაბრძანდით... და თანა-სუფრელები იწყებენ ამბების მოყოლას – ძირითადად იმ სასწაულებს იხსენებენ, რომლებიც, პირადად არა, მაგრამ მათი მეგობრის მოძღვრის მრევლიდან ერთ-ერთს მოუყოლია ვიღაც ურჯულოზე, რომელიც ამ სასწაულის შემდეგ მოქცეულა სინათლისკენ. ერთ-ორ სიტყვას გარყვნილ ახალგაზრდობაზეც იტყვიან, მინი-იუბკე-ბზე, გაღვლილ პურანგებზე, ადამიანებზე, რომლებმაც ეკლესიაში წირვის დროს გაიციინეს, სატანურ ნიშნებზე, რომელიც უკვე ყველაფერზეა გამოსახული; და ამ საუბარ-საუბარში გავა დრო. შემდეგ მოძღვარი იტყვის, – ნავედიო. გასვლის წინ კიდევ ერთხელ დალოცავს ოჯახს, მორჯულებულ სარეცხ მანქანას და ნავა.

იმედია, დაახლოებით მაინც შეგექმნათ წარმოდგენა, თუ რა პროცედურების გავლას საჭირო იმისათვის, რომ სარეცხი მანქანა აკურთხოთ. თავისთავად უფრო დიდ დროს მოითხოვს სახლის კურთხევა, ახლად ნაყიდი სააგარაკე მინის, სოფლის, ქალაქის და ავტონომიური რესპუბლიკის.

იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნეში დრო ბევრად უფრო ძვირად ფასობს ვიდრე ნებისმიერ გასულ საუკუნეში, შემომაქვს საინტერესო წინადადება, რომლის ამოქმედების შემთხვევაშიც, ძალიან დიდ დროს დაზოგავს ორივე მხარე – მოძღვარიც და მონა-მხევალიც. ჩემი წინადადება ასეთია: დაინეროს საკურთხებელი საგნების ლოცვები. მაგალითად, აგარაკს, კორპუსის ბინას, საკუთარ სახლს, დაცვის ჯიხურს, კარავს, საკანს, ფარდულს, ბოსელს, საქათმეს, საჯინიბოს, ჰქონდეთ ერთი და იგივე ლოცვა, რადგან ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ვილაციისთვის ან რალაციისთვის საცხოვრებელს წარმოადგენს. ამიტომაც დაინეროს ერთი ლოცვა საცხოვრებელზე, შემდეგ მსუბუქი ავტომობილებისთვის, მსუბუქი და მძიმე ჯიპებისთვის, ავტობუსებისთვის, ტრამვაისთვის, თვითმფრინავისთვის, ვერტმფრენისთვის, ტრაქტორისთვის, ურემისთვის, ურიკისთვის, მარხილისთვის დაინეროს ერთი ლოცვა, ისევე იმ მიზეზით, რომ ყველა ეს ჩამოთვლილი ტრანსპორტის საშუალებაა. და ასე, დაინეროების მიხედვით გამოვყოთ ყველა საგანი და მათ ჰქონდეთ ერთი საერთო ლოცვა. რაც შეეხებათ ცხოველებს, ჩემი აზრით, საჭიროა მათი პირდაპირი წესით მონათვლა. მას შემდეგ, რაც ეს ლოცვები დაინეროება, გაკეთდეს ნიშში იმდენ თაბახის ფურცელზე, რამდენიც დასჭირდება ლოცვას, გაკეთდეს PDF ფაილი, დაესვას საპატრიარქოს ბეჭედი, მღვდლის ხელმოწერა და ვისაც კი რამის კურთხევა მოუნდება, ლოცვა-კურთხევის დოკუმენტს პირდაპირ ელექტრონული ფოსტით მიიღებს საპატრიარქოსგან. შემდეგ ამ ფაილს ამოუბეჭდავენ, ჩასვამენ ჩარჩოში და კედელზე ჩამოკიდებენ ხატების გვერდით. ვინც თავმდაბალია, ის ლოცვა-კურთხევის დოკუმენტს უჯრაში შეინახავს, ან სადმე, სადაც ადამიანის თვალი ვერ დაინახავს. რაც შეეხება ნაკურთხ ნყალს, ამ პრობლემის მოგვარების იდეაც მაქვს – კვირაში ერთხელ ვაკურთხოთ პირდაპირ თბილწყალკანალის ფილტრები და აუზები და, როდესაც საპატრიარქოდან ლოცვა-კურთხევის დოკუმენტი მოგვივა, ონკანს მოვუშვებთ, ხელს დავისველებთ და ვაკურთხებთ დოკუმენტს. დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდ დროს დაგვაზოგინებს ლოცვა-კურთხევის ასეთი მეთოდი.

იგივეს გაკეთება შეიძლება მობილური ტელეფონითაც: თქვენ რეკავთ სპეციალურ ნომერზე და კომუტატორი, რომელსაც მღვდლის სანდომიანი ხმა აქვს, გესალმებათ: ღმერთმა დაგლოცოთ, შეილო ჩემო... და მერე იწყება ჩამონათვალი: თუ თქვენ გინდათ სატრანსპორტო საშუალების კურთხევა, აკრიფეთ ლილაკი ერთი... შესაბამისი ლილაკის დაჭერის შემდეგ კომუტატორი გეუბნებათ: თქვენი სატრანსპორტო საშუალება ნაკურთხია... თქვენთან გამოგზავნილია – SMS შეტყობინება... უბრალოდ, ამ ვარიანტში ის არის უხერხული, რომ კურთხევის დამადასტურებელი საბუთი მხოლოდ SMS-ის სახით გექნებათ.

მოკლედ, ამ პროცესს რომ ნაკლები დრო დასჭირდეს, გამოსავალი ნამდვილად არსებობს, უბრალოდ, ამ სახლეს ცოტა დახვეწა სჭირდება და ამას ერთი ადამიანი ვერ გააკეთებს. ამისათვის საჭიროა დისკუსიები, საკურთხებელი საგნების სრული, ამომწურავი ნუსხა (იმისათვის, რომ შემდეგში რამე გაურკვევლობას არ ჰქონდეს ადგილი და, ავტოფარების ლოცვა-კურთხევის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად, კვიცის ნათლობის დოკუმენტი არ მოგივიდეთ) და, რაც მთავარია – იმის ყინი, რომ თქვენ გარემო ყველაფერი ნაკურთხი იყოს.





# სარჯე და აბროვე! GPI Card -ით!

დააფიქსირეთ შენაძენი 150-მდე  
ობიექტში თბილისში!

დააგროვეთ თანხა პერსონალურ ანგარიშზე  
„ჯიპიაი ჰოლდინგში“...



## გურისგული სააგენტოები GPI Card-ით!

10% **ჩაბოღანი**  
W 519 151

8% **N-Tour საქართველო**  
W 400 400

5%   
W 364 071

5%   
W 200 700

5% **კოპონა მთავალი**  
W 302 127

5% **Fresh-Travel**  
W 333 048

დაეწოდებათ ინფორმაცია  
იხილეთ ვებ გვერდი  
[www.gpih.ge](http://www.gpih.ge)

24 საათიანი ცხელი ხაზი  
**505 111**

on-line რეჟიმში დააკვირდი როგორ იზრდება დაგროვებული თანხა...



# მიკი მაუსი

ავტორი: ღაბით კოვზირიძე

გახსოვთ მეორე „ლალიძე“? ახლა, მგონი, არც ერთი აღარაა, მაგრამ ადრე ორი იყო – ერთი რუსთაველზე, სარდაფში, საიდანაც ამოსული გრძელი რიგის კუდი ყოველთვის გარეთ თავდებოდა და სადაც მარინა ორი თითით ატრიალებდა ღვინით საცხეჭიქს. უკეთეს თავშესაფარს შატალოზე ვერც ინატრებდი.

მერე მეორეც გაიხსნა – ახალი „ლალიძე“ ძველ თბილისში, ანჩისხატის გვერდით, სადაც დღეს ცოტა შეუხედავი სასტუმრო დგას. ეს უფრო დიდი, ნათელი და „სვეციკი“ სახაჭაპურე იყო, დიდი აივნით, გოგოშკებით და ლამაზი ხედით. აქ გამოჩნდა პირველად ორი შოკისმომგვრელი ბრენდი – ლიმონათი „შოკოლადი ნალებით“ და სულ ცოტა ხანში – უგემრიელესი ბანანის ნაყინი, რომელიც ტორტის კრემივით იყო და ზევიდან თხილსაც აყრიდნენ. ბევრმა მაშინ გაიგო პირველად ბანანის გემო. გვერდითა შესასვლელში კი ჩუმად მსხლის სპეცჩამოსხმა ლიმონათიც იყიდებოდა, საცობით და თავზე შემოხვეული თხელი ფოლგით. „ცეკას ლიმონათს“ ეძახდნენ.

ამ „ლალიძის“ უკან, პატარა ქუჩაზე, იტალიური ეზოს პირველ სართულზე ასევე ჩუმად იშოვებოდა მაგარკოლოფიანი „პალ მალი“ (სამი მანეთი), „სუპერბაზუკა“ (მანეთი) და მარილიანი მზესუმბირა (ხურდები). ეს იყო დესერტი და თუ ამ მარშრუტს გაივლიდი (ლალიძე-ეზო), ანუ გქონდა თუმანი, კაცი იყავი კაცური და თუ „გაზაფხულშიც“ ნახავდი „ფანტომასს“ და „რამეს სროლებზე“, რაღა შენ და რა – მონაკოს პრინცი.

დაახლოებით ოცი წლის წინ იმ ეზოდან გამოსულ მე და ჩემს მეგობრებს ვილაც გადამთიელ მთვრალ „ვზროსლებთან“ („პალ მალზე“ მიდიოდნენ) კონფლიქტი მოგვივიდა. მიუხედავად ასაკში და ჯანში დიდი სხვაობისა, მაგრამ ვიჩხუბეთ. აი, ძალიან მაგრად. და გაიქცნენ. მერე ნელ-ნელა ჩვენც დავიშალეთ და ზუსტად ამ დროს, შებინძურებულ სამი ტიპი დაგვადგა: ერთი ნაცემი,

მეორე კანონიერი ქურდი და მესამე, ქურდის ასისტენტი. ეს ის დროა, როცა ქურდის სიტყვას ისეთი წონა ჰქონდა, როგორც დღეს – პატრიარქისას, როცა კაი ბიჭები პამიდორს არ ჭამდნენ და, „მგლის ბილიკის“ გარდა, არაფერს კითხულობდნენ.

დაიწყო ამ ქურდმა ლაპარაკი, აღარ ჩერდება, იყენებს უცხო რუსულ ჟარგონებს, ჩაიციუცქება-გადააფურთხებს-ასისტენტი მოკიდებულ სიგარეტს მიაწოდებს-წამოდგება, თან გამოხედვას ამკაცრებს და შეტევაზე გადმოდის. რეზიუმე ასეთი იყო: ეხლაო, ესო (ნაცემი), სათითაოდ აგარტყამთო, თქვენ ხელს არ გაანძრევთო, მერე ბოდიშს მოიხდით და დავიშლებითო. თქვა და ჯინსის ქურთუკი შეიხსნა. შეიხსნა და იცით, მაისურზე რა ეწერა დიდი ასოებით? – MICKEY MOUSE!!!

ამ წარწერამ ჩემ ცხოვრებაში პირველი უზარმაზარი დოგმა ისროლა ნავის ყუთში და სულ რამდენიმე წამში მიკი მაუსი, მისი თაყვანისმცემელი ხელქვეითი და კიდევ უფრო ნაცემი „ნაცემი“ თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ. ეს იყო რევოლუცია! გადატრიალება ჩვენი, პატარა ბიჭების გონებაში, თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლის პირველი ნაბიჯი. ჩვენ მაშინ ბერლინის კედელზე უფრო დიდი კედელი გადავანგრეთ და გავიგეთ ყველაზე გემრიელი, თავისუფლების გემო.

მას შემდეგ სულ ვცდილობ, რომ ნებისმიერ სტერეოტიპს თავისი „მიკი მაუსი“ ვუპოვო. პრინციპში, ბევრი ძებნა არცაა აუცილებელი, ისედაც გამოჩნდება, უბრალოდ, დრო მიაქვს ბევრი. თუმცა საქართველოში დოგმა ძალიან ადვილად იკიდებს ფეხს, რადგან მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი პასუხისმგებლობის თავიდან მოშორება, სხვაზე გადატანაა. არიან ქურდები? ვემორჩილებით ქურდებს! არიან მხედრიონელები? ვემორჩილებით მხედრიონელებს! არიან კომუნისტები? ვაშა შენებას! არიან ბრიყვი პოლიტიკოსები? მათი სათამაშოები ვხდებით! არის საპატრიარქო? აბა, ვინმემ გადაბრუნებულის თქმა გაბედოს! სერიალები გადის? ვუყუროთ. მარაზმატიკული ტელევიზიები გვაქვს? მერე რა. ოპოზიცია არაფერს მაქნისა? სამაგიეროდ კარგად იღანძლება. მთავრობაში ბევრი არასამთავრობო კაცია? ოპოზიციას კი ჯობნიან... და ვართ ასე, ვჩვენით ჭაბუში ყოფნას და მხოლოდ მაშინ ვიწყებთ იქიდან ამოდრომისთვის ფაფხურს, როცა ყელამდე ვეფლობით. არ ჯობია, თავიდანვე გვერდი აუწართო? როგორ არა, მაგრამ „მიკი მაუსი“ სწრაფად მოძრაობს და დროზე უნდა დაინახო. ხოლო როცა დაინახავ, თვალი კი არ უნდა გააყოლო, უნდა გაეკიდო და სდიო მანამ, სანამ საბოლოოდ არ დაიკარგება.

ამას წინათ პრალის აეროპორტში აღმოჩნდი. გადაჯდომისთვის ბევრი დრო მქონდა და დავიძინე. გვერდით რაღაც ინტერნაციონალური ჯგუფი მხიარულობდა, ბიჭები და გოგოები, და მათი ხმაური ძილში ჩამყვა, ოღონდ ტრანსფორმირებულად და სხვადასხვა დიალექტ-ინტონაციით. სიზმარში ასეთი ხმები გავიგე: „გამონვევებს უნდა გავუძლოთ, არ უნდა ჩამოვიშალოთ“ (ეთქვათ, ფინურად), „უე არის უზურპატორი, კაციაჩამა პრეზიდენტი“ (მონღოლურად), „ეკლესიებს გვინგრევენ, ხალხო!“ (იყოს იტალიურად), „მთელ მსოფლიოს დავანახოთ...“ (აქ ესპერანტო გაქანავს), აი, კოტდივუარულ „გიივიიიიი“ -ზე კი გამეღვიძა. ისინი ისევ იცინოდნენ და მე ბედნიერი ვიყავი, რომ ვიყავი იქ და მივდიოდი იქ, სადაც მიკი მაუსი უბრალოდ მულტფილმის გმირია.

## ჯანმრთელი, მზინავი კანისთვის

კვებე შენი კანი პაპაიას 100%-ით ნატურალური ექსტრაქტითა და მკვებავი იოგურტის პროტეინით — ისეთი ჯანმრთელი ზზინვისათვის, როგორც ადრე არასოდეს ყოფილა.

მაცდუნებელია, არა?

სიასლე





REUTERS

# ღამუვიღობა სამოთხესთან

(კანის კინოფესტივალი – პოსტ ფაქტუმ)

ავტორი: გიორგი გვახარია

რკინიგზის სადგურზე, ერთ მხარეს უან გაბენის პორტრეტი რომ ამშვენებს რენუარის „ადამიანი-მხეციდან“, მეორე მხარეს კი ძმები ლიუმიერების სურათი, აიპოდი გავირჩე ყურში და დავინყე იმ მუსიკის ძებნა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ჩემ განწყობილებას.

ფესტივალი დამთავრდა. დასრულდა წითელი ხალიჩის კიბეზე დღეში მინიმუმ სამჯერ ასვლა-ჩამოსვლა – ვილაციისთვის საოცნებო, ჩემთვის კი საზიზღარზე საზიზღარი რიტუალი (კიბე, საერთოდ, ჩემი „პირადი მტერია – გინდა წითელი ხალიჩით იყოს მორთული, როგორც კანში, და გინდა გააფთრებული ლომების ქანდაკებებით, როგორც ოდესაში). დასრულდა ჩიტების ჭიკჭიკში გაღვიძება, ყავის სმა დილის 7 საათზე (პირველი საფესტივალო ფილმის სეანსი კანში დილის

ცხრის ნახევარზე იწყება), ცხელ-ცხელი კრუასანები, პალმების ხეივანში სეირნობა და ყოველდღიური არჩევანი – მართლაც რომ ლაჟვარდისფერი ზღვა, თუ ბნელი კინოდარბაზი, რომელშიც წლის საუკეთესო ფილმებს უჩვენებენ.

„არჩევანში ცხოვრება“ ჩვენი ცხოვრების წესია. ეგ არის, რომ საქართველოში, როგორც წესი, ცუდსა და უარესს შორის გვიხდება არჩევანის გაკეთება. პირადად მე მივეჩვიე ამას.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ პლანეტაზე არსებობს ადგილი, სადაც უნდა აირჩიო კარგი და „კიდევ უფრო კარგი“, სადაც ლაპარაკობენ უცხო, მაგრამ შენთვის გასაგებ ენაზე... სადაც დღე-ღამეში 6 საათი ძილი გყოფნის; უფრო მეტიც, ხანდახან ისე ხარ აფორიაქებული, ისე გიხარია ცხოვრება, რომ საერთოდ არ გეძინება.

დავწერე ერთხელ „ცხელ შოკოლადში“, – ჩემი ცხოვრება ყოველწლიურად ორ ნაწილად დაიყო-მეთქი – კანამდე და კანის ფესტივალის შემდეგ. მთავრდება ფესტივალი, კატალოგებიდან, კინოჟურნალებიდან ამოჭრილ სტატიებს, ფოტოებს ვტენი ჩემოდანში, მივდივარ რკინიგზის სადგურზე თუ ნიცის აეროპორტში (აიპოდით ყურში) და ჩემ თავს ვეკითხები, ნეტა ეს წელიც მალე გაივლის? მალე დადგება მაისი? მექნება ამ სამოთხეში ჩამოსვლის ფული?

ჰო, მოლოდინში უფრო სწრაფად გადის წელი. მაგრამ ეს არ მადარდებს – მთავარია, კანში კიდევ ერთხელ მოვხვდე და კიდევ ერთხელ მქონდეს საშუალება, გავაკეთო არჩევანი კარგსა და კიდევ უფრო კარგს შორის... იმ ორს შორის, რაც ყველაზე მეტად მიყვარს ცხოვრებაში – კინოსა და ზღვას შორის.



კლარი ფილმიდან „შეწყვეტილი აბაჯრი“



კლარი ფილმიდან „სიბერი ბაჟთა“




კლარი ფილმიდან „ანტიქრიცა“

არ ვიცი, მომეწონებოდა თუ არა კანის ფესტივალი ამ თუნდაც ათი წლის წინ რომ მოვხვედრილიყავი მსოფლიოს ნომერ პირველ კინოფორუმზე... ალბათ უფრო არა... როცა სისხლი კარგად ჩქეფს და როცა ბრძოლაში ხედავ ნეტარებას, საეჭვოა, აღფრთოვანდუ აქაურობით – სმოკინგებსა და სალამოს კაბებში გამონყობილი წყვილებით, რომლებიც ერთი საათით ადრე გროვებდებიან ფესტივალის სასახლესთან, რათა სურათი გადაიღონ და მერე, სახლებში დაბრუნებისას, მეგობრებთან და ნათესავებთან იამაყონ, იქ ვიდექი, სადაც ცოცხალი ხნის წინ ბრედ პიტმა და ანჯელინა ჯოლიმ გაიარესო... არა, რა თქმა უნდა, არ მომეწონებოდა აქაურობა – სახედაჭიმული ქალები და კაცები, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან კანში იმ იმედით, რომ პროდიუსერები შეამჩნევენ და „შედგება“ მათი კინოკარიერა. არ მომეწონე-

ბოდნენ ეს კინოფანატები, რომლებიც ათასობით კილომეტრს გადიან, ადგილს იკავებენ ფესტივალების სასახლესთან, რათა საყვარელი მსახიობი „ლაივში“ დაინახონ. გამაღიზიანებდა ეს სიძვირე, ეს ხელოვნურად შექმნილი გლამურის ატმოსფერო და, რაც მთავარია, ვერ ავიტანდი საფრანგეთის ქალაქს, სადაც ათასში ერთხელ თუ დაინახავ არაბსა და შვეკანიანს, საფრანგეთის იმ რეგიონს, რომლის მაცხოვრებლები წლების მანძილზე აძლევენ ხმას მოფაშისტო ლეპენსა და მის ნაციონალურ ფრონტს. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა სისხლი აღარ ჩქეფს ბრძოლისთვის... საერთოდ, ისე აღარ ჩქეფს, როგორც უნინ. ვილაცას ამ დროს შვილებთან და შვილიშვილებთან თამაში სიამოვნებს, ვილაცას – სუფრაზე თამაძობა. მე – ზღვის ყურება, ცხელი კრუა-

სანი და დიდ ეკრანზე კინოს ყურება. ამ დროს აუცილებლად გაიზრება, რომ კანში გლამური საერთოდ არ გომლის ხელს. მიხვდები, რომ ფესტივალი ეშმაკურადაა მოწყობილი – ერთი შეხედვით, მართლაც სმოკინგებსა და ბრილიანტებზეა აგებული... მეორე მხრივ, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფასადია. სინამდვილეში კანის ფესტივალი მხარს უჭერს მართლაც მაღალ ხელოვნებას და იშვიათად „ეარშიყება“ პოლიტიკურ კონიუნქტურას. წელს, კანის 62-ე ფესტივალზე, პოლიტიკაზე დამოკიდებულება მინიმუმამდე დავიდა. ფესტივალის კონკურსი არანაირად არ ასახავდა ჩვენ დროს, რეალობას. სადღაც ათი წლის წინ ეს დეკადენტურ-ესტეტური პროგრამა აუცილებლად გამოიწვევდა ჩემ პროტესტს.



პენელოპა კრუზი, კანი 2009



კალრი ზილმილან „არეზა“



კალრი ზილმილან „არეზა“

ნოსტალგიით გავისხენებდი „ბერლინა-ლეს“, რომელიც არა მარტო ანგარიშს უწევს პოლიტიკურ რეალობას, არამედ ზოგჯერ თავადაც მოქმედებს პოლიტიკაზე. მაგრამ პალმებიან სამოთხეში არა და არ გინდება პოლიტიკაზე ფიქრი. აქ ჩასვლის მეორე დღესვე ხვდები, რომ, ჰოი საოცრებავ, თბილისშიც კი არ გაინტერესებს რა ხდება. კი, რეკავ, მშობლებს კითხულობ. გიამბობენ, რომ ოპოზიცია 26 მაისისთვის ემზადება, რომ „საკავშილო რომშია“... რაღაცნაირად გულგრილი ხდები ამ ყველაფრის მიმართ და ბრაზდები, როცა ისე, სხვათა შორის, გეკითხებიან, – „მანდ კარგი ამინდია?“, „კარგი ფილმებია?“

კარგი კი არა, ძალიან კარგი ამინდი იყო წლებანდელ კანის ფესტივალზე; კარგი კი არა, ძალიან კარგი ფილმები! მაგრამ დრო აქაც სწრაფად გავიდა. კინოფესტივალზე ისედაც სწრა-

ფად გადის დრო – მთელი დღე ბნელ დარბაზში ზიხარ. მაგრამ კანის წლებანდელი ფესტივალის განსაკუთრებით სწრაფად დასრულდა; ყველა ელოდა ამ შესანიშნავი ზეიმის ფინალს, ფესტივალის საზეიმო დახურვას, როცა იზაბელ იუპერის ჟიური გამარჯვებულებს გამოაცხადებდა, ანუ გავაცნობდა ჟიურის არჩევანს „კარგსა“ და „ძალიან კარგს შორის“.

24 მაისს, საღამოს, ჟურნალისტები ფესტივალის სასახლის გვერდით, დებიუსის დარბაზში შეგვეყარეს, რათა დიდ ეკრანზე გვენახა დახურვის საზეიმო ცერემონიალი. ჩვენ უკან ვილაც უცნაური ქალი იჯდა, რომელიც ყოველი გამარჯვებულის გამოცხადების წინ ერთსა და იმავე სახელს ყვიროდა – ელია სულეიმანი!

ელია სულეიმანი – პალესტინელი რეჟისორია, რომლის ფილმი,

„ნარსულის კვალი“, დახურვამდე 2 დღით ადრე უჩვენეს ფესტივალის კონკურსში. ანტიისრაელური პათოსით აღსავსე ეს სატირა, საეჭვოა, ოდესმე მოხვედრილიყო იგივე ბერლინის კინოფესტივალზე. მაგრამ კანში სულეიმანი ძალიან უყვართ და დიდად არ ალელვებთ მისი არაპოლიტიკორექტულობა. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას ბრიტანელ კენ ლოუჩზეც, რომელმაც კანის ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოუწოდა დიდ კინოფესტივალს არ ჩართონ პროგრამებში ისრაელელ რეჟისორთა ფილმები ისრაელის „აგრესიის გამო პალესტინაში“... ამ განცხადებით კენ ლოუჩმა უამრავი ადამიანი გადაიმტერა კინოს სამყაროში. თუმცა კანის ფესტივალმა ლოუჩის არაპოპულარული განცხადება არ შეიმჩნია – დამტკიცა



კადრი ფილმიდან „დაუფასავალი ნაპირლები“

კონკურსში ბრიტანული კინოს ახლა უკვე ვეტერანის ფილმი „ერიკის ძიებაში“, რომელიც ფესტივალის ბოლო დღემდე „ოქროს პალმის“ ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა (კენ ლოუჩის ამ ფილმზე, ისევე როგორც ფესტივალის პირველ ნახევარში ნაჩვენებ ფილმებზე, იხილეთ „ცხელი შოკოლადის“ მაისის ნომერი).

ეს ამბავი უკვე ასაკში შესულ ფოსტალიონზე (ვისღა სჭირდება ეს პროფესია?), ფეხბურთისა და ერიკ კანტონას ფანზე, რომელიც ცდილობს, აღადგინოს 30 წლის წინ განყვეტილი კაფემირი საყვარელ ქალთან და მოაგვაროს თავისი შვილის „კრიმინალური პრობლემები“, გადაღებულია ინგლისური ფეხბურთის სტილში – კარგად გათვლილი დრამატურგით, რომელშიც მოქმედება თითქოს „გრძელი პასებით“ ვითარდება – სიუჟეტის ხაზი

წყდება და გარკვეული ხნის შემდეგ, მოულოდნელად ისევ „გამოიღვიძებს“ ხოლმე. ასე რომ, კენ ლოუჩს, რომელმაც ერთხელ უკვე მოიპოვა „ოქროს პალმა“ ფილმისთვის „ქარი ნავილებს“, მინიმუმ საუკეთესო სცენარისთვის განკუთვნილ პრიზს მაინც უნინასწარმეტყველებდნენ.

მაგრამ არა.

არც კენ ლოუჩი და მით უმეტეს – არც ელია სულეიმანი.

არც აღმოდოვარი. არც ჯეინ კემპიონი, თავისი „მანათობელი ვარსკვლავით“ (ეს იყო ერთადერთი საკონკურსო ფილმი, რომელიც ვერ ვნახე კანის წლებადღეს ფესტივალზე – პრინციპით „მაგ დედაკაცის კინოს არ ვნახავ!“... არადა, „მანათობელი ვარსკვლავი“ ფესტივალის ბოლომდე კრიტიკოსთა გამოკითხვების ერთ-ერთი ლიდერი იყო).

სამაგიეროდ, პრიზით საუკეთესო რეჟისურისათვის დაჯილდოვდა ფილიპინელი რეჟისორი ბრილიანტ მენდოზა – კაცი, რომელზეც სულ ვხუმრობდით, – ალბათ დიდი ძალისხმევა დასჭირდა „კინემატოგრაფიულ პოლიტიკურში“ შესაძრომად-თქო.

ეს იმას ნიშნავს, რომ იზაბელ იუპერს ფილიპინელის ფილმი იმაზე, თუ როგორ ასახიჩრებენ, ნაკუნებად აქცევენ სუტენიორი-მევალეები მეძავი გოგოს სხეულს, უფრო მოეწონა, ვიდრე აღმოდოვარის, კენ ლოუჩის და, როგორც ამბობენ, უაღრესად ესთეტიური და ლამაზი ჯეინ კემპიონის სურათები.

მენდოზას ფილმის სისხლიანი ტებების ფონზე აღმოდოვარი მართლაც ანაქრონიზმად გამოიყურება... მაგრამ თუკი იუპერს უყვარს სისხლი და პათოლოგია (როგორც ზოგიერთი ფრანგული გაზეთი ამტკიცებს), რა დაუშა-



კადრი ფილმიდან „ანტიპრინსტი“



კადრი ფილმიდან „შიხა – სხოვობის სკოლა“



REUTERS

გარტოტა ბინზაუარი, კანი 2009

ვა მაშინ ლარს ფონ ტრიერმა? რატომ გადასცა ასე „ცალკეად“ პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ლარს ფონ ტრიერის ახალ მუზას, შარლოტა გინზბურგს?

იმ საღამოს, როცა კანში მიხაელ ჰანეკეს „თეთრი ბაფთა“ უჩვენეს, ე.ი. ფესტივალის დახურვამდე ორი დღით ადრე, ნათელი გახდა, რომ სწორედ ჰანეკეს ჰქონდა „ოქროს პალმის“ მოპოვების ყველაზე დიდი შანსი... და არა მარტო იმიტომ, რომ უიურის მისი საყვარელი მსახიობი ხელმძღვანელობდა; არც იმიტომ, რომ კანის კონკურსში წარმოდგენილ პირველი კლასის რეჟისორებს შორის მხოლოდ ჰანეკესა და ალმოდოვარს არ ეღირსათ აქამდე კანის ფესტივალის მთავარი პრიზი...

მთავარი ისაა, რომ ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში „თეთრი ბაფთა“ ერთადერთი სურათია, რო-

მელმაც თითქმის არავინ გააღიზიანა. სხვებს – ალმოდოვარის, ტრიერის, ლოუჩის, ტარანტინოს ახალ ფილმებს თავყვანისმცემლებიც გამოუჩნდა და ოპონენტებიც... და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ოპონენტები – ამ რეჟისორების თავყვანისმცემლებს შორის... ჰანეკეს თითქმის სამსაათიან შავ-თეთრ კინოს კი მშვიდად უყურა ყველამ თავიდან ბოლომდე. თანაც „თეთრი ბაფთა“ შეიძლება ერთადერთი იდეოლოგიური ფილმია კანის 62-ე კინოფესტივალის კონკურსში – აგრესიისა და ბოროტების ანატომიის შემსწავლელი კინოოპუსი მეოცე საუკუნის დასაწყისის ჩრდილოეთ გერმანიის იდილიურ პროტესტანტულ სოფელზე, სადაც ყოველდღე დანაშაულები ხდება..

აღზრდის პრინციპები დღესაც ძველებური რჩება, – გვეუბნება ჰანეკე ამ

ფილმით, რაც, ავსტრიელი რეჟისორის აზრით, ისევე ქმნის ფაშიზმის ჩასახვის საშიშროებას შუაგულ ევროპაში.

მოკლედ, აქტუალური ფილმია, განსაკუთრებით – ნერვიული კრიზისის ზღვარზე მდგომი იმ რეჟისორების ახალი ფილმების ფონზე, რომლებიც კანის წლევეანდელ კონკურსში იყო წარმოდგენილი.

მე, პირადად, დიდი ხანია, მომბეზრდა მიხაელ ჰანეკეს მამხილებელ-მიმთითებელი პათოსი და მორალიზმი. მაგრამ ჩემთვისაც კი ცხადი იყო, რომ კანის ფესტივალი – მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მწყრადად იყო განწყობილი კონიუნქტურის მიმართ – არაფრით დაუშვებდა პრინციპულად აპოლიტიკური, პრინციპულად ასოციალური ფილმის გამარჯვებას. მით უმეტეს, ეკონომიკური კრიზისის ეპოქაში, როცა





მიხეილ კანკა და იზაბელ იუპერი, კანი 2009

ფესტივალს რამდენიმე სპონსორი დააკლდა, ე.ი. როცა კანის კინოფორუმს არავინ უნდა გაელიზიანებინა. მოგვიანებით პარიზში მიამბეს, რომ ჟიურის ორმა წევრმა, იზაბელ იუპერის ავტორიტარიზმის გამო, კინალამ დემონსტრაციულად დატოვა კანის ფესტივალი... სხვათა შორის, ფესტივალის დახურვის ცერემონიალზეც შესამჩნევი იყო დაძაბულობა თავად ჟიურის წევრებს შორის; განსაკუთრებით მაშინ, როცა იუპერმა პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გადასცა ამ ფესტივალის მართლაც რომ აღმოჩენას, ავსტრიელ მსახიობ კრისტოფ ვალცს.

რალაცნაირი ზიზღნარევი ღიმილით გამოაცხადა ტარანტინოს ფილმის სათაური.

ეს გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ „დაუფასებელ ნაძირლებზე“ მუ-

შაობა გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა (ტარანტინო, ათი წელია, ოცნებობდა ჰოლოკოსტის თემაზე ფილმის გადაღებას), საფრანგეთში ჯერ კიდევ შარშან გაჟონა ინფორმაციამ კონფლიქტზე, რომელიც მოხდა ტარანტინოსა და იუპერს შორის. აღმოჩნდა, რომ ტარანტინო აპირებდა ერთ-ერთ მთავარ როლზე დაემტკიცებინა იუპერი. სპეციალურად ჩავიდა პარიზში და დაურეკა.

„უკაცრავად, მაგრამ ეს პარიზია... აქ ასე არ ნიშნავენ შეხვედრებს. მე ერთი კვირა არ მეცლება – სხვა საქმეები მაქვს“, – უთხრა გალიზიანებულმა იუპერმა

„არაა პრობლემა. დაგელოდებით. სინემატეკაში წავალ და ფილმებს ვნახავ“, – ძალიან მშვიდად უპასუხა ტარანტინომ შეხვედრა დანიშნეს. მაგრამ იუპერმა დააგვიანა. ტარანტინომ 15

წუთი იცადა... „ერთი მაგის დედაც... არ უნდა, ნუ უნდა“, – თქვა კვენტინ ტარანტინომ და იქაურობას გაეცალა.

შეხვედრის ადგილას მისულ იუპერს კვენტინ ტარანტინო აღარ დახვდა.

ჰოდა, გაბრაზდებოდა, აბა რა!

შეიძლება კანში სპეციალურად, „დაუფასებელი ნაძირლების“ სანახავად ჩასულმა ტარანტინოს თაყვანისმცემლებმაც გაალიზიანეს. დილის სენსის დაწყებამდე თითქმის ნახევარი საათით ადრე დარბაზი მთლიანად გაივსო. როცა ძმები ლიუმირების დარბაზის „გამომცხადებელმა ქალმა“ ტრადიციულად გვაუნყა, რომ სენსი იწყება და უნდა გამოვროთო ჩვენი მობილური ტელეფონები, ტარანტინოს ფანებმა ტაში დაცხეს...

>>> ბაზრქმეზა გვ. 98



# ნიუტონის ქალი

ავტორი: ანა კორძაია-სამაღაშვილი  
 ფოტო: ლავით მისხი, პირადი არქივი

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, როცა მეგონა, რომ ორმოც წელს მიტანებული ადამიანები დარდისა და სიბერისგან კვდებოდნენ, როცა ვფიქრობდი, რომ დედამინა იმისთვის ბრუნავს, რომ მე არ შევწუხდე და არსად დამაგვიანდეს, და მთელი სამყარო ჯინსის უკანა ჯიბეში მაქვს ჩატენილი. ნეტა იმ დროს!

მაშინ გავიგონე პირველად ერთი კაცისგან, რომ ამქვეყნად არსებობს გოგო, მაკა მიქელაძე, რომელიც ყველაზე ლამაზი, ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე მიუწვდომელი ქალია. ანუ, იმდენად ლამაზი და იმდენად ნიჭიერი, რომ მასაც კი, რაღაც სასწაულად მაგარ კაცს – ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ეგონა – მისთვის არაფერი ჰქონდა შესათავაზებელი.

მაშინ ჩავთვალე, რომ გოგო მართლა მაგარი ყოფილა, კაცი კი – ბრიყვი, რადგან – ეგ ხომ ყველამ იცის: „არ არსებობენ აუღებელი ქალები; არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც იერიშის მიტანა არ შეუძლიათ“.

ეს ეპიზოდი ახლახან გამახსენდა, როცა აღმოჩნდა, რომ თავის თავყვანისმცემლების ქცევასთან დაკავშირებით მაკასაც იგივე სიტყვა ადგა პირზე: „უხარისხო“. ის კი არა, რომ ცუდი, ბილწი ან რამე სხვა. არა. უხარისხო. რა გულდასაწყვეტია.

მაკას ერთი გამირიც ამას ჩივის: „პირველი და უკანასკნელი მოულოდნელობა დათვი შემთხვევითობა იყო მხოლოდ და ნიშნის მოგება. რამდენჯერ ვცადე, რამე მსგავსის პროვოცირება მომეხდინა. ერთხელ სახლში

ბუხარი დავახვედრე შვებულებიდან ჩამოსულს, თავის ძმაცაცებთან ერთად ბუხრის პრეზენტაცია მოვუნყვე, ერთხელ ოთხმეტრიან ჭერს რომ წვდებოდა, იმხელა პალმა დავახვედრე, ერთხელ... ყველაფერს ისე ლეზულობდა, როგორც კუთვნილს. ერგებოდა“.

„და საერთოდ, – თქვა მაკამ, – ზოგიერთები წესიერად მოიქცნენ, თორემ გავუბაზრებ, რომ შიგადაშიგ ლექსების ნიგნებს ვუძღვნი და ძალიან მიყვარს“.

...  
 „რატომ გამიშვი იმ ქალთან?“ – შემომტირა ერთმა ახალგაზრდა ხელოვანმა, რომელიც მაკასთან თავის საქმეზე იყო მისული.

„რა იყო, დავიჯერო, გცემა?“  
 „არა, – ჩემი გულის გასახეთქად, – ბიჭი ცოტა დაიბნა, – მე მგონი, შემიყვარდა. დადგა ბუხართან და“...

„და რა?“ – ძალიან გავერთე.  
 „რა ვიცი... ნიუტონის ქალია“.

აი, ეს კი ხარისხიანი შედარება იყო. გახსოვთ, ჰელმუტ ნიუტონის „მოდინა“? 80-იანი წლების დასაწყისის მონუმენტური, შავ-თეთრი ფოტოსურათები, რომლებზეც ახალი, უჩვეულო ქალები იყვნენ გამოსახული: გამარჯვებულები, ძღვევამოსილები, დიდი, ძლიერი, მაღალ ქუსლებზე მდგომი მზეთუნახავები. ისინი მოდიან, მათ ვერსად გაექცევი.

ისე, რატომ უნდა გაიქცე? „– ხომ არ მივქარე რამე, ფრთები რომ გავშალე. განა იმ კაცისთვის, ცას რომ ციხეს ამჯობინებს, მიწაზე დანარცხება ღირდა“?

...  
 ამ საუკუნის გარიჟრაჟზე, პენ მარათონზე გამგზავრებისას, ვარაზისხევი მაღალი ქალი დავინახე – ცისფერი ჯინსი, ცისფერი პერანგი, შავი თმა. მერე, უკვე გემზე ტახტზე ჩამოჯდომა დავაპირე და მთხოვა, – მაგას ნუ მიზამ, სხვაგან დაჯექიო. ვაი? მერე მივხვდი: ფეხებს თავზე ხომ არ დამალავდა. სასაცილო ამბავი იყო. ვინაა-მეთქი ეს ქალი?

მითხრეს, რომ მაკა მიქელაძე. ექიმი, მსახიობი, ძალიან კარგი კაცის ცოლი, ორი პრინცესას – ანას და ელენეს დედა, პოეტი და მწერალი.

მაშინ მხოლოდ ერთი რამ მქონდა მისი წაკითხული: „ერთი მოთხრობა სექსის შესახებ“, „არილში“ დაიბეჭდა. ძალიან მომეწონა. გახსოვთ? ამბავი იმისა, თუ როგორ ხვდება ერთმანეთს ორი ადამიანი, როგორ უყვართ ერთმანეთი – მერე რა, რომ ძალიან, ძალიან ცოტა ხანი. დიდება ქართულ ენას! მიდით და გაიგეთ, ვინ იყვნენ: კაცი და ქალი, ქალი და კაცი, ქალი და ქალი, კაცი და კაცი... ერთი სექსის, არა, ერთი სიყვარულის ამბავი.

მაკას ვუთხარი, – არაჩვეულებრივი მოთხრობაა-მეთქი. იმის თქმაც მინდოდა, არაჩვეულებრივი გოგო ხარ-მეთქი, – მაგრამ მაშინ ვერ გავუბედე, ვიფიქრე, რამე უბედურება არ იფიქროს, ისედაც ჭირს-მეთქი ცხოვრება.

მერე მივხვდი, რომ სავსებით ნორმალურია და არაფერსაც არ იფიქრებდა. მერე, როცა გოეთეს ინსტიტუტში ლამა ბაქრაძემ ლიტერატურული საღამოები გამართა და ერთ-ერთის თემა

## ისტორია

„ეროტიკა ქართულ ლიტერატურაში“ იყო, მაკა გახლდათ თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ პოსტმოდერნის ხანა (დღემდე ვერ გავიგე, როდის დაიწყო ან როდის დამთავრდა და საერთოდ, რა ჯანდაბაა – ა.კ.ს.) ავტორისა და მისი ნაწარმოების განუყოფლობას გულისხმობს. ის მაგიდის წინ დადგა და კომენტარი რომც არ გაეკეთებინა, ყველაფერი ნათელი იყო.

მაკა „ლოცვას“ კითხულობდა. დარბაზი მონუსხული უსმენდა.

„აი, ჩემი თვალები – მთვრალეები.

აი, ჩემი ტუჩები – უძლები.

აი, ჩემი ველები – გრაგნილები, გველები.

აი, ჩემი ბორცვები – სახსე შენზე ოცნებით.

აი, ჩემი გული – რთული

აი, ჩემი გონი – დაკარგული, მგონი

აი, ჩემი სურნელი – უღვევი.

აი, ჩემი ტანი,

აი, შენი წამი.

შედი, შეიცანი ამინ!“

„დღეს ამ ქალის მოყვარულთა კლუბი ჩამოყალიბდა“, – მითხრა სალამოს დასრულების შემდეგ მეგობარმა ქალმა.

„პირველად ნახე?“

„არა, პირველად მოვუსმინე“.

ისე, მეც პირველად მოვუსმინე და

მას მერე ვკითხულობ მაკას ლექსებს. მანამდე მისი ხმა არ მესმოდა და, რაღა დაგიმალოთ, საერთოდ არ მესმოდა მისი.

ახლაც მიკვირს რაღაც-რაღაცები.

ჩვენ ერთი თაობის შვილები ვართ, იმ თაობისა, რომლისთვისაც „ომები გაუგებრად დიდხანს გრძელდებიან“. ჩვენ ყველას გვახსოვს „ტრიბუნისხელა ხარისხის ნიშანი – მუყაო ფიცრული. „არც ერთი მუქთახორა და გამცდენი ჩვენს გვერდით!“ „ხელები შორს საბჭოთა ვიეტნამისაგან!“ „ყველანი აცრებზე!“ „წინ კომუნიზმისაკენ! – სიი-რბიი-ლით იარ!“ და მაინც, ვერაფრით ვერ ვხვდები, რატომ იცის ამ ქალმა ზოგი რამ, რაც არაფრით არ უნდა იცოდეს.

მაკა მიქელანჯე უხმაუროდ სხოვრობს. კი სულ ამბკიხებს, – სულ სერიალში ვართო; თვითონ უფრო ნეორეალისტური ფილმის გმირია. ის არც ბარემოების საყვირის სახით გვმოძღვრავს, არც „ა ქლასის სნოხადი სახეა“ და არც ხმაგალაღი და სკანდალური რომანების მოქმედი პირი.



რალაცები ყველამ ვიცით, ჩვენც ყველას „ჩვეულებრივი ბანკეტი გვქონდა, ყველანი, როგორც შეგვეძლო, ისე ლამაზები ვიყავით, ერთმანეთს ვეპრანჭებოდით. საკუთარი თავით ვტკბებოდით, არ ვიმჩნევდით წვერ-ულვაშის და მკერდების ნაკლებობას და, რა თქმა უნდა, ვერ ვხვდებოდით, რა სასაცილო იყო ჩვენი სურვილი, ვყოფილიყავით დიდები და სერიოზულები. ვიყავით პინგვინებებით შავ-თეთრი ბიჭები, თეთრ-ცისფერ-ვარდისფერ-იასამნისფრად ამიფონებული გოგონები...“ კი, ეს მეც მახსოვს. ისიც გასაგებია, რატომ იცნობს მაკა იმ სამყაროს, რომლისაც, მე მგონი, ყველას საშინლად ეშინია: ის ექიმი, სულ ზეპირად იცის პალატის თეთრად მოციმციმე, დერეფნის მწვანედ მბჟუტავი და საოპერაციოს ცისფრად მოცრიატე სინათლეები, ის ადგილები, სადაც „წკაპ-წკაპ-წკაპ. წიკ-წიკ-წიკ. შშშ, ცცც, ბზზზ, ტუმ-ტუმ-ტუმ. დრო სულ სიკვდილისკენ მიდის“.


მაგრამ სხვა? თავად განსაჯეთ, მოთხრობიდან „პასუხი პასუხით“: „თმაზე ბიბლიოთეკის მტვერი და ზონის დაფლეთილი ჟურნალ-გაზეთები ნაიზუსტს – მქონდა. ცოდნები, დაპუსნიმ ნარკოტიკები როგორ არ შეიტენო, პაჩტი შენი მოკლული კაცი როგორ არ იტირო, პერედაჩით შემოგზავნილი შემწვარი ხორცის ნაპლივში ფხალი როგორ ჭამო, კანალიზაციიდან სუფთა როგორ გამოძვრე, აი, ამნაირების ცოდნები – მქონდა. „სვაბოდა მესტნიმ პაპუგაიამ“ დვეტისიაჩაპიტსოტლეტნი დავნოსტი – მქონდა. პრესტუბლენიეც მქონდა და ნაკაზანიეც და როგორც ვიბაზრე, იმედიც, მამენტ, იმედი ფუფლოა, მაგრამ რამანტიჩნი“.

ეს „პასუხი პასუხით“ ქართველი მწერალი გოგოების სიამაყეა: მაგარი პასუხი მაგარ მოთხრობაზე. დათო ქარდავას „რა გინდა, ქალბატონო?“ ხომ გახსოვთ? თუ არა, გადაიკითხეთ – იქ „ვილაცა გამჭვირვალე ნაშა ფრენას აწვება და კინოს ბოლოს ისე იბრიდება, კაცი ვერ გაიგებს, რა ეტაკა“. ჰოდა, რა ეტაკა – ეს უკვე მაკამ გვიაბო.

...

ახლა, როცა ამეებსა ვწერ, ქართულენოვანი მკითხველი „საბას“





ისტრუე, რომ დაბაჟდილზე თელავ...  
და არ გამსე, გეხვეწებო, არსად  
რომ პატარა გოგოსავით მწველად,  
მომინატრა პაემანზე წასვლა,  
რომ ამ ლექსის ბოლოს წერტილს არ ვსვამ...  
გაკა მიქელაძე „უადრესაგო“

„ჩვეულებრივი ხანკატი გვიქონდა, ყველანი, როგორც შეგვიძლო, ისე ლაგაზები ვიყავით, ერთმანეთს ვეპრანჭებოდით. საკუთარი თავით ვტკბებოდით, არ ვიძინებდით წვირ-ულვაშის და მქარღების ნაკლებობას და, რა თქმა უნდა, ვერ ვხვდებოდით, რა სასასილო იყო ჩვენი სურვილი, ვყოფილიყავით ღიღები და სერიოზულები. ვიყავით პინგვინების შავ-თეთრი ბიჭები, თეთრ-სისფერ-ვარდისფერ-იასამნისფერად აშიფონებული ბობონები...“

ნომინანტთა სიას ეცნობა. მაკა ორ ნომინანტია წარმოდგენილი: წლის საუკეთესო პროზაული კრებული – „წეროს ჯვარი“ და წლის საუკეთესო პოეტური კრებული – „ბარათი“. რა მოხდება – ჯერ არავინ იცის. ვნახოთ.

მე ის ვიცი მხოლოდ, რომ მაკა საბავშვო ლიტერატურასაც წერს. ისიც ვიცი, რომ რომანზე მუშაობს. ეს უკანასკნელი ცოტა მძიმე ამბავია: იყო რომანი და გაქრა. აი, ასე, კომპიუტერიდან გაქრა. მაკამ მითხრა, – კინალამ ლოგინად ჩავვარდიო. მჯერა. მერე კი რომანმა გადაწყვიტა, რომ გაიცინა და ეყოფა, და კვლავ კომპიუტერში დაბრუნდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა.

ფეიქრობ, რომ თავის ახალ წიგნებში მაკა გასული წლის აგვისტოშიც დაგვბრუნებს. არ დავწერ, რა მიაბო – თვითონ გეტყვით ცარიელი ქალაქების და ცარიელი ადამიანების ამბებს, როგორ იკარგება ყველანაირი საფიქრალი, როცა სახლთან მეხი და ჭურვები ეცემა და ზღვაში გასული გემებიდან მხოლოდ რამდენიმე ბრუნდება უკან... ამის და მსგავსების შედეგია, რომ მაკას შვილების საძინებელი ოთახი მისაღებშია გადატანილი და ფანჯარასთან, საიდანაც შეიძლება რამე ხიფათი შემოვარდეს, კარადა დგას. დღეს მაკას ამაზე ეცინება, თუმცა, ვაგლახ, სასაცილო არაფერია.

ახლა მეც აქ ვარ, ასი წლის სახლში, რომელიც ერთ გერმანელს თავისთვის აუშენებია. მერე ამ კაცს ქონების ჩამორთმევა არ აკმარეს, ჩანს, აბუჩადაც აიგდეს, რადგან იქვე შეასახლეს რაღაც ხუხულაში, და ის უბედური ყოველდღე ხედავდა, რას უკეთებდნენ მისთვის უცხო ადამიანები იმას, რაც ოდესღაც ასე უყვარდა და ეამაყებოდა. საბრალო.

ამჟამად ამ სახლის ბოლო სართულზე ცხოვრობს მაკა. თუ ძაღლმა არ შეგჭამათ – მთავარი მონსტრი მომკვდარა, მაგრამ არც მისი შემცვლელი ჩანს კარგი ზნისა – კიბეს აუყვებით, და როცა ბავშვების მოხატულ ბაქანს მიადგებით, იქ მაკას სამფლობელო იწყება. თან სხვენიც აქვს.

სხვენთა სხვენი. სხვენისსიმო! ბუხრით, თოჯინების თეატრით, ბიბლიოთეკით. რემონტი მან და მისმა გოგოებმა, ანამ და ელენემ თვითონ გააკეთეს და, შესაბამისად, ოთახი ათასგვარი მოულოდნელობითაა სავსე: ერთი ბოძი სანახევროდ შეუღებავთ, წყალს ჭერი თვითონ მოუხატავს, კუთხეში კი იატაკს გადაუწყვეტია, რომ თავად უკეთ მოეხსენება, რა უნდა იყოს ზედ გამოსახული...

„შენ გიყვარს ასეთი ამბები, – მეუბნება მაკა და შავ პიანინოზე მიმითითებს, – საგნების ისტორიები. ჰოდა... ერთხელ მაკამ, მისმა დეიდაშვილმა გოგი ჭიჭინაძემ და მეგობარმა ლიზა ბაგრატიონმა კონკურსში გაიმარჯვეს, „სიმღერა თბილისზე“ იყო ასეთი. ტექსტი მაკამ დაწერა, მუსიკა – გოგომ, ლიზამ იმღერა, და მერე ჯილდო გაინაწილეს. აი, ამ ფულით ყოფილა ეს პიანინო ნაყიდი.

„გინდა პიკანტური სუბი?“ – მთავაზობს მაკა.

არა, ცხელა, წვნიანი არ მინდა, მაგრამ ისე, თეორიულად, ეგ როგორია? აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი უბრალოდ, გუშინდელი კომპოსტოს სალათა და ცოტა მჟავე პომიდორი აქვს და, შესაბამისად, პიკანტურია.

მაკა თვლის, რომ მაინცდამაინც კარგი დიასახლისი არაა, რადგან არც ტყემალს ხარშავს და არც მურაბებით აქვს კარადა გამოტენილი. საერთოდ, მიაჩნია, რომ თავის შვილებს დიდი

მუყაითობის მაგალითს ვერ აჩვენებს, არც განსაზღვრულ დროს თავაუღებლად წერა ახასიათებს, არც რამე საქმეზეა გადამკვდარი. მე თუ მკითხავ, ანას და ელენეს ასეთი მაკა უფრო არგიათ – აბა, ვის რად უნდა სამსახურს ან მწერლობას გადაყოლილი დედა?

გოგოები – ორი მაკასნაირი – სიმღერის გაკვეთილიდან დაბრუნდნენ, წაიხემსეს და სახატავად წავიდნენ, მე და მათი დედა კი ვისხედით და ვჭორაობდით, სულ ყველაფერზე: კაცებზე და ქალებზე, რწმენაზე და ფარისევლობაზე, ომზე და მშვიდობაზე, ბავშვებზე... ცოტა მაკას მოთხრობა გამოგვივიდა:

- „– შტაბი გახსოვს?
- დუდანას კურტკა?
- ოთარის ჩანთა.
- ვა-ხა-ხა-ხა.
- ჟურნალი რო დავწვით და საკლასო ოთახში ჩაგვეკეტეს მთელი დღით.
- გრძელი კაშნები იყო მაშინ მოდაში და ჩამოგვართვეს – მე-4 სართულის ფანჯრიდან არ გადაძვრნენო.
- გველესიანს რომ ზოობარკში სირაქლემამ ბოლო სიგარეტი შეუჭამა.
- ანთებული.
- ვა-ხა-ხა-ხა...“

გულიანად ვიჭორავეთ, კარგი იყო. ოღონდ მივხვდი, რომ ვერასოდეს ჩავწერ ინტერვიუს მაკა მიქელაძესთან: სათქმელს თვითონაც მშვენივრად ამბობს. მაკა მწერალია, თან ისეთი – დავესესხები – რომ მწერალ ქალებს, მწერალ კაცებს და მწერლებსაც კი მოსწონთ.

მაკა მიქელაძე უხმაუროდ ცხოვრობს. კი სულ ამტკიცებს, – სულ სერიალში ვართო; თვითონ უფრო ნეორეალისტური ფილმის გმირია.

>>> ბაბრძილა ბვ. 100

# ქალაუფლება, როგორც ოქსიორონი

ავტორი: შორენა შავერდაშვილი

ყოველ პარასკევ დღეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს, ბატონ ნიკოლოზ რურუას მიღების საათები აქვს. ეს სამინისტროს ახალი ტრადიციაა და, სამდღეოს გავლით, ამ დღეს მასთან ყველას შეუძლია მოხვედრა. ჩვენი შეხვედრებიც ერთ-ერთ ასეთ პარასკევს დაიწყო.

ვიდრე მინისტრის კაბინეტში სტუმრები ერთმანეთს ენაცვლებიან და სავარძელში მჯდომი ხელებდაკრეფილი ბატონი ნიკაც მათ ხაზგასმული ყურადღებით უსმენს, ოთახს ვათვალიერებ, რომელიც კომფორტული სახლის მისაღებს უფრო ჰგავს, ვიდრე მინისტრის კაბინეტს. სტუმრებისთვის განკუთვნილი მუქი ყავისფერი ტყავის სავარძლები ბუხრის პირდაპირ დგას. ბუხრის გვერდზეა წიგნების თაროც, სადაც რიჩარდ ავედონის, „მაგნუმის“ და სხვა უზარმაზარი ფოტოალბომების გვერდით, მუსიკალური ცენტრი და ბევრი კომპაქტ-დისკია თავმოყრილი. იქვეა ტორშერები, რომლებიც შებინდებისას ინთება. დღის ბოლოსკენ, რაც ამ სამინისტროს სტანდარტებით დაახლოებით 11-12 საათის მერეა, ირთვება მუსიკაც, ცხადია – ჯაზი.

თვალი ჟურნალების მაგიდაზე მოწესრიგებულ დასტებად დალაგებული წიგნებისა და ჟურნალებისაკენ გამიზნის: „ამერიკის დამფუძნებელი მამები“, ეგონ შილე, კოლტრეინის „Tracing the Trane“, ამერიკელი საზოგადო მოღვაწეების გამოსვლები, მუსიკალური ჟურნალი „როლინგ სთოუნზი“, ყოველკვირეული „ნიუსვიკი“ და „ეკონომისტი“ და მამაკაცების ჟურნალი „ესქვაიერი“, სადაც, ინტელექტუალურ საკითხავთან ერთად, ქალების და დენდებისათვის განკუთვნილი აქსესუარების გამოფენაც არის ხოლმე. ნიკას ცხოვრებაში სამივე კომპონენტი მნიშვნელოვანია.

მაგიდაზე, რომელთანაც ვჯდები და რომელიც მიღებებისათვის განკუთვნილი კუთხისაგან ცოტა მოშორებითაა, დევს წიგნი – „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, გამოცემული 1927 წელს, გამომცემლობა „სახელგამი“. როგორც ვიგებ, სამინისტროს ამ წიგნის ხელახლა გამოცემა უნდა, ზუსტად ისეთი ფორმით, როგორიც არის. მოგვიანებით შეარჩიეს გამომცემელიც – ბაკურ სულაკაურის და გაიქარჩაძის გამომცემლობებს, პატარა და ალტერნატიული „სიესტა“ ამჯობინეს.

**„საინტერესო ოთახი გაქვთ“, – აღვნიშნავ მე, როგორც კი მორიგი სტუმარი გადის.**

„ამ ოთახის რემონტი არ იყო ჩემი სურვილი. რომ გადმოვედი, პატარა მიკროკლიმატი მოვინყვე და დანარჩენზე არ მიფიქრია, – რა დროს ეგ არის-მეთქი. მაგრამ პრეზიდენტი იყო მოსული სტუმრად და შენიშვნა მომცა, – კულტურის სამინისტროა, უამრავი ხალხი მოდის და რას იფიქრებენ, რას ჰგავს ქვეყანა, მიხედვით, სირცხვილიაო. ჩემი კაბინეტიდან ხომ არ დავინყებდი რემონტს-მეთქი?! ზუსტად აქედან უნდა დაიწყო. ნატო ყანჩელი შეესწრო ამ ლაპარაკს და, – მე გავაკეთებო, – შემომთავაზა. მოკლედ, დავთანხმდი. ისე, დიდი არაფერი შეგვიცვლია. ყვითელი კედლები და ჭუჭყიანი ლინოლიუმის იატაკი ეგო, კომუნისტური კაბინეტი, საშინელი ავეჯით, დიდი მაგიდით და კედლებზე დეპრესიული ფარჯიანით და ახვლედიანით. ნატამ ეგრევე შენიშნა, – აი, შენ საათს ლამაზი ციფერბლატი აქვს და კედლებიც შესაფერისად შევლებოთო. ჭაღებს და კედლის ოქროსფერ ლენტებს ხელი არ ვახლეთ. მომწონს ეს საბჭოთა, „სტალინური“ ამპირი, ფსევდოკლასიციზმი და შიგნით ეთნიკური რაღაცები ჩართული. ისე, ეს შენობა ბერიას დაპროექტებულია, ქვემოთ გვირაბია, რომელიც მდინარის ქვეშ გადის. ოთახში ბუხარი რემონტამდეც იყო, მაგრამ იმდენად ჭამდა ეს გარემო, რომ არ ჩანდა. რაც ახლა კედლებზე ფოტოებია, მე ავარჩიე“.

**– ის ფოტო ხომ ბრესონია? – მივანიშნე ერთ ფოტოზე, რომელიც ალავერდის ფონზეა გადაღებული.**

– კი, ბრესონია, რომელიც მამაჩემს თვითონ აჩუქა. ორიგინალი სახლში გვაქვს. ჩვენთან არის ნამყოფი. ცოტა ხნის წინ მისი ცოლი ჩამოვიდა, ჩემ მოშობლბთან იყო, 20 წლის მერეც იცნო სახლი, დამჯდარა იატაკზე და გაუხსენებია ამბები. ორი დღის წინ კახა თოლორდავას ხელით გამომიგზავნა ბრესონის კიდევ ერთი ფოტო – ფიროსმანის ნახატების ფონზე ლუვრში დგას ფრანგული გვარდიის ოფიცერი, გამოფენის მცველი. მაგარი ფოტოა.

კახა თოლორდავა მონაწილეა პროექტისა, რომელზეც ანრი-კარტიე ბრესონისა და რობერტ კაპას დაარსებული,







სკორტისა და ახალგაზრდულ საქმიანობაში დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, დავით ნამგალაურთან ერთად, რურუს მინისტრად ნარბაქინს დღეს

„დღეს საქართველოში ძალაუფლებას არ მოაქვს არანაირი ემოციური ბრატფიქსია. რაც უფრო პატარა ძალაუფლება გაქვს, მით უფრო მაგარად ეპოტინები და მოგნონ ეს. ამ დროს ძალაუფლება ილუზია და სულია, თუ არა გაქვს ბაზრებული, სინამდვილეში რა საფრთხეები ახლავს და რა პასუხისმგებლობა“.

ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ფოტოსააგენტოს, „მაგნუმის“ ფოტოგრაფებმა იმუშავეს. შედეგად გამოიცემა უზარმაზარი ფოტოალბომი საქართველოზე, სათაურით „ქართული გაზაფხული“.

ოთახში კიდევ ერთი, სამუშაო მაგიდაა, სადაც – ორი კომპიუტერი, მათ შორის ვერცხლისფერი „მაქბუქი“ დევს. მაგიდის უკან, ამ ხელისუფლების ბევრი მაღალჩინოსანის მსგავსად, ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომი კიდა. „ერთი იდეა, რომლითაც ვამაყობ, და რომელიც განათლებების სამინისტროსთან ერთად გავაკეთეთ, საუნივერსიტეტო სტიპენდიების პროგრამაა, რომელიც სრულად აფინანსებს ყველას, ვინც ჩვენ მიერ საერთაშორისო რეიტინგების

მიხედვით შერჩეულ რომელიმე უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩააბარებს. ამ ჩამონათვალში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები შედის. წარმოგიდგენია, რა მაგარია? ადამიანს რა მაგარ შანსს აძლევს, ცხოვრებას უცვლის. აი, ნახე“, – კომპიუტერთან მივყავარ. „Georgia.gov.ge“-ის ნაცვლად, სადაც უნივერსიტეტების ჩამონათვალი უნდა მაჩვენოს, თბილისის ფორუმის ვებსაიტი იხსნება.

– ნეტავ, ვინ იჯდა ჩემ კომპიუტერთან, მე არასოდეს შევდივარ ფორუმზე!

– რატომ? საინტერესოა...

– არა, არ მაქვს ამის დრო... აი, ნახე, შევარჩიეთ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრაცია, იურისპრუდენცია, ინჟინერია, სოციალური მეცნიერებები... და აი, უნივერსიტეტების ჩამონათვალი... ყველაზე მაღალრეიტინგული, „აივი ლიგის“ უნივერსიტეტებია: სტენფორდი, იეილი, ჰარვარდი, ემ-აი-თი. დიდი ხნის წინ ავიჩემე ეს იდეა და იქამდე არ მოვეშვი, სანამ არ გავაკეთეთ.

ამ ჩამონათვალშია ბრენდაისის უნივერსიტეტიც. „პატარა, ებრაული სკოლაა, მაგრამ მაგარი სამართლის ფაკულტეტი აქვს. ბრენდაისი მაგარი ტიპი იყო, ჩემი ძმაა, იცი მისი ბიოგრაფია? წარმოიდგინე 1920-იანი წლების ამერიკა, ძალიან არეული ახალგაზრდობა ჰქონდა. მერე ისწავლა და ამერიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდა.

– ბატონო ნიკა, ანზორ ერქომაიშვილი გელოდებოდა, შე-  
მოვიდეს? – ოთახში მდივანი შემოდის.

„ხანდახან მაინც ედებოდა, რომ მინისტრი ვარ და როცა „ბა-  
ტონო მინისტრო“-თი მომმართველად, უცებ მენტება ხოლმე  
თავში ნათურა“, – მეუბნება რურუა, რომელიც კულტურის  
მინისტრად ირაკლი ალასანიას „გაერო“-დან წამოსვლის შე-  
მდე დაინიშნა და პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ბევრ-  
მა ორიგინალურ საკადრო სვლად აღიარა.

მინისტრთან შეხვედრები არასაჯაროა და სტუმრებსაც  
„ნდობით აღჭურვილ პირად“ მაცნობენ, ამიტომ ამ შეხვე-  
დრების შინაარსზე ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ ერთი  
დღის სტუმრების სიას გაგაცნობთ: ნანა კვასხვაძე, ექს-  
პერიმენტული თეატრალური დასის, „შიშველი თეატრის“  
რეჟისორი, ანზორ ერქომაიშვილი, ნანა ალექსანდრია, ბუბა  
კიკაბიძე, დედა სხირტლაძე, შოთა ხაბარელი და კიდევ რა-  
მდენიმე, ჩემთვის უცნობი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა  
საკითხზე სტუმრობდნენ მინისტრს.

თითოეული შეხვედრა მინიმუმ 45 წუთი გრძელდებო-  
და, რაც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის  
სამსახურის მიერ განვიხილავთ არანაირ რეგლამენტსა თუ  
პროტოკოლში არ ჯდება. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ  
ადამიანებს მოუსმინო. მანანა არჩვამე იყო ცოტა ხნის წინ  
მოსული, ქალი – შეყენებული თოფი. მისაღებიდან ატეხა  
აყალმყალი. მივიღე და მოვუსმინე. მაგრამ 15 წუთის მერე  
მიხვდა, რომ აღარ სჭირდებოდა ჩხუბი და დაწყნარდა, გა-  
ხდა ჩვეულებრივი ადამიანი“, – ეს ისტორია ნიკამ რამდენ-  
ჯერმე მოჰყვა, ძირითადად მტრულად განწყობილი ადა-  
მიანების განიარაღების და კომუნიკაციის მნიშვნელობის  
კონტექსტში. ზოგადად, ბევრს ისმენს, ცოტას და ძალიან  
ხმადაბლა ლაპარაკობს და ხშირად ინიშნავს რაღაცებს შავ  
„მოლესკინში“, რომელიც ყოველთვის ხელთან ახლოს აქვს.

ქეთუსია იგნატოვა შემოდის. მას ნიკასთან 5-წუთიანი  
კონფიდენციალური შეხვედრა აქვს. ვიგებ, რომ მინისტრის  
მრჩეველია.

„დღეს რამდენიმე კარგი იდეა მოვიდა, არა?“ – მეუ-  
ბნება ნიკა საუბრის დასრულების შემდეგ. კარგი იდეებში  
გულისხმობს „დეტა ფროდაქშენის“ და გიორგი ოვანჯი-  
ლის სტუდიის ერთობლივ პროექტს „რუსი მოდის“. ეს ათი  
ათწუთიანი ნოველისაგან შემდგარი ფილმი უნდა იყოს, ათი  
სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელმაც რუსული ოკუპაცია გა-  
მოიარა. ქართულმა მხარემ, ანუ კულტურის სამინისტრომ,  
ქართული ნოველის გადაღების და ათივე სცენარის შექმნის  
ხარჯები უნდა დაფაროს. პროექტზე პრინციპული თანხმო-  
ბა დეტამ 10 წუთშივე მიიღო. დეტალებზე კი რამდენიმე  
დღის შემდეგ გაგრძელდა საუბარი, ამჯერად უკვე ახლად  
გარემონტებულ სააქტო დარბაზში, რომელიც მინისტრის  
კაბინეტის გვერდითაა. „ომის შემდეგ ისეთი შეგრძნება მა-  
ქვს, რომ ყველაფერი დაპატარავდა, უცებ მიგხვდი, როგო-  
რი მყიფეა ჩვენი მონაპოვარი. ყველაფერი კითხვის ნიშნის  
ქვეშ დადგა – ჩვენი თავისუფლება, უფლებები. თითქოს  
ქალაქიც დაპატარავდა, ქუჩებიც. ამიტომ, ეს კარგი იდეაა.  
მტერი სულ უნდა გვახსოვდეს“.

ფანჯრიდან ავლაბარი ჩანს. ერთადერთი სამების ეკლე-  
სია ორსართულიანი ლანდშაფტიდან სრულიად ამოვარდ-  
ნილი. ნიკაც, ჯიბეებში ხელეზრანყოილი, ფანჯარასთან  
მოდის და ისევ ხმადაბლა იწყებს ლაპარაკს: „ოთარ იო-  
სელიანმა მითხრა პარიზში, ... სვეტიცხოვლის პატარა  
ფოტო ამოიღო უბის ჯიბიდან და ამიხსნა, რომ სამება სვე-  
ტიცხოვლის თაღების სიმეტრიას იმეორებს, ოღონდ სვეტი-  
ცხოვლის თაღები ერთმანეთის ასიმეტრიულია, რაც პერს-  
პექტივის შეგრძნებას იძლევა, სამება კი სვეტიცხოვლის  
მხოლოდ ასლია და აქ ეს თაღებიც ზუსტად ერთმანეთის  
პარალელურია, რის გამოც იკარგება ეკლესიის სივრცული  
აღქმა. იცოდი? მე – არა“.

შემდეგი სტუმრის მოლოდინში ვაგრძელებთ ლაპარაკს.  
„იცი, რისი გაკეთება მინდა? ქალაქში რაც ყრუ კედლებია,  
დიდი და მახინჯი, რაზეც ძირითადად სარეკლამო აბრები  
არის ხოლმე გამოფენილი, აი, ეს კედლები მინდა გრაფი-  
კით მოვახატავინოთ, ქალაქს ფერს და ხასიათს მისცემს.  
ხომ არ იცნობ სტენსილის ოსტატებს?“. ასეთს ერთადერთს  
ვიცნობ და მიროს ნომერს ვკარნახობ.

ნიკას კიდევ ერთი იდეა ქართული კლასიკური ლიტერა-  
ტურის ათგომეულის გამოცემა. „მიუხედავად იმისა, რომ  
დღეს სუბსიდირებული ხელოვნება ველარ იარსებებს, აღარ  
გაგრძელდება სოციალისტური რეჟიმიდან გამოყოფილი  
პრაქტიკა, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს ის დარგები,  
რომლებიც, საბაზრო ეკონომიკას რომ მივანდოთ, უბრა-  
ლოდ გაქრება. რაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის  
წაწევაა, ის უნდა შევიწინააღმდეგოთ. დავით გურამიშვილი,  
სულხან-საბა, „ვეფხისტყაოსანი“, იგივე ალექსანდრე ყა-  
ზბეგი – არ შეიძლება ბაზრის ამარა დავტოვოთ. ვასილ  
ამაშუკელის ფილმი, „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“,  
რომელიც 1912 წელს არის გადაღებული, აკაკის სიკვდი-  
ლამდე 3 წლით ადრე, პირველი ფილმი საქართველოში  
და ერთ-ერთი პირველი ფილმი მსოფლიოში. დღეს კი ის  
კინოსამყაროს არ აინტერესებს. ამ წუთას კინოსამყაროს  
აინტერესებს „მოგზაურობა ყარაბაღში“, ან სპილბერგის  
რაღაც ბლოკბასტერი. ამ დროს ეს ფილმი იფერფლება და  
რესტავრაცია სჭირდება. ვფიქრობ, რომ მისი გადარჩენა  
უკვე ჩვენი საქმეა“.

შემოდის ბუბა კიკაბიძე და მეც ჩემს ადგილს ვუბრუნ-  
დები. ამჯერად კანის ფესტივალის სამზადისზეა საუბარი,  
სადაც ქართული ფილმები უნდა წაიღონ. ასევე, კულტურის  
მინისტრმა მსოფლიო კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს  
უნდა ამცნოს, რომ საქართველოში კინონარმოება უკვე ძა-  
ლიან მალე გათავისუფლდება გადასახადებისაგან. ეს ნიკას  
პირადი ინიციატივაა და ცდილობს, დეტალურად ამიხსნას,  
რატომ იქნება კინოგადასახადების გაუქმება რეკოლუციუ-  
რი შედეგების მომტანი. „ქართული კინო, როგორც ბრენდი,  
რომ არ არსებობდეს, კინოს გადასახადებისაგან გათავისუ-  
ფლების პროექტი, შესაძლოა, არ იყოს კარგი იდეა. მაგრამ  
როცა გყავდა ვასილ ამაშუკელი, მიხეილ კალატოზიშვილი,  
იოსელიანი, აბულაძე, შენგელაიები და ახლა უკვე – გელა  
ბაბლუანი, ეს ნიშნავს, რომ კინო გამოსდის ამ ხალხს, გვა-  
ქვს ამის ნიჭი და ამ ტრადიციას გადარჩენა სჭირდება. აქ

რომ 8-10 უცხოური ფილმი ან კო-პროდუქცია გაკეთდეს, ეს იძლევა საშუალებას, რომ ნელინადში 5-6 ქართული ფილმი დაემატოს. და გარნმუნებ, ამ 5-6-დან ერთი მაინც იქნება ისეთი, რომელიც ფესტივალებზეც გავა და წარმატებასაც მოიპოვებს“.

თუმცა, ამ პროექტს ჰყავს კრიტიკოსებიც, რომლებიც ამბობენ, რომ კორუფციისკენ მიდრეკილ საზოგადოებაში პრივილეგირებული სფეროს გაჩენა არ არის კარგი იდეა. „პროფესიული ელიტების შექმნის იდეა საფრთხილოა, იზრდება ახალი კორუფციის კერების გაჩენის საშიშროება. თან ეს ერთადერთი ბიზნესია, სადაც მისი გარემოცვა ფიგურირებს. გაუაზრებელ და სუბიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობილი გადანყვებილება მგონია“, – ამბობს ერთ-ერთი კრიტიკოსი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.

„ეს კონტრარგუმენტი, რომ რატომ კინო და სხვა სფერო – არა, ძალიან სუსტია. მაგალითად, ქართული თეატრი, ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყნის თეატრი, იდგმება სცენაზე. ქართული და, მაგალითად, ინგლისური თეატრების სცენები კი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაშინ, როცა კინოსცენა მთელი ქვეყანაა, თავისი ციოთ, ზღვით, მითით, ბარით და უდაბნოთი. განათება, მსახიობების შერჩევა, მონტაჟი, კოსტიუმები, სპეციალური ეფექტები – ამ ყველაფრის სწავლა შეიძლება. ბულგარელებმა, უნგრელებმა, ავსტრალიელებმა, ზელანდიელებმა ყველაფერი ბოლო 20 წელიწადში ისწავლეს და ჩეხებმა „ოსკარიც“ აიღეს. მოკლედ, ქართული კინოშიც არის ეს შესაძლებელი. ძალიან გაძვირდა კინონარმოება და თუ იაფ მოედანს შექმნი, ამ მოედანზე აუცილებლად მოვლენ. ეს არის მარტივი ლოგიკა, რომელიც იმუშავებს“, – მიხსნის ნიკა.

უკვე მოგვიანებით, რურუას სატელევიზიო სიუჟეტებში მოვკარი თვალი, კანის კინოფესტივალის დროს, ნითელ ხალიჩაზე. ფესტივალის შემდეგ გაზეთ „24 საათშიც“ გამოქვეყნდა მასთან ინტერვიუ, რომელსაც ფოტოც ახლდა: მზის სათვალით, სმოკინგში გამოწყობილი კულტურის მინისტრი მობილურით ხელში პალმების ხეივანში დგას.

შესაძლოა, ამ გლამურული ანტურაჟის გამოც, ნიკა ადვილად ხიბლავს ადამიანებს, მათ შორის მტრულად განწყობილებს: „ჯაზი, კერუაკი, კონიაკი, კოლტრინი... ეს გარეგნული ხიბლი სერიოზულად მუშაობს, მაგრამ ზუსტად ორი დღის შემდეგ ქრება“, – მეუბნება ნიკას ერთი ნაცნობი. რაც მუშაობს – ხაზგასმული თავაზიანობა და მოსმენის უნარი – მას კარგ სამსახურს უწევს. იმ პარასკევ დღეს მისი კაბინეტიდან ყველა კმაყოფილი გავიდა.

**რ**ემი მეორე სტუმრობა სამინისტროში ბექა გოჩიაშვილის კონცერტის დღეს დაემთხვა. ბექა 14 წლის ვირტუოზი ჯაზმენია, რომელსაც კულტურის სამინისტრო ნიუ-იორკის პრესტიჟულ მუსიკალურ სკოლაში, ჯულიარდში აგზავნის სასწავლებლად. მოგვიანებით ბექა თავის მასწავლებელთან, თამაზ ყურაშვილთან ერთად ვნახე. ამერიკისთვის საბუთების შეგროვება იყო საჭირო და ნიკა აკვალაინებდა. ისმენდ-

ნენ კონსერვატორიაში გამართული კონცერტის ჩანაწერსაც და ჩემთვის გაუგებარ კომენტარებს აკეთებდნენ. შევატყვევ, რომ ბექას და მის მასწავლებელს ნიკა განსაკუთრებულად მიუწევობს. „იცი, თათუზი ვინ არის? უმაგრესი მუსიკოსია. ჰქონდა შანსი, რომ წასულიყო და ძალიან მაგარი კარიერა გაეკეთებინა, მაგრამ არ წავიდა და დარჩა აქ. მისი კომპაქტ-დისკო მინდა გამოიცეს, ქართული ჯაზის ანთოლოგია. ჩანაწერების განმედაში სანდრო ყანჩელი დაგვეხმარება. ერთი სული მაქვს, როდის იქნება“.

ჯაზი ნიკას ყოველდღიურობის მუდმივი ფონი და თემაა, რომელზეც დაუსრულებლად შეუძლია ლაპარაკი. „ფოლკ რადიოში“ მიჰყავს ყოველკვირეული საავტორო გადაცემა, „ჯაზის კოლექციები“. ამ მასალაზე მუშაობის პერიოდშივე სტუმრობდა „მუზას“, კლასიკური მუსიკის რადიოს, სადაც ორსაათიანი ინტერვიუ ჰქონდა რადიოს წამყვანთან, სანდრა რულოვსთან, მის მიერ შერჩეული ჯაზური კომპოზიციების ფონზე. „მისმინე, თუ გეცლება, – ყოველთვის ასეთი უწყინარი შეტყობინებებით მაცნობდა ნიკა რადიო-გადაცემების დროებს, მაგრამ ორთვიანი ჯაზური ინექციების შედეგად თითქმის წარმატებით დამთავრდა ჩემი ინდოქტრინაციაც – „რა ჰქვია ჰერბი ჰენკოკის იმ კომპოზიციას?“ და „summertime-ის რომელი ვერსია იყო?“ ახლა უკვე მე ვსვამდი კითხვებს და ნელ-ნელა უფრო გასაგები ხდებოდა, რაზე ლაპარაკობდნენ დილის 3 საათამდე ნიკა და თათუზა.

**მ**ოახლოებულ 9 აპრილზე ლაპარაკის დანყებამდე მუხლებზე ბლოკნოტი დაიდო, სადაც სავარაუდოდ უკვე ჩანიშნული ჰქონდა, რისი თქმა უნდოდა. „24 საათისთვისაც“ აპირებდა სტატიის დაწერას და ემზადებოდა.

– მიტინგის დანიშვნა შენი პირადი, შიდა პოლიტიკური ბრძოლისთვის გარე მტერთან ბრძოლის და ერთიანობის დღეს დიდი უზნეობაა. ამ დღეს უცხო ძალასთან იბრძოდა საქართველო. ხალხი დაიხოცა, ნითელი არმია მშვიდობიან დემონსტრანტებს ნიჩბებით და მომწამვლელი გაზით დაერია, 19 ადამიანი დაიღუპა. არ შეიძლება ამ ისტორიული დღის პრივატიზება. ეს იგივეა, რელიგიურ დღესასწაულზე ეკლესიის ეზოში რომ დანიშნო მიტინგი, რადგან იცი, რომ იქ ბევრი ხალხი მოვა. დაახლოებით იგივეა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ობამას ამერიკაში 11 სექტემბერს მიტინგი რომ მოუწყო. რა გამოდის, რომ მთელ ამ ტრაგედიას რალაცნაირად უსინდისოდ, მდაბიური თავხედობით ეტმასნები. ის, რომ პოლიტიკური ბრძოლა უნდა ადამიანს და რალაცებში არ ეთანხმება ამა თუ იმ პოლიტიკურ გადანყვებილებას, ეს ნორმალური პროცესია და ამაზე არანაირი გაბრაზება, გაუცხოება და გალიზიანება არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. მაგრამ, როცა შიდაპოლიტიკური ბრძოლა გადადის რალაც ყალბ, თვალთმაქცურ, ფსევდოპატრიოტული ღირებულებებით სპეკულირებაში, ვთვლი, რომ ეს არ არის ჯანსაღი მოვლენა და არ არის პოლიტიკური



მინისტრის კაბინეტში დამოუკიდებელი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იმყოფებიან

„მიხვდით, რომ არსებობდა ორი რეალობა. ერთი – მოსახყენი, ყალბი, ფარისევლური, ვითომ სიქარბასა და წესიერებაზე ორიენტირებული, და მეორე, ნამდვილი რეალობა, რომლისაც ყველას სჯეროდა. ანუ, სხოვრების ოფისიალური ვერსია ძალიან ბანსხვავდებოდა მისი ნამდვილი ვერსიისგან და ამას მიხვდით ძალიან ადრე, 12-13 წლისა“.



ბრძოლის მისაღები სახე. დაახლოებით ისეთივე „ემოციური პორნოგრაფია“, როგორც ტერმინი „ვაზი გაჩეხეს“. არავის ვაზი არ გაუჩეხავს, და საერთოდ, იმდენი ხარისხიანი ღვინო კეთდება დღეს საქართველოში, როგორც არასდროს. ეს იგივეა, როცა ადამიანებმა „ჩარეცხილების“ სტატუსი მოირგეს, „წამებულების“ პოზაში დადგნენ და პოლიტიკური ქულების დაგროვებას შეუდგნენ. ამ დროს არავის ეს ტერმინი კონკრეტული ადამიანების მისამართით არ გამოუყენებია. ასეთი უსინდისობები არ მომწონს, რა თქმა უნდა, და მალიზიანებს.

ასევე, ჩემთვის სრულიად მიუღებელია ადამიანებზე პერსონალური თავდასხმები. თავისთავად საკაბელო ტელევიზიების არსებობაში არ არის პრობლემა, მაგრამ იმ მასშტაბით, იმ კილოკავით, იმ შეურაცხყოფებით და ცილისწამებებით, რომელიც ერთი „რეალითი“ შოუდან გაისმის – სრულიად მიუღებელია. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ესეთი გადაცემა უბრალოდ არ იარსებებდა. ეს არის სიძულვილის ენა და არანაირ ჩარჩოებში აღარ ჯდება. სიტყვის თავისუფლება არის უფლება, მაგრამ არა ულიმიტო. ამ შემთხვევაში სიტყვის თავისუფლება ბოროტად გამოყენებული უფლებაა, რომელიც რეალურად არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას, არამედ სხვა დემოკრატიულ უფლებებსაც საფრთხის ქვეშ აყენებს.

საზოგადოებამ უნდა თქვას, რომ ეს არ გვინდა, ამაზე კონსენსუსი უნდა არსებობდეს, მაგრამ ჯერ მანდ არა ვართ. რაღაც ნაწილი უყურებს ამას, მოსწონს, ერთობა, გულს იფხანს, მაგრამ არ ისმის იმათი ხმა, ვინც იტყვის, – კაი რა, აღარ გვინდა ეს საზიზღრობაო. ამას ამ წუთას პოლიტიკური მონინააღმდეგე ვერ გააკეთებს. არ იქნება სწორი. ეს საზოგადოებამ უნდა გააპროტესტოს.

– სატელევიზიო მედია რომ ყოფილიყო უფრო თავისუფალი და სხვა გადაცემები გამოხმაურებოდნენ იმ პრობლემებს, რაც ადამიანებს გულწრფელად აწუხებთ, იქნებ ეს პოლიტი-

**კური შოუც არ გამხდარიყო ასეთი რეიტინგული და გულის მოსაფხანი?**

– მითხარით ერთი, გულის მოსაფხანი ტელევიზია რომელი იცით მსოფლიოში? CNN გულს ფხანს ვინმეს? ზოგიერთი ჩვენი გადაცემა კი არის ყველანაირი რეგულაციებისგან და ეთიკური ნორმებისგან თავისუფალი გადაცემა, სადაც ადამიანს უნდა დედას გაგინებს, უნდა ცილს გწამებს, უნდა გაფურთხებს. ტელევიზიის მასობრივი ზომბირების ინსტრუმენტად ქცევას და სამოქალაქო კონფრონტაციის გაღვივებას არაფერი ამართლებს. შეიძლება ამით უბრალოდ უბედურებები დაატრიალო ნებისმიერ ქვეყანაში. მე თავისუფლებას და ქაოსს ერთმანეთში არ ავურევდი. ჩვენთან კი ბევრ ადამიანს ეს ორი რამ ერთმანეთისგან ვერ განუხსნავებია. თავისუფლება განსაზღვრული წესებით თამაში და ამ წესების შიგნით პროგნოზირებადი მოქმედებების ერთობლიობაა. ესაა ჩემთვის პოლიტიკური თავისუფლება. მიუღებელია როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის ტირანია. ამიტომ ტარდება ხოლმე არჩევნები. ბევრი ამ ყველაფერს შეგნებულად თუ შეუგნებლად ენინააღმდეგება და ებრძვის“.

ნიკას უყვარს თავისუფლებაზე ლაპარაკი. რეგოლუციამდე გამოცემული აქვს პატარა ბროშურა, „10 ნაბიჯი თავისუფლებისათვის“, სადაც პოლიტიკური მოღვაწეების მოკლე ციტატებია თავმოყრილი. რურუა ასევე ავტორია ნიგნისა „თავისუფლება და კანონი“, რომელიც „24 საათში“ გამოქვეყნებული სტატიების ნაკრებია. ხმამაღლა ამოვიკითხე მისი რამდენიმე მოსაზრება.

– აი, ჰაველი ამბობს, – ძალაუფლებამ ძალიან შემცვალა, ყავასაც აღარ ვიდულებ ჩემითო.

– მე არც არასოდეს ვიდულებდი ყავას, – მთელი სერიოზულობით მიპასუხა ნიკამ. ჰო, თავისუფლებასა და ძალაუფლებაზე რურუა არ ხუმრობს.



ნიკა ჯონ სპოფილდთან და „ისტარს პრომოუშინთან“ ერთად



პარლამენტში

9 აპრილს, დღის ბოლოს შევეხმიანე და ვკითხე, – როგორ მიდის საქმეები თქვენკენ-მეთქი. ისე, როგორც ძალიან ახალგაზრდა დემოკრატიას შეეფერებაო, – მიპასუხა.

ისევე, როგორც ძალიან ახალგაზრდა დემოკრატიას შეეფერება, ნიკას მოსაზრებები და პოლიტიკური ინსტინქტები, ლინგვისტიკაც კი, სრულად ემთხვევა ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების რიტორიკას. განსაკუთრებით მაშინ, როცა დიქტოფონია ჩართული. ომზე, რუსეთზე, პატრიოტიზმზე, რეიგანზე, ლიბერალიზმსა თუ რევოლუციური ხელისუფლების გამონწვევებსა და შეცდომებზე ნიკა ისევე გპასუხობს, როგორც დანარჩენი მთავრობა. ხელისუფლებაში დღემდე თვლიან, რომ არ შეიძლება ერთი გუნდიდან განსხვავებული მოსაზრებები ისმოდეს. არც შიდასახელისუფლებო დებატები ხდება საჯარო. შედეგად ვიღებთ მონოლითურ, თავის თავში ჩაკეტილ პოლიტიკურ სისტემას და იდენტურ გზავნილებს. ნიკასთან თითქოს ამაზეც ვთანხმდებით, მაგრამ არასაჯაროდ.

ასევე ვთანხმდებით, რომ რურუასა და სხვებს შორის არსებობს რამდენიმე თვალშისაცემი განსხვავებაც, მათ შორის – ტემპერამენტული. ის უფრო დინჯია და ფრთხილი, ვიდრე „რეფორმატორებად“ წოდებული ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. „მე არა ვარ ექსტრემისტი. მართანელი ვარ. ვცდილობ, არ ვიყო სპრინტერი, თუმცა სულწაასულობა არ მაკლია. ტემპერამენტით ალბათ სპრინტერიც ვარ, მაგრამ ვცდილობ, რომ ამ იმპულსებს მოვერიო და გრძელვადიან რამეებზე ზრუნვა ვარჩიო. დღევანდელ საქართველოში ეს უფრო სწორია“, – მეუბნება ნიკა. მისი დამოკიდებულებაც რეფორმებისა და, ზოგადად, პოლიტიკისადმი უფრო რევიზიონისტური და ზრდილობიანია, ვიდრე რადიკალური. რურუას შემთხვევაში, უფრო მეტად მუშაობს სლოგანი – „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

„მჯერა, რომ ზოგ შემთხვევაში, რეფორმის რეფორმა აუცილებელი. თავისთავად რეფორმა, როგორც კონოტაცია, ყოველთვის დადებითია, მაგრამ რეალობაში ეს შეიძლება პირიქით იყოს. გავიმეორებ ერთი ჭკვიანი კაცის ციტატას: „თავისუფლების და პროგრესის სული ის სულია, რომელიც თავის სიმართლეში ძალიან არ არის დარწმუნებული“. თუ ასი პროცენტით ხარ შენ თავში დარწმუნებული, როგორც ნესი, გეშლება ხოლმე. ამიტომ, გვერდიდან საკუთარი თავის ყურება მომწონს და ვთვლი, რომ უნდა ვიაროთ წინ, მაგრამ უნდა ვიაროთ ფრთხილად. მიჩვენია, გადავდგა ორი ნაბიჯი და სწორი მიმართულებით, ვიდრე ცხრა ნაბიჯი და არ ვიცოდე, სად მივდივარ. მესმის, რომ ხანდახან უნდა გარისკო, არაპროგნოზირებად სიტუაციებშიც არ უნდა დაკარგო გადაწყვეტილების მიღების შანსი. ეს აუცილებელია, განსაკუთრებით რეფორმატორისთვის“.

თუმცა იმ დღეს ნიკას გადაწყვეტილება არ იყო გაბედული რეფორმატორის გადაწყვეტილება. მის კაბინეტში შევესწარი უნივერსიტეტებში სპორტული განათლების კოტების აღდგენის ინიციატივის განხილვას. რურუა და გოკა გაბაშვილი ბჭობდნენ, თუ სად და როგორ უნდა იღებდნენ სპორტსმენები და, ზოგადად, სპორტის სფეროში მომუშავე ადამიანები განათლებას. გოკა ამტკიცებდა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტისათვის აკადემიური განათლების მიმართულების შენარჩუნება წყალში გადაყრილი დოტაცია და მხოლოდ სოციალური ხარკის გადახდის ტოლფასი იქნებოდა. იქვე იყო პარლამენტის წევრი, სპორტსმენი გიორგი ასანიძეც, ვისაც ეს ინიციატივა პარლამენტში უნდა დაეცვა. ნიკა უსმენდა გოკას არგუმენტებს და ასანიძის პასუხებს და ბოლოს შუალედურ გამოსავალზე შეჩერდა: უმჯობესია ფიზკულტურის ინსტიტუტიც შევინარჩუნოთ და ფაკულტეტი სხვაგანაც დავენერგოთო. ამით თავს ავარიდებთ კიდევ უფრო მეტ განაწყენებულ ადამიანს და საქმეც გაკეთდებაო.

>>> ბაზრქილება გვ. 100

# ახალბედა N21

## რეჟისორ ბიძინა ყანგაველის ეპროკუალი არტ-მარში

ავტორი: ლავით ზუხრიძე

...ბარო, დავით (კითხვა-ძახილის ნიშანი). რა გითხრა, მე არა მიშავს, კარგად ვარ. ახალი და განსაკუთრებული არაფერია. შრომა-გასწორების კოლონია არ დასრულებულა, ინსპირაციის წყაროს ისევ ყველგან და ყველად ვეძებ. ასე რომ, შეგრძნებები და ინტუიცია გაფაციცებული მაქვს (სმაილი). თუმცა გაზაფხულსა და ზაფხულს მაინც ახალი იდეები მოაქვს. ვიყავი მიუნჰენში. ახლახან დავბრუნდი ბარლინში, სადაც დედამიწაზე ყველაზე მეტი სიმწვანე და ჟანგბადია (მოცეკვავე კაცუნა). უკვე მოგწერე, რომ ვმუშაობ სცენარზე და ჩემს პრო-

დუსერთან, პიერთან ერთად – ვიღებ ახალ ფილმს. ალბათ 2-3 თვე კიდევ დამჭირდება და დავასრულებ.

სათაური დაზუსტებული არა მაქვს. „პეპლების მილენიუმი“ ან „თეთრი პლანეტა“ პირობითი სახელწოდებაა. თუმცა პირველი ვარიანტი უფრო მომწონს და შეიძლება დავტოვო. მინდა მულტიპლიკაცია, გამოსახულება და მუსიკა ისე შეერთდეს, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალოს. არ ვიცი, დიორ ლიგეტის (დიდი თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორი, რომლის მუსიკა სტენლი კუბრიკმა გამოიყენა ფილმში „2001“ – დ.ბ.) მუსიკალური პა-

საჟები რა დოზით დავტოვო. მუსიკა, ხმაური და სიჩუმე აუცილებლად ზუსტი პროპორციით უნდა იყოს დაცული, თორემ მაცურებელს მალე მობეზრდება (ბევრი ნერტილი).

ჰო მართლა, გული მწყდება, რომ ზამთარში ბერლინის ფესტივალის დროს, მიუნჰენში მაინც ვერ ჩააღწიე (ნაღვლიანი სახე). „შტატსოპერაში“ დორის დორიეს (ცნობილი გერმანელი რეჟისორი ქალი, რომელიც თანაბარი ნარმატებით მუშაობს კინოსა და თეატრში – დ.ბ.) „რიგოლეტო“ ფანტასტიური დადგმით ისევ რეპერტუარშია. მგონი, ჯილდას უკვე შენი საყვარელი





კრისტინე შეფერი მღერის (ცერი მალ-ლა). დორისის სპექტაკლი ფილმ „მაიმუნების პლანეტის“ ასოციაციებით არის შთაგონებული, რაც არ მიკვირს... ხულიგანი ქალია (გული, სმაილი). მართო პროგრამითაც კი დარწმუნდები-დი ამ რეჟისორის ფანტაზიაში, მეტზე რომ არაფერი ვთქვა.

ხომ იცი, მიუნჰენი ძალიან სნობური და ბურჟუული ქალაქია, ბერლინთან შედარებით. ვერდის ყველაზე ცნობილი ოპერის გაშარჟება-გაშაყირება დორისის ძვირად დაუჯდა – კონსერვატორმა პუბლიკამ და მუსიკოსების დიდმა ნაწილმა რეჟისურა მინასთან გაასწორეს, მაგრამ არტ-პუბლიკას, მემარცხენეებსა და ჟურნალისტების ნაწილს მაგრად მოეწონათ (ტაში, სმაილი).

საქართველოს შესახებ ახალი რამე მომწერე: რა მოხდა, ვინ რა ჩაიდინა. ვინ ამაღლდა, ვინ დამდაბლდა... (მაგრამ მეილის ეს ფრაგმენტი უკვე საინტერესო აღარაა, რადგან საკუთარი თავის შესახებ უმსგავსო და უსარგებლო ამბების ხალისით წერას არც ვაპირებ – დ.ბ.).

ახლა უფრო მოკლედ და გასაგებად: ჩვენი ელექტრონული მიმოწერა და ურთიერთობა კინორეჟისორთან და სცენარისტთან, ბიძინა ყანჩაველთან, რომელიც ბერლინში 2002 წლიდან ცხოვრობს და ფილმებსაც იღებს, უკვე წლების განმავლობაში გრძელდება. ახალგაზრდა ქართველი კინო-

რეჟისორის სტილიც და სათქმელიც სრულიად განსხვავებულია თანატოლი ხელოვანებისგან, რადგან იგი არ ცდილობს, მეინსტრიმი როგორმე ხელოვნებად გაასალოს, ან პირიქით – არტიკომერციულ სანახაობად აქციოს; პირიქით, მისი ფილმები: „ახალბედა №21“ (1999), „მიმაგრებულები მინაზე“ (2002), „მუდმივი სამალავი“ (2003), „ექსტრემა“ (2004), „შვიდნახევარი ქალი“ (2006), „ნ სურათი სამყაროზე“ (2007) – თითქოს გაბრუნებთ 20-იანი წლების კინემატოგრაფის ექსპერიმენტულ და ძიებით სავსე ხანაში. სიურრეალისტური თხრობით, გამოხატვის სრული თავისუფლებით, თვითკმარი ესთეტიზმით, ვიზუალური ძიებებით, საგანგებო თუ ხაზგასმული არაკომერციულობით...

34 წლის კინორეჟისორს ბერლინის არტ-წრეებსა თუ კინოსამყაროში საკმაოდ კარგად იცნობენ, თუმცა საქართველოში მისი შემოქმედების შესახებ გაცილებით ცოტა რამ იციან და ნაკლებად წერენ. როგორც იქნა, გასულ წელს მისი ნახევარსათიანი ფილმი „ნ სურათი სამყაროზე“ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ „პრომეთეს“ არასაკონკურსო პროგრამაში ორჯერ უჩვენეს, ხოლო გოეთეს გერმანული კულტურის ინსტიტუტმა მოაწყო მისი ყველაზე ცნობილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის „შვიდნახევარი ქალის“ ჩვენება. რეჟისორის შესახებ გაცილებით მრავალფეროვან და საინ-

ტერესო ინფორმაციას გაეცნობით დასავლურ მედიაში, ვიდრე საქართველოში, და ამისათვის ინტერნეტის თვალის გადავლებაც საკმარისია.

თანამედროვე ვიდეო-არტის მეტრმა, რეჟისორმა მეთუე ბარნიემ, რომელმაც ბიორკის სიმღერების უცნაური და შთამაგონებელი კლიპები გადაიღო, ასეთი ფრაზაც კი თქვა ბიძინა ყანჩაველის „შვიდნახევარი ქალის“ ნახვის შემდეგ: „უბრალოდ გამაოგნა ამ არაჩვეულებრივმა, რვანუთიანმა სიურრეალისტურმა ფილმმა. ორიგინალურია, ოდნავ მომწუხრავი და უფრო სიზმრისეული... აღფრთოვანებული ვარ მისი მახვილგონივრული თხრობით, გამოხატულებით, ძალიან ზუსტი ირონიით; გამბედაობით, ტალანტით, თავისუფლებით – არასდროს დათანხმდეს კომერციულ კომპრომისზე, რაზეც ადრე თუ გვიან ბევრი ცნობილი რეჟისორიც თანხმდება.

ცნობილმა რეჟისორმა დევიდ ლინჩმა კი ბერლინში, ერთ-ერთ კინოჩვენებაზე, ფილმის ნახვის შემდეგ მადლობა გადაუხადა ქართველ რეჟისორს „ნარუშლელი, შთამაგონებელი, კულტურული ასოციაციებით დატვირთული შთაბეჭდილებისათვის“.

2007 წელს ბერლინში, დავიდ გალოს ცნობილ კერძო გალერეაში „შვიდნახევარ ქალს“ რამდენიმე კვირის განმავლობაში უჩვენებდნენ. ცნობილი ფრანგულ-გერმანული ტელეარხის – „არტეს“ დაკვეთით რამდენიმე დასა-



კაპრი ფილმიდან „ექსტრემა“



კაპრი ფილმიდან „ექსტრემა“

„აღვრთოვანებული ვარ მისი მახვილბონივრული თხრობით, გამოსახულებით, კალიან ზუსტი ირონიით; გაზაფხულით, ტალანტით, თავისუფლებით – არასოდეს დათანხმდეს კომერსიულ კომპრომისზე, რაზეც ადრე თუ გვიან, ბევრი ცნობილი რეჟისორის თანხმდება“ – მეთიუ ბარნი.

ვლეთ ევროპელ რეჟისორთან ერთად ბიძინა ყანჩაველმაც გადაიღო ფილმი. ერთადერთი, რაც ამ პროექტს, ანუ პატარა, 8-10-წუთიან ფილმებს აერთიანებდათ, არის პირველივე ფრაზა – „მე გასალები დაკარგე“. ყველა ფილმი სწორედ ამ წინადადებით იწყება. უნდა ითქვას, რომ ნაირგვარი ავანგარდისტის მფარველმა „არტემ“ 2007 წელს ეს საინტერესო პროექტი სამჯერ უჩვენა. ქართველი რეჟისორი კი ერთადერთი აღმოსავლეთ ევროპელი აღმოჩნდა, რომელიც დასავლელი კოლეგების „მარაქაში“ საფუძვლიანად გაერია.

საერთოდ, ფილმს ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა პრესაში, როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებში.

ლამაზი, ფერწერული, დეკორაციული მაგრამ უჰაერო და უსასრულო კორიდორი „შვიდნახევარ ქალში“ იქცევა მოტივინე შიშველი ქალებისა და მთავარი გმირის – ახალგაზრდა, დეპრესიული მამაკაცის ურთიერთობის „ლაბირინთად“. მეორე მხრივ, ეს არის სამყარო, რომელშიც ყველაფერი ხელოვნური და ლამაზია, მაგრამ ყველაფერი ფიქციაა. ლურჯად შეღებილ ლაბირინთში გასასვლელს ვერავენ პოულობს. მამაკაცს, შესაძლოა,

კლაუსტროფობია აქვს, ან ათასი კომპლექსი ჭირს. იქნებ ამიტომაც ხოცავს მის სამყაროში მოულოდნელად შეჭრილ, თავხედ ქალებს პატარა და კარგად გალესილი ნიჩბით, რაც უფრო რეჟისორის „შავი იუმორით“ შთაგონებულიობაზე მიუთითებს.

„არტ-მაგაზინი“ (ბერლინი): „რა არის ეს? სიურრეალისტური სიზმარი, პაროდია ძალადობასა და პორნოგრაფიაზე, თუ თანამედროვე ზღაპარი დეპრესიულ, ქალთმობილურ ხელოვანზე, რომელიც ქალებს უმიზეზოდ უსწორდება? ნებისმიერ შემთხვევაში, უამრავი კითხვა თუ აზრი გებადებათ, როცა ეს რვანუთიანი, დახვეწილი და ძლიერი ვიზუალური ზემოქმედების მქონე ფილმი მთავრდება. „შვიდნახევარ ქალი“ არღვევს ტრადიციულ ნარატიულ თხრობას და თანამედროვე ვიდეოხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. რეჟისორი ახერხებს ოქროს შუალედის მოძებნას ტრადიციულ კინოთხრობასა და ვიზუალურ ხელოვნებას შორის და, მცირე დროის მიუხედავად, სოციალური და სექსუალური იდენტობის დაკარგვის შიშს იკვლევს...“

თანამედროვე ადამიანის უსუსურობა, ჩაკეტილობა და მღელვარება

სოციალური უპასუხისმგებლობის წინაშე სიმბოლურადაა გადმოცემული ქალის სიშიშველის დემონსტრაციითა და დაკარგული გასალების ძებნით, რაც სქესთა შორის „დაკარგულ“ ურთიერთობას უფრო წააგავს. სინამდვილეში ეს ადამიანური ურთიერთობის და გაუცხოების ლაბირინთია, საიდანაც გასასვლელი არ არსებობს. რეჟისორი ზუსტად გამოხატავს თანამედროვე ხელოვნების კრიზისულ ატმოსფეროს და უაზრობამდე მისულ ფიზიკურ ურთიერთობებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ერთი შეხედვით უემოციო, დისტანციური თხრობა და მეტაფიზიკური იუმორი, რომელიც ამბავს სიზმრისეულ თამაშად გარდაქმნის“.

კინოს ისტორიაში უკეთ განაფულები ფილმში „შვიდნახევარ ქალი“ ალბათ რუსი რეჟისორის, ალექსანდრ ბარნეტის ულამაზესი მუნჯური ფილმების გარკვეულ გამოძახილსაც დაინახვენ (სწორედ ბარნეტის ფილმებში გამოჩნდა პირველად ლეგენდარული მსახიობი ვერა ხალოდნაია). მითოლოგიითა და ლიტერატურით შთაგონებული უფრო „ლურჯწვერას“ ასოციაციები აღეძვრებათ. ვილაცებს აუცილებლად გაახსენდებათ გამომწვევი, ეპატაჟური



ქალბატონი ფილმიდან „6 სუკათი სამყაროში“



ქალბატონი ფილმიდან „6 სუკათი სამყაროში“

და ლამის აღმამფოთებლად თავისუფალი რეჟისორი ალესანდრო იოდორო-ვსკი, რომლის ეროტიზმი და ირონია უსამართლოდ ჩაიკარგა თანამედროვე კინოს ისტორიაში. სხვათა შორის, თავად ბიძინა ყანჩაველი არ მალავს, რომ მისი შემოქმედების თაყვანისმცემელია და არც მისი ფილმების გავლენას უარყოფს.

მარტივ და საფუძვლიან კითხვაზე: თუ ევროპაში ბიძინა ყანჩაველის ფილმებს სხვადასხვა კინოფესტივალებზე (ობერჰაუზენი, რომი, ზაგრები, ოლდენბურგი, ნანსი, ლუნდი, ბოლონია) წარმატებით უჩვენებენ, ხოლო გერმანული და ფრანგული ტელეარხები სიამოვნებით უთმობენ ეთერს, რატომ ვერ მოხვდა მისი თუნდაც ერთი ფილმი ქართულ ტელეარხებზე ან რომელიმე კინოთეატრში – ლოგიკური პასუხი არ მომისმენია. თავის გამართლება არაკომერციულობის მიზეზით ნებისმიერ დროს და ვითარებაში შეიძლება და, სიმართლე ვთქვათ, ეს უკვე სასაცილოა და მომაბეზრებელიც.

მაშ ასე, რიგითი ქართველი ბიძინა ყანჩაველი. დაიბადა ქუთაისში, 1974 წელს. დაამთავრა ყოფილი პირველი გიმნაზია, სადაც აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი, ვლადიმერ მაიაკოვსკი და სხვა საინტერესო ხალხი სწავლობდა. ჯერჯერობით ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დერეფანში რეჟისორის ფოტო ან პორტრეტი სახელოვანი წინაპრების გვერდით არ კიდა. „ისე, რა იცი, ჯერ ახალგაზრდა ვარ, ბოლომდე დაუფასებელი შემოქმედი... ყველაფერი წინ მაქვს“, –



ალექსანდრე უილიმონ „ახალბედა №21“



ალექსანდრე უილიმონ „ახალბედა №21“

ამბობს საკუთარ თავზე და იუმორი არასდროს ღალატობს. უსამართლობა იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ თავის დროზე, როცა დაწყებით კლასებში სწავლობდა, წარჩინებულთა დაფაზე მაინც ეკიდა მისი ფოტოსურათი. მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურის გაკვეთილზე, აღნაგობის გამო, მწყობრში სულ ბოლოში იდგა.

დაახლოებით 18 წლის ასაკში მიხვდა, რომ ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სადაც მასალათა გამძლეობას სწავლობდა, ხელოვნებასთან მაინც ვერასდროს გადაიკვეთებოდა, ინსტიტუტი მიატოვა და 1995 წელს თეატრალურ ინსტიტუტში, ჯერ კინომცოდნეობის, შემდეგ კი სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩააბარა.

„პირველი ფილმი, რომელმაც მართლა გამაოგნა, იყო რეჟისორ ბერნარდო ბერტოლუჩის „მეოცე საუკუნე“. თუმცა მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ მომავალში კინორეჟისორი გავხდებოდი. და მაინც, ჩემი პროფესიის არჩევაში დიდი წვლილი მამაჩემს, რამაზ ყანჩაველს მიუძღვის. იგი ხელოვნების კარგი მცოდნე და მოყვარულია.

იმ პერიოდში თეატრითაც ვიყავი გა-

ტაცებული, ვწერდი პიესებს. დავდგი ოთხი სპექტაკლი ქუთაისში. მათგან ორი რუსთავის თეატრალურ ფესტივალ „ოქროს ნილაბზე“ იყო წარმოდგენილი და პრიზებიც დაიმსახურა. გარკვეული სითამამე შემმატა რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის ყურადღებამ. ერთხანს ბატონ რეზო გაბრიაძესთანაც გავდიოდი მასტერ-კლასს, მის მიერ დაარსებულ ფანტასტიურ მარიონეტების თეატრში.


სწორედ ამის შემდეგ ჩავაბარე კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, ბატონ რეზო ესაძის ჯგუფში. გაბედულება ცოტა მომემატა პირველი ფილმის გადაღების შემდეგ, რაშიც ჩემი პედაგოგისა და ოსტატის, რეზო ესაძის დიდი წვლილიც იგულისხმება“.

მოკლემეტრაჟიანი, შავ-თეთრი ფილმი „ახალბედა №21“, რომელიც დამწყებმა რეჟისორმა უახლოესი ადამიანების – გიზო ბერაძისა და გივი ყანჩაველის თანადგომით გადაიღო, 1999 წელს რომის საერთაშორისო კინოფესტივალზე „საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის“ გრანპრით აღინიშნა. ეს უდიდესი სტიმული აღმოჩნდა შემდგომში ფილმების გადასაღებად. მიუხედავად იმისა, რომ „ახალბედა №21“ უკვე არარსებულ ქარხანაშია გადაღებული, პოსტსაბჭოთა საქართველოს ფანტომური ტკივილები იკითხება. დაბნეული ახალბედა სამხედრო მოსამსახურე თითქოს კავკიანურ აბსურდში ხვდება – „ქალაქის კომბინატში“, სადაც გეგვენებათ, რომ სამოქალაქო თავდაცვის კურსებს გადიან.

აბსურდის, თეატრალურობის, შიშისა და ქაოსის ატმოსფერო გარკვეულ მხატვრულ სამყაროს ქმნის, რაშიც რეჟისორული ხელწერა და თავისებურება იკითხება. იგი უფრო დახვეწილ



ალექსანდრე უილიმონ „ს სურათი საშაროუ“



ჯადრი ფილმიდან „შვიდნახევარი ქალი“



ჯადრი ფილმიდან „შვიდნახევარი ქალი“

**ღვიძლ ლინჩაი ბერლინში, ერთ-ერთ კინოფესტივალზე, ფილმის ნახვის შედეგად  
ბადლოზა ბადაშხადა ქართულ რაჭისორს „ნარკოტიკული და კულტურული  
ასოციაციებით დატვირთული შთაბეჭდილება ისეთის“.**

ფორმებს ღებულობს ფერად და დეკორაციულ ფილმში „დამაგრებულები მინაზე“, სადაც უკვე სამყაროსა და სიყვარულის პარალელური ნგრევის მოტივები ვითარდება. ცხადი, მაგრამ ფერებით შენიღბული ეს ფილმი-სიზმარი თუ ფილმი-კომპარი უფრო ექსპერიმენტული კინოსკენ იხრება. დამდგმელი ჯგუფი (რეჟისორი – ბიძინა ყანჩაველი, ოპერატორი – ნუგზარ ნოზაძე, მსახიობები – ნინო ყრუაშვილი, თემო ნაცვლიშვილი, თამილა ლასხიშვილი) თითქოს ერთი ამოსუნთქვით „კითხულობს“ ამ ბიბლიურ ანტიზღაპარს, რომელშიც კარგი ფინალი არ არსებობს.

პირობითი დეკორაციები და აბსტრაქტული პერსონაჟები რეჟისორის სათქმელს გარკვეულ ბუნდოვანებას ანიჭებს. თუმცა განზოგადება მაღალი ემოციური და ფერწერული „გრადუსის“ ხარჯზე ხდება... გამომწვევი თეატრალურობა და ფერწერულობა სტილს უფრო ნიშნავს, ვიდრე ნაკლს.

2002 წელს რეჟისორი გერმანიაში მიემგზავრება და იღებს ფილმს „მუდმივი სამალავი“, სადაც დასავლური პრობლემები სამხრეთულ მგრძობელობას ერწყმის. ბერგმანის ფილმის ენით რომ ვთქვათ, ეს არის „ცოლქმრული ცხოვრების სცენები“, სადაც ახალგაზრდა წვეილი – ქალი და მა-

აკაცი ეგზისტენციურ და სექსუალურ კრიზისში ნებით ექცევა. თუმცა კონფლიქტის მიზეზებს სულ სხვაგან ეძებენ. ვიდეოსა და კინოს ზღვარზე გადაღებული ფილმი გამოირჩევა გერმანელ მსახიობთა შესანიშნავი ნამუშევრითა და მსხვილი ხედებით.

ამას მოჰყვა „ექსტრემა“ – პატარა, მაგრამ საკმაოდ რთული და თეატრალური ხერხით გადაღებული ფილმი, რომელიც იმდენად ექსტრემალური გამოდგა, რომ რეჟისორს თითქმის სამი წელი მოუხდა მუშაობა. ეს არის ადამიანი-მსახიობის, ადამიანი-ნიღბის ბრძოლა სოციალურ გარემოსთან, რომელშიც პიროვნება ერთი შეხედვით მარცხდება, მაგრამ საკუთარ თავისუფლებას იცავს. ფილმში რეჟისორმა ემიგრანტი რუსი მსახიობი გადაიღო, რომელიც დაახლოებით იგივე პრობლემებს აწყდებოდა ცხოვრებაში, რასაც მისი გმირი ფილმში. ამდენად, პიროვნების იდენტიფიცირების თემამ უფრო მნიშვნელოვანი და განზოგადებული მნიშვნელობა შეიძინა.

2007 წელს ბავარიაში, ლუდვიგს-ბურგის სკოლაში გადაიღო ფილმი „შვიდნახევარი ქალი“, რომელიც „არტეს“ დაკვეთით შეიქმნა და რომელმაც რეჟისორს სხვადასხვა ჯილდო, პრიზები თუ შემოქმედებითი წარმატება მოუტანა; ერთი წლის შემდეგ

კი – ფილმი „ნ სურათი სამყაროზე“, რომლის პრემიერამ ბერლინის „თეატერჰაუზში“ წარმატებით ჩაიარა. ამ ექსპერიმენტული ფილმის შინაარსის გადმოცემა ისევე რთულია, როგორც სიზმრის ახსნა და მოყოლა ან ექსპრესიონისტული ნახატის რეალისტური ხერხებით ახსნა. ფილმის სამი ფერი (ლურჯი, მწვანე და წითელი) სრულებით არ ატარებს სოციალურ ან პოლიტიკურ დატვირთვას. ექვსი ეპიზოდის პერსონაჟები რაღაც ბიბლიური ტანჯვისა თუ ცოდვის ტყვეობაში არიან. საერთოდ, ფილმის ვიზუალური ზემოქმედება, ხატები და ატმოსფერო მაყურებლისგან სრულიად ახლებურ ნაკითვას გულისხმობს.

ახალი ფილმის – „პეპლების მილენიუმის“ სცენარზე მუშაობა ბიძინა ყანჩაველმა თავის პროდიუსერთან, პიერ დუსტთან (რომელთანაც, უკვე დიდი ხანია, მუშაობს) 2008 წელს დაიწყო, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო, სცენარი რამდენჯერმე შეცვალა. შემდეგ გადაღება ცოტათი დაგვიანდა..., ამჟამად კი ფილმზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს და „თეთრი პეპლებით“ დასახლებული პლანეტა, ლიგეტის მუსიკის თანხლებით, მალე ახმაურდება. უკვე გამოცდილი, მაგრამ მაინც „ახალბედა №21“ არტ-ჰაუზს არ ღალატობს.

# მერე, რა!

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი  
ფოტო: CANDY CACTUS



მანერები იქ ხარობენ, სადაც ნებისმიერი სხვა ხე იღუპება: მარილიან წყალში, მწველი მზის ქვეშ. ისინი ტროპიკული სანაპიროების სადარაჯოზე დაბანან. ისინი ბარემოს ათასგვარი განსაცდელისგან იხავენ და უამრავ სულიერს აქლავენ თავშესაფარს. ისინი რომ არა, ჩვენი დღემინა სულ სხვანაირი, ბევრად უფრო ულამაზო, ღატაკი და უბედური იქნებოდა.

ბედნიერება სულაც არ ნიშნავს, რომ არანაირი უბედურება არა გჭირს. ბედნიერება სულ სხვა ამგავია: თუ გინარია, ბედნიერი ხარ.

მოდით, გავინაროთ! გავინაროთ, რომ სოცსლები ვართ. რომ მზე ამოვიდა. რომ ყველა ბავშვი არაჩვეულებრივია. რომ ვიღაცას ვიღაცა უყვარს და ჩვენს აუხილებლად ვეყვარებით. გავინაროთ, რომორს Candy Cactus-ის ფოტოპროექტის გმირებს უნარიათ — კატარა, მოლიმარ, არაჩვეულებრივ ადამიანებს.

ისინი რომ არა, ჩვენი დღემინა სულ სხვანაირი, ბევრად უფრო ულამაზო, ღატაკი და უბედური იქნებოდა.



ძალიან მარტივი კერძია: ლობიოს მსგავს დიდ მარცვლებს ათასგვარი სუნელი უნდა მოაყარო, ზედ ლიმონი დაანურო – და სულ ესაა. უბრალოდ, ყველას არ გამოსდის, რადგან ამ საქმეს ლამაზი დახლი, კობტა ჯამები და დამასკოელი ბატონი მეჭთის მადლი სჭირდება.

ბატონი მეჭთი თავის საქმეს დიდი გულსყურით ეკიდება. ხუმრობა ამბავია?! – თითო ულუფა, რომელიც კაცს ისე ანაყრებს, რომ მერე მთელი დღე საქმლის გახსენებაც არ უხარია, ძალიან ძვირია – ჩვენი ფულით 20 თეთრი ღირს!



ამ დიდ, დიდ მანქანას შეუძლია, რიზედან ძალიან შორს წაგიყვანოს, ქვეყნის დასალიერ-ში, თუნდაც სტამბოლში. ცოტა სანერვიულო ამბავი კია – ეხუმრები, ამხელა სახლი რომ დაიძრება და გაგიტაცებს? მაგრამ მაინც კარგია.



მრავალი წლის წინათ ტიგროსის ნაპირზე ჰასანქეიფი იყო აღმართული: ძველისძველი სასახლეები, დიდებული მეჩეთი, კლდეში ნაკვეთი სახლები და აი, ეს ხიდი. ხიდიცაა და ხიდიც!

1116 წელს ფარეთინ ყარაასლანის მიერ აგებული შედევრისა დღეს ნანგრეველა დარჩა. თურმე ოდესღაც ამ ხიდს ცალკეული ნაწილები ხისა ჰქონია, და როცა ჰასანქეიფს მტერი შეუტევედა, ქალაქელები ამათ მოაშორებდნენ ხოლმე, და მტკიცედ იდგა აუღებელი ციხე-სიმაგრე, ჰასანქეიფი...

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჰასანქეიფის დიდება დავიწყებას მიეცა, როგორც ჩანს, სამუდამოდ.

რამდენიმე წლის წინათ ილისუს წყალსაცავის შენება დაიწყო. როცა ის აშენდება, ჰასანქეიფი აღარ იარსებებს. მართალია, მსოფლიო ამბობდა, მეცნიერები, გარემოს დამცველები და სხვანი აღშფოთდნენ – და რა? მშენებლობის მესვეურებმა ბრძანეს, – ქალაქს დავშლით და სხვაგან, ეროვნულ პარკში გადავიტანთო, – მაგრამ ეს არავის მოსწონს და არავის სჯერა.

...მანამდე კი ფარეთინ ყარაასლანის ხიდის ნანგრევებზე სახლი დგას – პატარა, ბრიყული, ძალიან ლამაზი სახლი, რომელშიც ადამიანები ისევე ცხოვრობენ, როგორც მე და თქვენ. მათაც უხარიათ, მათაც სწყინთ, მათაც უყვართ და ეჯავრებათ, უბრალოდ, ჩვენგან განსხვავებით, არ წუნუნებენ, არ მოთქვამენ, და არ ფიქრობენ იმაზე, თუ რას უქადით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ილისუს წყალსაცავის არსებობა – რა დროს ეგაა! ჯერ ჰასანქეიფში მზე ჩადის, აგრილდა, და ცხოვრება მშვენიერია.



ნალკაში უამრავი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. ლამაზი მხარეა, მაგრამ, – სამოთხეაო, – ვერ დაბრალე – მიიმე ჰავაა, ან ძალიან ცხელა, ან ძალიან ცივა, ჭირს...

მასპინძელი ქალბატონი სომხურ ენაზე ლექსს კითხულობდა. ეს ლექსი თავად დანერა და მიხეილ სააკაშვილს მიუძღვნა, მადლიერი იყო, რომ მან პენსია დაუნიშნა.

ქალბატონი გამოთქმით კითხულობდა და, როგორც ჩანს, მეუღლეს ძილი დაუფრთხო.

“მომისმინე, – უთხრა კაცმა, – იცი, რა საშინელი სიზმარი ვნახე? ვითომ შენი ქათამი დამაფრინდა და კორტნა დამიწყო! აქ არ მჯდარა?! კიდევ კარგი, გამაღვიძე“.

მერე ოჯახის უფროსი გადატრიალდა და კვლავ ტკბილად დაიძინა.





კლდეკარი აქვეა, თბილისიდან ორ ნაბიჯში. ეს გოგონა კლდეკარელია, თბილისიდან ორ ნაბიჯში ცხოვრობს, მაგრამ ქალაქში არასოდეს ყოფილა.

კაცმა რომ თქვას, რად უნდა? კლდეკარში უფრო სუფთა წყალია, უფრო საამო ჰაერი, უფრო ლამაზი ტყე. კლდეკარში დედ-მამა ცხოვრობს და, აბა, მათზე მეტად გოგონა ვის ეყვარება? თეთრ ცხენზე მჯდომი უფლისწული კი სწორედ იმიტომაც ნამდვილი რაინდი, რომ თავის საოცნებო, ყველაზე კარგ გოგოს უცხო სამეფოში ჩააკითხოს. მაგალითად, კლდეკარში.



რა არის საჭირო ბედნიერი სიბერისთვის? კარგი დარი, თუთუნი, ერთი მუჭა ნიგოზი და ბევრი შვილიშვილი, რომლებსაც ძალიან უყვარხარ.

ზემო აჭარაში, თხილვანასა და კალოტას შორის მცხოვრებ ბატონს ეს ყველაფერი უკვე აქვს და, როგორც ჩანს, მეტი არც არაფერი უნდა.



ერთი ბრიყვეული სიმღერა იყო, დაახლოებით, ასეთი შინაარსისა: „იქ რა დაგიკარგავს, პატარავ? იქ შიმშილია“.

კამბოჯაშიც, ცოტა არ იყოს, შიმშილია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ პატარა, ლამის ქვაბისხელა კამბოჯელს სამზარეულოს მაგიდაზე აღმოჩენილი გაუგებარი ნივთი ნაკლებად აინტერესებს, ვიდრე რომელიმე ოლიგარქის შვილს – ძვირფასი სათამაშო. ბავშვებმა ყველაზე კარგად იციან საინტერესო სისულელებების ფასი.



რა კარგი დარია! რა ლამაზი მისიური მაჩუქეს! როგორი ტკბილი, ტკბილზე ტკბილია ბიძიას ჩამოტანილი საზამთრო! თან, შეგიძლია გემრიელად მიირთვა, როგორც შენს გულს გაუხარდება, ხელებიც დაისვარო და კურკებიც გადმოაფურთხო, იმიტომ, რომ გორელოვკაში ნერვებს არავინ აგიშლის და არავინ გეტყვის, – სუფრასთან როგორ იქცევი, ბიჭო, ნესიერად ჭამეო.

ბოშური ნათქვამია: „თუ უბედური ბავშვის ნახვა გინდა, მდიდარი კაცის კართან მიდიო“.

ვილაცას უთქვამს, – ჯავახეთის ზეგანი მეორე ციმბირიაო, – და მწარედ შემცდარა. რა შედარებაა! დალოცვილ ციმბირში ხალხი ყოველთვის ცხოვრობდა, აქ – არასოდეს, სანამ ღმერთმა დუხობორებს არ უბოძა ეს მიწა და ეს პური, დუხობორი პაპას მიერ გამომცხვარი.

ნახეთ, როგორი პურია! ზუსტად ისეთი, ლოცვაში რომ სთხოვენ ხოლმე უფალს მის იმედად მყოფი ადამიანები.



ლაოსელ ძროხას არავინ აწყენინებს. ის ძროხაა, ანუ დედა და თან ცოტა ნახევარღმერთი. ლაოსი დიდი კეთილდღეობით არ გამოირჩევა, მაგრამ ძროხას მაინც არავინ შეჭამს, რადგან იმის მოკვლა, ვის რძესაც სვამ, სხვა თუ არაფერი, უმადურობაა.

თავის ღვთაებრივ ბუნებაში დარწმუნებული ქალბატონი ძროხა ბევრად უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა: მან იცის, რომ წუმპე მხოლოდ ერთი შეხედვითაა წუმპე, სინამდვილეში კი იქ ლოტოსი ყვავის.



# URBAN REACTOR

## SOS!!! ექსკლუზიური უბანი

[www.ureactor.blogspot.com](http://www.ureactor.blogspot.com)



სივრცე, როგორც საზოგადოების იდეოლოგიის მაფორმირებელი ერთ-ერთი ფაქტორი, ამავე საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებების და თავად საზოგადოების რაობის ყველაზე თვალსაჩინო და ზუსტი მაჩვენებელიც არის. ამ ღირებულებებს მიღმა იგი ზედმინევით ასახავს დომინანტურ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ტენდენციებს და მათ დინამიკასაც. (პერიფრაზი **Lefebvre, H. Production of Space**).

**GATED COMMUNITY** – ქართულ სიტყვიერებაში, საბედნიეროდ, ჯერ არ დამკვიდრებულა. პირდაპირი გაგებით, ყველაზე მიახლოებული განმარტება არის „იზოლირებული საცხოვრებელი უბანი“, მაგრამ თუ ტერმინს ქართულ რეალობასაც მივუსადაგებთ, მაშინ უფრო გასაგებად ჟღერს – ექსკლუზიური საცხოვრებელი უბანი. თუმცა, სანამ ქართულ რეალობაზე გადავიდოდეთ, ჯერ თავად ფენომენის შესახებ...

იზოლირებული საცხოვრებელი უბანი წარმოადგენს კერძო საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებულ ტერიტორიას, რომელიც შემოღობილი და დაცულია მაცხოვრებელთა მყუდროების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. უმეტეს შემთხვევებში, ასეთი ტერიტორია აღჭურვილია ზედამხედველობის კამერებით, ხშირ შემთხვევაში, ასევე, ემსახურება დაქირავებული დაცვა. მაღალი კლასის ან „ელიტური“ საცხოვრებელი კვარტალი ხშირად უზრუნველყოფილია სხვა ავტონომიური ფუნქციებითაც: სპორტული მოედნებით, საცურაო აუზებით, კლუბით, საბავშვო ბაღით და სხვა. ასეთი უბნების სასიცოცხლოდ აუცილებელი ელემენტია ახლომდებარე სავაჭრო-სარეკრეაციო ცენტრი (**Shopping mall**), რომელიც თანამედროვე ურბანული სივრცის კიდევ ერთ ატრიბუტად ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განაშენიანების რეალური სამშენე-

ბლო ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს მომხმარებლის კონკრეტული სეგმენტის მიხედვით, ეს დიდად არ მოქმედებს მყიდველთა ენთუზიაზმზე. მათ უმრავლესობას ასეთი საცხოვრებელი კვარტალი უკეთესი სოციალური სტატუსის დამკვიდრების საშუალებად მიაჩნია. პრესტიჟის, სოციალური სტატუსისა და უსაფრთხოების თუნდაც მხოლოდ მოჩვენებითი გამოხატულება ის ელემენტებია, რაც იზოლირებულ საცხოვრებელ უბნებს საზოგადოების თვალში სასურველ საცხოვრებელ გარემოდ აქცევს. ასეთ შეხედულებას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ საზოგადოების პრივილეგირებული წევრები უპირატესობას ანიჭებენ ექსკლუზიურ უბნებში ცხოვრებას. შესაბამისად, საზოგადოების შემეცნებაში მკაფიოდ იდება მიჯნა უბნის შიგნით და გარეთ მაცხოვრებელთა შორის: შიგნით – უსაფრთხოება, ქონება, პრივილეგია, გარეთ – ქაოსი.

ამ სახით დანახული იზოლირებული საცხოვრებელი უბნები სოციალური უთანასწორობის, საზოგადოების პოლარიზაციის სივრცით მანიფესტაციას წარმოადგენს და, თავის მხრივ, განაპირობებს მისი მაცხოვრებლებისა და გარესამყაროს ურთიერთობის სპეციფიკას. ეს უბნები თავისუფალი ბაზრის მიერ დამკვიდრებული მომხმარებლური კულტურის პროდუქტია და ერთგვარად ხელს უწყობს მომხმარებლურ ცხოვრების წესს და მისგან გამომდინარე სოციალურ ურთიერთობებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელიც გადანაწილებულია იდეალურ, უსაფრთხო „კუნძულებს“ შორის მანქანით გადაადგილებაზე, ადგილი არ რჩება სხვა რეალობისთვის. რეალობისთვის, რომელიც სავსეა სილატაკით, ავადმყოფობით, მტვრით, ნაგვით და ყველაფერი იმით, რისი დანახვაც ექსკლუზიური უბნების კეთილსინდისიერ მაცხოვრებლებს უბრალოდ აღარ სურთ.

თუკი განვაზოგადებთ, ექსკლუზიური და იზოლირებული საცხოვრებელი უბნები ბევრი სხვადასხვა ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ ჩვენ გარშემო. ხშირ შემთხვევებში ასეთ უბნებს ფიზიკური ღობე არ გააჩნიათ, თუმცა ისინი საზოგადოებას ისევე მიჯნავენ, როგორც ტიპიური **Gated Community**.

ვილაციისთვის საზოგადოების ასეთი სეგრეგაცია შეიძლება ყოველად ნორმალური, დამსახურებული და მისაღები მოვლენაა. ვილაციისთვის ეს ხელსაყრელი ახალი პროდუქტი და ფინანსურად მომგებიანი „სიკეთეა“. ამ „სიკეთის“ საქართველოში დანერგვის შესახებ „სასიხარულო“ ინფორმაციას ქართული საზოგადოება უკვე ეცნობა თვალისმომჭრელი სარეკლამო კამპანიებიდან. სარეკლამო აბრები აღფრთოვანებით გვამცნობენ „თანამედროვე“, „ელიტური“, „ექსკლუზიური“ მშენებლობების შესახებ და „უსაფრთხო“ და „ჯანმრთელი“ ცხოვრების გარანტიას გვთავაზობენ. დაქირავებული დაცვა, კონსიერჟი, ძიძებით მომსახურებაც კი!!! ყველა ეს საოცნებო სიკეთე უკვე ჩვენ ხელთაა, თუმცა ვიდრე ამ ახალ მოდას ჩვეული ენთუზიაზმით ავიტაცებდეთ, ალბათ ჯობს დაფიქრდეთ ამ „სიკეთის“ მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ალბათ ჯობს, გავიხედოთ ყოველდღიური რუტინის მიღმა და დავინტერესდეთ იმ პროცესებით, რაც ასეთი უბნების გაჩენას განაპირობებს და იმ ცვლილებებით, რასაც ასეთი ცხოვრების წესის ფართოდ დანერგვა უქადის საზოგადოებას და ურბანულ სივრცეს.



# პაატა ქურდაძე რაფაელის სახარება

[www.paatakourdadze.blogspot.com](http://www.paatakourdadze.blogspot.com)



საქართველოში წიგნებზე ან კარგს ამბობენ, ან საერთოდ არაფერს. ამიტომ ქართული ლიტერატურა ნელ-ნელა კარგად ბალზამირებულ მიცვალებულს ემსგავსება, რომელიც თავის უკანასკნელ და სამუდამო სარეცელში არცთუ ისე ცუდად გამოიყურება.

რაფაელ გლუქსმანისა და მიხეილ სააკაშვილის, „მე თქვენ თავისუფლებათზე გესაუბრებით“, იმ წიგნების რიცხვს განეკუთვნება, რომელზეც, საქართველოსი არ იყოს, არ საუბრობენ, არ წერენ, არც კარგს, არც ცუდს... ეს ის წიგნია, რომლის მსგავსებაც გამოცემიდან ორიოდ წლის შემდეგ ბუკინისტების შესასვლელელებში იმ კალათებში წააწყდებით, რომელსაც აწერია „ყველაფერი 2 ევროდ“, რაც გასაკვირი ალბათ თავად ბატონი გლუქსმანისთვისაც არ უნდა იყოს; იქნებ გულში ოცნებობდეს კიდევ, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა გაიგოს საფრანგეთში იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავა კლამომარჯვებულ მდივნად საქართველოს ვარდისფერ პრეზიდენტთან... უკვე წინასიტყვაობაში თვითონვე თადარიგს იჭერს:

„ზოგიერთი ალბათ პროპაგანდის მცდელობაში შეიტანს ეჭვს. მე ასეთებს ვეტყვი, რომ ჩემი „ფერადი რევოლუციების“ მხარეს ანგაჟირებამ არა მხოლოდ იმის საშუალება მომცა, პირველს მიმელო გულახდილი ახსნა-განმარტებები, არამედ აგრეთვე საშუალება მომცა, დამესვა უხერხული და გამაღიზიანებელი კითხვები არასრულყოფილი, არაღამაჯერებელი და კრიტიკას დაქვემდებარებადი დემოკრატიის პრეზიდენტისათვის. თქვენ შეგიძლიათ არ ჩათვალოთ დამაჯერებლად ზოგიერთი მისი პასუხი, მაგრამ მოსმენას ისინი უდავოდ იმსახურებენ“.

(რაფაელის სახარება. წინასიტყვაობა)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორასგვერდიანი თავისუფლების ბიბლია 2008 წლის ნოემბერში გამოიცა. ომიდან სამ თვეში. მე ყოველთვის მაკვირვებდნენ ადამიანები, რომლებიც ასე სწრაფად, პატარა ნამცხვრებზევით აცხობენ წიგნებს...

ჩემთვის ამ ნაწარმოების მთავარი ინტრიგა წინასიტყვაობის ეს აზრ-  
ცია. მართლაც საინტერესოა, როგორ მოახერხა რაფაელ გლუქსმანმა  
გამალიზიანებული კითხვების დასმა კაცისთვის, რომელსაც საქართვე-  
ლოს ჟურნალისტთა მთელი არმია ასეთი კითხვებით უიმედოდ დასდევს,  
უკვე 5 წელია. და საერთოდ, საინტერესოა, რას თვლის გლუქსმანი არა-  
სასიამოვნო და გამალიზიანებულ კითხვებად? სწორედ ეს ინტრიგა გახდა  
მიზეზი, რის გამოც, ერთ-ერთი იშვიათთაგანი გავხდი, ვინც ეს წიგნი ბო-  
ლომდე წაიკითხა.

იშვიათად მინახავს, ადამიანს ასე ხალიჩასავით გაეფინოს კითხვები ინ-  
ტერვიუერისთვის. ამას უდავოდ საბჭოთა ჟურნალისტიკის დიდი გამო-  
ცდილება სჭირდება, რაც რაფაელ გლუქსმანს არანაირად არ შეიძლება  
გააჩნდეს, ამიტომ პასუხი მარტივია. ჩემი აზრით, ის გარკვეული დროის  
განმავლობაში უბრალოდ იწერდა პრეზიდენტის საუბრებს, რომლე-  
ბიც შემდეგ „დამონტაჟა“ და ბოლოს კითხვებზე შეუსაბამა. შემიძლია  
ალალებზე გადავფურცლო წიგნი და რამდენიმე შემთხვევით მოხვე-  
დრილი კითხვა გადავითარგმნოთ. თავად დარწმუნდებით, რომ მათგან  
არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც სააკაშვილს უხერხულ მდგომარე-  
ობაში ჩააყენებდა.

აი, მაგალითად, ამონარიდი წიგნის სულ პირველი გვერდებიდან, თავი-  
დან, რომელსაც „ომი“ ჰქვია.

რ.გ. შეგიძლიათ დეტალურად გაიხსენოთ დღეები, რომლებიც კონფლი-  
ქტს წინ უძღვოდა? რა მომენტში იფიქრეთ, რომ ომი მზადდებოდა?

მ.ს. მანამდე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გადამწყვეტი დარტყმა  
აფხაზეთიდან წამოვიდოდა. წინა თვეებში, რუსების მზადების შემხედვა-  
რე, ყველა ვვარაუდობდით, რომ აგვისტო ცხელი თვე იქნებოდა; ასევე –  
იალტის სამიტზეც, სადაც ბევრი რუსი იყო წარმოდგენილი, პუტინისტიც  
და ანტიპუტინისტიც, ყველა საქართველოსთან გარდაუვალ ომზე ლაპა-  
რაკობდა. ისე მესალმებოდნენ, როგორც სიკვდილმისჯილს. და ბოლოს,  
რუსების მიერ აგვისტოში კრიზისების შექმნის მიდრეკილება, როცა და-  
სავლეთში ყველა არდადეგებზეა. თუმცა ასეთ მღელვარებებს მიჩვეულნი  
ვიყავით.

ჩემს მეუღლესა და შვილებთან ერთად იტალიაში, სპაში ვიყავი, როდე-  
საც მივხვდი, რომ შესაძლოა, რაღაც სახიფათო მზადდებოდა. ეს ივლი-  
სის ბოლო იყო. ჯერ ჩემმა თავდაცვის მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა  
დამირეკა და მითხრა, რომ ორასი რუსული ტანკი აფხაზეთში შედიოდა.  
ვუბრძანე, რეაგირება არ მოეხდინა და უბრალოდ შეეტყობინებინა ამე-  
რიკელებისა და ევროპელებისთვის რუსების მიერ საერთაშორისო შეთან-  
ხმებების ეს მორიგი დარღვევა.

მოვითხოვე, რომ არანაირი პროვოკაციის წინაშე უკან არ დაგვეხია;  
მით უმეტეს, აფხაზი სეპარატისტები ჩვენთან კონტაქტში შემოვიდნენ,  
რომ გავფართოვებინეთ: რუსები მათ დროდადრო უბიძგებდნენ, ჩვენი  
მესაზღვრეებისთვის კანტიკუნტად ესროლათ. ისინი გვთხოვდნენ, თუ  
პრორუსული დაჯგუფებები ჩვენ ხაზს შეუტყვედნენ, რეაგირება არ მო-  
გვეხდინა.

ამ დროს ოსეთში სიმშვიდე იყო. სეპარატისტებს შორის რამდენიმე ან-  
გარიშსწორება მოხდა, მაგრამ ისეთი არაფერი, ჩვენ რომ დაგვმუქრობო-  
და. ჩვენ ამ დაძაბულობას აღვიქვამდით ბანალურ მაფიოზურ ბრძოლად  
რუსული ფულის გასაყოფად. შემდეგ სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია  
პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მოსკოვიდან დაბრუნდა, სადაც, როგორც

მან განაცხადა, მოსკოვისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს შორის კულტურული ურთიერთობების შეთანხმებას მოაწერა ხელი. მისი დაბრუნებისთანავე ქართულ პოლიციასა და ოს მილიციას შორის შეტაკებები დაიწყო. ჩვეულებრივ, ჩვენი საპასუხო სროლის შემდეგ მილიციონერები ყოველთვის აწყნარებდნენ სიტუაციას. ამჯერად კი საპასუხო სროლამ არაფერიც არ დააწყნარა.

მოვლენების განვითარებას ტელეფონით განვიხილავდით. ამავდროულად ვემზადებოდით სექტემბრისათვის, რომელიც ღირსშესანიშნავი მოვლენებით უნდა ყოფილიყო გამოჩენილი: პირველად საქართველოს ისტორიაში ნატო-ს სამიტით, დიკ ჩეინის ვიზიტით და თბილისში პოლ მაკარტნის დიდი კონცერტით... ყოველივე ამის შემდეგ, ერთ დღეს ვრთავ რუსულ ტელეარხს და ვგებულობ, რომ ქართველები ომისთვის ემზადებიან. რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიის დღეს, უკვე გვქონდა 8 აგვისტოსთვის კონფლიქტის დაწყების გეგმა. ეს სიურრეალისტურად გამოიყურებოდა, იმ დროს, როდესაც მე იტალიაში, სპაში ვიყავი, სხვათა შორის უამრავი რუსის გარემოცვაში, ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი მინისტრები კი არდადეგებზე – ზოგი ესპანეთში, ზოგიც საბერძნეთში ...

ამ ტიპის პროპაგანდის მიმართ უნდობლობა ნასწავლი მაქვს. ამიტომ 1 აგვისტოს გადავწყვიტე შემემოკლებინა ჩემი შვებულება იტალიაში და და თბილისში დავბრუნებულიყავი. როდესაც ჩამოვედი, ათასობით ოსი მილიციელი ქართულ პოლიციას უტევდა. ეს უკვე სერიოზულად გამოიყურებოდა. ჩვენ თავდაცვის მინისტრს დავურეკე და ვთხოვე, მარბელადან რაც შეიძლება სასწრაფოდ ჩამოსულიყო. მან სცადა აეხსნა, რომ ბილეთის გადაცვლა ნამდვილი თავსატეხი იყო, რომ ეს ყველაფერი უფრო რუსული ბლეფი იყო. მე დავაძალე და შემპირდა, რომ მეორე დღეს, დილას გამოფრინდებოდა. საბოლოოდ ის მხოლოდ მესამე დღეს ჩამოვიდა... ეს რომ აგისხნათ, თუ როგორ ვემზადებოდით ამ მომენტში ომისთვის: ჩემი თავდაცვის მინისტრი შვებულების დამატებით დღეებს იპარავდა...(რაფაელის სახარება. 1-ლი თავი: ომი. 20-21 გვ.)

აი, ასე შეიკრიბა 3 აგვისტოს, როგორც იქნა, თბილისში ჩვენი სახელისუფლო, და განსაკუთრებით თავდაცვის აპარატი. უნდა ითქვას, ომს სულზე მოუსწრეს... პრინციპში, ეს ომიც ისე სწრაფად დამთავრდა, რომ თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილს შვებულების ერთი-ორი დღე კიდევ რომ „მოეპარა“, ომი შეიძლება მარბელას მზიან პლაჟზე, ტელეფონით ხელში შეზღონგზე წამოკოტრიალებულს „გადაეგორებინა“. როგორც





ამ ტიპის პროპაგანდის მიმართ უდმოგლოვა ნასწავლი  
 აქვს. ამიტომ 1 აპრილს გადავწყვიტე შევემოქლა ჩემი  
 შვილებს იტალიაში და და თბილისში  
 დავბრუნებულყავი. როდესაც ჩამოვედი, ათასობით  
 ოსი მილიციელი ქართულ პოლიციას უტავდა. ეს უკვე  
 სერიოზულად გამოიყურებოდა.

პრეზიდენტი აღნიშნავს, მთელი ხელისუფლება ევროპის კურორტებზე იყო გაფანტული (იმედი მაქვს, არა იაფფასიანი კემპინგებში). როგორც ჩანს, ომისთვის მათ სულაც არ ეცალათ. საერთოდ, რა უსინდისობაა, რა დროს ომი იყო ამ შუა აგვისტოში... ხომ შეიძლებოდა სექტემბრამდე დაეცადათ, სადღაც პოლ მაკარტნის კონცერტსა და თბილისობას შორის, შემოდგომის რომელიმე მოსაწყენ წვიმიან დღეს...

ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი თუ მართლაც ასე მოხდა და ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მართლაც უამბო რაფაელ გლუქსმანს, ტექსტის ამ ფორმით გამოქვეყნება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის ფრანგი მეგობარი ან აბსოლუტურად არაკომპეტენტურია პროპაგანდაში, ან საერთოდ, მისი მეგობარი კი არა, მტერია. არის კიდევ მესამე ვარიანტი, რომ ბატონი გლუქსმანისთვის ჭეშმარიტება მეგობრობაზე მაღლა დგას... რაშიც მე სერიოზულად მეპარება ეჭვი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ წიგნს წმინდა წყლის, თუმცა დაბალი ხარისხის პროპაგანდად ვთვლი.

არანაკლებ საინტერესოა წიგნის მეორე თავი „საბჭოთა ახალგაზრდობის წლები“, სადაც ასევე აბსოლუტურად ახალ, დღემდე უცნობ ფაქტებს ვგებულობთ პრეზიდენტის ცხოვრებიდან.

მაშინ, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი ჯო დასენს უსმენდა, იხსენებს ყოფილი პატარა ბიჭი: „მარა (მარა ჭავჭავაძე, ფრანგულის მასწავლებელი) თავისთან კასეტაზე ჩანერილ ივ მონტანის „მკვდარ ფოთლებს“ „პარიზის ცის ქვეშ“ ... და ჟილბერ ბეკოს „ნატალის“ მასმენინებდა... ამ ორ ანდერგრაუნდის მომღერალთან შეხების საშუალება იმხელა შოკი, არისტოკრატულობის ნიშანი და სიამოვნება იყო...“ (რაფაელის სახარება. მე-2 თავი: საბჭოთა ბავშვობა. გვ. 61)

ბატონ გლუქსმანს შევახსენებ, რომ 1967 წელს დაბადებული მიხეილი, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, 1975-1977-1980 წლების ამბებს იხსენებს; აგრეთვე ვეტყვი, რომ ამ დროს ჩვენ, ჯო დასენსა და მირეი მატის კი არა, Led Zeppelin –ის Physical Graffiti და Pink Floyd-ის The Wall-ს ვუსმენდით; უფრო წინ წასულები კი – Sex Pistols-ს და The Clash-ს, ხოლო ნამდვილი ოფიციალური „ანდერგრაუნდის“ წარმომადგენელმა, მუსიკალურმა ტელეკრიტიკოსმა, ჟენია მაჭავარიანმა ერთხელ სადღაც ნაშოვნის პანკების კლიპებიც კი გვაჩვენა გადაცემაში „ეს ესტრადაა“. ამ გადაცემის ეთერში გაშვების დროს თბილისის ქუჩები ისე ცარიელდებოდა, თითქოს კომენდანტის საათი იყო გამოცხადებული... თუმცა მე ამას საბჭოთა როკ ნ როლ -ის საათს უფრო დავარქმევდი.

საერთოდ, ჟილბერ ბეკო არავითარი ანდერგრაუნდი არ ყოფილა, არც ივ მონტანი. არც თბილისში, და მით უმეტეს – არც პარიზში. თუ არ ჩავთვლით ამ უკანასკნელის მიმართ საჭოთა პარანოიკი იდეოლოგიების წყენას: ის როგორც მეფე ისე მიიღეს მოსკოვში, მან კი, „უმა-



უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორასგვერდიანი თავისუფლების ბიულენი 2008 წლის ნოემბერში გამოიქვეყნა. მიიღეს სპეციალური. ამ ყოველთვის მაქვირვებდნენ ადამიანები, რომლებიც ასე სწრაფად, პატარა ნამსხვრავივით ასწობენ წიგნებს...

დურმა“, პარიზში დაბრუნებისთანავე არცთუ სასიამოვნო სიმართლე თქვა თავის მოგზაურობის შესახებ წითელი სტუმართმოყვარე ბარბაროსების ქვეყანაში... მას შემდეგ გასტროლებზე აღარ იწვევდნენ. საბჭოთა მშრომელ ქალთა მასა კი უგონოდ იყო მასზე შეყვარებული, ამიტომ მინდა დავარწმუნო ახალგაზრდა გლუქსმანი, რომ მისი მოსმენის „არისტოკრატიული პრივილეგია“, შუა აზიელი ქალბატონი ჭავჭავაძისა და პატარა მიხეილის გარდა, სულ ცოტა, ყოველ მეორე საბჭოთა კოლმეურნესა და ზეინკალ ქალს ჰქონდა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ეტყობა, კარგად იცის, როგორ შეძრას სულიერად პატიოსანი, დასავლელი ინტელექტუალი, რომელ დილაკს რა დროს დაჭიროს თითი. მას უნაკლო CV აქვს, რომელიც რაფაელ გლუქსმანს არავითარ კითხვას არ უჩენს: ის უსიტყვოდ ენდობა თავის კავკასიელ ზარატუსტრას, რომელიც, ჩემი აზრით, წიგნის ამ ეპიზოდში გულუბრყვილო გლუქსმანს, ხალხურად რომ ვთქვათ, უბრალოდ აშაყირებს. მაგალითად, როდესაც თავისი ცხოვრების ამ ბუნდოვანი, მაგრამ ფრანკოფონული და ანტისაბჭოთა პერიოდის შესახებ ლაპარაკს ასეთი აზრებით იწყებს:

მ.შ. ჩემი ბიძა დიპლომატი იყო. ის ამერიკაში მოღვაწეობდა და მთელ თავის დროს საბჭოთა რეჟიმის კრიტიკაში ატარებდა, ისევე, როგორც იმ ადამიანების უმეტესობა, რომელიც გარს მეხვია... (რაფაელის სახარება. მე-2 თავი:საბჭოთა ბავშვობა.გვ.55)

როგორც ჩანს, ბატონ პრეზიდენტს მხედველობაში თავისი ბიძა, საბჭოთა კავშირის დამსახურებული დიპლომატი, ბატონი ექს-ამხანაგი ალასანია ჰყავს, რომელიც წლების განმავლობაში საბჭოთა დიპლომატიას წარმოადგენდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. რაზეც უნდა, დავენაძლევები ბატონ ახალგაზრდა გლუქსმანს, რომ პრეზიდენტი ცილს სწამებს ბიძამის საბჭოთა რეჟიმისადმი მოლაღატებრივ საქმიანობაში: ის პატიოსანი ჩეკისტი იყო. სხვანაირად ამდენ ხანს არავინ გააჩერებდა თავისუფლებისა და სამართლიანობის საერთაშორისო მექაში.

რ.გ. თბილისში, მოზარდობის ასაკში იცოდით თუ არა დიდი დისიდენტების არსებობის შესახებ? მიგიწვდებოდათ თუ არა ხელი მათ ხელნაწერებზე? აყოლილი იყავით თუ არა მათ ბრძოლას?

მ.ს. რა თქმა უნდა. სახაროვი, სოლჟენიცინი, ბუკოვსკი ჩემთვის წამდელი გამიჩინეს იყვნენ. მასხოვს მარამ, როგორც ყოველთვის მარამ, ერთხელ ალექსანდრ სოლჟენიცინის „კიბოს კორპუსი“ (Раковий корпус) გადმომცა, რომელიც სიგარეტის ქაღალდზე იყო გამოქვეყნებული, როგორც საერთოდ ყველა იატაკქვეშა ტექსტი. ეს დღე სამარადისოდ დარჩება ჩემს ცხოვრებაში სალი ქვით ამოკვეთილი. ეს ჩემთვის ლიტერატურული და პოლიტიკური აღმოჩენა იყო. კითხვა მის ბინაში დავინწყე, შემდეგ თან წამოვიღე. ქუჩაში ვკითხულობდი ალგზნებისაგან ცრემლებით სავსე თვალებით. იმდენად შთანმთქა ამ სა-

ოცარმა ტექსტმა, რომ შეიძლება სულაც მანქანას გავესრისე. (რაფაელის სახარება. მე-2 თავი:საბჭოთა ბავშვობა.გვ.63)

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ტექსტის კითხვისას ცუდად ჩაცმული პატარა საბჭოთა ინტელექტუალი, სათვალისანი ებრაელი ბიჭი დამიდგა თვალწინ, ვიოლინოთი ხელში, მოსკოვის ჭუჭყიანი თოვლით გალესილ ქუჩაში. საბედნიეროდ, პატარა მიხეილი, სავარაუდოდ, ანტისაბჭოთად განწყობილი დიპლომატი ბიძის გამოგზავნილი „ლევისებით“ დახეტილობდა ალბათ მზიან თბილისის ქუჩებში, რა თქმა უნდა, ვიოლინოს გარეშე, და ამერიკული საღებო რეზინით გამოტენილი პირით. სანამ ეს ჩვენი გულანთებული დისიდენტი საბჭოთა არმიის სამსახურად არ გაუშვეს, იმავე ბიძის რჩევით, თანაც როგორც ამბობენ, არც მეტი, არც ნაკლები – „კაგებეს“ ნაწილში. თუმცა ბატონ გლუქსმანს არც ამჯერად მოსდის აზრად, კითხვა დასვას, როგორ მოხდა, რომ ლამის ანა ფრანკივით იატაკქვეშ გაზრდილი დისიდენტი მიხეილი ორი წლით თავისი საყვარელი ბუკოვსკის, სოლჟენიცინისა და სახაროვის მწვანელების სამსახურში ჩადგა, თანაც შუა პერესტროიკის დროს. გლუქსმანს არც მესამე თავის წერისას გახსენებია სააკაშვილის საბჭოთა წარსული, როდესაც ხელისუფლებისათვის მებრძოლი თაობების კლასიფიკაციას აკეთებს:

მ.ს. საქართველოში ხელისუფლებისათვის სამი თაობა იბრძვის. ისინი, ვინც ბრეჟნევის ეპოქაში გაიარეს ფორმაცია და საბჭოთა ეპოქაში მუშაობდნენ; ისინი, ვინც განათლება მიიღო სსრკ-ს ბოლო წლებში, მაგრამ არასოდეს უმუშავიათ საბჭოთა ატმოსფეროში – როგორც მე; და ისინი, ვინც საერთოდ არ იცნობს საბჭოთა კავშირს, რომლებსაც არც კი ახსოვთ, რომ ჩვენ რუსული ჩექმის ქვეშ ვიყავით ოცზე ნაკლები წლის წინ.

საკაშვილი აცხადებს, რომ: „სსრკ-ს დანგრევის შემდეგ მოსული თაობა იყო, არის და დარჩება ამ ქვეყნის რეფორმების ძრავად (რაფაელის სახარება. 3თავი: რევოლიუცია.გვ.91) საინტერესოა, რა ხნის ბავშვები ჰყავს მხედველობაში? ჩემი ანგარიშით, ისინი ოც წელზე ნაკლები გამოდიან.

როგორც ვხედავთ, ორივე მწერალს კიდევ ერთხელ დაავიწყდა სულ ოცი გვერდის წინ სააკაშვილის ცხოვრებაში ქვით ამოკვეთილი მოგონებები თავისუფლებისადმი სწრაფვის შესახებ; ან იქნებ მათ მართლაც ჰგონიათ, რომ, სააკაშვილის გარდა, ყველანი ნათელ კომუნიზმს ვაშენებდით, და ამიტომ მხოლოდ მას ეპატიება „კგბ“-ს ჯარსა და კიევის დიპლომატიის ინსტიტუტში მიღებული საბჭოთა ფორმაცია, რომელსაც თვითონ რატომღაც განათლებას ეძახის? და ნეტარ მორწმუნე რაფაელი უსიტყვოდ ეთანხმება. ალბათ ამ საუბრის წამს ორივენი მდინარე მტკვრის პირას სეირნობდნენ ფეხშიშველები, ფეხის დაუსველებლად რიყესა და აბანოთ უბანს შორის, 2008 წლის შემოდგომის, ერთ თბილ, ხავერდოვან თბილისურ საღამოს...

საკაშვილი-გლუქსმანის მისტიციზმითა და სიმბოლოებით სავსე ამ მითოლოგიურ „შედევრზე“ დაუსრულებლად შეიძლება ხალისი და გართობა, ოღონდ ვეჭვობ, რომ ეს წიგნი ამ მიზნით იყოს დანერგილი. ამიტომ მისი ადგილი, როგორც გითხარით, ბუკინისტების იმ კალათებშია, რომლებსაც აწერია „ყველაფერი 2 ევროდ“, თუ შეევაჭრებით, იქნებ 1 ევროდაც დაგიტომონ.



# ყურმოკრული დიალოგებით ანყოზილი ამბავი

ავტორი: თამარ სუნიშვილი

*„ყველა რეპორტაჟი ხალხის შესახებ მოგვითხრობს. ჟურნალისტი არ უნდა მოერიდოს რეალობის ასახვას, რაგინდ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს რეალობა. მაგრამ ჟურნალისტი ასევე უნდა ეცადოს, რომ თავისი ქმედებით ტკივილი არ მიაყენოს საზოგადოებას“.*  
**ნანყვეტი თომსონ როიტერის ფონდის ეთიკის სახელმძღვანელოდან**



– როდესაც განსაკუთრებულად მძიმე სიუჟეტების ასახვაზე მიდგება საქმე, კარგად დაფიქრდით, როგორ იგრძნობდით თავს, თქვენ რომ ყოფილიყავით ამ ამბის გმირი და ეს სტატია თქვენზე რომ დაენერათ? – კითხვას სვამს ტრენერი. ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდება. მერე ნელ-ნელა მსჯელობას იწყებენ.

ტრენინგი „როიტერის“ ოფისში ტარდება, ლონდონში. ათამდე მონაწილეა; სულ ჟურნალისტები, ნაირფერი და ნაირგვარი არადემოკრატიული ქვეყნებიდან; დღის თემა ჟურნალისტიკის ეთიკაა. დავალება ასეთია: ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: „კაი ბიჭები“ და „ცუდი ბიჭები“. „კაი ბიჭები“ სანიმუშო საინფორმაციო სააგენტოს განასახიერებენ და ამ სააგენტოსთვის ეთიკის კოდექსის შექმნაზე მუშაობენ, „ცუდი ბიჭები“ საექვო რეპუტაციის საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომლები არიან და, შესაბამისად, საკუთარი იმიჯის შესაფერის ეთიკის პრინციპებს აყალიბებენ.

– არანაირი შელამაზება, არანაირი გაყალბება, არანაირი... – მსჯელობენ „კაი ბიჭები“.

– დანერე, ჩვენ ვგიჟდებით ჭორებზე, ვიღებთ ქრთამებს, სამუშაოს დროს დაშვებულია ალკოჰოლური სასმელი, სიგარეტი და ნარკოტიკები, ვინაიდან მხოლოდ ასე იბადება გენიალური იდეები, – ისმის დიდი ხორხოცი „ცუდი ბიჭების“ გუნდიდან.

– არანაირი პოლიტიკური სიმპათიები, ჟურნალისტი არ არის მხარე, ჩვენ ყოველ-

თვის ვიცავთ ბალანსს, დაუშვებელია ძალიან ახლო ურთიერთობები რესპონდენტებთან, მით უმეტეს, მაღალჩინოსნებთან.

- ეს რას ნიშნავს, ინტიმურ ურთიერთობებს? - კითხულობს ვილაც.

- ჰო, აბა! - არის პასუხი.

- რა საშინელებაა, უკვე აღარ მომწონს „კაი ბიჭებში“ მუშაობა, - აპროტესტებს ისევ ის ვილაც.

- მგონი, „კაი ბიჭებში“ ბუნტია. ჰა, ძნელია „კაი ბიჭობა“? - ქირქილებენ „ცუდი ბიჭები“.

თამაში დასასრულს უახლოვდება. მერე შედეგებს დააჯამებენ: რა არის ის აუცილებელი ეთიკური ნორმები, რაც ჟურნალისტიკა უნდა დაიცვას?

ჟურნალისტური ეთიკა არ არის მეცნიერება, - ვკითხუ-

სიზუსტე, ყოველთვის გაასწორეთ შეცდომა საჯაროდ, დაცავით ბალანსი და იყავით მიუკერძოებელი, გამონაგონი და პლაგიატი დაუშვებელია, არ გადაიხადოთ ფული და არ აილოთ ქრთამი და ა.შ.

- თუმცა ეთიკურ დილემებს ხშირად მაინც შეჰყავს ჩიხში ჟურნალისტიკები.

- რა თქმა უნდა, ასეა. ამ კითხვებზე ხომ ცალსახა პასუხი არ არსებობს.

- ეგრეა. მზა რეცეპტი არ გვაქვს. ყოველი კონკრეტული შემთხვევა საკუთარ კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

- შენ თავს უნდა ჰკითხო, როგორი იქნება ეს სამყარო, ყველა ჩემსავით რომ მოიქცეს?

- ზოგჯერ ეთიკური დილემის გადაჭრის გზა ასეთია: არ უნდა დანერო, თუ სხვა გამოსავალი არ არის.

**კახინვაში რომ შევიდი, იმ ტიპა ფულის შეპკრა ბადომილო და მითხრა, ახლა ან ანას აიღებ და სტატიას გააქრობ, ან კიღვიო და... სინიკურად ბადომხანდა.**

**- მერა?**

**- არაფერი, ავიღე ფული და ნამოვადი. ისე, კაი ფული კი იყო.**

ლობთ „როიტერის“ ეთიკის სახელმძღვანელოს შესავალში. ეს ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას და იმ საზოგადოების პრინციპებსა და ღირებულებებს, რომელშიც ვიზრდებით და ვცხოვრობთ. ეთიკა ვერ გვასწავლის, თუ რა არის სწორი და რა - არასწორი. ყველაფერი ასეთი მარტივი რომ იყოს, ჩვენ ჟურნალისტებისათვის უნივერსალურ კანონებს ჩამოვყალიბებდით.

დგება დრო, როცა ჟურნალისტიკა უნდა აწონ-დაწონოს და შეაფასოს სიტუაცია: რა საშუალებებით მოიპოვოს სიმართლე და რას მოიტანს შედეგად სიმართლის თქმა? სწორედ აქ შემოდის თამაში ეთიკა.

აი, თუნდაც ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური დილემა: უნდა გაავრცელოს თუ არა ჟურნალისტიკა ინფორმაცია, რომელმაც, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს?

„როიტერი“ ის ორგანიზაციაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჟურნალისტური ეთიკის საკითხებს. „როიტერის“ სააგენტოში ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპები საგანგებო დოკუმენტის სახითაც არის ჩამოყალიბებული. დოკუმენტს Trust Principles (ნდობის პრინციპები) ჰქვია. მათ შორის დასახელებულია ის სამი ძირითადი პრინციპი, რომელთა გარეშეც ჟურნალისტიკის არსებობა უბრალოდ წარმოუდგენელია: დამოუკიდებლობა, პატიოსნება და მიუკერძოებლობა. თითქოს რა მარტივადაა ყველაფერი, არაა?!

- როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს ამ პრინციპების დაცვას თქვენს ქვეყანაში?

- ჰმმმ...

ეს კი ის ღირებულებებია, რომელთა დაცვა „როიტერის“ ყველა ჟურნალისტის მოვალეობაა: ყოველთვის დაიცავით

- არ უნდა დაგავინყდეს, რომ ის, რასაც წერ, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული უნდა იყო, რომ შეგიძლია პასუხი აგო საკუთარ ნაწერზე.

- უბრალოდ უნდა ენდო შენს ჟურნალისტურ ინსტინქტს...

- მართალია, ყნოსვის ტესტიც უნდა დაიხმარო. თუ ამ ამბავს ცუდი სუნი უდის...

\*\*\*

ერთ ქვეყანაში დემონსტრაციებია, მეორეში - კონტრაბანდის ზემი, მესამეში დიქტატურა სულ უფრო მზარდად იკიდებს ფეხს, მეოთხეში ოპოზიციის ცნობილი ლიდერი დაპატიმრეს, მეხუთეში - იქაც დემონსტრაციებია, მეექვსეში - ისევ კონტრაბანდა...

- თქვენთან რა მდგომარეობაა? - ეკითხება ერთი მეორეს.

- აი, ეგეთი რა... - პასუხობს მეორე და კითხვას უბრუნებს, - თქვენთან?

- აი, ჩვენთანაც ეგრე რა... - პასუხობს პირველი და დასძენს, - მაგრამ ჩვენთან ხალხს არ ხოცავენ, მარტო სცემენ, ჯერჯერობით.

დილაა. „როიტერის“ სააგენტოს ოფისში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჟურნალისტები გრძელ მაგიდას უსხედან და ტრენინგის დაწყებას ელოდებიან.

- იცოდეთ, რომ მე მასწავლებელი არ ვარ, ჩვეულებრივი ჟურნალისტი ვარ - თქვენსავით, და ყველანაირად ვეცდები, რომ ჩვენი ლექციები მოსაწყენ სასკოლო ლექციებს არ დაემსგავსოს, - ამბობს ტრენერი, სასიამოვნო გარეგნობის მხიარული და ხუჭუჭთმიანი ახალგაზრდა ქალი და იღიმება.

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, - აგრძელებს, - აქედან არაფერი არ გავა, აქ თქვენი უსაფრთხოება დაცულია, ამ კედლებს ყურები არა აქვთ. რაც ამ კედლებში ითქმება, აქვე

დარჩება. მოდით, ყავა დავლიოთ და ერთმანეთი გავიცნოთ.

აქ ჩართვას გავაკეთებ. რასაც ვყვები, ყველაფერი ნამდვილ ამბებს ეფუძნება, მაგრამ ეს ნამდვილი ამბები შეგნებულადაა არეული ერთმანეთსა და გამონაგონში. პერსონაჟებიც გამოგონილები არიან. რა თქმა უნდა, ჯობდა, ყველაფერი ისე დამეწერა, როგორც იყო – რეალური ამბები რეალური გმირებით. მაგრამ ჩვენ ხომ პირობა დავდეთ, რომ ყველაფერი ერთი პატარა ოთახის კედლებში დარჩებოდა.

ჰოდა, ეს ამბავი შემთხვევით ყურმოკრული, თუ კარგად მიყურადებული დიალოგებით ავანყვე. სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი, რა გამოვიდა. მგონი, „ცუდი ბიჭების“ სააგენტოს ჟურნალისტს დავემსგავსე.

\*\*\*

ტრენინგზე დანყებული დიალოგი სადამოს ლუდხანაში გრძელდება. სასმელისა და ხმადაბალი მუსიკის თანხლებით, უფრო გულღიად.

– რა კარგია, რომ გაგიცანით. მეგონა, მარტო ჩვენ გვექონდა ასეთი პრობლემები ხელისუფლებასთან, თურმე თქვენთანაც ასე ყოფილა. რა სასიამოვნოა, - ამბობს ერთი.

- სამწუხაროა.
- არა უშავს. რას ვიზამ, ოდესმე დავბრუნდები.
- ახლა რას აკეთებ?
- ვტკბები ამ ცხოვრებით. აბა, რა ვქნა, თავს ხომ არ მოვიკლავ. ცხოვრება გრძელდება.
- აი, ეს მომწონს.
- მდინარიდან ქარი წამოუბერავს და პრობლემებსაც თან გაიყოლებს. ვილაც ღრმად ჩაისუნთქავს და ხმამაღლა ამბობს: რა უცნაურია. რამდენი თავისუფლებაა ამ ქალაქში.
- რა შპიონივით იყურები, - ისმის გოგონას კისკისი.
- ნეტა მართლა თუ არის ჩვენს შორის შპიონი? – კითხვობს მეორე გოგონა (ჰო, ეჭვი ფინთი რაღაცაა).
- ნეტაი ერთი შენ, არის და იყოს, - გაეპასუხება მესამე.
- იცი, ჩრდილოეთ კორეადან ასეთ შეკრებებზე ორ-ორნი ჩადიან ხოლმე.
- მართლა?
- მართლა. ან ორი, ან არც ერთი. აბა თუ მიხვდები, რატომ?
- ჰმ, ესე იგი, გადავრჩით, ჩრდილო კორეადან არავინ ჩამოსულა.

– როგორ თქვა იმ დღეს ჩვენმა ტრენინგმა? რალას მახარო ფრანს თქვა.  
 – კი, კი, ნამდვილი ოქროს სიტატაა. ბლოკნოტშიც კი ჩავინერა:  
 „შურნალისტი უფრო მეტია, ვიდრე ეროვნება“.

- კი მაგრამ, რა არის ამაში სასიამოვნო?
- არა, მაპატიეთ. სწორად ვერ გამიგეთ. კი არ მიხარია, თქვენ რომ ასეთი პრობლემები განუხებთ, უბრალოდ, სოლიდარობის ამბავია. მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ამ დღეში.
- აა, მესმის, მესმის.
- ერთი ამათ დამიხედე, რა შეხმატკბილებული საუბრობენ. მე მეგონა, ერთმანეთს ჩაქოლავდნენ.
- რატომ?
- პოლიტიკის გამო. ვერ ხედავ, მაგათ ქვეყნებს შორის რა ხდება?
- არა, რას ამბობ, აბა უყურე.
- ჰო, მაგარია. ძალიან გამიხარდა. წესით, ეგრეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის ეგრე არაა ხოლმე.
- ნეტა შპიონი თუ არის ვინმე ჩვენს შორის?
- შპიონი?
- ჰო, ჰო. რა გიკვირს, ასეთ ინტერნაციონალურ შეხვედრებზე ყოველთვის არის ხოლმე ერთი-ორი კაი შპიონი.
- ჰა, ჰა, ჰა, ჰა...
- ტყუილად გეცინება.
- რას გაიგებ, ჯეიმს ბონდს თითქოს არავინ ჰგავს.
- უკვე ტემზის სანაპიროზე სეირნობენ. ფოტოებს იღებენ და პოლიტიკურ ანექდოტებს ჰყვებიან. სასიამოვნო სიგრილეა.
- შენ ქვეყანაში ველარ დაბრუნდები?
- ვერა, სანამ ისინი არიან.

- \*\*\*
- მოდით, დღეს ერთმანეთთან ინტერვიუები ჩავწეროთ, მერე, ამ ინტერვიუების საფუძველზე, თქვენი რესპონდენტები წარმოგიდგინეთ. ასე უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. თან სახალისოც იქნება, - წინადადება შემოაქვს ტრენერს.
- ტრენერის წინადადებას მაშინვე აიტაცებენ. კითხვებს ბოლო არ უჩანს, დრო ამოიწურა, აბა დავინყოთ, - ისმის ტრენერის შეძახილი ასე ნახევარი საათის შემდეგ.
- ეეჰ, არადა, ახლა დაიწყო ყველაზე საინტერესო ამბები.
- მოგესალმებით, მინდა, წარმოგიდგინოთ ჩემი რესპონდენტი, ბატონი X. ჟურნალისტი გახლავთ. უკვე ათი წელია ამ სფეროში მუშაობს. ჟურნალისტის პროფესია ბავშვობიდან აინტერესებდა. პირველი სტატია სკოლის კედლის გაზეთში გამოაქვეყნა...
- გამარჯობა, ეს ქალბატონი X-ია. ადრე ტელევიზიაში მუშაობდა. ახლა ყოველკვირეულ ჟურნალში უცხოეთის ამბების მიმოხილველია...
- მშვენიერია. მაგრამ ნუთუ ამ ადამიანებს პირადი ცხოვრება არა აქვთ? არც ჰობი? არც სხვა ინტერესები? – ღიმილით კითხულობს ტრენერი.
- უი, ეგ სულ დამავინყდა მეკითხა.
- მეც დამავინყდა.
- რას ბრძანებთ, რალა დროს პირადი ცხოვრებაა, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა, - თითქოს ქილიკობს და არც ქილიკობს ვილაც.

მერე შესვენება იწყება, რა თქმა უნდა, ყავით. ყავის სმა ჟურნალისტიკისთვის ისეთივე აუცილებელია, როგორც ეთიკური ნორმების დაცვა. ყველა ქვეყანაში ასე ყოფილა.

- ვილაცა აფეთქების ისტორიას ჰყვება.
- სულ ახლოს აფეთქდა ჩემს სამსახურთან. იქვე, ლამის ორ ნაბიჯში. ვტაცე კამერას ხელი და გავიქეცი. ჩავაჩხაკუნე თუ არა, პოლიციამ ჩამავლო: შენ აქ რა გინდაო.
- კამერა ჩამოგართვეს?
- ჰო, არ შეიძლება გადაღებაო.
- რატომ?
- ეგრეა. ყველა მედია საშუალებას სახელმწიფო აკონტროლებს, მათი ნებართვის გარეშე ინფორმაციასა და ფოტოებს ვერ გაავრცელებ.
- ეგ რალა უბედურებაა?
- ხალხზე ზრუნავენ, სხვადასხვა ვერსიის კითხვით არ გადაიღალნო.
- მგონი, მალე ჩვენს მედიასაც ეგ ბედი ეწვევა, - ჩაიბურტყუნებს ვილაც.
- ლონდონშიც გამაჩერეს აეროპორტში, - აგრძელებს, - არ მეგონა, საბაჟოზე ფოტოების გადაღება რომ არ შეიძლებოდა. ეტყობა, ტერორისტი ვეგონეთ. მერე აფუხენი, ვინც ვიყავი. ბოდიში მოვუხადე, არ ვიცოდი-მეთქი და გამომიშვეს.
- ამ უბანში ფრთხილად იყავი. ბიზნესცენტრია და საგანგებო დაცვა დგას. ყველგან კი არ შეიძლება ფოტოს გადაღება.
- მაგის ქვეყანაში რა მოხდა, გაიგეთ? - ჩურჩულებენ კუთხეში, - პროდემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი დაიჭირეს. ყველაზე საშინელ ციხეში ჩაუსვამთ, ჯოჯოხეთის ყველაზე ბნელ ხვრელს ეძახიან თურმე იმ ადგილს. ამბობენ, შეიძლება სიკვდილითაც დასაჯონო.
- რა საშინელებაა.
- ჰო.
- მაგათთან სამხედრო დიქტატურაა, არა?
- შინ როდის ბრუნდები? - ფანჯარასთან მაგიდას ორნი უსხედან.


- სამწუხაროდ, ვერ დავბრუნდები.
- ვერა? რატომ? რეჟიმის გამო?
- ჰო, - თავს აქნევს. ერთ-ერთმა სააგენტომ ჩემთან ინტერვიუ ჩანერა. მე მოვუყევი, რა ხდებოდა ჩემს ქვეყანაში, მერე ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა დამირეკა, სკოლაში ვსწავლობდით ერთად, ახლა იმათზე მუშაობს. ახლაც ადექი და აქედან წადიო. იმან გადამარჩინა.
- გამოიქეცი? - თავს უქნევს, - უკვე ორი წელია, აქ ვარ. თავშესაფარი მომცეს.
- მერე შენი ოჯახი? საფრთხე არ ემუქრებათ?
- მამა რომ მომიკვდა, ორი წლის ვიყავი, დედა რომ მომიკვდა - სამის. ბიძაჩემთან ვიზრდებოდი. ცოტა რომ წამოვიზარდე, დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება. აქეთ რომ გამოვიქეცი, ბიძაჩემს მიაკითხეს. იმანაც ეგრე უთხრა: მე რა ვიცი, რას აკეთებს ჩემი ძმისშვილი, რაც გაიზარდა, თვალით აღარ მინახავსო, - და შეეშვენ. ბიძაჩემიც მაგათზე მუშაობს.
- იმედია, ოდესმე ჩახვალ.
- ჰო, იმედია, რალაც შეიცვლება. ჩვენ გვჯერა ცვლილებების, - იმეორებს ობამას სიტყვებს.
- რალაც ძალიან გაინელა ეს ყავის სმა.

\*\*\*

არასოდეს არ გააკეთოთ საკუთარი გამოთვლები და განგარიშებები. რაც უნდა კარგად იცოდეთ მათემატიკა, მერნმუნეთ, აუცილებლად დაუშვებთ შეცდომას, - ღიმილით გვაფრთხილებს ტრენერი, - მხოლოდ ის ციფრები დაასახელებთ, რასაც რესპონდენტი გეტყვით. ერთი ასეთი გამოთქმა არსებობს: ჟურნალისტი+მათემატიკა=კატასტროფა.

- რა შესანიშნავია, - ეს ფრაზა ჯგუფში დიდ გახალისებას იწვევს. ყველას ახსენდება ასეთი კატასტროფის საკუთარი მაგალითი.
- ჰო, ჰო, ციფრებთან ხუმრობა არ შეიძლება, - ამბობს ერთი.

>>> ბაზრქილება გვ. 109





# უკანასკნელი კატერინენფელდელები რევოლუციური არარსებულ ქალაქიდან

ავტორი: რეზო გათიაშვილი



ბოლნისი-კატერინენფელდი-ლუქსემბურგი-ბოლნისი – ეს არც ტურისტული მარშრუტია და არც ავიარეისი. ეს ერთი ქალაქის ისტორიაა.

„ამ ისტორიას ასე მარტივადაც ვერ მოყვები“, – იწყებს 85 წლის კლარა ვალკერი, რომელსაც კატერინენფელდელი ქალბატონები სტუმრობენ – მარგარიტკა, სოფო, სედა, ირა, იულია...

\*\*\*

**მარტივი მოცემულობა – ერთი ქვეყნის ერთ ქვე-ქვეყანაში არის ერთი ქალაქი, რომელშიც დგას ერთი სახლი, სადაც ერთი გოგონა ცხოვრობს. ერთ დღეს ეს გოგო შეიძლება სახლიდან გამოვიდეს და ქალაქიდანაც წავიდეს.**

**თუმცა შეიძლება ქალაქიდან ისე წავიდეს, რომ სახლიდან არც კი გამოვიდეს. ვთქვათ, თვითონ ქალაქი წავიდეს. უფრო სწორად, წაიღონ. ბუნებრივია, ამას გარკვეული დრო დასჭირდება, ვთქვათ, 3 დღე.**

**ასეთ სახლში დარჩენა ძნელია და აქედან გაქცევასაც დრო უნდა, ვთქვათ, 30 წელი.**

**ვრობენ. ჯერ პრინცესა კატერინას, შემდეგ კი როზა ლუქსემბურგის სახელით მონათლული პატარა გერმანული ქალაქი მათ მოგონებებშია ცოცხლდება.**

**კატერინენფელდი, საჰვირაო დღესასწაული, 1932 წელი**

6 წლის კლარა ვალკერის სახლიდან მთავარ ქუჩაზე გასასვლელად როზა ლუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის ქუჩების გადაკვეთა მოგიწევთ. ლუქსემბურგის ქუჩის ბოლოში უზარმაზარი სახლი შეძლებულ მეღვინე შმიდტს ეკუთვნის. შმიდტის სამსართულიანი მარანი საქვეყნოდაა ცნობილი. მეზობლად თავისივე ძმები ჰყავს – ფრანცი და ფრიცი. ოდნავ ქვემოთ ძმები ვიდმაიერების არყისა და კონიაკის ქარხანაა. ამ უზარმაზარ შენობაში ცხენი გაჭენდება. რაც ირგვლივ სოფლებში ყურძენი მოდის, სულ ესენი ყიდულობენ, საკუთარი ტექნოლოგიით ამუშავებენ და დედაქალაქში, თავიანთ მალაზიებში ყიდიან.

გარტენშტრასეს ცაცხვებისა და კაკლების ხეივანში შეძლებული ხალხი ცხოვრობს. დღეს კლარას იქით არც

გამოჰყვა და ლუთერანულ ეკლესიაში, სადაც გერმანიიდან ჩამოტანილი ულამაზესი ორლანი უკრავს, სიმღერის ნებაც დართეს.

დღეს კვირადღეა და პარკიდან დიდი სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული გერმანული მარშები ისმის. ორკესტრს რაიდენბახი დირიჟორობს, შამქორიდან რომ ჩამოსახლდა. ორკესტრის ლოჟასთან გუმბათი, საცეკვაო მოედანი და სკამებია. ქვევით (სადაც 70 წლის შემდეგ ჩოგბურთის მოედანს მოაწყობენ) ჯაზს უკრავენ. ახალგაზრდობაც აქ იკრიბება.

პარკში, „მწვანე მოედანთან“ და „ნითელ კლდეებთან“ მოწყობილ სამ სცენაზე სამი ორკესტრი ერთდროულად იწყებს დაკვრას და ექო ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში გადადის. არხის კამკამა წყალში თევზები დაცურავენ. წყალი ისეთი სუფთაა, დაღვევაც შეიძლება. თუმცა, უფრო გემრიელი წყარო „ნითელ კლდესთანაა“. მამავერაზე ცემენტის ახალი, ლამაზი ხიდია.

დღეს უბრალო ტანსაცმლით ვერავის ნახავთ. ვერც სამუშაო დღეებში ნახავთ, ვინმემ სადღესასწაულო ტან-

**მარტივი მოცემულობა – ერთი ქვეყნის ერთ ქვე-ქვეყანაში**

**არის ერთი ქალაქი, რომელშიც დგას ერთი სახლი, სადაც ერთი გოგონა ცხოვრობს. ერთ დღეს ეს გოგო შეიძლება სახლიდან გამოვიდეს და ქალაქიდანაც წავიდეს.**

რას იზამ, სახლები და ქალაქები კი არა, ვარსკვლავებიც ქრებიან. მაგრამ გაივლის კიდევ 30 წელი და ღრმად მოხუცებული კლარა ვალკერი უკან დაბრუნებას გადაწყვეტს – ქალაქში, რომელიც არ არსებობს.


კლარას, სედას, მარგარიტკას, სოფოს, ირას და იულიას მშობლიური ქალაქი 1941 წელს წაართვეს. ამის შემდეგ ორი დაბრუნება – ბოლნისიდან მშობლიურ შტუტგარტში და შტუტგარტიდან – მშობლიურ ბოლნისში (კატერინენფელდში). ახლა ისინი ნიგნების, ფოტოების, ასწლოვანი ნივთებისა და დიდი ხნის წინ წასული შმიდტების, ბენცების და კრომერების სამყაროში ცხო-

ვიუნვეს გული; არც კლარას და არც სხვა კატერინენფელდელებს. პირიქით, გარტენშტრასედანაც აქეთ მოდიან, რადგან კლარას სახლი ყველაზე ლამაზი ქალაქის ყველაზე ლამაზად გიგლზეა. აქ პარკია, სილამაზითა და ყვავილების მრავალფეროვნებით მეორე ადგილს რომ იკავებს (სად და რა მასშტაბით – არავინ იცის).

დედას უკვე სადღესასწაულო ტანსაცმელი აცვია, ძმებიც პატარა ჯენტლმენებივით გამოწყობილან. მამა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი პოლკის ორკესტრში კაპელმეისტერად მსახურობდა და ოთხი წლის წინ გარდაიცვალა. მისგან კლარას მუსიკალური ნიჭი

საცმელი ჩაიცვას. კაცებისთვის მკერავი კაცები კერავენ, ქალებისთვის – ქალები.

პარკში ღვინოს არ სვამენ. ღვინოს ყოველდღე სვამენ, საპურზე ღვინის დოქი დგას და უღვინოდ პურს არავინ გატეხავს. დიდი კამპანიებიცაა, სადაც ღვინო წყალივით მოდის. საჭმელებიც გემრიელი აქეთ, განსაკუთრებით, გამოყვანილი ძხვებული და ტკბილეული. დიდი და ხმაურიანი ქორნილები იცინან. ყველაზე დიდი და ხმაურიანი კი მოსავლის ალების დღეა, როცა ეკლესია ყვავილებით, ხილით, მარცვლეულით და ბოსტნეულით ირთვება. ვისაც რა აქვს, ამ „გამოფენაზე“ გამოაქვს.



სალამოს მუნჯური კინოს სეანსია. ერთი თვეა, რაც ფილმები პიანინოს თანხლებით გადის. კინოდარბაზი, ცხადია, საესე იქნება. ხალხი ცდილობს, ისე დაისვენოს, რომ მთელი კვირა ეყოს. ხვალიდან მძიმე მუშაობა იწყება.

აქაც ყველაფერი ზედმინეწით ზუსტადაა გათვლილი. სარწყავი გრაფიკის ბარათი უკვე მიიღეს და ნაკვეთი დათქმულ დროს უნდა მოირწყას. თამბაქოს ბრიგადა მოსავლის ასაღებად მინდორში დილის 3-4 საათზე გავა, დილის 9 საათზე დაბრუნდება, სალამოს 4 საათამდე დაისვენებს და მერე დაღამებამდე იმუშავებს. ამიტომაცაა, რომ აქ არავის უჭირს. აქაური ლვინო, პორტვეინი, არაყი, კონიაკი, თამბაქო, კაკალი, თაფლი, მატყლი, მარცვლეული და ხილი – მთელ საქართველოში იყიდება.

**შვაბების „ალთქმული ქვეყანა“**

1808 წელს გერმანელი მწერალი და მოგზაური იულიუს ფონ კლაპროდი იმერეთის დედოფალ ანას სტუმრობდა. დედოფალმა შვაბიდან რამდენიმე ასეული კაცის იმერეთში ჩამოსახლება სთხოვა. მისი გათვლებით, ეკონომიკაში გათვითცნობიერებული შვაბები ადგილობრივ მენარმეობას ააღორძინებდნენ.

გეგმა არ განხორციელდა. თუმცა, სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ შვაბები საქართველოში საკუთარი ფეხით ჩამოვიდნენ, თანაც გაცილებით მეტნი, ვიდრე იმერეთის დედოფალი წარმოიდგენდა.

„ალთქმული ქვეყნის“ მაძიებელ შვაბთა კონფესია ბადენ-ვუტენბერგიდან (დედაქალაქი – შტუტგარტი) კავკასიისკენ 1817 წელს დაიძრა.

„მეორედ მოსვლის“ შიშით შეპყრობილი ადამიანების დანიშნულების ადგილისთვის დანგრეული ტფილისი, მშენებარე ტიფლისი და მენარმეობის იდეა არ ივარგებდა, რასაც ვერ ვიტყვით მიტოვებულ, ნაყოფიერ მიწებზე, თბილისის სიახლოვეს უფასოდ რომ იშოვებოდა.

გრძელი გზის დასრულების კიდევ ერთი მიზეზი მაღარიც უნდა ყოფილიყო, რის გამოც, ქვემო ქართლის

მშრალ კლიმატს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

თუმცა, გადამწყვეტი როლი მინც ბოლნურმა ჯვარმა, ვაზის ჩუქურთმებმა და კელტიბერულმა სიმბოლოებმა ითამაშა, რაც შვებებს ქართველმა ბერებმა აჩვენეს. ტრაუბენბერგი, ანენფელდი, მარიენფელდი, გეორგსფელდი, ლისპეიტალი, ვალჰაიმი, როზენფელდი და, რა თქმა უნდა, კატერინენფელდიც სწორედ ბოლნისის სიონის (და არა – თბილისის) სიახლოვეს დაარსდა.

ლეგენდის მიხედვით, „აღთქმულ ქვეყანაში“ მოხვედრილ შვებებს ღვთისმშობელი გამოეცხადათ. მერე დიდი წვიმა მოვიდა, მდინარე მაშვერა ადიდდა და ნაპირზე ოქრო გამოიტანა. ღვთისგან ბოძებული სიმდიდრე ქალაქის მშენებლობისთვის მოიხმარეს და სულ მალე იქაურობა „ზღაპრად აქციეს“.

\*\*\*

**1826 წლის 27 აგვისტო – მირზა-ხანმა კატერინენფელდი მინასთან გაასწორა. ქალაქი დაეცა, ხალხი განყდა ან მონად გაიყიდა.**

ჭიშკარი და პატარა ეკლესიაც, სადაც მიცვალებულებს ლოცვებს უკითხავდნენ. ახლა აქ გაზ-კანტორაა. დარჩა ძველი შადრევანი და აივნებიანი, ჭანჭიკებზე აწყობილი მუხის სახლები. დარჩა სტადიონიც, სადაც ერთ დროს გერმანელების გუნდი თამაშობდა.

კლარა ვალკერი: „ჩვენი ცხოვრება ომმა დაანგრია. ყველაფერს ომი ანგრევს. რასაც საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ვაშენებდით, ერთი ხელის მოსმით განადგურდა“.

**ლილი ბაღასახლება**

გადასახლება 1941 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო და სამ დღეში ქალაქი მთლიანად დაიცალა. გადარჩა სულ რამდენიმე, მათ შორის, კლარას ოჯახიც, რომელიც მამის არმიამ სამსახურის გამო დაინდეს.

გადარჩენ ბერიას შვილის აღმზრდელი ალმენტინგერებიც. თუმცა, დროებით. ბერიას გასამართლების შემდეგ ისინი უზბეკეთში გადაასახლეს.

შმიდტები დააპატიმრეს. ფრანცი ციხეში მოკვდა, ფრიცი კი არხანგელსკში აღმოჩნდა. 1956 წელს ბოლნისს

გადასახლებულთა ერთი ნაწილი გზაზე დაიხოცა, ბევრმა პირველი წლების გაჭირვებას ვერ გაუძლო. თუმცა, მინც გადარჩნენ. მალე ყაზახეთიდან წერილები მოვიდა. ლუქსემბურგში გაიგეს, რომ კატერინენფელდელები ცოცხლები არიან. 1970-იანი წლებიდან მათ გერმანიაში დაბრუნების საშუალება მიეცათ. კლარაც შტუტგარტში გაემგზავრა, სადაც ეკლესიის ქოროში მიიწვიეს.

**ღაბრუნება**

წლების შემდეგ კლარა ვალკერი ბოლნისში ჩამოვიდა და კატერინენფელდელების ისტორიები ახლა უკვე შტუტგარტიდან ჩამოიტანა:

„ჩვენებურებს დღე აქვთ დათქმული, „სკოლის მეგობრების შეხვედრის დღეს“ ეძახიან, იკრიბებიან და სულიკოს მღერიან. ერთმანეთს არ კარგავენ, არც ჭირს აკლდებიან, არც მხიარულებას.

ვინც საქართველოში დაიბადა, უკვე მოხუცი პენსიონერები არიან, ყაზახეთში დაბადებულ თაობას კი კატერინენფელდზე წარმოდგენა არა აქვს;

**ბაღასახლებულთა** ერთი ნაწილი გზაზე დაიხოცა, ბევრმა პირველი წლების გაჭირვებას ვერ გაუძლო. თუმცა, მინც გადარჩნენ. მალე ყაზახეთიდან წერილები მოვიდა. ლუქსემბურგში გაიგეს, რომ კატერინენფელდელები ცოცხლები არიან. 1970-იანი წლებიდან მათ გერმანიაში დაბრუნების საშუალება მიეცათ. კლარაც შტუტგარტში გაემგზავრა, სადაც ეკლესიის ქოროში მიიწვიეს.

**1829 წელი – კატერინენფელდს პუშკინი ეწვია და რაც თან ჰქონდა, ყველაფერი მშენებარე ქალაქს შესწირა.**

**1854 წელი – კატერინენფელდში დიდი ლუთერანული ეკლესია აშენდა.**

ეკლესია 1942 წელს დაშალეს და ორღანიც ბავშვებმა სათამაშოებად დანაწილეს. მანამდე მთელი კატერინენფელდი ყაზახეთში გადაასახლეს.

20-ტონიანი მუხის კასრებიც გაქრა და ჭაჭის საწინები ხელნაკეთი დანადგარებიც. ეკლესიის ადგილზე ჯერ კინოთეატრი, შემდეგ – თეატრი, ბოლოს კი სპორტკომპლექსი მოეწყო. სასაფლაოც დაინგრა, მისი ლამაზი ღობე,

მისი „წონჩხილა“ ესტუმრა. როგორც კლარა იხსენებს, ძვალი და ტყავილა იყო და მხოლოდ 46 კილოგრამს იწონიდა.

კლარა ვალკერი: „ხალხს არ სჯეროდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. სახლიდან არაფერი წაუღიათ. ძაღლებიც კი ჯაჭვებზე დატოვეს, მშვიერი საქონელი ქუჩებში ბლაოდა. სულისშემძვრელი იყო. დედა რამდენჯერმე გააფრთხილეს, რომ გადასასახლებლად მომზადებულიყო. მესამედ რომ მოვიდნენ, მახსოვს, პურს აცხოვდა და მოსულეებს „დაემუქრა“, – მე წავალ, მაგრამ ჩემი შვილები აქ დარჩებიანო“.

უზრუნველად ცხოვრობენ და სხვა იდეალებზე აღარ ოცნებობენ“.

და კიდევ...

კატერინენფელდელმა მუსიკოსმა კრომერმა თავისი საქმიანობა ყაზახეთშიც გააგრძელა და გერმანიაშიც. თავის საქმიანობას არც კურტ ბილდინგმაიერი ლალატობს – ნოიშტატსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ღვინის ქარხნები აქვს და მასთან მისულ ქართველებს ჩურჩხელებითაც კი უმასპინძლდება.

ფრიც შმიდტიც ცოცხალია – სწორედ ის ფრიცი, რომელიც 1956 წელს ბოლნისს ჩონჩხის სახით გამოეცხადა.



# ჟორა

ავტორი: ლევან ბარძენიშვილი  
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

ჟორა, იგივე გიორგი პავლეს ძე ხომიზური, იგივე ერნესტ გარაევი, იგივე ნეკობა, იგივე აპარეკ გულაგური, იგივე ოცდაექვსი, დიდი ამერიკელი პოეტის, კარლ სენდბერგის მიერ აღწერილი სებასტიან ბახისა არ იყოს, რიცხვების კაცი იყო, ზვიად გამსახურდიას თარგმანით რომ ვთქვათ,

იგი იშვა დედამინაზე რიცხვთა შესაცნობად.

მან შეუფარდა ათიანებს ხუთიანები, დააკავშირა, შეაყვარა მათ ურთიერთი,

სარეცელი უქმნა ზიარი.

ჟორას შეეძლო დღის სამის თხუთმეტ ნუთზე შეწუხებულს მოერბინა და მშფოთვარედ ეთქვა, ერთ ნუთში შენ ქრისტეს ასაკამდე დაგრჩება ზუსტად

ერთი მილიონი ნუთი! მასვე შეეძლო, ღამით გაეღვიძებინე და ეხარებინა, ზუსტად ორმოცდაათხუთს ნამში განთავისუფლებამდე დაგრჩება 44 444 444 ნამი!

მან გააღვიძა ორიანები, ოთხიანები, განუფრთხო მათ ძილი ყრმობისა, კვლავ შეულოცა და დააძინა.

თითქმის მთელი ზონა ჰყავდა რიცხვების ბუქსირზე აყვანილი და ექვს და ცხრანიშნიანი რიცხვებით დარეტიანებული, მოულოდნელი და უცნაური სტატისტიკით გაბრუებული და დატერორებული. ბუნებრივია, ამოდენა მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად მუდმივად რალაცას წერდა და ანგარიშობდა. არათუ ყველა პატიმრის დაბადების დღე, არამედ

მათი მეუღლეებისა და შვილების დაბადების დღეები, ყველა პოლიტიკური პატიმრის (არა მხოლოდ ჩვენი ზონის, არამედ პერმის პოლიტიკური ზონების პატიმრებისაც) დაპატიმრებისა და განთავისუფლების დღე, ბუნებრივია, ზეპირად იცოდა. მაგალითად, იცოდა, რომ 21 მაისი არის ანდრეი სახაროვის, მაშა ხომიზურის, მიშა სკრიპკინისა და საქართველოს რესპუბლიკური პარტიის დაბადების დღე, რომ ეს არის წელიწადის 141-ე (ნაკიან წლებში 142-ე) დღე, რომ ჩვ.წ. 878 წელს სწორედ 21 მაისს სირაკუზი დაიპყრო მუსულმანმა სულთანმა, რომ 1674 წელს ამ დღეს არისტოკრატებმა იან სობეცკი პოლონეთის მეფედ და ლიტვის დიდ ჰერცოგად აირჩიეს, რომ 1972 წლის 21 მაისს მიქელანჯელოს „პიეტა“ რომის წმინდა პეტრეს ბაზილიკაში სულიერად აშლილმა უნგრელმა ვანდალმა, სხვათა შორის, გეოლოგმა (ამას, როგორც გეოლოგი, მაგრამ სულიერად ნორმალური, ხაზს უსვამდა) ლასლო ტოთმა დააზიანა და ასე შემდეგ; მის უკიდევანო ცოდნას არც დასაწყისი ჰქონდა, არც დასასრული. უზარმაზარ გამოთვლით მანქანასავით სულ ჩართული იყო, ანგარიშობდა და ანგარიშობდა თავდაუზოგავად. რაც მთავარია, ამ ანგარიშში იყო სიზუსტე, ოღონდ რას ემსახურებოდა ეს ხისტი სიზუსტე, არავინ იცოდა. არავინ უწყოდა, რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ამა თუ იმ მოვლენამდე დარჩა ამდენი ან იმდენი წელი, საათი, ნუთი ან ნამი. თუმცა, რა ნათქვამია, რომ არავინ უწყოდა – თვითონ ჟორამ ხომ უწყოდა.

მან უწყოდა სიყვარულის, ბედის რიცხვები,

მან უწყოდა, ვით შეიქმნა და შეკავშირდა

ჩვენს პოლიტიკურ ბანაკში შედარებით დაბალი საგანმანათლებლო სფეროს მქონე სამხედრო და მანქანაშენებელი იმდენი, რომ წელიწადი შედგება ზუსტად ორი ხომიჭური და ერთი ჟორიკი (2H1h) კვირისაგან, რომ ბრეჟნევიმ სამ ხომიჭურს სამი წელი დააქლო, რომ 1985 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ჟორას, ლევან ბერძენიშვილს, ჯონი ლაშქარაშვილს და რაფაელ პაპაიანს თითო ხომიჭური კბილი ჰქონდათ, ხოლო 1986 წლის 1 იანვრის მონაცემებით, აღნიშნულ პირებს უკვე ერთად ჰქონდათ ორი ხომიჭური კბილი, რომ ცამეტი თარსია, რადგან არა სრული, არამედ მხოლოდ ნახევარი ხომიჭურია, რომ ჩვენ ბანაკში ბილნსიტყვაობის ჭეშმარიტი და საყოველთაოდ აღიარებული ჩემპიონი, საბჭოთა პოლივიტამინების – უნდევიტისა და დეკამევიტის შემოქმედი, არნოლდ არტურის ძე ანდერსონი ორი ხომიჭური წლისა იყო, როცა ნახევარი ხომიჭური მიესაჯა დეკამევიტის ფორმულის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკუთარი ძმისთვის გადაცემისათვის, რომ ჩვენ მიერ შესაქერი ხელთათმანების დღიური ნორმა იყო სამნახევარ ხომიჭურს პლუს ერთი (92 წყვილი) და ა.შ.

ვარსკვლავითი, ზღვა და ხმელეთი რიცხვთაგან.

ზოგადად რიცხვების კაცი იყო, ყველა რიცხვი შევილივით უყვარდა, მაგრამ ერთი რიცხვი განსაკუთრებით დაებედა. ეს იყო ოცდაექვსი. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის საბჭოური მითის გაცამტვერებას მიეძღვნა: ამ მითში აბსოლუტურად ყველაფერი საბჭოთა პროპაგანდის მიერ შეთხზული ტყუილი აღმოჩნდა და ამან მაშინ სრულიად ახალგაზრდა და მისტიკისადმი არამედგე მკვლევარზე, შეიძლება ითქვას, ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა: ჯერ ერთი, ოცდაექვსი ბაქოელი კომისრიდან დახვრეტილი ოცდაშვიდი აღმოჩნდა, მეორეც – მათ შორის მხოლოდ ცხრა ყოფილა კომისარი, საკუთრივ ბაქოელი ყოფილა ორი და ა.შ. იმდენი იკვლია ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის მითი, იმდენი იძახა შაჰუმთან-ჯაფარიძე-აზიზბეკოვი-ფიოლეტოვი (თან თურმე სომეხ-ქართველ-აზერბაიჯანელ-რუს ბოლშევიკთა ყალბი ლიდერობაც ინტერნაციონალიზმისადმი მიძღვნილი ხარკი და მითი ყოფილა, ნამდვილი ლიდერები შაუმთან-ჯაფარიძე-კორგანოვ-პეტროვი ყოფილან), რომ ამ მართლა თარს რიცხვს ველარ მოშორდა: ყველგან შავბნელი ოცდაექვსი და მისი პირქუში მოადგილე, საბედისწერო ცამეტი ელანდებოდა; ხომიჭურის ტელეფონის ნომერი ერევანში ხომ 26-ით იწყებოდა, ციფრების ჯამიც ოცდაექვსი იყო; ნომერი გამოუცვალეს – ციფრების ჯამი 26 დარჩა; კიდევ ერთხელ გამოუცვალეს და ციფრების ჯამი იგივე დარჩა! („მისტიკა!“ – გულწრფელი მღელვარებით ამბობდა ჟორა). ჩემი თბილისის ტელეფონის ნომერს ოცდაექვსამდე ერთი დააკლ-

და! წელიწადი ხომ ორჯერ ოცდაექვსი კვირისგან შედგებოდა! ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხომ სამჯერ ოცდაექვსამდე ზუსტად სამი წელი დააკლდა! მოკლედ, როგორც რუსები იტყვიან, **опять двадцать... шесть!**

ბოლოს და ბოლოს ჟორას მოყვარულმა საზოგადოებამ ჩვენ ბანაკში, რიცხვ ოცდაექვსისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული თავდადებისა და ერთგულების გამო, ოცდაექვსი გაუტოლა ახალ რიცხვით მუდმივას, ერთ ხომიჭურს, რომელიც აღნიშნა ლათინური მთავრული ასოთი H, ხოლო შესანიშნავი პოლიტპატიმრის, მათემატიკოს-ტოპოლოგ ვადიმ ანატოლის ძე იანკოვის ძალიან რთული დამატების მიხედვით, ერთ მეშვიდედს ეწოდა ერთი ჟორიკი და იგი აღნიშნა ლათინური ნუსხური h ასოთი (ლათინური ასოების შეთავაზება ჩემგან მომდინარეობდა). იანკოვის დამატების სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ მან რიცხვ ოცდაექვსში ციფრები შეკრიბა (მიიღო რვა), შემდეგ მიღებულს ერთი გამოაკლო (მიიღო შვიდი) და შემოიღო ერთი მეშვიდედი ანუ ჟორიკი. განსაკუთრებული სირთულე ის იყო, რომ კითხვაზე, ის ერთი რატომღა გამოაკელიო, იანკოვს მოჰქონდა თვითნაკეთი გრიფელის დაფა და უშველებელი სტილუსი, სამი საათი წერდა, შლიდა, ჩხუბობდა, ამტკიცებდა და ყვიროდა, – ასეც თუ ვერ გაიგეთ, მე არაპროფესიონალებისთვის მეტი დაღეჭვა აღარ შემიძლიაო. ამის შემდეგ ჩვენს პოლიტიკურ ბანაკში შედარებით დაბალი საგანმანათლებლო ცენზის მქონე სამხედრო დამნაშავეებმაც კი იცოდნენ, რომ წელიწადი შედგება ზუსტად ორი ხომიჭური და ერთი ჟორიკი (2H1h) კვირისაგან, რომ ბრეჟნევიმ სამ ხომიჭურს სამი წელი დააკლო, რომ 1985 წლის პირველი

იანვრის მონაცემებით ჟორას, ლევან ბერძენიშვილს, ჯონი ლაშქარაშვილს და რაფაელ პაპაიანს თითო ხომიჭური კბილი ჰქონდათ, ხოლო 1986 წლის 1 იანვრის მონაცემებით, აღნიშნულ პირებს უკვე ერთად ჰქონდათ ორი ხომიჭური კბილი, რომ ცამეტი თარსია, რადგან არა სრული, არამედ მხოლოდ ნახევარი ხომიჭურია, რომ ჩვენ ბანაკში ბილნსიტყვაობის ჭეშმარიტი და საყოველთაოდ აღიარებული ჩემპიონი, საბჭოთა პოლივიტამინების – უნდევიტისა და დეკამევიტის შემოქმედი, არნოლდ არტურის ძე ანდერსონი ორი ხომიჭური წლისა იყო, როცა ნახევარი ხომიჭური მიესაჯა დეკამევიტის ფორმულის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკუთარი ძმისთვის გადაცემისათვის, რომ ჩვენ მიერ შესაქერი ხელთათმანების დღიური ნორმა იყო სამნახევარ ხომიჭურს პლუს ერთი (92 წყვილი) და ა.შ.

ჟორას მტკიცებით, ჩვენი პოლიტიკური ზონის ალფანუმერული გამოსახულებაც  $ЖХ\ 385/3-5$  უნდა ნაგვეკითხა, როგორც  $Жора\ Хомизури\ 1+1+(ეს\ Ж\ და\ X\ არისო)+3+8+5+3+5 = 26$  ანუ ჟორა ხომიჭური ხომიჭური, როგორც ჰომო საპინეს საპინეს.

იმ პერიოდში გიორგი ხომიჭურს, როგორც დისიდენტს, ჩვენი ზონის გარდა, არავინ იცნობდა; ძალიან ვიწრო გეოლოგიურ სამეცნიერო წრეებში იცნობდნენ როგორც ნავთობქიმიისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის ვარსკვლავს, ძალიან კარგ გეოლოგს და გეოსინკლინალების შესახებ დაწერილი მოზრდილი მონოგრაფიის ავტორს, მაგრამ მთელ საბჭოთა კავშირში დისიდენტი ან მოდისიდენტო კაცი არ მოიძებნებოდა, ერნესტ გარავეი და მისი წიგნები რომ არ ცოდნოდა.

ერნესტ გარაევი მისი ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო (ფსევდონიმები ბლომად ჰქონდა, სტალინმოძულე „ნეკობა“ – არა-კობადან დაწყებული და, მისი აზრით, მშობლიურ-ხევსურულად გაფორმებული „აპარეკ გულაგურით“ დამთავრებული). სწორედ ერნესტ გარაევის ფსევდონიმით ჰქონდა იატაკქვეშეთში გამოცემული წიგნები „სკკპ ხელმძღვანელობის ისტორია (ფაქტები კომენტარების გარეშე)“, „მითი ოცდაექვსის შესახებ (ოცდაექვსი ბაქოელი კომისრის ნამდვილი ისტორია)“, „დიდი ტერორის ქრონოლოგია“. მე ვეხუმრებოდი, – სახელ ერნესტს შენ ჰემინგუეის სიყვარულის გამო არ დაირქმევდი, აშკარად შენი ტროცკისტულ-მემარცხენე წარსულიდან გამომდინარე, ერნესტო ჩეგევარას სცემდი-მეთქი პატივს, – მაგრამ არასოდეს მეთანხმებოდა, თუმცა დიდ წინააღმდეგობასაც არ მიწევდა.

გიორგი ხომიზური, ქართველი კაცი, ბაქოში დაბადებული, დედის მიერ ბავშვობაში მიტოვებული, სახალისზე გადასახლებული, ამაყი და მარტოხელა ქართველი მამის მიერ გაზრდილი, მოსკოვში ერთი ხომიზური წელი ნაცხოვრები და ერევანში 1982 წელს დაპატიმრებული, გაუტყენელი მებრძოლი იყო. იმ ორასოთხმოცდასამი მილიონ რეაასოცდაოთხი ათასი წამის განმავლობაში, რომელიც საბჭოთა „კაგებეს“ გადაწყვეტილებით, ბანაკებსა და გადასახლებაში უნდა გაეტარებინა, მერყეობისთვის ერთი წამიც არ

დაუთმია. ექვსი წელი მკაცრი რეჟიმის ბანაკი და სამი წელი გადასახლება ჰქონდა მისჯილი; მის თანამოსაქმეს, რაფაელ პაპაიანს შესაბამისად – ოთხი და ორი. მათი მესამე თანამოსაქმე საერთოდ საექვო გარემოებებში დაუძვრა მართლმსაჯულებას, მაგრამ ჟორა ედგარს, როგორც განათლებულ კაცს, მაინც პატივისცემით მოიხსენიებდა. საინტერესო კი იყო, რომ ორი სომეხი და ერთი ქართველი დისიდენტისგან შემდგარი ერევნული დაჯგუფების ხელმძღვანელად სომეხმა ჩეკისტებმა უყოყმანოდ ქართველი ანტისაბჭოელი აღიარეს – ჟორა ამბობდა, – ჩეკისტი ხალხია, სტალინის ფასი ეცოდინებათ, ქრისტიან კავკასიელებში ლიდერი ვინ იქნებოდა, კარგად ხვდებიანო.

ქართველებს და სომხებს სამეურნეო-სამეგობრო „სამხრეთ კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაცია“ გვქონდა ჩამოყალიბებული (კაცმა რომ თქვას, შეიძლებოდა სიტყვა „ქრისტიანული“ არ დაგვეხარჯა, რომ ძალიან ცუდი კაცი, ჯაშუში და სს-20 რაკეტის ნახაზების იუგოსლავიაში ამერიკელებისთვის მიმყიდველი ახპერ რაჯაბოვი ასევე სამხრეთ კავკასიელი, აზერბაიჯანელი არ ყოფილიყო. ასე რომ, სიტყვა „ქრისტიანული“ რაჯაბოვისთვის ფედერაციის კარის ჩასარაზად იყო განკუთვნილი, ხოლო ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის ბრალდებით აზერბაიჯანიდან არავინ ჩაუსვამთ, რომ ცუდი ახპერი კარგი აზერბაიჯანელით შეგვეცვალა). ფედერაციაში

ფედერატების ფინანსური ინტეგრაციის დონე ისეთი მაღალი არ იყო, როგორც ებრაულ ქიბუცში (თვეში ხუთ მანეთს საკუთარი ჭკუით „ვხარჯავდით“), მაგრამ თვეში ერთხელ „ლარიოკში“ პროდუქტების შეძენისას ფედერაციის წევრებს შორის გარკვეული კოორდინაცია მაინც ხდებოდა.

ფედერაციას თავისი კონსტიტუცია ჰქონდა. კონსტიტუციის მამა და ერთადერთი ავტორი იყო გიორგი ხომიზური. ბუნებრივია, არსებობდა ამ კონსტიტუციის წერილობითი ტექსტი, დანერილი ჟორას მიერ რუსულ ენაზე და თარგმნილი რაფაელ პაპაიანის მიერ სომხურ და ლევან ბერძენიშვილის მიერ ქართულ ენებზე (ჩემი იდეა, ეს ტექსტი ლათინურ და ძველ ბერძნულ ენებზეც გვეთარგმნა, ჟორას სასტიკ წინააღმდეგობას წაანყდა, ეს თქვენი სათამაშო არ არის, კონსტიტუცია სერიოზული დოკუმენტია). სამივე ტექსტი მხოლოდ ორიგინალის სახით არსებობდა და ჟორასთან ინახებოდა, მაგრამ იურიდიული ძალა მხოლოდ რუსულ და ქართულ ვარიანტებს ჰქონდა, რადგან პაპაიანს რუსული სკოლა და ტარტუს უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და ჟორა მის სომხურს არ ენდობოდა. კონსტიტუციის მიხედვით, კონფედერაციას მეთაურობდა უხუცესი ანუ სტარეიშინა (ჩისტოპოლის ციხიდან ჰენრიხ ოვანესის ძე ალთუნიანის ჩვენს ბანაკში გადმოყვანამდე ფედერაციაში ასაკით ყველაზე უფროსი ჟორა იყო) და ამ თანამდებობაზე შეიძლებოდა არჩეულიყო მხოლოდ გიორგი პავლეს ძე ხომიზური (ასე ეწერა კონსტიტუციაში: „უხუცესის თანამდებობაზე ასარჩევად შეიძლება დასახელდეს მხოლოდ გიორგი პავლეს ძე ხომიზურის, 1942 წლის 9 თებერვალს დაბადებულის ქ. ბაქოში, ქართველის, კანდიდატურა; მხოლოდ გიორგი პავლეს ძე ხომიზური, ქართველი, დაბადებული 1942 წელს ქ. ბაქოში, შეიძლება აირჩიონ უხუცესის თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუკი გიორგი პავლეს ძე ხომიზური აცილებას მისცემს თავის კანდიდატურას, ფედერაციის წევრები ვალდებული არიან, იგი აირჩიონ ფედერაციის უხუცესად“. ამ, პირდაპირ



შორა აგბობლა, – ჩეჩინსტი ხალხია, სტალინის ფასი ესოდინებათ, ქრისტინან კავკასიათა ლიდარი ვინ იქნებოდა, კარგად ხვდახიანო.



რომ ვთქვათ, არცთუ ისე დემოკრატიული დებულების დასაბუთებაში მოტანილი იყო: ქართული ხალხური სიმღერის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ (ყორასეულ რუსულ ვარიანტში ეწერა «Грузин, саблю доставай») სატექსტო ნაწილი, სტალინის ბიოგრაფიის თბილისური პერიოდის რამდენიმე ეპიზოდი, განსაკუთრებით, კობასა და კამოს ურთიერთობის ამსახველი მომენტები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ ამ არაკანონმორჩილ მოქალაქეთა შორის მკაცრი სუბორდინაციის არსებობას და ზოგი სხვა, ასეთივე მყარი და დამაჯერებელი არგუმენტი).

ფედერაციის კონსტიტუციის მიხედვით, უზუცესის არჩევნებს წინ უძღოდა წინასაარჩევნო პერიოდი, რომლის დროსაც უზუცეს-სტარეიშინას უნდა მოესყიდა ამომრჩევლები თითო ჭიქა ნამდვილი ჩაით (ერთი ასანთის კოლოფი შავი ბაიხის ჩაით ერთ ლიტრ წყალზე, ყენდება თერმოსში თხუთმეტი წუთის განმავლობაში, შემდეგ ხდება მისი „დაქორწინება“, ანუ თერმოსიდან ჭიქაში გადმოსხმა და ისევ თერმოსში

ჩასხმა ზუსტად სამჯერ და დანაკარგების გარეშე, სწორედ ამ დროს იძენს ჩაი ნამდვილ გემოს) და თითო სრული ღერი (როგორც ცნობილია, პატიმრებს ჩვევად აქვთ სიგარეტის ორად გატეხვა) „პრიმა“ სიგარეტით. ჩვენ ლარიოკში „პრიმა“ ძვირი იყო, თხუთმეტი კაპიკი ღირდა (ამავე ფასად ერთი კოლოფი ნეკო მოდიოდა, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე ფილტვების გაშავების უნარით ბარე ათჯერ აღემატებოდა კოლოფ „პრიმას“ და ამდენად, პატიმართა საერთო აღიარებით, უფრო ეფექტიანად, რენტაბელურად და ქმედუნარიანად იყო მიჩნეული).

არჩევნების დღე კვირა იყო (ანუ არჩევნები წელიწადში ორ ხომიზურჯერ ტარდებოდა) და სტარეიშინას ჩაი ერთი ღერი „პრიმის“ თანხლებით იმართებოდა ყოველ შაბათს, საღამოს 8 საათზე – შაბათი საერთოდ სამოთხე იყო, მუშაობა (ცალ – ანუ ცერათითა და რეზინის „ნალადონიკიანი“ ხელთათმანების კერვა) თორმეტამდე, შემდეგ აბანო (ტაშტებით, გოვებით ანუ აბანოს კუტალებით და გამოზოგილი

სარეცხი საპონით, აბა შხაპი, შამპუნი და მისთანები ხომ არ იქნებოდა ევროატლანტიკურ ციხესავით), შემდეგ კინო (ძირითადად, სტალინზე, პიონერებზე, კომკავშირლებსა და კომუნისტებზე, თუმცა ერთხელ შეცდომით ბერგმანის „ფანი და ალექსანდერი“ შემოეპარათ), შემდეგ სტარეიშინას ჩაი და ბოლოს სავალდებულო საინფორმაციო გადაცემა „ვრემია“ პოლიტიუროს დადგენილებით, უთვალავი ტრაქტორით, კომბაინით, მუდმივი მინისძვრით იაპონიაში და უსაშველო ტორნადოებით ამერიკაში.

შაბათობათა ეს შესანიშნავი ტრადიცია დროებით შეწყდა 1986 წელს, როდესაც შორა რამდენიმე თანაზონელთან ერთად მორდოვეთის დედაქალაქ სარანსკის იზოლატორში გადაიყვანეს. ამ გადაყვანის მიზეზი მარტივი იყო, ეს იყო ე.წ. გამოცდა რძით და კვერცხით ანუ ფუფუნებისა და განცხრომის ელემენტებით ანტისაბჭოთა ადამიანის ფსიქიკის შერყევა-შემომნება.

>>> ბაზრქილევა გვ. 110





# ბმირი

ავტორი: ბიორბი მაისურაძე  
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

## ბმირის დაბადების მითოსი

„საით მიისწრაფი, გილგამეშ? სიცოცხლეს, რომელსაც ეძიებ, ვერ იპოვნი! როდესაც ღმერთებმა შექმნეს კაცთა მოდგმა, სიკვდილი დაადგინეს კაცთა მოდგმისათვის, სიცოცხლე კი თავიანთ ხელში დაიჭირეს“, – ამ სიტყვებით მიმართავს უკვდავების მაძიებელ გმირს – ურუქის მეფე გილგამეშს ღმერთი შამაში. ძვ.წ. მესამე ათასწლეულში შექმნილი კაცობრიობის ისტორიის ეს უძველესი ლიტერატურული ნაწარმოები აცნობიერებს ადამიანის სასრულობას და უკვდავების შესაძლებლობაზე პასუხის გაცემას ცდილობს. პასუხი კი საკმაოდ პესიმისტურია: ადამიანი მოკვდავია და მხოლოდ ღმერთებისთვისაა შესაძლებელი მარადიული სიცოცხლე. იმისათვის, რომ ადამიანმა უკვდავება მოიპოვოს, აუცილებელია, მან თავისი ადამიანური ბუნება დატოვოს და ღმერთად იქცეს. ამ გზას კი არა მხოლოდ მითოლოგები და ფილოსოფოსები, არამედ პოლიტიკოსებიც ეძებენ. უკვე თითქმის „გილგამეშის ეპოსის“ შექმნის ხანაშივე ერთმა ადამიანმა – აქადის მეფე ნარამსინმა ეს პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაჭრა: მან საკუთარი თავი ღმერთად გამოაცხადა! ამით კი არა მხოლოდ ხელისუფლების მქონე პიროვნების კულტს ჩაეყარა საფუძველი, არამედ უკვდავება ძალაუფლების სიმბოლოდ, მის მიზიდულობის ძალად იქცა. ძალაუფლების მქონე ადამიანი თამაშობს ღმერთს, საკუთარი უკვდავების ინსცენირებას აკეთებს და ასეთი თვითგამოსახვით სხვებსაც, თავის ქვეშევრდომებსაც აიძულებს მოკვდავ-ადამიანურ ბუნებაზე მისი აღმატებულობის დაჯერებას. მაგრამ ხელისუფლის უკვდავებისათვის მხოლოდ ინსცენირება არაა საკმარისი: აუცილებელია, იგი გარდაცვალების შემდეგ სხვა, ზეადამიანურ რანგში აღზევდეს და ასეთად ჩაიბეჭდოს ადამიანთა მესხიერებაში. ამისათვის კი თავად ასე-

თი რანგის არსებობაა საჭირო, ანუ უნდა არსებობდეს ღმერთსა და ადამიანს შორის კიდევ ერთი, მესამე კატეგორიის არსება, რომელიც ხორციელის, მაშასადამე, მოკვდავის უკვდავად ქცევას შესაძლებელს გახდიდა. ამ შუალედური კატეგორიის არსებებს ძველი ბერძნები ჰეროსს უწოდებდნენ, რაც გმირად ითარგმნება. მეფე გილგამეში, რომელმაც სიცოცხლეში უკვდავება ვერ ჰპოვა, სიკვდილის შემდეგ იქცევა გმირად და ამით ეზიარება ადამიანთა ხსოვნაში მარადიულ სიცოცხლეს.

გმირები არიან ადამიანები, ანუ მოკვდავი არსებები, რომლებმაც ყოველი სულდგმულისათვის გარდაუდებელი ეს ბედისწერა გადალახეს და უკვდავება მოიპოვეს. ისინი საკუთარ არსებაში აერთიანებენ როგორც ადამიანურ, ასევე ღვთაებრივ ნიშან-თვისებებს. მითოლოგებში საკმაოდ არაერთგვაროვანი ცნობებია გმირების წარმოშობის შესახებ: ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ისინი ცალკე სახეობად გაჩნდნენ. ასეთია, მაგალითად, პრომეთე, რომელმაც იმ დროს ჯერ სრულიად უსუსურ ადამიანთა მოდგმას ღვთაებრივი საუნჯეები გაანდო და ისინი ცივილიზებულ არსებებად აქცია. უფრო მეტად გავრცელებული მოტივის მიხედვით კი, გმირები სისხლით ენათესავებიან ღმერთებს – მათი ერთ-ერთი მშობელთაგანი ღვთაებაა, მეორე კი – ადამიანი. ღმერთებთან „გენეტიკური“ კავშირით მათზე ზეადამიანური ძალები გადადის, თუმცა კი უკვდავთა რანგში ამაღლებისათვის ესეც არაა საკმარისი: მათ, როგორც თვით ყველაზე სახელოვანმა ჰერაკლემ, უკვდავება უნდა დაიმსახურონ, თანაც ისეთი საქმით, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომაც მათ გამორჩეულ ქმედებას განსაკუთრებული სახელი – გმირობა ეწოდება.

გმირობა ადამიანური შესაძლებლობების საზღვრების გადაბიჯებას ნიშნავს. ადამიანურ-

გმირობა ადამიანური შესაძლებლობების საზღვრების გადახიჯვას ნიშნავს. ადამიანობა კი მკაცრად განსაზღვრულ სამოქმედო არეალს, საზღვრებსა და ჩარჩოებს ითვალისწინებს, რომლის დარღვევის უფლება არც ერთ მოკვდავს არა აქვს, რადგანაც იგი ამით ღვთაებრივ განზომილებაში იჭრება და, ამდენად, „მწვალებლობს“, საკრალურ დანაშაულს სჩადის. თუმცა კი სწორედ ასეთი „დანაშაული“ თუ ნორმების უგულვებლყოფა გმირის ადამიანურ ბუნებაზე ამაღლებს და გმირად აქცევს.

საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ გმირის ცხოვრება სხვადასხვა სახის „არანორმალურობებისაგან“ შედგება, რაც არა მხოლოდ მის სასწაულებრივ ქმედებებზე, გმირობებზე ვრცელდება, არამედ „არანორმალურია“ თავად გმირის ბიოგრაფიული დეტალები, რომლებიც ხშირად მისი მომავალი გმირობების წინაპირობებად გაიგება: ისინი ან რომელიმე უხილავი ღვთაებრივი ძალის მიერ ან ინცესტის შედეგად ისახებიან, ან არნასურვები და გადაგებული ბავშვები არიან და ასეთი გარემოებები მათ მთელ შემდგომ ბედ-იღბალს განაპირობებს.

თითქმის ყოველთვის გმირის დაბადებას ან ზოგჯერ ჩასახვასაც კი წინ უსწრებს წინასწარმეტყველება, რომელიც მას, პიროვნულ განსაკუთრებულობასთან ერთად, რთულ და უჩვეულო მომავალს ჰპირდება: იგი გამორჩეულად ძლიერი იქნება და ამით საფრთხეს შეუქმნის იმათ, ვის ხელშიც ძალაუფლებაა. ამიტომაც მისი დაბადება უკვე გარკვეულ კონფლიქტს წარმოშობს არსებულ წესრიგთან, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა წინასწარმეტყველება არ ასრულდეს. მიუხედავად ამისა, გმირი გაივლის მრავალ განსაცდელს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და მისთვის ალთქმულ ხელისუფლებას ეუფლება. გამეფებული გმირი კი საკუთარ დინასტიას აარსებს, რომლის წარმომადგენლებიც ასეთი წინაპრის მეშვეობით თავიანთ ღვთაებრივ წამომავლობას და, ამდენად, უკვდავებასთან ზიარებულობას იუნყებიან. ზოგიერთ მითში გმირობა პირდაპირ კავშირშია ძალაუფლებასთან. ანტიკური სამყაროს ყველაზე ტრაგიკული გმირია ოიდიპოსი, რომელიც თავისი გამჭრიახობით ურჩხულ სფინქსს ამარცხებს და ქალაქ თებეს მისგან ათავისუფლებს, რისთვისაც იგი მეფობით ჯილდოვდება. ამავე დროს ეს მითი ძალაუფლების პირველ „კრიტიკასაც“ შეიცავს: ოიდიპოსი, რომელიც, თუმცა უცოდინრად, კლავს საკუთარ მამას და ქორწინდება საკუთარ დედაზე, არის „ტირანი“, რაც ბერძნულად „მეფეს“ ნიშნავს. დემოკრატიული ცნობიერების ძველი ბერძენისათვის ტირანი, ანუ მეფე არის ის, ვინც საკუთარ თავს ადამიანებზე მაღლა აყენებს და ღმერთებს უტოლებს. თუ გავიხსენებთ, რომ ღმერთებსაც ჰყავთ

თავიანთი მეფე – უზენაესი ღმერთი, რომელმაც თავისი ძალაუფლება საკუთარი მამის ან წინაპრის მოკვლით ან დაძლევიტ მოახერხა, მაშინ გასაგები გახდება, რომ ტირანმაც, რომელიც თავს ღმერთს უთანაბრებს, მისი საქციელი უნდა გაიმეოროს – ძალის გამოყენებით ჩაიგდოს ხელში ძალაუფლება, მაშინაც კი, როდესაც იგი ამ ძალაუფლების ლეგიტიმური მემკვიდრეა. მაგრამ ოიდიპოსი არა მხოლოდ საკუთარი მამის მკვლელია, არამედ იგი საკუთარ დედასთან ინცესტის სიმბოლოდაცაა ქცეული. თავად ინცესტის სიმბოლური მნიშვნელობა ანტიკურ სამყაროში განსაკუთრებული ძალებისა და უნარების ფლობას, ზოგჯერ კი პირდაპირ ხელისუფლებას უკავშირდება. როდესაც მდინარე რუბიკონთან დაბანაკებულ იულიუს კეისარს საკუთარ დედასთან ინცესტი დაესიზმრა, მას სიზმრების ამხსნელებმა ასეთი ზმანება ხელისუფლების მოპოვების ნიშნად განუმარტეს. რუბიკონის გადალახვა რომში სამოქალაქო ომის დაწყებას და ხელისუფლების ძალით მოპოვების მცდელობას ნიშნავდა. დედა კეისრის სიზმარში რომს განასახიერებდა, რომელსაც მისი შვილი აუპატიურებს და ეუფლება. ამდენად, ერთმმართველი ტირანი საკუთარი სა-მშობლოს გამაუპატიურებელიცაა. ოიდიპოსი კი, რომელიც საკუთარ დანაშაულს გააცნობიერებს, ითხრის თვალებს, უარს ამბობს მეფის ძალაუფლებაზე და უსამშობლოო ყარობად გადაიქცევა. მისი გმირობა გმირის მთავარი თვისებებისგან – სიძლიერისა და ძალაუფლებისგან გამიჯვნით გამოიხატება და ასეთი გზით იგი განსხივოსნებას, ანუ ღვთაებრივ რანგში ამაღლებას ახერხებს.

**გმირი და ურჩხული**

გმირობის ყველაზე გავრცელებული და უნივერსალური სიუჟეტია გმირის ურჩხულთან ბრძოლა და მისი განადგურება. ჩვეულებრივ, ურჩხული ბოროტების სიმბოლოდ მიიჩნევა, რომელიც სამყაროს შესაქმნის მითებში ქაოსს განასახიერებს. დემიურგი ღმერთი კი ქაოსის დამარცხების შემდეგ ქმნის სამყაროს, რომლის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა კოსმოსი წესრიგსაც ნიშნავს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სამყარო ყოველთვის წესრიგთან იგივდება, რომელიც ქაოსითაა გარშემორტყმული. ქაოსი არის კოსმოსის, ანუ მოწესრიგებული სამყაროს სრული ანტიპოდი: უწესრიგობა, უფორმობა, არაცივილიზებული, რომელიც ადამიანთა პოლიტიკურ ცნობიერებაში უცხოთან და მტერთან იგივდება. მაგალითად, ძველი ბერძენისათვის ამ მტრულ, არაცივილიზებულ სამყაროს მკვიდრებს ბარბაროსები ეწოდებოდათ, ანუ ისეთი არსე-

ბები, რომლებიც ადამიანურ ენაზე, ე.ი. ბერძნულად, ვერ მეტყველებდნენ. ასეთ „ბარბაროსებს“ კი ბერძენი მითოლოგები და თვით ზოგიერთი ისტორიკოსიც კი ურჩხულეზად გამოსახავდნენ.

მითოსურ სამყაროს სურათში ყოველივე უკეთურება ამ გარე ძალისგან, უმართავი სტიქიისაგან მომდინარეობს, რომლის ურჩხულად წარმოდგენაც ყოველივე განსხვავებულის, შეუსაბამოს თუ გაუგებრის დემონიზაციის საფუძველიცაა, რომელიც მუდამ სახის დაკარგვითა და გადაგვარებით ემუქრება ღმერთის შექმნილ სამყაროს და ამ ღმერთის რწმენით გაერთიანებულ ადამიანებს და ქაოსთან პერმანენტულ საბრძოლო მზადყოფნას საჭიროებს. ამ ბრძოლის მაგალითს კი სანიმუშო ზეადამიანები – გმირები იძლევიან, რომლებიც დემიურგი ღმერთის საქციელს იმეორებენ და ამით კოსმოგონიურ სიუჟეტს – ქაოსთან და ბოროტებასთან ბრძოლას – ადამიანებისათვის მისაბაძს ხდიან. გმირის იდეოლოგიური ფუნქციაც სწორედ ესაა: იგი არა მხოლოდ ღმერთსა და ადამიანს შორის შუალედური არსებაა, არამედ ადამიანში ღვთაებრიობის ნიმუში, რომელსაც უნდა მიბაძონ ადამიანებმა!

თანაზიარებაა. როგორც წმინდა გიორგის ერთ-ერთ უძველეს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაშია ნათქვამი, წმინდანი დაენმარება ყველა იმ ადამიანს, რომელიც მის სახელს ადიდებს და მის რელიკვიებს, ანუ წმინდა ნაწილებს თაყვანს სცემს. ამით ერთგვარი ხელშეკრულება ფორმდება, ერთი მხრივ, ღმერთსა და მონამე-წმინდანს შორის, რომელიც, საკუთარი მოთმინებისა და მსხვერპლის საზღაურად, სასწაულქმედების ძალას იძენს, მეორე მხრივ კი – წმინდანსა და მორწმუნეებს შორის, რომლის მიხედვითაც, წმინდანის თაყვანისცემა სარგებლიანობის ხარისხში გადადის.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ქცევასთან ერთად წმინდანის ინსტიტუტი თანდათანობით მთლიანად პოლიტიკურ-იდეოლოგიურ შინაარსს იღებს და როგორც ეკლესიის, ასევე საერო ხელისუფლების მთავარ ინსტრუმენტად გადაიქცევა. შესაბამისად, იცვლება როგორც ჰაგიოგრაფიების შინაარსი, ასევე – წმინდანთა იკონოგრაფიაც: სახელმწიფო რელიგიად აღზევებული ქრისტიანობა ისეთივე მეთოდებით უსწორდება ყველა სხვა სარწმუნოების მიმდევრებს, განსაკუთრებით კი წარმართებს, როგორც ზოგიერთი რომელი იმპერატორი დევნიდა ქრისტიანებს.



ასეთი მედიალურ-პროპაგანდისტული შინაარსი გმირმა პირველად ქრისტიანობაში შეიძინა, სადაც იგი, გამომდინარე ახალი რელიგიის პრინციპებიდან, წმინდანის ინსტიტუტად გარდაიხსნა. შესაბამისად, გმირობის სიუჟეტში ახალი მნიშვნელოვანი ელემენტი – მონამეობა გაჩნდა, თუმცა კი ქრისტიანობას არანაირად უარი არ უთქვამს გმირობის ძალადობასთან კავშირზე, რაც ნათლად გამოიხატა ე.წ. მეომარ წმინდანთა კულტში, განსაკუთრებით კი – მათ შორის ყველაზე ცნობილ წმინდა გიორგის ლეგენდებში.

ადრექრისტიანული გადმოცემების თანახმად, გიორგი კაბადოკიური წარმოშობის მხედართმთავარი იყო, რომელმაც მინიერ დიდებას სარწმუნოებისათვის თავდადება ამჯობინა: მიუხედავად სასტიკი წამებისა, მან არ უღალატა ქრისტიანობას და რწმენისათვის საკუთარი სიცოცხლეც კი გაიღო მსხვერპლად. უძველეს ლეგენდებში ყურადღება გამახვილებულია წმინდანის მონამეობაზე, რითაც ქრისტიანი თავად ქრისტეს მონამეობრივ გზას იმეორებს, მაცხოვრის ასეთი იმიტაციით ადამიანურ ბუნებაზე მაღლდება და უკვდავებასთან ერთად ღვთაებრივ ძალასაც მოიპოვებს, რომელიც ღმერთის პრეროგატივით – სასწაულების მოხდენის უნარით გამოიხატება. ანუ მონამეობის ფასი ღვთაებრივ ძალასთან

ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანთა ხსოვნაში განსაკუთრებული კვალი დატოვა რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნამ, რის გამოც, ეს კეისარი ეკლესიამ მტრის ხატად აქცია და საკუთარი გმირი-წმინდანიც მის მკვლელად გამოაცხადა. წმინდა გიორგის ლეგენდებშიც სწორედ ამ დროს ჩნდება რომის იმპერატორი დიოკლეტიანე, რომელიც ერთ დროს თავის ერთგულ მხედართმთავარს ჯერ საპყრობილეში აგდებს, ხოლო შემდეგ სიკვდილით სჯის. მაგრამ გიორგი ცოცხლდება და წარმართ კეისარს მახვილით განგმირავს. ეს ცნობილი იკონოგრაფია, რომლის შინაარსსაც არაფერი საერთო ისტორიულ სინამდვილესთან არ აქვს, ქრისტიანული პოლიტიკური პროპაგანდის ერთ-ერთი პირველი ნიმუში და, შეიძლება ითქვას, პირველი პროპაგანდისტული პლაკატი, რომელიც ყველა ხელისუფალს, ვინც არ აღიარებს ქრისტეს რჯულს ან ხელს შეუშლის ქრისტიანობის გავრცელებას, სასტიკი შურისძიებით ემუქრება. წმინდა გიორგი, რომელიც არა ისტორიული პიროვნება, არამედ, სავარაუდოდ, რამდენიმე ადამიანის სინთეზით მიღებული ლეგენდარული ფიგურაა, კიდევ ერთ ტრანსფორმაციას IX-X საუკუნეებში განიცდის და სრულიად არქაული საგმირო მითოსის პარადიგმულ სიუჟეტს

XIX საუკუნეში ჰეროიზმი, ისევე, როგორც მთლიანად ეროვნული ნარასიების თხზვა, ამ საუკუნის ყველაზე მეტად „ირასიონალური“ და მიტოლოგიური სფეროა. ჯერ მთელი ევროპა, ხოლო შემდეგ მისი მიხაპვიტ თანდათანობით მთელ მსოფლიოში ახლადგაჩენილი ერაზი ეროვნული გმირების გამოგონებით, მათი ისტორიების შექმნითა და ქანდაკებებისა თუ მემორიალების აგებით არიან დაკავებული.

– ურჩხულის მოკვლას უბრუნდება. ეს სიუჟეტი კი ქრისტიანობაში, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არა რომელიმე წმინდანის გმირობას, არამედ პირველ ქრისტიან იმპერატორ კონსტანტინეს უკავშირდება, რომელმაც საკუთარი თავის ურჩხულთან მეტროლად და მის მკვლელად გამოსახვა ბრძანა. ეკლესიის მამა და ქრისტიანობის პირველი ისტორიკოსი ევსევი კესარიელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ სურათზე ურჩხული უღმრთო ტირანებს განასახიერებს, რომლებსაც ქრისტიანი კეისარი თავისი მახვილით მუსრავს. აქვე ქრისტიანი თეოლოგი პარალელს ავლებს „ძველ აღთქმაში“ აღწერილ ღმერთისა და ურჩხულ ლევიათანის ბრძოლასთან, რის ფონზეც ქრისტიანი იმპერატორი ღმერთის მიწიერ ანალოგად ცხადდება. ურჩხული, რომელიც სამყაროს შესაქმნის მიზეზში ქაოსის გამოსახულება იყო, ქრისტიანობაში არაქრისტიანის, ქრისტიანობის მტრის აღმნიშვნელი ხდება, რომლის განადგურების სანქციასაც ურჩხულის მკვლელი წმინდანის ხატიც იძლევა. შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ წმინდა გიორგის კულტის აღზევება ჯვაროსნულ ლაშქრობებს უკავშირდება, რომელთა იდეოლოგიური კონცეფციაც ღვთის სახელით ურჯულოთა განადგურება და მათგან ქრისტეს საფლავის გათავისუფლება იყო. ყოველი ქრისტეს მეომარი კი, ვინც მზად იქნება იომოს და თავი განიროს ღვთის სახელით ბრძოლაში, დაჯილდოვდება სასუფეველით. ამით ქრისტიანობამ გმირის იდეალი თავგანწირვისა და მორჩილების სიმბოლოდ გარდასახა და მისი მეშვეობით გმირობის მასიურ რეპროდუქციას შეუდგა. უკვე X საუკუნეში ბიზანტიის ერთ-ერთი იმპერატორი მოითხოვდა პატრიარქისგან, რომ მას ყველა თავდადებული ჯარისკაცი წმინდანის რანგში აღეზევებინა და სხვა ჯარისკაცებისთვისაც სანიმუშოდ ექცია. თუკი ანტიკურ სამყაროში გმირები ადამიანების იდეალურ წარმოდგენას განასახიერებდნენ, ქრისტიანობამ გმირობა მარტივობის იდეალს დაუმორჩილა და ქრისტესათვის თავგანწირვა მარადიული სიცოცხლის გზად გამოაცხადა.

ამასთანავე წმინდანების კულტმა, განსაკუთრებით კულტურულ პერიფერიებსა და სოფლის მოსახლეობაში პოლითეიზმის ელფერი შეიძინა: ისინი შეერწყა ლოკალურ წინაქრისტიანულ კულტებს და უკვე ადრეულ შუა საუკუნეებშივე ერთგვარ პარალელურ რელიგიად ჩამოყალიბდა. წმინდანებმა თემის მფარველის, სწეულებათაგან განმკურნების და სხვა მსგავსი მაგიური ფუნქციები შეიძინეს. ოფიციალური ეკლესია არათუ შეეგუა ასეთ ვითარებას, არამედ მან ერთ დროს სწორედ ეკლესიის მიერვე „წარმართობად“ შერაცხული რწმენა-წარმოდგენები შეითვისა და პოლიტი-

კური ზეგავლენის ინსტრუმენტად აქცია. ცალკეულ წმინდანთა კულტმა დროთა განმავლობაში უფრო ფართო მნიშვნელობაც შეიძინა და იგი ზოგჯერ მთელ სახელმწიფოზეც გავრცელდა, რომელიც უკვე პოლიტიკური თეოლოგიის სიმბოლურ გამომხატველად გარდაიქმნა. ასე, მაგალითად, როდესაც XIII საუკუნეში წმინდა გიორგი ინგლისის სამეფოს პატრონად გამოცხადდა, ეს ამ სახელმწიფოს პოლიტიკური განცხადება იყო: წმინდა გიორგის სიმბოლო ინგლისის სამხედრო-მესიანისტურ ორიენტაციას აღნიშნავდა. გარდა წმინდანთა ნაციონალიზაციისა, უკვე გვიან შუა საუკუნეებშივე ჩნდებიან ნაციონალური წმინდანები, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტად პოლიტიკურ შინაარსს ატარებენ და თანდათანობით ახალი კოლექტიური ერთობის – ნაციის საინტეგრაციო ფიგურებად გარდაიქმნებიან. ასეთი სახეცვლილებით წმინდანის შარავანდედს ისევე გმირის დიდება ენაცვლება. სეკულარიზმის ხანაში, რომლის დროსაც ყოველივე ზეციურმა და ზებუნებრივმა გამიწიურება დაიწყო, პროფანული უკვდავების ახალი მძლავრი ფიგურები – ეროვნული და კულტურული გმირები დაბადა. გმირების თავყვანისცემა, მათი უსასრულო რეპროდუქცია და გმირობის პროპაგანდა ახალი მიწიერი და აქამდე ყველაზე მეტად ჰეროიკული რელიგიის – პატრიოტიზმის კულტმსახურებად იქცა.

**გმირი ჰეროიზმის იდეოლოგიური რეპროდუქციის ხანაში**

ნაციების, ანუ ერების გაჩენა უშუალოდ უკავშირდება იმ პროცესს, რომელიც სეკულარიზაციის სახელითაა ცნობილი. სეკულარიზაცია შუა საუკუნეების საკრალური წესრიგის რღვევას და მის აქამდე არალეგიტიმური თუ მარგინალური კატეგორიებით ჩანაცვლებას გულისხმობს. თუკი შუა საუკუნეებში ეთნიკურობას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და ადამიანთა ერთობის განმსაზღვრელი საეკლესიო ექვარისტული კავშირი და ერთადერთი სუვერენის – მონარქისადმი ქვეშევრდომობა იყო, XVIII საუკუნიდან მოყოლებული სუვერენად თავად ხალხი იქცა, რომელიც საკუთარი პოლიტიკური და კულტურული ერთობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შექმნას შეუდგა. თუმცა ამისათვის განსაკუთრებული გამოიმგონებლობა და ფანტაზიები არ ყოფილა საჭირო: სეკულარიზაციით, ერთი მხრივ, საკრალიზებული და ეკლესიით გამყარებული პოლიტიკური წესრიგი „პროფანულით“ შეიცვალა, ანუ ხელისუფლება ხალხის და არა ღვთის ნების გამომხატველად იქცა. მეორე მხრივ, უმაღლესი სუვერენისა და თავყვანისცემის სუბიექტის ადგი-

ლი სამშობლომ (მამულმა) დაიკავა და თავად იწყო გასაკრალურება. ამ ახალი რელიგიური წარმონაქმნის მასალად კი ისევ ქრისტიანული და ქრისტიანობას შერწყმული „წარმართული“ ნიშნები იქნა გამოყენებული, რომელთაგანაც ორი ასპექტის გამოყოფა შეიძლება: პირველია ერის, ეროვნული იდენტობის პერსონიფიკაცია, მისი გაიგივება ამ იდენტობის განმსაზღვრელ ცალკეულ პიროვნებებთან, რომლებსაც ეროვნული პანთეონი აიგება. როგორც მრავალმერთიან რელიგიებში ყოველ ცალკეულ ღვთაებას თავისი საკუთარი ფუნქცია აქვს და სამყაროს ამა თუ იმ ძალას გამოხატავს, ასევე ეროვნულ პანთეონში აღზევებული პიროვნებებიც სიმბოლურად ერის, როგორც გარკვეული რწმენა-წარმოდგენების სისტემის სხვადასხვა სფეროს განასახიერებენ: ერთნი არიან მისაბაძი და სანიშნო მამულიშვილები, რომლებიც სამშობლოსათვის თავს სწირავენ, ხოლო მეორენი – „ერის მამები“, რომლებიც სამშობლოსათვის თავის განირვის მაგალითებზე კოლექტიურ მესხიერებას და ამგვარად პატრიოტიზმის „თეოლოგიის“ შემქმნელებად წარმოჩინდებიან.

მეორე რელიგიური ასპექტი ტარიგის ქრისტიანული იდეიდან მომდინარეობს და ერთ მიზანს – თავგანწირვის რე-

ნად ეროვნული წარაცობის თხზვა, ამ საუკუნის ყველაზე მეტად „ირაციონალური“ და მითოლოგიური სფეროა. ჯერ მთელი ევროპა, ხოლო შემდეგ მისი მიბაძვით თანდათანობით მთელ მსოფლიოში ახლადგაჩენილი ერები ეროვნული გმირების გამოგონებით, მათი ისტორიების შეკონინებითა და ქანდაკებებისა თუ მემორიალების აგებით არიან დაკავებულნი. ამ პროცესში კი სრულიად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა თუ ორიენტაციის ადამიანები მონაწილეობენ, რაც გმირების ფუნქციონალურ მრავალფეროვნებას წარმოშობს: გმირები ხან ტირანიას ებრძვიან, ხან უცხო დამპყრობლებს, ხანაც სამშობლოს დიდებისათვის თავად არიან დამპყრობლები. გმირის ფიგურის ხასიათი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად იცვლება, რაც კიდევ ერთხელ მის იდეოლოგიურ შინაარსზე მეტყველებს. პოლიტიკური განწყობა აჩენს ამ განწყობის გამომხატველ გმირებს, როგორც ამა თუ იმ იდეისა თუ იდეოლოგიის მატარებელ ფიგურებს, რომლებსაც ხელოვანები აიდეალებენ და ხოტბას ასხამენ, ხოლო პოლიტიკოსები მათ იდეოლოგიად გარდაქმნიან და ხალხის საკუთარი მიზნებისაკენ მობილიზაციისათვის იყენებენ, სადაც მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, თუ რამდენად შეე-



პროდუქციას ემსახურება. მხოლოდ, თუკი ქრისტიანობაში ღმერთისათვის საკუთარი სიცოცხლის გაღება ზეციური სასუფეველის გარანტია იყო, პატრიოტიზმში ღმერთის ადგილს სამშობლო იკავებს, რომლისთვის დაღუპვა ერის ისტორიულ მესხიერებაში გმირად შესვლას ნიშნავს. როგორც ქრისტიანობისათვის ამოსავალი ქრისტეს მონამეობა და სიკვდილზე გამარჯვებაა, ასევე ერის ისტორიული ხსოვნაც მარტივლურ სტრუქტურას იმეორებს: ერი ტანჯვიდან იბადება და მტანჯველზე იმარჯვებს. ეს გამარჯვება კი გმირების მსხვერპლის ფასად მიიღწევა. გმირის სიკვდილი მისი აპოთეოზია, ანუ ღვთაებრივ რანგში ამაღლება, რომელიც არა მხოლოდ მის სახელს უკვდავყოფს, არამედ მის საფლავსაც საკულტო ობიექტად აქცევს. ამდენად, გმირობა უკვდავების სეკულარული ფორმაა, რომელიც წმინდანობას ენაცვლება. განსხვავებით წმინდანისგან, რომელიც ზენაციონალურია და მისი თაყვანისცემა ეთნიკური საზღვრებით არ შემოიფარგლება, გმირი ყოველთვის ერთი ერის კუთვნილებად რჩება, რომელსაც ეს ერი საკუთარი თავის სხვა ერებისგან გასამიჯნად, ხშირად კი მათ წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ გამოიყენებს.

გონებისა და პოზიტივისტური მეცნიერებების ხანად წოდებულ XIX საუკუნეში ჰეროიზმი, ისევე, როგორც მთლიან-

სატყვისება ეს იდეოლოგია ამ გმირული ხატის შემქმნელი ხელოვანის ჩანაფიქრს. ამის მიზეზი კი თავად გმირის ინსტიტუტშია საძიებელი, ანუ სრულიად მეორეხარისხოვანია ის კონკრეტული შინაარსი, რომელიც ამა თუ იმ გმირის ხატებაში ჩაიდება. გადამწყვეტი თავისთავად გმირობის, ჰეროიზმის იდეოლოგიური, შეიძლება ითქვას, მანიპულატორული ხასიათია. ესაა ჩარჩო, რომელშიც ნებისმიერი სურათი შეიძლება ჩაიდოს. ზემოქმედების ინსტრუმენტი კი სწორედ ჩარჩოა და არა ის ადამიანი, რომლის პორტრეტსაც მასში ჩაკრავენ. ყველაზე ამაღლებული და პათეტიური შინაარსის გმირთა ხატების უკანაც კი სხვა არაფერი იმალება, გარდა იდეოლოგიური სატყუარასი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ყოველთვის ხალხის მანიპულაციას ხმარდება. ამ თვალსაზრისით არანაირი განსხვავება არაა ქრისტიან წმინდანს, ეროვნულ გმირსა თუ წამებით მოკლულ საბჭოთა პიონერ პავლიკ მოროზოვს შორის: ისინი გამტარები არიან, რომელთა მეშვეობითაც ძალაუფლების სტრუქტურები ადამიანებს უკავშირდებიან, მათ ცნობიერებაში გარკვეულ იდეოლოგიას ამონტაჟებენ და მოცემული ნიშნის მიხედვით ქმედებას და აზროვნებას აიძულებენ.

>>> ბაბრქიძე ბ. 113



## „პირველად იყო სიტყვა“

ავტორი: ლანა ლოლობერიძე

მარტოობის განცდა პარიზში, ელენ ლაროშის მშვენიერ სახლში, მის ბაღში, რომლითაც განგებამ დამასაჩუქრა. „ამ ჯოჯოხეთის და ბოდვის გამო გთხოვ, სიბერეში ბალი მაჩუქე, ბალი, ეული, როგორც მე თვითონ“, – ეს იყო მარინა ცვეტაევის ოცნება, რომელსაც აღსრულება არ ეწერა. მე კი აი, ბალიც მარგუნა ბედმა. ახლა, ამ გაზაფხულზე, როცა ყველა ყვავილი ერთდროულად ყვავის, ის ნამდვილ ნალკოტად არის ქცეული, და მეც ყოველი ახალი კვირტი სიხარულით მავსებს... და კიდევ, არსებობა ერთ მომხიბვლელ ქალაქში, რომლის ყოველი უბანი, ყოველი ქუჩა, ყოველი ხიდი ყოველ წუთას გთავაზობს აღმოჩენებს, სადაც ასეთი ცოცხალია კულტურული ცხოვრება თავისი სპექტაკლებით, გამოფენებით, ფილმებით, კონცერტებით... და მაინც, მარტოობა, უცნაური არსებობა შვილების გარეშე, შვილიშვილების გარეშე, ნამდვილი მეგობრების გარეშე, ანუ იმით გარეშე, ვინც შენ ცხოვრებას შეადგენს. არსებობა უთბილისოდ, უყაზბეგისქუჩოდ, უთავბოლო, განუჭვრეტელი, არეულ-დარეული პოლიტიკის მიღმა, მუდმივ სტრესში მყოფი საზოგადოების მიღმა, არსებობა შენი მიწის სურნელის გარეშე.

და მარტოობაში გამძაფრებული ფიქრი – რისთვის მოვედით ამ ქვეყნად, საიდან მოვედით ან საით მივდივართ. ადამიანის მარადი მისწრაფება – გაიზაროს, ახსნას და სიტყვიერად ჩამოაყალიბოს თავისი არსებობის საიდუმლო.

... მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს.

ეს ოთარ ქილაძის სტრიქონებია. ძიება არსის და მისი გამომხატველი სიტყვის, ნათქვამი პოეტის მიერ და ამიტომაც გულში ჩამწვდომი. როგორ ვიპოვოთ „სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს“?

ამ ლექსში ასეთი სტრიქონებიც არის:

და რასაც ვხედავ, პირველად ვხედავ,  
არ არსებობდა თითქოს აქამდე,  
არც გზა, რომელიც გვირაბში შედის,  
არც ხე, რომელიც უნდა აყვავდეს...

და კიდევ:

მე კი დავრწმუნდი, რომ შენი ხელი  
ჩემს დაღლილ ხელზე შეცდომით იდო,  
შეცდომით იდო და ნელა-ნელა  
თავის შეცდომას ხვდებოდა თვითონ...

სიტყვის ძალა, ან სიტყვის მაგია. ქალის ხელი, რომელიც შეცდომით დევს კაცის დაღლილ ხელზე და რომელიც თვითონ

ხვდება თავის შეცდომას. რადგანაც ყველაფერი უკვე იყო და დასრულდა, რადგანაც ველარაფერს მოსთხოვ ვენებებს, „რომ-ლებმაც ყველა სასმისი შესვეს“. იგივე აზრი ბლოკს სხვა სიტყვებით აქვს თქმული:

Все это было, было, было,  
Свершился дней круговорот,  
Какая ложь, какая сила,  
Тебе прошедшее вернет.

ბავშვობიდან ასე იყო: უეცრად რომელიმე პოეტი შემოიჭრებოდა ჩემში და რაღაც ხნით მთელ სულიერ სივრცეს ეპატრონებოდა. ბავშვობაში ეს ჩვენი „ლიტერატურული წრის“ ბავშვების კოლექტიური გატაცებები იყო, ერთ-ერთი ჩვენგანი აღმოაჩენდა რომელიმე პოეტს, და მერე ყველანი რამდენიმე თვის მანძილზე გარეთ და შინ, ერთად და ცალ-ცალკე მას ვკითხულობდით. უფრო სწორად, უბრალოდ ვკითხულობდით კი არა, ეს პოეტი გარკვეული დროით ჩვენი არსებობის განმსაზღვრელი ხდებოდა. ასე გვქონდა ერთი დიდი პერიოდი – ბლოკის, მერე – გალაკტიონის, მერე – სულ ახალგაზრდა, და ამიტომ ჩვენთვის ასეთი ახლობელი ანა კალანდაძის; მერე, თანდათან ეს გატაცებები უფრო ინდივიდუალური და ინტიმური გახდა. უიტმენი, თავორი, ვაჟა-ფშაველა, მერე – პასტერნაკი, ახმატოვა, უფრო გვიან – ცვეტაევა, მერე – ვერლენი, ბოდლერი, ელუარი. დღეს შემძლია ვთქვა, რომ ეს პოეტები ჩემი ცხოვრების გარკვეულ ეტაპებს ასახიერებენ.

და აი, ახლა დადგა ახალი ეტაპი – აპოლინერის! ეს ფრანგი პოეტი რაღაც განსაკუთრებით ახლობელი გახდა ჩემთვის. თითქოს ის ჩემი თანამედროვეა, ჩემი ტოლი და ჩემ სათქმელს ამბობს, თუმცა რეალურად, ის 1918 წელს, 38 წლის ასაკში ომში მიღებული ჭრილობისა და ტრეპანაციის მერე დასუსტებული, „ისპანკით“ გარდაიცვალა. პოეტი – ნოვატორი, რომელმაც პირველმა შემოიტანა ფრანგულ პოეზიაში ვერლიბრი და ლექსი პუნქტუაციის გარეშე და რომელსაც ძეგლი პერლამუზის სასაფლაოზე პიკასო დაუდგა. ვკითხულობ და ვთარგმნი, ვთარგმნი და ვკითხულობ... და როგორც სხვა დროსაც მომხდარა თარგმნის დროს, მიჩნდება არცთუ ძალიან მოკრძალებული ფიქრი, რომ ამ სტრიქონებს კი არ ვთარგმნი, არამედ თვითონ ვწერ, რომ ეს ლექსები სულ უბრალოდ ჩემშია დაბადებული და ხორც-შესხმული!

და რატომ ფეთქავ შენ გულო ჩემო  
ვით ნაღვლიანი მეთვალყურე  
მე თვალს ვადევნებ ღამეს და სიკვდილს

„ვით ნაღვლიანი მეთვალყურე მე თვალს ვადევნებ ღამეს და სიკვდილს“... ეს ნამდვილად ჩემი დღევანდელი განცდაა! ან გააზრება სიყვარულის, როგორც ყოვლისმომცველი მოვლენის, რომელიც ბუნებრივად ერწყმის სიკვდილს:

და ჩავიდოდა მზე წუხილით და დანანებით  
და სიყვარული სისხლისაგან დაიკლებოდა  
ღამე ამკობდა შემოდგომის ცას ვარსკვლავებით

და აქ ჩვენს ფერხითი ჩუმად კვდებოდა

თვალგახელილი წინ მიქროდა მატარებელი  
და ქარის ქროლვას ქროლვით ებრძოდა  
კვდებოდა ღამე უბით ცოდვის მატარებელი  
და ასე ჩვენი სიყვარული სიკვდილს ერწყმოდა

ან სტროფები მისი საყოველთაოდ ცნობილი ლექსიდან „მირაბოს ხიდი“:

მირაბოს ხიდისქვეშ მიცურავს სენა  
და ეს სიყვარული  
და მე მახსენდება განვლილი დღენი  
დიდი ტკივილი და მერე სიხარული

დე დადგეს ღამე და დაბნელდეს ისე  
დღეები ქრებიან მე ვრჩები ისევე

არ წყდება დღეთა და კვირათა დენა  
და არ დაბრუნდება  
არც ეს სიყვარული სიმწრით დალდასმული  
არც დრო გარდასული  
მირაბოს ხიდისქვეშ მიცურავს სენა

ჩამოწვევს ღამე და დაბნელდეს ისე  
დღეები ქრებიან მე ვრჩები ისევე

გიომ აპოლინერი – ეს მართლაც მთელი სამყაროა, უცნაური, აპოკალიპტური სამყარო, სადაც „ნაცემ-ნაგვემი მათხოვრები უვლიან დავლურს“, სადაც „ქუჩებს ატყვია შარშანდელი წვიმის სისველე“, სადაც პოეტი ხედავს „წყლის წვეთების ფაქიზ საყელოს ამ დამხრჩვალ ქალს რომ ყელზე მძივად გამოადგება“, სადაც ცის ლაყვარდში „დაფრინავს ქორი და დასცქერის იმ ქონდრისკაცებს ვისაც არასდროს და არავინ არ ყვარებიათ“, სადაც „ნახევრად მკვდარი ანგელოზები თავს აფარებენ დანის-ლულ სივრცეს“... სადაც

ჩამოკრა ზარი განგებამ  
ქარი ჩასახლდა ყანაში  
უიმედობის თარეშში  
დასრულდა ყველა თამაში  
ზარი ჩამოკრა განგებამ

ამ „უიმედობის თარეშით“ თითქოს შენც უიმედობაში უნდა ჩაეფლო, მაგრამ სინამდვილეში ზუსტად პირიქით ხდება: დიდი პოეტის მიერ თქმული სიტყვა ისეთ განცდებს და ფიქრებს გაზიარებს, ისეთ მშვენიერებას გთავაზობს, რომ თვითონაც ნეტარებასა და ბედნიერებაში იძირები. და სწორედ ეს არის სიტყვის ძალა, რომელსაც ძალუძს შექმნას სასწაული!

და მარტოობაში აღმოცენებული ყველა ამ ფიქრიდან ბუნებრივად იბადება ოცნება, რომლის აღსრულებასაც, ვიცი, რომ ვერ მოვესწრები. ოცნება კი ასეთია: ჩვენ დამშვიდებულ, დაწყნარებულ ქვეყანაში აღარ არსებობენ არავითარი „ისტები“ –

უბრალოდ ასეთი ცნება არ არსებობს, საზოგადოება არ არის გახლეჩილი ერთმანეთისადმი სამკვედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ნაწილებად, არ არის მოცული არც სიძულვილით და არც კერპთაყვანისმცემლობით, ფანატიზმი, ექსტრემიზმი, ფუნდამენტალიზმი წარსულის კუთვნილებად არის ქცეული, აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივად აღიქმება ყველა მოქალაქის მიერ; სხვას, შენგან განსხვავებულს მტრად კი არ აღიქვამ, არამედ მოყვარედ, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის პოლიტიკა მეორე (ან იქნებ მესამე) პლანზე გადასული, ისინი ბუნებრივი მოთხოვნილებებით ცხოვრობენ, ანუ აინტერესებთ შვილების განათლება, ახლობლების და საკუთარი ჯანმრთელობა, მეგობრებთან, და საერთოდ ადამიანებთან ურთიერთობა, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება, უყვართ ბუნება და ზრუნავენ მასზე. ზოგი ტენისს თამაშობს, ზოგი დარბის, ხელისუფლება კი მუდმივად მათი ცხოვრების დონის ამაღლებითაა დაკავებული; ქვეყანა არის დიდი ევროპული ოჯახის ბუნებრივი და ღირსეული წევრი, მას არა აქვს ტერიტორიული პრობლემები, ვისაც უნდა დასასვენებლად ბიჭვინთაში მიდის...

ალბათ თქვენც გინდათ ასეთ ქვეყანაში ცხოვრება, არა? მაშინ მოდით, და ყოველმა ჩვენგანმა რაღაც გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს ოცნება რეალობად იქცეს! აი, ამის კი ნამდვილად მჯერა – დაიხ, ჩვენ შეგვიძლია! (ობამას ლოზუნგი – yes, we can!), ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ხელით შევქმნათ ჩვენი მომავალი, ოღონდ ამისათვის გონიერებასაც უნდა მოვუხმობთ.

და ისევ ამომიტივტივდა აპოლინერის სიტყვები:

და ვერასოდეს დაამარცხებს გარიჟრაჟს ბინდი  
მოდით გავოცდეთ საღამოებით მაგრამ ვიცოცხლოთ სისხამი  
დილით

მოდით დავცინოთ მარადისობას ვით ქვას ან ოქროს  
და დავიბანოთ ეს ხელები გიჟმაჟი ტალღით  
ვიდრე დაშრება ქვეყანაზე სულ ბოლო წყარო

შევხვდი ფრანგული პენკლუბის თავმჯდომარეს – სილვესტრ კლანსის და რუსული პენკლუბის თავმჯდომარის მიადგილეს, არკადი ვაქსბერგს, ერთად ვისადილეთ ქართულ სახლში. ფრანგი სტუმარი აღფრთოვანებული იყო სახლითაც, რომელიც პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო უბანში, ლათინურ კვარტალში მდებარეობს, ქართული დეკორითაც და, რაც მთავარია, სამზარეულოთი, რაც ყოველთვის აჟღერებს ჩემში პატრიოტულ სიმებს, მით უმეტეს, რომ ვიცი: ფრანგებისთვის ქვეყნის კულტურაზე ყველაზე უკეთ მისი სამზარეულო მეტყველებს. (ამის საუკეთესო დასტურია ის, რომ სარკოზი ცდილობს, შეიტანოს ფრანგული სამზარეულო მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში). ვაქსბერგი, რომელიც არაერთხელ ყოფილა საქართველოში, ამაცობდა თავისი გათვითცნობიერებულობით და სიამოვნებით აცხადებდა კერძების სახელებს, – ეს ხაჭაპურია, ეს კი ფხალიო! ვილაპარაკეთ ფრანგული პენკლუბის პროექტზე, ქართველი და რუსი მწერლების კოლოკვიუმზე პარიზში, ფრანგი მწერლების მონაწილეობით. პენკლუბი აპირებს ასევე თითო მწერლის მონაწილედ, გერმანიიდან, ალბათ, ჩეხეთიდან და უნგრეთიდან. იმედი მაქვს, რომ საინტერესო და

მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება შედგეს. სურვილი გვაქვს, ჩავაბათ პროექტში იუნესკო, რათა კოლოკვიუმში იუნესკოს და პენკლუბის ეგიდით გაიმართოს, თავისთავად გასაგებია, ეს მას მეტ წონას მისცემს. ლაპარაკი იყო ასევე ქართველი მწერლების ნაწარმოებების თარგმნაზე და საფრანგეთში გამოცემაზე, რაც დიდ ენთუზიაზმს იწვევს ჩემში. ეს ხომ მართლაც მუდმივი პრობლემა – პატარა ქვეყნის ლიტერატურის მსოფლიო ასპარეზზე გატანა და, მართალი გითხრათ, ჩემს მისიას აქ შესრულებლად ჩავთვლი, თუ ეს იდეა რეალურად შეისხამს ხორცს.

საუბრისას ბევრჯერ ახსენეს ვინმე ალექს ბლოკი, წლების მანძილზე ფრანგული პენკლუბის თავმჯდომარე და ამჟამად საერთაშორისო პენკლუბის საპატიო თავმჯდომარე. წუხდნენ, რომ ვერ მოიფიქრეს მისი მონვევა, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ის კოლოკვიუმის მთავარი ორგანიზატორი იქნება. ალექს ბლოკი... ეს სახელი და გვარი რაღაცას მეუბნებოდა და უეცრად გამახსენდა: 1969 წელი, დეიდაჩემის მონვევით შეიღებთან ერთად ვარ პარიზში. საბჭოთა უსახური და სტერეოტიპული სინამდვილის პირმშო, მონყურებულის ამ უცხო, მიმზიდველი და თავისუფალი სამყაროს გაცნობას, ახალგაზრდა რეჟისორი, რომელსაც აქ, ამ მომავლოდებელ ქალაქში ყველაფერი აოცებს და აღაფრთოვანებს. მაშინაც, პარიზში ყოფნისას, როგორც ახლა, ვაკეთებდი ჩანაწერებს, და ერთ-ერთი ჩანაწერი სწორედ ამ ალექს ბლოკთან სტუმრობას ეხება! ეს ფაქტი ნამდვილ მღელვარებას იწვევს ჩემში, როგორც ყოველთვის მოულოდნელად გაცოცხლებული წარსული... ჩემი ემიგრანტი „აპატრიდი“ დეიდები, მათი გაუზარელი ცხოვრება, მუდმივი ფიქრი და ოცნება დამოუკიდებელ საქართველოზე, რასაც ვერცერთი ვერ მოესწრო... წელს დიდხანს ვეძებ მათი საფლავები ლევილი – ბოკასი ვნახე, ქეთოსი კი ვერა, თუმცა თითქოს ნამდვილად ვიცოდი, სად იყვნენ დასაფლავებული ქეთო და მისი მეუღლე – ვანიჩკა ასათიანი... ასე გულდამძიმებული წამოვედი ლევილიდან... და აი, უცებ – ალექს ბლოკი, რომელთანაც უნდა ვითანამშრომლოთ! არც მიკვირს, იმიტომ რომ მას მაშინაც აინტერესებდა საქართველო. იმ მიღებაზე ჩემ გვერდით იჯდა მწერალი ლეონ გიუი, 80-ს გადაცილებული, ჭაღარა კაცი, რომელიც 1936 წელს ანდრე ჟიდთან ერთად იყო საქართველოში და რომელმაც ჩემი დანახვისთანავე შესძახა: საქართველოსნაირი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობსო! ჩემი იმდროინდელი ჩანაწერი: „დიდი სითბოთი ლაპარაკობდა პაოლოზე და ტიცციანზე. გამოაცა იმან, როგორ ახსოვს ყველაფერი, ყველა ადგილი, სადაც იყო – წინანდალი, თბილისის ქუჩები. პაზოლინიზე ვლაპარაკობდით, კანიბალებზე, ის სერიოზულად ამბობდა, – რატომაც არა, გავსინჯავდი ადამიანის ხორცს, საინტერესოა, რა გემო აქვსო. ეშმაკის თუ გვერათო, – ეკითხებოდა ყველას მართლაც ეშმაკური ღიმილით. მე მჯერაო, ასეთი არეულობა იმიტომ არის, რომ ეშმაკს ასე უნდაო“... ჩემ პირდაპირ იჯდა პოეტი ბოფუა, თურმე დაპატიჟებული იყო ჩვენთან, რუსთაველის დღეებზე და პროტესტის ნიშნად უარი უთქვამს, – დიქტატურის ქვეყნებში ხელისუფლების დაპატიჟებით წასვლა ნამდვილად არ შეიძლება, მაშინ გამოდის, რომ სისტემას ეთანხმებიო. მე ვარწმუნებდი, – ხელისუფლებისთვის სულ ერთია, თქვენ ჩახვალთ თუ არა, ხალხისთვის და ინტელიგენციისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა-მეთქი. ის არ მეთანხმებოდა, – მე ამას სხვებისთვის კი არ ვაკეთებ, პირადად ჩემთვისო. იყო იმ წვეულებაზე ცნობილი ფრანგი მწერალი, ნატალი საროტი – ახლა გავიგე, რომ



ალექს ბლოკი ძალიან ახლოს იყო მასთან... საერთოდ ის წვეულება განსაკუთრებით იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ჩემთვის ყველაფერი ახალი და უჩვეულო იყო. ბლოკების სახლიც, ძალიან ვინრო და ოთხსართულიანი, პირველ სართულზე – მისაღები ოთახით და ტერასით, რომელიც შიდა ეზოში გადიოდა... ასეთი მიღებაც არასოდეს მენახა – საღამოს კაბებით, სტუმრისთვის განკუთვნილ ადგილზე – მისი სახელით და გვარით, საკუთარი გვარის აღმოჩენაც საგანგებო ვერცხლის პატარა დასადგამზე გასაოცარი რამ იყო საწყალი საბჭოთა მოქალაქისთვის! და აი, ახლა, 40 წლის მერე უნდა შევხვდე თითქოს არარსებობიდან ამოტივტივებულ ძველ ნაცნობს – ალექს ბლოკს და ერთად ვიმუშავოთ საერთო პროექტზე.

ვნახე ბოლოხანს მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე მეტად გახმაურებული, ინგლისელი რეჟისორის – დანი ბოილის ბომბეიში

ქმნის ნამდვილ საფუძველს მასობრივი მაყურებლის მისაზიდად და ოსკარების მისაღებად. თუმცა, ამავე დროს, არის ფილმში ნამდვილი ხელოვნების ნიშნებიც, ეს ძირითადად ეხება ბომბეის ე.წ. „სლამდოგის“, ანუ ისევ და ისევ გლახაკთა ქალაქის შემადრწუნებელ და, ამავე დროს, რაღაც გაგებით, რომანტიკულ ყოველდღიურობას, ინდოელ პატარა ბიჭებს, რომლებიც იშვიათი ძალით და გულწრფელობით ასრულებენ ორი ძმის როლს, რომელთაგან ერთი იღუპება და მეორე კი, კარგი და კეთილშობილი, მილიონერი ხდება. არის ამ ისტორიაში დიკენსიდან მომდინარე მოტივები – ბავშვები, გადაშვებულნი ხიფათებით სავსე ცხოვრებაში; აქვია ბოროტების განსახიერება – ობოლ ბავშვთა სახლის დირექტორი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, კარგად მომღერალ ბავშვებს თვალებს თხრის, რომ მათი სიმღერა უფრო მომგებიანი იყოს; და მოულოდნელი მფარველი ანგელოზებით, მაგალითად – პოლიციის კომისრით, რომელიც უჯერებს



**მოდით, და ყოველმა ჩვენგანმა რაღაც ბავაქითომ იმისათვის, რომ ეს ოსნება რეალურად იქნას! აი, ამის კი ნამდვილად მჯერა – ღიახ, ჩვენ შეგვიძლია! (ოზაას ლოზუნგი) ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ხელით შევქმნათ ჩვენი მოგავალი, ოღონდ ამისათვის ბონიერებასაც უნდა მოვუხმოდ.**

გადაღებული ფილმი, რომელმაც ახლახან 8 ოსკარი მიიღო – „სლამდოგ მილიონერი“. „სლამდოგის“ მიახლოებითი თარგმანია „გლახაკთა ქალაქის ძაღლები“, ანუ მთლიანად სათაური, ასევე მიახლოებით, შეიძლება ასე ითარგმნოს: „გლახაკთა ქალაქის მილიონერი“. ისტორია იმის შესახებ, როგორ იგებს ცნობილ სატელევიზიო თამაშში – „ვის უნდა მოიგოს მილიონები“ – მილიონებს ერთი საწყალი, ობოლი, ინდოელი ბიჭი უბრალოდ იმიტომ, რომ ცხოვრების მწარე გამოცდილება კარნახობს სწორ პასუხებს, და კიდევ იმიტომ, რომ მას გაშმაგებით უნდა გამდიდრება. უკიდურესი სისასტიკის სცენები, გიჟური რიტმი, ერთმანეთზე გადაჯაჭვული სიყვარული, დანაშაული, გამარჯვება, მკვლელობა, გულისამაჩუყებელი „ჰეპი ენდი“, ყველაფერი ეს ერთად

ჯამალს და ათავისუფლებს. ყველაფერი ეს ერთად გახდა იმის მიზეზი, რომ ინდოეთმა ჯერ აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ფილმში ქვეყნის ასეთი გაუსაძლისი სიღატაკეა ნაჩვენები, ხოლო ოსკარების მიღების შემდეგ დამოკიდებულება სურათისადმი რადიკალურად შეიცვალა – ინდოელმა კრიტიკოსებმაც და ხელისუფლებამაც ეს ოსკარები ინდოეთის კინოს გამარჯვებად მიიჩნიეს და ლოს ანჯელესიდან დაბრუნებულ ბავშვებს, რეალობაშიც სლამდოგის მაცხოვრებლებს (მათი ბედნიერი სახეები ცერემონიაზე მართლაც ამაღლებებელი იყო) ნამდვილი ტრიუმფალური შეხვედრა მოუწვევს.

>>> ბაბრქილება გვ. 116



# ღამუვილოზა სამოთხესთან

<<< ღასაწყისი გვ. 36

მერე, როცა ტიტრები გამოჩნდა, დიმიტრი ტომკინის მუსიკით 60-იანი წლების რომელიღაც ამერიკული ვესტერნიდან (რატომღაც მეგონა, რომ 30-იანი წლების საბჭოთა ფილმის მუსიკა იყო), წარწერით „კვენტინ ტარანტინო“, ტაში ფეხების ბრახუნში გადაიზარდა...

ვაიმე, ეს რა იყო! პატარა ბავშვებად ქცეული კინოკრიტიკოსები, რომლებმაც, შეიძლება, ტარანტინოს ახალი ფილმის პრემიერის მოლოდინში ღამე გაათენეს, ახლა კი სანატრელი წამი დაუდგათ.

გალიზიანდებოდა, აუცილებლად გალიზიანდებოდა მაღამ იუპერი. აბა, რომელი კინოვარსკვლავი გადაიტანდა ამ... „ჩანაცვლებას“?! ნათელი გახდა, რომ დღეს ტარანტინო ფაქტობრივად ერთადერთი კინორეჟისორია, რომელსაც მსოფლიოში „ვარსკვლავად“ აღიქვამენ – დასდევენ, როგორც კინოვარსკვლავს, ავტოგრაფებს სთხოვენ, ქუჩაში ცნობენ...

ასეთ პატივს, ასეთ პოპულარობას რეჟისორები იშვიათად აღწევენ ხოლმე.

მხოლოდ მსახიობები... მათ შორის – ის ოთხი მსახიობი, რომლებიც ვიხილეთ კანის ფესტივალის წლებიდან და დღემდე ფილმების მსახიობები, იზაბელ იუპერის ხელმძღვანელობით.

თანაც, ისევ იზაბელ იუპერის შემოქმედებით გზას თუ გავიხსენებთ,

საეჭვოა, მიხაელ ჰანეკეს მუზას დაეფასებინა კვენტინ ტარანტინოს ეს ტუტუცობა. ჰო, ჰო „ტუტუცობა“ ყველაზე კარგი სიტყვაა! რა თქმა უნდა, ტუტუცობა ასეთი თამაში ისტორიასთან, დროსთან, ენებთან.

ენა, მგონი, მაინც მთავარია. მეორე მსოფლიო ომის წლებში ამერიკელი და ბრიტანელი ებრაელები ჩადიან ევროპაში, რათა შური იძიონ ნაცისტებზე ჰოლოკოსტის გამო... ყველა პერსონაჟი თავის ენაზე ლაპარაკობს (თუკი ეს სურათი თბილისის ეკრანებზე დუბლირებული გამოვიდა, გირჩევთ, არ ნახოთ „დაუფასებელი ნაძირლები“... ამ ფილმის გახმოვანება „ნაძირლების“ განადგურებას ნიშნავს). ხშირად გადადიან ერთი ენიდან მეორეზე. იმისდა მიხედვით, როგორ აწყობთ. ენა გადაიქცევა ბრძოლის იარაღად. სიტყვები კი შეიძლება გამოილიოს ისე, როგორც ტყვია უთავდებთ ხოლმე ბრძოლის ველზე. ერთი შეხედვით, არც ესაა პრობლემა; სიტყვას შეიძლება ჩაენაცვლოს „კინოფაქტი“, ან, პაზოლინის ტერმინს თუ გავიხსენებთ, „კინემა“ – კინოსახე, რომელიც უფრო ტევადია და უფრო „პირველყოფილი“, ვიდრე სიტყვა. შემთხვევითი არ არის, რომ „დაუფასებელი ნაძირლების“ მთავარი, კულმინაციური სცენა კინოთეატრშია გადაღებული

მაგრამ ტარანტინო არც „კინემების ენას“ მიიჩნევს უკანასკნელ ქეშმა-

რიტებად. კინოხელოვნება ამარცხებს ფაშიზმს, მაგრამ ამ ბრძოლაში მსხვერპლად წირავს თავის ტაძარს – კინოთეატრს, რომელიც „დაუფასებელი ნაძირლების“ ფინალში ფეთქდება.

ალარც ენა, ალარც მამული, ალარც სარწმუნოება – ალარაფერი, რასაც ეყრდნობოდა ისტორია, რომელსაც აქამდე გვასწავლიდნენ; ისტორია, თავისი „მიზეზ-შედეგობრიობით“, „აქედან გამომდინარე“, კანონზომიერებათა ჯაჭვებით... სქემებითა და მითებით, განზოგადებებით, რაზეც კანის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კინოფესტივალის გამარჯვებულმა, მიხაელ ჰანეკემ თავისი ფილმი ააგო.

სასიამოვნოა, როცა ჩვენი და ხელოვნების ეს „მითები“ ერთმანეთს ემთხვევა... როცა აღმოჩნდება, რომ მიხაელ ჰანეკეც ჩვენსავით ფიქრობს („ფაშიზმის მიზეზი ადამიანთა აღზრდის სისტემაშია“), რომ კანის ფესტივალის მნიშვნელობით მეორე პრიზის, გრანპრის ლაურეატი, ფრანგი რეჟისორი ჟაკ ოდიარიც ჩვენსავით ამტკიცებს, რომ „ციხე – ცხოვრების სკოლაა“ („წინასწარმეტყველი“)... კინორეჟისორისთვისაც სასიამოვნოა თავყვანის-მცემელთა რიგები მისი ახალი ფილმის პრემიერაზე, და კანის კინოფესტივალის პალმები.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა რეჟისორის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ნაკლებად გაინტერესებს, რამდენად ჩაენერები „ტენდენციაში“, ან რამდენად დააკმაყოფილებ შენ თავყვანისმცემლებს. ფრანსუა ტრიუფოს ეს მომენტი გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე დაუდგა, როცა სასაცილო შავ-თეთრი დეტექტივი, „გაუმარჯოს კვირას“ გადაიღო, ბუნუელს, ერიკ რომერს – ღრმა სიბერეში... ჩაპლინმა, მე თუ მკითხავ, თავისი ყველაზე თავისუფალი ფილმი, „რამპის ჩირაღდნები“ მაშინ გადაიღო, როცა შედეგს მისგან უკვე აღარ მოელოდნენ

ყოველთვის კარგი სინეფილი, მაგრამ არცთუ ისე კარგი რეჟისორი – კვენტინ ტარანტინო, რომლის ადრინდელი ფილმები, მე თუ მკითხავ, მტვს კლიპებს უფრო ჰგავდა, ბოლოს და ბოლოს ახერხებს გადაამუშავოს ეს დაგროვილი „სინეფილური ინფორმა-

ცია“ და მიაღწიოს მთავარს – თავისუფლებას...

დავარქვათ ამას „სიტუტუცე“. ბავშვური... ბავშვიც ხომ ასე ხედავს დროს? ასე ხედავს სივრცეს. ასე აღიქვამს ენებს. დავარქვათ „სიტუტუცე“ იმას, რაც ლარს ფონ ტრიერმა, პედრო ალმოდოვარმა წარმოადგინეს კანის ფესტივალზე... გული რომ გაუტეხეს თავიანთ ზოგიერთ თავყანისმცემელს და პრიზების გარეშე რომ წავიდნენ კანიდან. იმაზე ხომ თითქმის ყველა თანახმაა, რომ არც „დაუფასებელი ნაძირლები“, არც „ანტიქრისტე“ და არც „შენყვეტილი ამბორი“ არაა სტერილური კინო („ა ლა ჰანკეე“)... რომ ესაა დაღლილი, უკვე ასაკში შესული რეჟისორების კინო, მაგრამ კინო – თავისუფალი ადამიანების.

„ალმოდოვარს არ უნდა იმის აღიარება, რომ „მოვიდა ეპოქა“ წარსულს ჩაბარდა, რომ სამყარო შეიცვალა და შეიცვალა მისი კინემატოგრაფიც“, – წერს რომელიღაც ფრანგი კრიტიკოსი.

არ უნდა, რა თქმა უნდა. ამათთვის დადგა ცხოვრების ის ეტაპი, როცა „წარსული“ და „ანმყო“ აღარ არსებობს. ის ველარ ხედავს ამ „შეცვლილ სამყაროს“, რადგანაც თავისი გმირებით, ყოფილი კინორეჟისორებით, დაბრმავებულია.

დიდი ხნის წინ, 70-იანი წლების დასაწყისში ინდოელმა გენიოსმა სატიაჯიტ რეიმ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ბრმა მხატვარზე, რომელსაც „შინაგანი მზერით“ დაარქვა.

რალაც სამოთხის მსგავსს ხატავდა ეს კალკუტელი მოხუცი, ბავშვობის მერე რომ არ უნახავს სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ – გოლიათი-ჩიტებით, ხასხასა მწვანე ბალახით, რომელიც მთლად მზეს წვდება და პალმებით – ჩემი საყვარელი პალმებით.

ჰოდა, ამ საყვარელ პალმების ხეივანს რომ გაივლი, მართლაც რომ ლაჟვარდისფერ ზღვას შეხედავ და ყველაზე თავისუფალი რეჟისორების ფილმებს ნახავ, გეგონება თავი სამოთხეში, აბა, რა...

რაც უნდა იძახონ „ანტიქრისტეზე“, მარტო ფილმის პროლოგი, ჰენდელის მუსიკის ფონზე, გაყიდის და იყიდის

მთელ „აქტუალურ კინოხელოვნებას“... როგორც უნდა ამტიკონ, – კვენტინ ტარანტინომ კონიუნქტურული კინო გადაიღო, – მარტო კრისტოფ ვოტცის ოსტატობა გაყიდის და იყიდის ჟიურის ოთხი ნევრი-არტისტის, მათ შორის იზაბელ იუპერის მთელ შემოქმედებას... როგორი არგუმენტებიც უნდა მოიყვანონ პედრო ალმოდოვარის წინააღმდეგ, იმ სცენას, მართლა რომ წამომასტუნა სკამიდან კანში, ვერასოდეს შეედრება, რასაც ეგრეთ წოდებული „თანამედროვე კინემატოგრაფი“ ჰქვია.

პენელოპა კრუზის გმირი აბაზანიდან გამოვა და საწოლ ოთახში, თავის ჩაძინებულ საყვარელს – ასაკში შესულ ოლიგარქს შეხედავს. თავიდან შეეშინდება, – ეგონება რომ მკვდარია, გადაწყვეტს ხელით შეეხოს, შეაჩვღრიოს. მაგრამ გადაიფიქრებს, – სიგარეტს მოუკიდებს და მიაშტერდება... იქნებ მართლაც მოკვდა? ამის სიკვდილი ხომ მისთვის ახალი, ბედნიერი ცხოვრების დასაწყისი იქნება? მერე ხომ აღარავინ შეუშლის ხელს, იცხოვროს თავისი ცხოვრებით?

სულ ერთ წუთს გრძელდება ეს სცენა, უფრო სწორად – პენელოპას საშუალო ხედი. მაგრამ რამდენი რამა ნათქვამი, რამდენჯერ იცვლება განწყობილება! თანამედროვე კინომ, პოლიტიკური და იდეოლოგიური კონიუნქტურის ტყვე რომ გახდა, დიდი ხანია, დაკარგა ეს უნარი – სწორედ კინოს ენით გამოხატოს ადამიანთა გრძნობები. მათი ვნებები, მათი სისუსტეები.

თავის დროზე კონიუნქტურისა და მოდის მანიპულაციებისგან კვენტინ ტარანტინოს, პედრო ალმოდოვარს, ლარს ფონ ტრიერსაც უჭირდათ განთავისუფლება. წლევანდელ კანის ფესტივალზე ამ, თითქმის ერთი თაობის კინორეჟისორებმა, მოახერხეს გადაეღოთ კინო – კინოსთვის, და არა – კრიტიკოსებისთვის, ან – პუბლიკისთვის, ან – თუ გნებავთ, კანის ფესტივალისთვის.

უფრო მეტიც, წლევანდელ კანის ფესტივალზე 87 წლის კინოკლასიკოსმა, ალენ რენემაც კი გააკვირვა ყველა თავისუფლების რალაც განსაკუთრე-

ბული განცდით, სილალით, იუმორით თავის ახალ ფილმში „ველური ბალახები“. ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე, როცა კინოხელოვნების წინაშე განუული ღვანლისთვის მას სპეციალური პრიზი გადასცეს, „ჰიროსიმასა“ და „მარიენბადის“ ავტორი, ალენ რენე გაჭირვებით, მაგრამ მაინც ავიდა სცენაზე და იზაბელ იუპერს სთხოვა, დაერღვიათ დაჯილდოების ცერემონიალის სქემა და სცენაზე ასვლის უფლება მიეცათ მსახიობებისთვის, რომლებიც „ველურ ბალახებში“ გადაიღო.

იუპერმა მაესტროს თხოვნა არ შეისმინა. მხოლოდ მსახიობების გვარები გამოაცხადებინა ცერემონიალის წამყვანს. სასწრაფოდ გადაუღეს სურათი ალენ რენეს და სცენიდან ჩამოიყვანეს.

იმ საღამოს დარბაზში არ ისხდნენ კენ ლოუჩი, პედრო ალმოდოვარი, კვენტინ ტარანტინო, ლარს ფონ ტრიერი – წლევანდელი კანის ფესტივალის და, შესაძლებელია, მთელი კინოსეზონის გმირები. მაგრამ კანი სწორედ მათი სახელებით აგრძელებდა სიცოცხლეს. რკინგზის სადგურზე, სანამ აიპოდს ყურებში გავიჭობდი, მხოლოდ და მხოლოდ მათი გვარები მესმოდა. ჩემოდნებზე ჩამომსხდარი პარიზელი კინოკრიტიკოსები, სინეფილები, უბრალოდ, ჟურნალისტები გაცხარებულები კამათობდნენ უკვე ასაკში შესული, ცოტა არ იყოს ნერვიული, მაგრამ მაინც თავისუფალი რეჟისორების „ტუტუცობებზე“... დროდადრო საათზე იხედებოდნენ, მატარებელი რომ არ გამოჩენილიყო. გარშემო არ იყურებოდნენ. არავის მოსვლია თავში კანთან გამომშვიდობება. ბოლოს და ბოლოს არც ისე შორია პარიზიდან კანამდე. ჩასხდებიან მატარებელში, ლაჟვარდისფერი ზღვა და პალმების ხეივანი ძალიან თუ მოენატრათ, 5 საათში იქ არიან.

დამშვიდობების ეს გულისამაჩუყებელი რიტუალი მათ არა... მე უნდა ჩამეტარებინა.

ამიტომ აიპოდი გავიჭე ყურში, ვიპოვე მუსიკა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა ჩემ განწყობილებას და უკანასკნელად შევხედე ჟან გაბენის სურათს „ადამიანი-მხეციდან“.

ახლა ერთი წელი მომიწევს მოცდა.



# ნიუტონის ქალი

<<< დასაწყისი გვ. 42

ის არც გარემოების საყვირის სახით გვმოდერავს, არც „ა კლასის ცნობადი სახეა“ და არც ხმამაღალი და სკან-

დალური რომანების მოქმედი პირი. მოკლედ, ძალიან ცოტას იტყუება.

როცა ვუთხარი, შენ შესახებ მაინც დავწერე-მეთქი, ტელეფონის ნომრები ჩამანერინა: 913119 ან 913242.

„ეს რა არის“? - გამიკვირდა.

„თუ ვინმეს ჩემთან დალაპარაკება მოუნდა, აქა ვარ“, - მომიგო უბრალოდ.

ჰო, მაკა ხომ ფსიქოთერაპევტია.

ძალიან კარგი. ჟურნალი როცა გამოვა, დავრეკავ ამ ნომრებზე და შავ დღეში ჩავაგდებ მაკა მიქელაძეს. რაც ფობია და კომპლექსი მაქვს, სულ თავზე მოვახვევ. მწერლები და ფსიქოთერაპევტები ხომ ამისთვის არსებობენ: ყველაფერი მათ უნდა დააბრალო და მიაყარო, იმათ კი, უნდათ თუ არ უნდათ, უნდა აიტანონ.

ასე რომ, ამიტანე, მაკა ჩემო.

### გოგო კინოდან

ბესო ხვედელიძე

მე ყველაფერი კარგად მახსოვს.

მახსოვს - მეშვიდე კლასში რომ ვიყავი.

მახსოვს მეშვიდე კლასში რომ ვიყავი და ქუჩაში ხშირად ვხედავდი ერთ ძა-

ლიან და უცნაურად ლამაზ და თვალე-ბამოლამებულ გოგოს.

მახსოვს, ვფიქრობდი, - ნეტა ვინაა მეთქი...

მერე დადგა დრო და მე ის გოგო კარგად გავიცანი.

არა. კარგად გავიცანიზე მეტიც მოხდა მერე.

მე და მაკამ რომანი დავწერეთ ერთად.

ვეძებდი და ვიპოვნე.

დიდხანს ვეძებდი თან.

რთული ამბავია მოსაყოლად, მაგრამ რაც მთავარია, მოხდა, შედგა, გამოიცა...

რთულია ურთიერთობა ეგეთ ადამიანებთან და თან ერთობ საინტერესო.

ჩხუბები, გაბუტვები, თავზე დახურებები, აყალმაყალი - ამეების გარეშე ძნელია...

ერთი ათჯერ დავხოცეთ ერთმანეთი და მერე ისევ ათჯერ გავაცოცხლეთ.

ასე რომ - ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გვაქვს!

p.s.

მაკა ყველაზე მაგარი გოგოა მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ.



# ქალაუფლება, როგორც ოქსიმორონი

<<< დასაწყისი გვ. 48

### - საჭირო იყო ეს კომპრომისი?

- იოლია გვერდიდან ლაპარაკი, როცა პოლიტიკური ვალდებულება არა გაქვს. როცა არა მხოლოდ რეფორმებზე, არამედ ამ რეფორმების შედეგებზეც და ამ რეფორმების გაგრძელების შანსზეც აგებ პასუხს, უნდა იფიქრო არა მხოლოდ იმაზე, რას ამბობ, არამედ როგორ ამბობ. არა მხოლოდ იმაზე, რას აკეთებ, არამედ როგორ აკეთებ. უნდა იფიქრო სტილზე და არა მარტო შინაარსზე. ის, რაც შე-

ცდომით კეთდებოდა, უნდა გაჩერდეს, დიას, და ამ გამოცდილებისაგან რაღაც უნდა ვისწავლოთ.

კამათის დროს, ტონი ეცვლება; „რ“-საც უფრო გამოკვეთილად ამბობს, სიტყვებსაც კბილებს შუა ცრის.

### - მაგალითად?

- უამრავი რეფორმა იყო, რასაც რეფორმა ერქვა და სისულელე იყო. მაგალითად, ლოტოტრონი სრული სისულელე და მარაზმი იყო და უნდა შეჩერდეს. მერე რა, რომ ჩვენი ინიციატივა იყო. ასევე

ვთვლი, რომ სისულელეა მუსიკალური სასწავლებლების გაუქმება, იმიტომ, რომ მუსიკალური შვიდწლიდან არასოდეს არ გამოდის ადამიანი პროფესიულად ისე მომზადებული, რომ კონსერვატორიის სტუდენტი გახდეს; ანუ, ფაქტობრივად ჩაჭრილია მუსიკალური სწავლების შუა რგოლი და თუ მუსიკალური კარიერა გინდა, დღევანდელი მოცემულობით შენ ამას ვერ შეძლებ. ამიტომ რეფორმები არ გაჩერებულა, უბრალოდ გამოცდილება მოგვემატა და უფრო ვფრთხილობთ. ოდნავ დავმძიმდით იმ რალაცებით, რაც გადავიტანეთ.

**– პოლიტიკური კრიზისები?**

– პოლიტიკური კრიზისები – ეს ემოციური შეფასებებია. გამოცდილებით, გამოცდილებით დავმძიმდით. მე ვთვლი, რომ ადამიანი არასდროს წყვეტს ზრდას, თუ მან ეს იცის და თუ მას სჯერა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. ამერიკაში ჩემი თანაკურსელი, ჩემზე 20-30 წლით უფროსი, ისეთივე ენერჯით სწავლობდა მისთვის მესამე თუ მეოთხე პროფესიას, როგორც მე. თუმცა, ეს ამერიკაში იყო. რომ დავინახო, რომ არაფერი აღარ მინდა, არაფერი აღარ შემიძლია და ყველაფრის მემინია – ისედაც ვწვავლობ, არ მომწონს ეს საქმე, პოლიტიკაში ყოფნა არ არის ჩემთვის სასიამოვნო – ერთი დღეც არ გაგჩერდებოდი აქ. ამას ფარისევლობის გარეშე ვამბობ, ამიტომ ვარ იქ, სადაც ვარ“.

ნიკასთან საუბრების დროს ხშირად მიფიქრია, რომ გულწრფელია, ან ცდილობს, გულწრფელი იყოს. „ლიბერალიზმმა შექმნა ყველაფერი, რაც მიყვარს: ლიბერალიზმმა შექმნა ამერიკის კონსტიტუცია და ელა ფიტცჯერალდიც, სილიკონ ველიც და სპილბერგიც“, – გამოთქმით ამოიკითხა ეს „საუნზაითი“ თავის „მოლესკინიდან“, როცა თავისუფალი ქვეყნების მიღწევებზე ვლაპარაკობდით. მაგრამ სამინისტროს ინიციატივებს, რომელიც ჩვენი ფილოსოფიური საუბრების პარალელურად ხორციელდებოდა, უცებ გამოვყავდი მაღალფარდოვანების ბურუსიდან და ორმაგი რეალობის პირისპირ ვრჩებოდი. ხელისუფლების შეცვლისაკენ მომართული ტელეარხების პროპაგანდას, სადაც მთავარი მოქმედი პირები „ჩარე-

ცხილებად“ შერაცხული „ინტელიგენცია“ იყო, ხელისუფლებამ ერთ მშვენიერ დღეს „სხვა ინტელიგენცია“ დაუპირისპირა. პარლამენტის თავმჯდომარე და კულტურის მინისტრი ტელეკამერების წინ „ინტელიგენციის წარმომადგენლებს“ შეხვდნენ. ინტელიგენცია ინტელიგენციის პირისპირ. ბევრი ვიკამათეთ.

მისი მთავარი არგუმენტი ამ პოლიტიკურ ტაქტიკაზე ასე უღერს: „არის რალაც ინტერესები, რომლებიც ჩვენ არ მოგვწონს, მაგრამ რალაც დონეზე გასათვალისწინებელია, რადგან ამ ინტერესებს უკან უდგას ინტერესთა ჯგუფები. შესაძლოა, ეს რეგრესული ინტერესები და რეტროგრადული ინტერესთა ჯგუფები იყვნენ, მაგრამ მათი ინტერესების გათვალისწინება კომპრომისის ხარჯზე უნდა მოხერხდეს. დემოკრატია ეგ არ არის?! ჩემი სურვილია, რომ ეს რეტროგრადული ინტერესთა ჯგუფები არ დომინირებდნენ, რა თქმა უნდა, მაგრამ მათ თუ არა აქვთ განცდა, რომ ამ თამაშის წესებში თავისი ინტერესის დაკმაყოფილების შანსი აქვთ, ისინი სხვა თამაშს ითამაშებენ. ყველაზე რადიკალურ მაგალითს მოვიტან – ასეთმა ჯგუფებმა შეიძლება მეხუთე კოლონის ფუნქცია შეითავსონ. ამიტომ, ისეთ გარემოში, როგორშიც ჩვენ ვართ, პოლიტიკური სისტემა ინკლუზიური უნდა იყოს და არა ექსკლუზიური, გამრიყავი. უკომპრომისობა ხანდახან მთელ პროექტს აყენებს საფრთხის ქვეშ. ეს მე ბევრჯერ მიგრძენია და მჯერა, რომ ეს ასეა“.

მოკლედ, ნიკა თვლის, რომ ამ პოლიტიკურ ბრძოლაში სხვანაირად ვერ ჩართვები, რომ მონინალმდეგეს მისივე მეთოდებით უნდა დაუპირისპირდე. „გეუბნებიან, – ინტელიგენცია ჩვენი. შენ უნდა უთხრა, რომ ეს ასე არ არის. თავისივე ენაზე უნდა ელაპარაკო ამ ხალხს, მათ სხვა ენა არ ესმით“. თუმცა, ჩემთვის ხელისუფლების და „ელიტების“ ურთიერთობის ეს ფორმები მძიმე წარსულთან ასოცირდება და ვერანაირად ვრწმუნდები იმაში, რომ ეს ის კომპრომისია, რომლის შედეგადაც პროგრესი იხეიმებს; ისევე, როგორც მიჭირს გავიგო რურუას რამდენიმე ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება – მაგალითად მწერალთა კავშირის დაბრუნება ძველი კავშირელებისათვის. ნიკას ამაზეც აქვს თავის არგუმენტე-

ბი, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ვერ ვთანხმდებით.

**კ**რიტიკულ მომენტებში, პრეზიდენტი პასუხისმგებლობას კონკრეტულ პოლიტიკოსებს აკისრებს და მათ სამსახურიდან ითხოვს ხოლმე. 2007 წლის ნოემბრის შემდეგ „რადიკალი რეფორმატორები“ მარგინალიზება მოხდა და საჯარო ასპარეზზე ნაციონალური მოძრაობის „ახალი ტალღის“ ლიდერები გამოვიდნენ. თუმცა რეალურად არ შეცვლილა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვა. არასაჯარო საუბრებში ჩანს, რომ ამ ვიწრო წრეში ყველას თავისი როლი აქვს. მაგალითად, გიგა ბოკერია „შინგით“ ყველაზე მეტს „ჩხუბობს“ (ამას მისი ოპონენტებიც აღიარებენ), მაგრამ მერე სრულად იღებს პასუხისმგებლობას ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებაზე, მათ შორის იმაზეც, რასაც არ ეთანხმება. რურუას როლს კი ასე მისხნინა: „ომის შემდეგ ის გარკვეულწილად მიშას ფსიქოთერაპიით დაკავდა და, ამ როლის გამო, უფრო მეტად დაუახლოვდა მას“. თანაგუნდელეებმა იეჭვიანეს, მაგრამ მათი განაწყენება იმან გამოიწვია, რომ „ომის შემდეგ რამდენჯერმე დაარღვია გუნდური თამაშის წესები, მესამე პირში დაიწყო ლაპარაკი. თავნებური რალაცები აქვს ხოლმე შიგადაშიგ“. თუმცა, სერიოზული იდეოლოგიური დისონანსი ნიკასა და სხვებს შორის, როგორ ჩანს, მაინც არ არსებობს.

ამ თემაზე ნიკასაც ველაპარაკე.

**– რა როლს თამაშობთ ამ ხელისუფლებაში? გარდა თქვენი, როგორც კულტურის მინისტრის, უშუალო ფუნქციებისა?**

– არ ვიცი, როლების გადანაწილებას მე არ შევსწრებოვარ, მაგრამ ჩემი მეგობრები ის ხალხია, ვისთან ერთადაც ხელისუფლებაში მოვედი და დღემდე მაქვს ის პრივილეგია, რომ მათ უმრავლესობასთან ვიმეგობრო, მიუხედავად ბევრი არასასიამოვნო მომენტის, კამათისა და ადამიანური წყენისა, რომელიც ერთმანეთისთვის მიგვიყენებია. მე არ მიჭირს ადამიანთან ურთიერთობა, თუ ვხედავ, რომ ის იდეალისტია. ასეთი იდეალისტები, საბედნიეროდ, ჰყავს ჩვენს ქვეყანას. თუ ერთ-ერთი მათგანი მეც ვიქნები, ძალიან

გამიხარდება. ამ პროცესში მონაწილეობა სასიამოვნოა, ემოციური უკუგება აქვს და ბევრ არასასიამოვნო რაღაცას გადართმის. ბევრ ტანჯვას, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნას მოაქვს, ბევრ მორცხვობას, უხერხულობას, ნარუმატებლობის შეგრძნებას, ბევრ ტკივილს, რომელსაც იღებ და ეს გარდაუვალაა. მაგრამ ეს არის ცხოვრება – გამოწვევა და გამბედაობის ტესტი. ჩემს ერთ-ერთ პირველ ესეს ერქვა ასე – „გააზრებული გამბედაობა“, ეს არის ის, რისიც მჯერა. თუმცა ზოგჯერ შეიძლება გაუაზრებელი გამბედაობა ყველაზე მეტად დაგჭირდეს.

**– უკვე მერამდენედ ასხენთ, რომ ხელისუფლებაში თავს არ გრძნობთ კომფორტულად. რა გიქმნით ამ დისკომფორტს?**

– სულ იმის განცდა გაქვს, რომ რაღაც ვერ გააკეთე, რომ მეტი შეგიძლია, მომზადებული არა ხარ, რომ ზარმაცი ხარ და უფრო ნაკლებად ზარმაცი უნდა იყო, უფრო მეტი უნდა იაზროვნო, უფრო მეტი უნდა გაბედო. შესაძლოა, უბრალოდ ეგეთი დროა. საქართველო თავის განვითარების ისეთ ეტაპზეა, რომ დღეს ხელისუფლებაში ყოფნა მეტ ენერჯიას და თავდადებას მოითხოვს, ვიდრე, ვთქვათ, ფინეთში, სადაც კულტურის მინისტრი ცოტა უფრო კომფორტულად გრძნობს ალბათ თავს. მე რომ ამერიკელი, ან ფინელი, ან ჩეხი ვიყო, სხვა პროფესიის ადამიანი ვიქნებოდი. გადავიღებდი კინოს, ვეცდებოდი რამე დამენერა, ხელოვნებას მივყოფდი ხელს. ჩემი ყველაზე თამამი ოცნებები არტთან არის დაკავშირებული, შემოქმედებით პროცესთან. თუ ოდესღაც რაღაც დავნერე და გადავიღე, ეს ვიცი, რომ გამაბედნიერებს. იმედია, ამის დროც მოვა.

**– თქვენ მითხარით, იმედია ხვდები, რომ საქართველოში ძალაუფლება ოქსიმორონიაო. რას ნიშნავს ეს?**

– არ არსებობს პატარა ქვეყანაში ძალაუფლება. პატარა ქვეყანაში ძალაუფლება პასუხისმგებლობაა. ძალაუფლება ნიშნავს, ძალაუფლებას ვილატებზე. შეიძლება საკუთარ ოჯახში დატყებ ძალაუფლებით? ასეა ესეც. შესაძლოა, მას სხვა ეპოქაში ჰქონდა თავის ხიბლი, იმპერიაში იმპერატორი ალბათ გრძნობდა ძალაუფლებას, ჩინგის ხანი და ნაპოლეონი ალ-

ბათ გრძნობდნენ ამას, მაგრამ დემოკრატიაში ძალაუფლება ისე არის შეზოჭილი, იმდენი მხრიდან, რომ მთელ ხიბლს კარგავს. პოლ ვალერი ამბობდა, – ძალაუფლებას, მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, არანაირი ხიბლი არა აქვსო. მე როგორ უნდა გამოვიყენო ძალაუფლება, თეატრის დასს მოვუხსნა დაფინანსება, თუ რომელიღაც მწერალს გადავეკიდო და მისი წიგნები დავწავა?!

**– თუნდაც, რატომაც არა?! უამრავნაირად შეიძლება ძალაუფლებით ტყობა, როგორც თქვენ ამბობთ, იმ „პატარა ძალაუფლებითაც“, რომელიც გაქვთ.**

– აბსურდია! ერთადერთი მსიამოვნება, როცა რაღაც გამომივა, ისიც ცოტა ხნით. ძალიან ვისიამოვნე, როცა ოკუპაციის მუზეუმი გავაკეთეთ, როცა პარლამენტში მუშაობისას სამხედრო ატომეული გამოვეცით. ძალიან ვისიამოვნე კინოსთან დაკავშირებით ამ გადასახადების სისტემის შეცვლის თაობაზე პოლიტიკური თანხმობა რომ მივიღე. ვიცი, რომ ძალიან მესიამოვნება, თუ ცისფერ გალერეას გავარემონტებთ და ის თანამედროვე გალერეა თუ მუზეუმი გახდება, სადაც ჩემს შვილებს მივიყვან და, ვთქვათ, გოიას ვაჩვენებ. მაგრამ ამას ძალაუფლებასთან არა აქვს კავშირი, დამიჯერე. დღეს საქართველოში ძალაუფლებას არ მოაქვს არანაირი ემოციური გრატიფიკაცია. ყოველდღიურ რუტინაში არაფერი სასიამოვნო არ არის. ნახვევ ჩვენი ოპოზიციონერებიც, ოდესმე ხომ გახდებიან ხელისუფლება?! რაც უფრო პატარა ძალაუფლება გაქვს, მით უფრო მაგრად ეპოტინები და მოგნონს ეს. ამ დროს ძალაუფლება ილუზიაა და ცუდია, თუ არა გაქვს გააზრებული, სინამდვილეში რა საფრთხეები ახლავს და რა პასუხისმგებლობა.

# ნ

ახე, გუშინ, როგორი წინდები ეცვა? – მითხრეს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის გოგოებმა, როცა, მოსაცდელის ნაცვლად, მათ ოთახში გადავწყვიტე ნიკას დავლოდებოდი. „ფანტასტიური გემოვნება აქვს. თან ყოველთვის უცნაური ფერის პერანგები აცვია, მაგრამ არამყვირალა.

ყოველთვის კარგ ფორმაშია. თან იცი, რომ რაღაცებს გვაკითხებს? – მითხრა სოფომ. მინისტრის ფანკლუბის წევრებმა, რომლის ყველაზე ახალგაზრდა წევრი 20 წლისაა, უამრავ ასეთ დეტალზე გამიმახვილეს ყურადღება.

მახსენდება წინა დღეს მოსული შეტყობინება – ერთი ჰკითხე, წინა წკრიალაშვილი რას აკეთებს მანდო. ამ კითხვით ნიკა აღარ შევანუსხე. წინა ივენთ-მენეჯერია და არცთუ ურიგოო, – განმიმარტეს სამინისტროში.

ქალები და ზოგადად ურთიერთობები ის თემაა, რომელზეც ნიკა ყოველთვის თავის ინიციატივით იწყებს ლაპარაკს.

„დენიროს ფილმია ერთი, „Bronx Tales“. იქ არის ასეთი დიალოგი, იტალიელი მაფიოზი ასწავლის პატარა ბიჭს: მთელ შენს ცხოვრებაში სულ სამ მაგარ ქალს შეხვდები და უხსნის, როგორ უნდა გამოსცადოს, მაგარი ქალია თუ არა.

ქალს რომ მანქანის კარს გაუღებ და ჩასვამ, ვიდრე მანქანას შემოუვლი და შენ კართან მიხვალ, ქალმა უნდა დაგასწროს და კარი შიგნიდან თვითონ უნდა გაგიღოს, აი, მაშინ არის მაგარი ქალიო. ამას ფილმში „სანის ტესტი“ ჰქვია. მოკლედ, ეს სანის თეორიაა. ჩემი თეორიაა, რომ მაგარი ქალები არსებობენ, უბრალოდ სამზე მეტი გხვდება“, – ჰყვება ნიკა და თან ეცინება.

**– ანუ, მხოლოდ რაოდენობაში არ ეთანხმებით სანის?**

– ჰო, მარა ხარისხში ვეთანხმები, რომ არსებობენ მაგარი ქალები. როგორც კი მაგარ ქალს შეხვდი, მიგხვდი, რომ მაგარი იყო. პირველი მაგარი ქალისგან ის ვისწავლე, რომ სხვა მაგარი ქალებიც არსებობენ, – იცინის ნიკა, – ისინი ბევრნი არიან და ყოველთვის გხვდებიან. შესაძლოა პატარ-პატარა პაუზებით, მაგრამ გხვდებიან. თან მაგარმა ქალებმა ყოველთვის იციან, რომ მაგრები არიან. ვილატებმა შეიძლება არ იცოდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში ყოველთვის ხვდებიან. ეს ძალიან გულისამაჩუყებელია.

კარგა ხანს არ ვიცოდი, რომ ქალებთან ურთიერთობა ასეთი მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო, – თან ტრამპის და თან თავმდაბლობს ნიკა.

ამჯერად კულტურის მინისტრი მშობლებთან ცხოვრობს. „პირადი ცხოვრება

ალარ ვიცი, რა არის. ცოლს რომ გავშორ-  
დი, ის სახლი, რომელიც გავაკეთეთ, სო-  
ფოს დაუტოვე, იქ ჩემი ბავშვები იზრ-  
დებოდნენ. ჩემი სახლი შენდება და ალბათ  
2011 წლამდე არ იქნება. ამიტომ, აბა, რა  
პირად ცხოვრებაზეა ლაპარაკი?

ცოტა ხნის წინ ესპანეთში ვიყავი საქ-  
მიანი ვიზიტით. ერთ-ერთ საღამოს ბარ-  
ში წავედი. სერიოზული პუბლიკა იყო,  
დიდი ბიძები ისხდნენ, სიგარეტს აბოლე-  
ბდნენ, ხარხარებდნენ, ერთობოდნენ, სვა-  
მდნენ. როგორი მოსაწყენია ეს ყველაფე-  
რი, წავედი აქედან-მეთქი, - ვთქვი. 5-10  
წუთი ვისიამოვნე, მომეწონა ეს განწყობა  
და გარემო, მაგრამ ამის ნაწილად ვერ  
გადავიქეცი, შეიძლება იმიტომ, რომ  
ფხიზელი ვიყავი. 300 გრამი ვისკი რომ  
დამელია, შესაძლოა, სხვა ჭკუაზე დავმდ-  
გარიყავი, მაგრამ არ მიყვარს არასიფი-  
ზლე, არ მოქმედებს ჩემზე კარგად. და-  
ბინდული რომ მაქვს გონება, არ მომწონს  
ეს მდგომარეობა, ცუდად ვხდები. ამი-  
ტომ, არ მიყვარს არც სასმელის წრუპვა  
და არც არანაირი გაბრუება. ამის გამო,  
ალარ ვსვამ ხოლმე“.

თუმცა, როგორც ჭეშმარიტ დენდის,  
ნიკას უყვარს ღვინის გემო და ლამაზეტი-  
კეტინი ღვინოების დაგემოვნება.

**რ**ვენ პოლიტიკურ სივრცეში არ მე-  
გულეება მეორე ადამიანი, ვისზეც ამდენ  
მითითურ ამბავს ჰყვებოდნენ. თუ 80-იანი  
და 90-იანი წლების საქართველოს მხო-  
ლოდ აკა მორჩილადის, თაბუკაშვილების  
თუ ლაშა ბულაძის მოთხოვნებიდან და  
რომანებიდან იცნობთ, რურუაზე მოყო-  
ლილ ისტორიებსაც ამ არარეალური  
წარსულის ნაწილად აღიქვამთ. მაგრამ,  
როგორც ჩემი ერთი მეგობარი მიყვება,  
„ისეთ უბანში გავიზარდე, რომ მიხდოდა  
თუ არა, თავში უამრავი ამბავი დაილე-  
ქა, საშინელიც და სიმპათიურიც. ამიტომ  
ადრინდანვე ვისწავლე, რომ ეს ყველაფერი  
ჩემთვის უნდა შემენახა. მითები ცოტაა,  
უმეტესი სინამდვილეა. უბრალოდ, მე  
გამიჭირდება მორალისტობა-განკითხვა.  
ყველას თავისი წილი კომპარი აქვს გულ-  
ში, ვილაცას შეუძლია ასეთ დროს სხვის  
კომპარზე ილაპარაკოს, ვილაცას - არა“.

თავად ნიკასთვის არ არის იოლი წარ-

სულზე ლაპარაკი. მიუხედავად ამისა,  
დამეთანხმა, როცა ვუთხარი, თქვენი  
ბიოგრაფია, რამდენადაც ის მე წარმო-  
მიდგენია, ძალიან ჰგავს ამ ქვეყნის უა-  
ხლოეს ისტორიას-მეთქი. „ოღონდ არ  
ვიცი, ეს რამდენად საამაყო ისტორიაა.  
რაც ჩემმა ქვეყანამ სხვადასხვა ეტაპებზე  
გაიარა, ყველგან ვიყავი ჩაჩხერილი“.

**- გინდათ, ქრონოლოგიურად მიყვებით?  
საიდან დაიწყით?**

ფეხებს მაგიდაზე აწყობს, სავარძელში  
უფრო ღრმად ეშვება და თხრობას ძა-  
ლიან ფროდიანული მომენტიდან იწყებს.

- ჩემი ცხოვრება იწყება რალაც  
გაურკვეველი გრძნობებიდან, რომელიც  
მასსოვდა დაბადებამდეც. ეს მეხსიერება  
შეგრძნებითია, რომელიც დაბადებამდე  
მეხსიერებაზე ლაპარაკობს. ეს კომფორ-  
ტის, თუ ძალიან მაგარი სიამოვნების,  
გაყუჩების, რალაც ნირვანას მსგავსი შე-  
გრძნობებია, რომელსაც ალბათ მუცელში  
ვგრძნობდი და ახლაც, ამ ცხოვრებაშიც  
მიმორდება შიგადაშიგ. ინტიმური რალა-  
ცაა, მაგრამ გასსოვს. შესაძლოა ძილში,  
შეიძლება ძილ-ღვიძილის ზღვარზე.

სტოპ-კადრებად მასსოვს ბებიას და ბა-  
ბუას რომ დაეყავი ბიჭვინთაში, 2 წლის  
ვიქნებოდი ალბათ. მერე მასსოვს მამა-  
ჩემი და როგორ იღებდნენ ჩვენ სახლში  
რალაც ფილმს. რალაც მოკლე ჩართვა  
მოხდა, განათების აპარატურასთან დაკა-  
ვირებული, ტკაცანი იყო საშინელი და  
მასსოვს, რომ ტირილი დავიწყე. მასსოვს  
ბევრი კაცი, ერთმანეთში რომ ირეოდა და  
რალაცას იღებდა.

მერე მასსოვს უკვე 6-7 წლიდან, ჩემი  
ძმა როგორ მოიყვანეს სახლში.

ძალიან ვინერვიულე, რომ ყურადღება  
სხვა ტიპზე გადავიდა და არ მომეწონა.  
ერთხელ აბანავებდნენ, რალაც მომენტში  
მარტო დატოვეს, მივედი და დიდი ჭიქით  
ცხელი წყალი დავასხი. ჩაბურდა ტიპი,  
ვერ ამოისუნთქა და მასსოვს, რომ მა-  
გრად მომცხეს.

მერე ბალი მასსოვს, ბაღში ერთი გოგო  
მომწონდა. ის გოგოც მასსოვს, პუტკუნა  
იყო. ბალის მასწავლებლების სახელები  
მასსოვს, მასსოვს ფაფა და კომპოტი და  
მწყინდა, ბებიაჩემი და დედაჩემი გვიან  
რომ მოდიოდნენ ჩემ ნასაყვანად. ტრა-

გიკული სცენები იყო, მეგონა, რომ და-  
მტოვეს.

მერე იყო სკოლა, 53-ე. მასსოვს ერთი  
ჩემი სკოლელი - უცნაური ბავშვი იყო,  
მერე სულიერად დაავადებული ადა-  
მიანების კლინიკაში გადაიყვანეს და იქ  
გარდაიცვალა. მასწავლებელს უთხრა  
ერთხელ, - ნუნუ მასწავლებლო, თქვენ  
ლომი ხართო. მერე რომ დავაკვირდი, მი-  
ვხვდი, მართლა ჰგავდა ლომს.

ცოტა მოუმზადებლად გამიშვეს სკო-  
ლაში და შოკში ჩამაგდო პირველმა შთა-  
ბეჭდილებამ. თუმცა, მომწონდა სკოლის  
ჩანთა, ფანქრები, რვეულის სუნი, „პე-  
ნალი“, წიგნები. მასტიკის და ნახერხის  
სუნიც მასსოვს. ეგრევე მივხვდი, რომ  
სკოლა ყველანაირად განსხვავებულია ბა-  
ლისგან. სკოლა უკვე მკაცრი ინსტიტუცია  
იყო, გამიჩნდა განცდა, რომ საშინი სი-  
ტუაციაა, უფრო მეტია სანერვიულო და  
პასუხისმგებლობაც გაქვს. ეს ყველაფერი  
ერთ დღეს ვიგრძენი და ცოტა დავითრ-  
გუნე, მაგრამ 3 კაკეთილში დამავიწყდა.

მეექვსე კლასამდე კარგად ვსწავლობ-  
დი. მერე ალგებრაში ვერ გავიგე რალაც  
ამოცანა, ვერ ამიხსნეს კარგად, არც მე  
ვიკითხე და გული ავიცრუე. თან მათემა-  
ტიკის მასწავლებელი კარგად ირტყმევი-  
ნებოდა. ჩემთვის არ დაურტყამს არასო-  
დეს, მაგრამ მასსოვს, თმების წიწკნები  
და ყურის ანეგები. რვა წელი 53-ეში ვსწა-  
ვლობდი. მერე მუსიკალურ ტექნიკუმში  
გადავედი, რომელიც ფიქტიურად დავა-  
მთავრე, მაგრამ რეალურად იქ არაფერი  
მისწავლია.

**- მასსოვს თქვენი ერთი რეპლიკა - ეგ  
სკოლა, 53-ზე თქვით, დასახურიაო.**

- ჰო, ყველაფერი იყო, სკოლის გარდა.  
ცუდი სკოლა იყო, სრულიად სეგრეგირე-  
ბული. კლასებს აკომპლექტებდნენ მა-  
მების და დედების სოციალური კუთვნი-  
ლების მიხედვით, მოაპრობაც შესაბამისი  
იყო. ჩვეულებრივი ხალხი სხვაგან, მინის-  
ტრების შვილები - სხვაგან, მდიდარი და  
ცნობილი ხალხის შვილები - სხვაგან. მე  
სადღაც პრივილეგირებულ კლასში ვიყა-  
ვი, მამაჩემი მხატვარი იყო. ვიყავი იქ,  
სადაც ქურთები არ იყვნენ. ითვლებოდა,  
რომ ის კლასი, სადაც ქურთები არიან,  
ცუდი კლასია და იქ არ უნდა მოხვედ-  
ამის გარდა, სკოლა ასოციალური გარემო  
იყო. ზედა კლასებში - სიგარეტის მოწე-

ვა, მაროპუნა, დანის ტარება, ჩხუბი სხვა სკოლებთან, სრულიად უაზრო. მერე მეც ჩავები ამ ფერხულში. ტრადიცია იყო ასეთი, ეს მე კი არ მომიგონია. ტრადიცია იყო სრულიად იდიოტური აგრესია ერთ-მანეთის მიმართ, ალბათ იმიტომ, რომ არ არსებობდა შეჯიბრის სხვა ფორმა. მერე ამ ყველაფერმა საშიში სახე მიიღო, ვილა-ცებმა ვილაცებს დანები დაჰკრეს.

– მეც 53-ში ვწავლობდი. ჩემი კლასელი გოგოების უმრავლესობა მეცხრე კლასში გათხოვდა, ძირითადად – ვერელ ბიჭებზე. ბიჭებიდან კი 25 წლამდე საღსალამათმა ძალიან ცოტამ მიაღწია.

– ჰო, ჩემ დროსაც ეგრე იყო. მთავარი ისაა, მივხვდი, რომ არსებობდა ორი რეალობა. ერთი – მოსაწყენი, ყალბი, ფარისევლური, სწორი პრინციპებით შელამაზებული, ვითომ სიკარგესა და ნესიერებაზე ორიენტირებული, და მეორე, ნამდვილი რეალობა, რომლისაც ყველას სჯეროდა, ვინც პირველის ნიღბით ოპერირებდა, მაგრამ რეალურად სხვანაირი იყო; ანუ, ცხოვრების ოფიციალური ვერსია ძალიან განსხვავებულია მისი ნამდვილი ვერსიისგან და ამას მივხვდი ძალიან ადრე, 12-13 წლისა. თუმცა, ტყუილთან შეჯახების პირველი შოკი ბაღში მქონდა. ბაღიდან მოვედი და დედაჩემს და მამაჩემს მოვუყევი, რომ იყო ერთი საყვარელი ბავშვი, რომელიც გაიზარდა, ძალიან დიდი კაცი გახდა, რომელსაც მთელი მსოფლიოს ბავშვები უყვარდა. ეს ბავშვი პატარა, საყვარელი, ბუთხუზა, ოქროსფერთმიანი, ხუთოსანი ვალოდია იყო, მსოფლიოს ყველა ბავშვის ქომაგი. მოკლედ, სიტყვა-სიტყვით გავიმეორე ის, რაც ბაღის მასწავლებელმა მასწავლა. და უცებ, მამაჩემმა მაჯახა, ყველანაირი პაუზის გარეშე, – ეგ ყველაფერი, ნიკუმ, ტყუილია და აღარ დავინახო, რომ მეორედ გაიმეორეო. ისე მეწყინა, რომ ტირილი დავიწყე. დედაჩემმა მამაჩემს შეუღრინა, – ბავშვს რატომ ანერვიულებო, – ხელში ამიყვანა და ოთახიდან გამიყვანა. ვტიროდი შეურაცხყოფისგან. მასსოვს, მასწავლებელმა სურათებიც გვიჩვენა, სიტყვა „ლენინი“ არც კი უხსენებია. ის პატარა ვალოდია იყო, რომელიც შემეყვარდა. არ ვაჭარბებ, გულამოსკვნილი ვტიროდი, ალბათ ვალოდასთან ერთად გამოვიგლოვე ბევრი რამ, რაც მერე კი-

დეე უფრო უნდა მწყენოდა. ეს ხდება 4 ან 5 წლის ასაკში, მარა დღესაც მასსოვს ეს ბოღმა.

ეს გაორებული, შიზოფრენიული რეალობა სულ იჩენდა ხოლმე თავს. იყო გაზეთში გადახვეული წიგნები, სადღაც შეტენილი, რომლებსაც, როგორც კი გამოვიღებდი, – შედეგ ახლავო, – მეუბნებოდნენ – ძველი „სამიზდატის“ წიგნები იყო. ამასობაში გავიგე, რომ მამაჩემის ბაბუა, ვის სახლშიც ჩვენ ვცხოვრობდით, სადღაც წაუყვანიათ და კომუნისტებს დაუხვრეტიათ. მივხვდი, რომ კომუნისტები მართავენ ქვეყანას და ისინი არიან ცუდები. კარგები კი სადღაც სხვაგან, ძირითადად ამერიკაში ცხოვრობენ, სადაც არ გვიშებენ, იმიტომ, რომ იქ არ დავრჩეთ. თუმცა, ამას მიზანიმართულად არავინ მასწავლიდა. ეს ყველაფერი თავისთავად დაილექა, იმ ამბებიდან და ანექლოტებიდან, რასაც ჩვენთან ჰყვებოდნენ. მერე გავიგე, რომ ბაბუაჩემის მსგავსად, კარგი მწერლებიც დაუხვრეტიათ. ნელ-ნელა ვხვდებოდი, რომ ჩვენი ცხოვრების მთავარი ფასადი ტყუილია. ნითელი დროშების ფრიალი და აღლუმზე სიარული სირცხვილია და მამაჩემი არასოდეს არ წავა აღლუმზე და სხვები, ვინც დადიან, მიჰქარავენ.

– მერე რა ხდება?

– მერე რა ხდება... აბა, რა გითხრა?! მერე ტექნიკუმში გადავედი, რომელიც სულ სხვა უბანში იყო. პრინციპში, გამრიცხეს სკოლიდან, რაღაც გამოცდა არ ჩავაბარე თუ ვერ ჩავაბარე. რაღაცნაირად მომიშორეს თავიდან, როგორც ძნელად აღსაზრდელი ბავშვი. მოკლედ, ჩავაბარე მუსიკალურ ტექნიკუმში. ეს უბრალო ფორმალა იყო. მუსიკალური შვიდწლედ კი მქონდა დამთავრებული, ფორტეპიანოს განხრით, მაგრამ სასწავლებელში რომ ჩავებარებინა, რაღაც რეპერტუარი უნდა დაგეკრა. ამას ველარ ვასწრებდი, ამიტომ ავდექი და ჩემთვის სრულიად ახალ ინსტრუმენტზე, ბასზე ჩავაბარე. თათუზა მამეცადინებდა, რომელმაც ერთ თვეში რაღაც ნაწარმოებები მასწავლა. იქამდე ბასი ნანახიც არ მქონდა, მაგრამ რადგან ჯაზი მიყვარდა, რაღაცნაირად ვიხალისე.

მაგრამ რა იყო, იცო? აღმოჩნდი სულ სხვა უბანში, სულ სხვა სოცოუმში, რომე-

ლიც არც კი ვიცოდი, რომ არსებობდა. მე ვერაზე ვცხოვრობდი, ეს სკოლა კი სანზონაში იყო. თავიდან რაღაც პერიოდი ხომ უნდა მეელო? ჰოდა, ეს იყო სადღაც შორს, მეტროს ბოლო გაჩერებაზე, მეტროდან კიდეც 5 გაჩერება ავტობუსით უნდა წავსულიყავი და ცოტა დავიმოკე, სერიოზული სოციალური გამოწვევა იყო ჩემთვის (იციინის). უცნაური ხალხი, უცნაური გოგოები, სხვანაირად ლაპარაკობდნენ, სხვანაირი „ლ“-ებით. ჩემი თანაკლასელები, კლარნეტისტები, მაგალითად, კვირაობით ქორნილებში უკრავდნენ.

რაღაც პერიოდის შემდეგ აღარც მანდ აღარ დავდიოდი. გადავწყვიტე, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა, სრულიად შეგნებულად. დავიწყე მომზადება რაღაც საგნებში და ჩავაბარე პირველივე წელს. მაგრამ გამიხარდა, მაშინ ეს დიდი ამბავი იყო. ვნერვიულობდით, ნიშნებს ველოდებოდით. მაგრამ როგორც კი ჩავაბარე, ნელ-ნელა საბჭოთა კავშირის დაშლის ამბები, ეროვნული მოძრაობა, მიტიგები დაიწყო. გავიგე, რომ მერაბ კოსტავა გამოვიდა ციხიდან. მამაჩემისგან სულ მესმოდა, რომ არის ეგეთი ტიპი, მისი მეგობარი, ზის ციხეში და მაგარი გაუტყებელია, განსხვავებით ზვიადისგან, რომელიც გამოვიდა და „მოინანია“. მაგარი სირცხვილი იყო.

კოსტავა მასსოვს, ჩემ სახლთან დადიოდა, ჩემ ქუჩაზე ცხოვრობდა.

ყველაფერი თითქოს ჩემ თვალწინ ხდებოდა. თან ვიყავი ჩართული ამ ამბებში, თან არა. ჩემი ამბები სულ მქონდა, ჩემი სამყარო მქონდა, ამისგან დამოუკიდებელი.

ეს ის პერიოდი – მიყვარდა „სამოსელი პირველი“ და არ მიყვარდა „ერთხელ ამერიკაში“. არ მესმოდა, ეს მაქსი რატომ არის ასეთი ნაბიჭვარი და ეს ნუდღსი რატომ არის ვითომ კარგი და იდიოტი. ფილმის მონტაჟიც ვერ გავიგე. გელა ბაბლუანი მამაჩემის მეგობარი იყო და „უძინართა მზეში“ პატარა როლიც მაქვს. ციხიდან რომ გამოდის და ჩხუბი რომ ატყდება, იქ ერთ-ერთი მე ვარ. გადახოტრილი და საშინლად მახინჯი.

– „მხედრონის“ პერიოდი როდის იყო?

– ახლა რასაც „მხედრონის“ პერიოდად მოიხსენიებენ, მე მაშინ უკვე ამერიკაში ვიყავი. ჯაბას გაცილებით ადრე



ვიცნობდი. ვიცოდი, რომ პროფესორი იყო და თეატრმცოდნე. მე რომ დავიბადე, ჩვენ მეზობლად თურმე ჯაბას სიდედრი ცხოვრობდა. დედაჩემმა მითხრა, – შენი დაბადება ჯაბამ და სუსკიამ (მისმა ცოლმა) მოგვილოცესო. მაშინ პირველად გაუგიათ ჩემებს, რომ არსებობდა ეგეთი კაცი. მერე უკვე თეატრალურში ვნახულობდი ხოლმე და ვიცოდი, რომ ეს ჯაბა იოსელიანია, ოდესღაც ლეგენდარული ქურდი, რომელმაც ქურდობას თავი დაანება და პროფესორი და საინტერესო მწერალი გახდა.

მხედრობზე და ჯაბაზე თავად ნიკა მეტს არაფერს ჰყვება. მოგვიანებით მამუკა ხერხეულიძისგან ვიგებ რამდენიმე დეტალს. ისევე ჯაბა იოსელიანის წიგნში „სამი განზომილება“ ვკითხულობ, რომ სამოქალაქო ომის დროს ნიკა დაჭრილი ყოფილა: *„ქალაქში, სხვადასხვა რაიონებში, ცალკეული შეჯახებების სახით ომი გრძელდება. ვფიქრობ, ეს მანევრული ფანდი ხომ არ არის ჩვენი ძალების გაფანტვის მიზნით. ვიბარებ გია სვანაძეს. ვეუბნები, არავითარ შემთხვევაში არ აჰყვენ, სააღყო ძალებიდან არ მოხსნან ბიჭები და არ მოდუნდნენ. ჩვენი მხრიდან უკვე ბევრნი არიან დაჭრილები: ნიკუშა რურუა, დათო საჟომია. გვარდიელებშიც: ზაზა ჩაჩუა, უმძიმესად არის დაჭრილი კახა გველესიანი. გადარჩენის შანსი ცოტაა. დღეს მოგვიკლეს მხედრობის მშვენება, უჭკვიანესი, ყველაზე ახალგაზრდა მებრძოლი, სანდრო შაიშველაშვილი – ჩვენი „სკილეტა“. მის დღიურებში ერთი ასეთი ბრძნული აზრია: „ცხოვრება ნასკვია. ვიდრე მას გამოხსნი, მთავრდება კიდევ“.*

რამდენი ასეთი ისტორია იქნება ნიკას და ამ ქვეყნის ზარდახმაში, რომელსაც ნიკა არ ჰყვება.

– მერე რალაც შემემთხვა, ჩხუბი მოხდა ხმაურიანი, ეს ჯერ კიდევ პატიაშვილის და კომუნისტების პერიოდი, 1988-89 წლები. მილიცია მეძებდა და ცოტა ხნით სვანეთში წავედი, მესტიაში, – აგრძელებს ნიკა.

– როგორც ვხვდები, სვანეთი თავისუფლების კუნძულივით იყო.

– ვცხოვრობდი, როგორც ჩვეულებრივი სვანი, როგორც იქაური მასპინძლის

ოჯახის წევრი. დავყვებოდი საქონლის არეკვა-ჩამორეკვაზე, სათბობში მივდიოდით. სახლში იცოდნენ, რომ კარგად ვარ, მაგრამ უნდა დავმალულიყავით, სანამ თბილისში საქმე ჩაენწყობდა. ჰოდა, მე და ჩემს სვან ძმაკაცებს მაგარი მიდომოდი გვექონდა, ღამეებს ვათენებდით, ვიპრანჭებოდით. ისე, ვისთანაც მოგვივიდა ეს კონფლიქტი, მერე შევრიგდით.

დავბრუნდი და დავიწყე ისევ თეატრალურში სიარული, მაგრამ ბრახ! და მოხდა ეს 9 აპრილი, რამაც სრულიად არია სწავლის პროცესი. ისევ ავუშვით. პროფესორებიც აღარ დადიოდნენ, ჩვენ და-

„ჩემო კარგო ქვეყანა“. მერე ამ რეპერტუარს „ტიტებიც“ დავმატა.

9 აპრილს მთელი ღამე დავბოდილობდით, მეც იქ ვიყავი, მთლად ეპიცენტრში, არ ვიცი, როგორ გადავრჩით. ქაშუეთის კუთხეში ვიდექით, ფარიანი ტიპებიდან ზუსტად ხუთ ნაბიჯში. რალაც მოლოდინის განცდა გვექონდა, დღისით ორმა „ბეტერმა“ გაიარა, ძალის დემონსტრირება იყო. ვცადე შეხტომა, მაგრამ ჩამოვვარდი. გინება მივაყოლეთ.

მეორე დღეს ისევ რუსთაველზე წავედი, მაგრამ უკვე აღარ გავგიშვეს, ქვედა



ნიკა რურუა, 5 წლის

ვდიოდით, ვისხედით კაფეში, ვსვამდით, მაგარ დროს ვატარებდით. იქ გოგოები, ბიჭები, პრანჭვა-გრეხვა, გამოყვანა-გაყვანა, დაბადების დღეები. მაგარი დრო იყო, კარგად მახსოვს ჩემი სტუდენტობა. მაგრამ ჩვენ წინ სახელმწიფო იშლებოდა და ახალი აღარ შენდებოდა. სრული ქაოსის განცდა იყო.

...მახსოვს, ქაქუცას სურათები იყო გამოტანილი. მაშინ ვნახე ახლოს ზვიადი პირველად. სხვათა შორის, მამუკა ახლდა ხერხეულიძე, სადღაც მიდიოდნენ ჩქარი ნაბიჯით, ოცკაციანი ჯგუფი. შთამბეჭდავი იყო. რალაც აქტიურობა იყო, საქმეში იყო ყველა. ჩვენც დავდიოდით, მე და ჩემი ახალშექმნილი სვანი ძმაკაცები. რამდენიმე სიმღერა მახსოვს, „შავლეგო“ და

ქურები შეკრული იყო. მახსოვს, უზბეკი ტიპები იდგნენ, სულ სხვა ტომელები, ჯარისკაცის ფორმაში, სამიშები.

მერე დასცხეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა. ყველაფერი ხდებოდა მიტინგზე, ქუჩაში, სპონტანურად. მეც ვიდექი იქ ერთი-ორჯერ.

მერე აღმოჩნდა, რომ ერთ მხარეს ზვიადია, მეორე მხარეს – ყველა დანარჩენი. მახსოვს კოსტავას გასვენება, ძალიან ბევრი ხალხი იყო, მაგრამ მე პანაშვიდზე არ წავესულვარ. ერთ გოგოსთან მქონდა პაემანი, ალექსანდრეს ბაღში ვისხედით და მახსოვს, ხალხი ჯგუფებად მიდიოდა გასვენებაში. ამ გოგოს ვუთხარი, – არ მინდა გასვენებაში წასვლა-მეთქი. არც მეო, – მიპასუხა. მივხვდი, რომ ზედმეტი

მოგვივიდა, ყველაფერი უცებ დაძველდა და გაიფადა.

ჰო, კიდევ ერთი ამბავი მახსოვს: ზვავები რომ იყო სვანეთში, სვანების ნაწილი ჩაასახლეს ბოლნისში, სადაც ადგილობრივი აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. სვანებსა და აზერბაიჯანელებს შორის ჩხუბი მოხდა. მოვიდა ჩვენი სვანი ძმაკაცი ჩვენთან და გვეუბნება, – თათრები გვიხურებენ, წავილოთ თოფები და ჭკუა ვასწავლოთო. ნავედით და ნავედით ვინ: მე, მწერალი გურამ გვეგვიძე, რეჟისორი რეზო ჩხეიძე, მერაბ კოსტავა, ეს სვანები და სხვები. აი, ასეთი ჭრელი საზოგადოება ჩავედით ბოლნისში, რომ გაგვეხურებინა იქაურებისთვის, რომლებიც პარალელურ რეჟიმში, ვითომ, ეგრეთ წოდებულ ბორჩალოს ავტონომიას ითხოვდნენ. მახსოვს „სიღვინების“ ქვეშ თოფები გვქონდა დამალული, მანქანების გრძელი კოლონა ვიყავით. სრული სიგჟე და გროტესკი იყო, ნაწყვეტი კუსტურიცას ფილმიდან.

გზადაგზა ვაჩერებდით და ადგილობრივ მოსახლეობას მზრუნველი ტონით ველაპარაკებოდით. ამ ყველაფრის მეთაურები ზვიადი და მერაბი იყვნენ. აზერბაიჯანელები არც გვინახავს, ძირითადად ექსკურსია გამოგვივიდა. ერთადერთი, რაც ვნახეთ, ლობზე მწვანე საღებავით დანერილი „ბორჩალი“ იყო და მახსოვს, აღვშფოთდით. იმ დღესვე დავბრუნდით თბილისში.

ზვიადის არჩევიდან ცოტა ხანში მის დიქტატორობაზე დაიწყო ლაპარაკი. მერე გავარდა ამბავი, რომ ოსეთში არეულობა დაიწყო და კორტებზე ვაჟკაცი, თბილისელი ბიჭები იკრიბებიან და მიდიან ქართული სოფლების დასაცავად. ცოტა ხანში თქვეს, რომ ჯაბა იოსელიანი და ვიღაც ბიჭები არიან. ჯერ სახელიც არ ჰქონდათ. მოკლედ, გვიან გავიგე, რომ არსებობს ეგეთი ჯგუფი, მხედრონი, რომელიც ოსეთში დადის და ქართულ სოფლებს იცავს.

„მოდი, ცოტა ხნით შევისვენოთ, აჩიკო და ვახო არიან მოსულები“, – მითხრა ნიკამ და საათს შეხედა, უკვე ლამის პირველი იყო დანყებული. დიდი სიამოვნებით გამოვრთე დიქტოფონი და ღრმად ამოვისუნთქე.

ვახო ბაბუნაშვილს და აჩიკო გულედანს პრეზიდენტის ევროპასთან ურ-

თიერთობის პირადი მრჩეველი, რაფაელ გლუქსმანიც მოჰყვა. დღის წესრიგში, ქუჩის აქციებზე, „საკანზე“, ობამასა და ლია საზოგადოებაზე სჯა-ბაასის შემდეგ სამდღიანი მუსიკალური ფესტივალის, „Tbilisi Open Air“ დაგეგმვა იყო, რომელიც საქართველოს მიერ ბოიკოტირებული „ევროვიზიის“ პარალელურად უნდა გამართულიყო. ათანხმებდნენ საორგანიზაციო დეტალებსა და ბიუჯეტს. რაფაელი ევროპიდან ჟურნალისტების ჩარტერული რეისით ჩამოყვანას გეგმავდა. ფესტივალის შარდენზე უნდა გახსნილიყო.

ცხადია, შეხვედრა საათზე ნაკლები არ გაგრძელდებულა.

– თუ დაილაღეთ, სხვა დროს გავაგრძელოთ, – შევთავაზე მე.

– არა, არ დავილაღე. რა დაგვრჩა?

– აფხაზეთი და ამერიკა. სავალდებულო მოსათხრობია.

– ეს იყო ერთი დიდი, დეპრესიული გამოცდილება, სადაც ნავედი უბრალოდ ვალდებულების გამო, ვგრძნობდი, რომ სხვანაირად არ შემიძლია. მეორე მხრივ, ჩასვლის დღიდან ვიცოდი, რომ ომი აფხაზეთში კარგად არ დამთავრდებოდა. სამხედრო თვალსაზრისით, სრულიად მოუშვადებელი ვიყავით, ვგრძნობდი ჩემ უსუსურობას, რომ არ შემეძლო არაფრის შეცვლა. ვხედავდი იმ აბსურდულ სიტუაციას, რასაც ეს ომი წარმოქმნის და, ამავე დროს, ვხედავდი თავდადებულ ხალხს, ნამდვილ პატრიოტებს ჩემ გვერდით.

სამიწლად დეპრესიული ვიყავი, არ ვიყავი კარგად. არ მახსოვს ოდესმე მეტრაბახოს, რომ ომში ვიყავი. კი, მსიამოვნებს, რომ არ გავექეცი ამას, მაგრამ საშინელი გასასხენებელია ეს ჭუჭყი. ომიც ისეთი იყო, არაინტენსიური და განვლილი. ომის დროს მთელი წელი იქ ვიყავი, რამდენჯერმე ჩამოვედი თბილისში, 3-4 დღით, აზრზე მოსასვლელად. ბოლოს დამემართა სიყვითლე და ბოლო ერთი თვე აქ გავატარე. მე რომ არ ვიყავი, მაშინ აიღეს სეპარატისტებმა სოხუმი. მე ეს არ მინახავს, ჩემი ძმა იყო იქ.

– ამერიკაში როდის წახვედით?

– ეგრევე. მალევე. 1994-ში. ჩამოვედი და მივხვდი, რომ უნდა წავიდე. მაქვს

სურვილები და არა მაქვს ამ სურვილების შესრულების ინსტრუმენტი. ვხედავდი, რომ გამოუვალი სიტუაცია იყო. ჩემ ფუნქციას აქ ვერ ვხედავდი, არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. მინდოდა განვითარება და აქ ჩიხი იყო.

ეტყობა, მაინც დაილაღა ნიკა და იმ ღამეს, მეტი აღარ გვილაპარაკია. თუმცა შევხვდი მამუკა ხერხეულიძეს, რომელიც ნიკას „ფრონტელი“ მეგობარია და ამ პერიოდზე ლაპარაკი მასთან გავაგრძელე.

ნიკა და მამუკა ერთმანეთს სვანეთიდან იცნობენ და მას შემდეგ მეგობრობენ.

„მე და ნიკას რალაცნაირად თავიდანვე ბევრი საერთო გვექონდა. ჩვენი ოჯახებიც ჰგავდნენ ერთმანეთს. ცოტა გულუბრყვილოა, ჯერა, რომ ნაძირლებისგანაც შეიძლება რალაც გამოვიდეს. რამდენჯერ ყოფილა, რომ ჩემი ნათქვამი მერე წინ დახვედრიდა.“

აფხაზეთის ომის დროს ვერ მოვხვდით ერთად, სხვადასხვა დანაყოფებში ვიბრძოდით. 93 წელი იყო. უკვე სოხუმს უტყევდნენ. უნდა გადავფრენილიყავით, სხვანაირად იქ ვერ მოვხვდებოდით. ავისხით იარაღები და ნავედით აეროპორტში, მაგრამ არ იყო ფრენა. და ასე ყოველდღე, აეროპორტში მივდიოდით დილის 7 საათზე და ვერ მივფრინავდით. ერთ დღესაც გავიგეთ, რომ სოხუმი აიღეს. ძალიან ტრაგიკულად გვახსოვს ორივეს ეს დღეები და თითქოს ჩვენი ცხოვრების მთავარ მიზნად იქცა იქ დაბრუნება, იარაღით ან, იმედია, მშვიდობით.

ძალიან უცნაურ დროს წავიდა ამერიკაში. მაშინ წავიდა, როცა ზენიტში იყო. თუ ძალაუფლების ტრფიალი იყო, მაშინ ამის შანსი ჰქონდა, მაგრამ წავიდა. გამიხარდა, ვიცოდი, რა ჭაობს დააღწევდა თავს. თუ ერთხელ მაინც გავლილი გაქვს ეს გზა, იცი, რომ ან ქურდული კონიუნქტურის ნაწილი უნდა გამხდარიყავი, ან აჯანყებული. ერთხელ მაინც თუ დაიცავდი შენ პოზიციას, დალდასმული იყავი. თუ ერთხელ მაინც შეხვიდოდი ამ სამყაროში, ბოლომდე უნდა გასულიყავი. სულ ამ ომებში ვიყავით ჩართული, სადაც ძალიან რთული იყო გადაჩენა. არსებობისთვის გვიწევდა ბრძოლა და იარაღი რომ არ გვექონოდა, ვერ გადავრჩებოდით.

ამერიკიდან სულ მირეკავდა და სა-

ათობით ვლასარაკობდით. შუალამისას რეკავდა, ნამოვხტობოდი მძინარე, დაჯვადებოდი სავარძელში, ვენოდი და საათობით ვუყვებოდი ამბებს. არც ერთხელ არ დაუნუნუნია, მიუხედავად იმისა, რომ უჭირდა. არ არის ადვილი ნახვიდე და ცივ ქვაზე დასახლდე, მაგრამ სოფო ძალიან ჭკვიანი შეხვდა. რთული წლები ჰქონდა, თან თავის თავს იყო შერკინებული. თუ ამოიჩემებს რამეს, ბოლომდე მიყავს. ამიტომ ვცემ ძალიან დიდ პატივს. თავის თავს მოუგო.

ამერიკიდან რომ ჩამოვიდა, თითქოს თავიდან სწავლობდა ყველაფერს. ვისთან უნდა დაეჭირა საქმე და ვისთან – არა, რა უნდა ეკეთებინა. საშინელი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, „ბუკვადია“, ფუნდამენტურად უდგება ყველაფერს. რომ ჩამოვიდა, მითხრა, – მოდი, დავეწროთ, როგორ გადავარჩინოთ ეს ქვეყანაო. ამოიღო შავი ბლოკნოტი და დავინყეთ წერა. გადავწყვიტეთ, რომ რამე გაზეთთან უნდა დაგვეწყო თანამშრომლობა და თანამოაზრეების სია შევადგინეთ. მივადექით ეროსის. ეროსის უკვე გადაწყვეტილი ჰქონია გაზეთის გაკეთება და ცოტა ხანში „24 საათიც“ გამოვიდა. ნიკუშა სამართლის ჩანართს აკეთებდა. მერე გამოვუშვით სამი წიგნი, „რევეკომის“ ბიჭების კრებული, ოთარ ჭილაძის „გოდორი“ და ნიკას „თავისუფლება და კანონი“. რევოლუციური მარათონისთვის მთელი წელი ვემზადებოდით, შევქმენით „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“, დავდიოდით რეგიონებში და ვარიგებდით ამ წიგნებს. მიზანი რა იყო – უნდა შეცვლილიყო სისტემა და უნდა დაგვრუნებულიყავით სოხუმში. მერე შევყვეით და შევყვეით, პასუხისმგებლობის აღება იყო საჭირო“.

ამ საუბრის შემდეგ მამუკას უკმარი-სობის გრძნობა დარჩა, – ხომ იცი, არ შემიძლია ასეთი რაღაცებო და იმეილიც მომწერა. „ულისეში არის ასეთი ფრაზა – „ჯერ ირლანდია, სტივ“. ეს ჩვენი პაროლია. ვართ გიჟურად ოპტიმისტები, ჩვენი პროგნოზებიც, როგორც წესი, მართლდება. მე და ნიკა ერთად გაფრინდებით სოხუმში, სადაც მაგარ რადიოს გაგხსნით, ოღონდ ჯერ ვერ ვთანხმდებით, რა მუსიკა უნდა იყოს. რთულ ჯაზს, რომელსაც ის უსმენს, მე ზეიკიდის რეპერტუარს ვე-

ძახი – ერთი მწამებელი პოლიციელი იყო შევარდნაძის დროს. არა უშავს, კომპრომისამდეც მივალთ“.

როცა სოხუმში დაბრუნებაზე იწყებენ ლაპარაკს, სულ მეშინია, რომ ეს დაბრუნება ომს ნიშნავს. ამიტომ ნიკას და მამუკას ოპტიმიზმი მზაფრავს. რთულია, მიხვდე, სად რაციონალიზმია, სად – პროპაგანდა და სად – დამარცხებული ერის სინდრომი.

**ზ**ოგს სჯერა რურუას ცვლილების, ზოგს – არა. ერთმა მითხრა, – ის ყველა დროში იმ ფორმებით იბრძვის ძალაუფლებისათვის, რა ფორმებიც იმ დროისთვის უფრო მისაღებიაო. სხვები მიიჩნევენ, რომ ნიკამ სრულიად რაციონალურად, გააზრებულად გადაწყვიტა თავისი ცხოვრების შეცვლა და ამისათვის წარმოუდგენელი ძალისხმევა გაიღო. ეს მიზანდასახულობა და ნებისყოფა ჩემთვისაც თვალშისაცემია. მის სხვა ცხოვრებას კი მხოლოდ წამიერად თუ მოკრავ თვალს, ერთ გამოხედვაში, როცა ხვდები, რომ სადღაც ძალიან შორიდან იყურება. ჩემთვის უცხო, მაგრამ ამ ქვეყნისათვის კარგად ნაცნობი წარსულიდან.

ნიკას რომ ვკითხე, – ვინ გიცნობთ ყველაზე კარგად, ვისთან ღირს ჩემი შეხვედრა-მეთქი, – მამუკა და ჩემი ყოფილი ცოლი, სოფოო, – მიპასუხა. „მართალი უთქვამს“, – გაცინა სოფოს და ყავის მოდულებას შეუდგა. სოფო მალაღობა და ძალიან ლამაზი.

სოფომ და ნიკამ ამერიკაში 8 წელი გაატარეს ერთად. ტყუპებიც, ლიზა და მარიამი, იქ გაჩნდნენ. ამიტომ, სოფოს ამერიკაზე ვეკითხები.

„ვცდილობ, არ ვიმსჯელო ადამიანებზე მხოლოდ წარსულით. ჩემთვის ადამიანი არის ახლა. ნიკუშამ არაორდინალური ცხოვრება გაიარა, რომელმაც კვალი ალბათ დატოვა მასში, მაგრამ ამერიკაში ის მაქსიმალურად გარდაიქმნა“.

ამერიკაში წასვლამდე სოფოს და ნიკას ბუნდოვანი, არაკონკრეტული მიზნები ჰქონდათ. „უბრალოდ ვხვდებოდით, რომ ეს თვითდამკვიდრების, საკუთარი თავის

პოვნის შესაძლებლობა იყო, – იხსენებს სოფო, – საქარველოსთან ემოციური მიჯაჭვულობა მიზანდასახულობაში გადაიზარდა. უკუკავშირი საქართველოსთან არასოდეს დარღვეულა“.

წასვლის გადაწყვეტილება სოფომ მიიღო. „მიზნის მიღწევის ბევრად უფრო ცივილიზებულ მეთოდებს მივადგინეთ, მივეჩვიეთ წესრიგს. ნიკუშამ ჩასვლამდე არც ერთი სიტყვა არ იცოდა ინგლისურად. ინგლისური ისწავლა, ჩოგბურთის თამაში დაიწყო, ვარჯიშობდა. მერე უკვე მუშად მუშაობდა და გამოცდებისთვის ემზადებოდა. მე უფრო მეტი შემეძლო გამეკეთებინა ჩემი კარიერისთვის, მაგრამ სულ საყოფაცხოვრებო, ყოველდღიური პრობლემების გადაჭრით ვიყავი დაკავებული“, – ამბობს სოფო ცოტა გულდაწყვეტილი.

„ჰო, ეგრე იყო, – აგრძელებს ნიკა მოგვიანებით, – დავინყე ინგლისურის სწავლა. ჩავაბარე სამართლის სამაგისტრო პროგრამის მისაღები გამოცდა, LSAT (საშინელი გამოცდაა), მაგრამ იმ წელს უნივერსიტეტში ვერ მოხვდი. მეორე წელს, უკვე წინა წლის შეძენილი გამოცდილებით, გამოცდების ნიშნები და იდეალისტიური განაცხადი ათ სხვადასხვა უნივერსიტეტში შევიტანე. ველოდები პასუხს.“

ჩემი დაბადების დღეა, 17 მარტი, მაცვია რეზინის ხელთათმანები, მიკეთია წინსაფარი და ვრცხავ რაღაც დიდ ქვაბს. უცებ სამსახურში რეკავს ტელეფონი. მენჯერმა დამიძახა, – ვილაც ქალი გირეკავსო. Happy birthday – მიუბნება. გმადლობთ-მეთქი. კიდევ გამიმეორა, – გილოცავთ დაბადების დღეს, თქვენთვის კარგი საჩუქარი გვაქვსო. სულ დავიბენი. მგონია, რომ რაღაც სატელეფონო ლატარეაა, კინალამ დავეუკიდე ყურმილი. ერთი წუთი, ერთი წუთი, არ ნახვიდეთ, გირეკავთ, რომ მოგილოცოთ, რომ თქვენ მიღებული ხართ სამართლის სკოლაშიო. სიხარულისგან ცრემლები წამომივიდა. ჩემმა ამ რამდენიმეწლიანმა წვალბამ შედეგი გამოიღო და მიმიღეს კალიფორნიის რომელიღაცა სკოლაში. გავვარდი ეზოში, ნაგვის ბუნკერებთან ვიდექი და ცრემლებს ვინმენდდი. მაგარი მომენტი იყო. ეგრევე სოფოს დავურეკე. ჰოდა, მერე იმ 10-დან კიდევ 7-მა სკოლამ მიმიღო. შევარჩიე ის სკოლა, რომელმაც წინა

ნელს უარი მითხრა. რევანში ავიღე. ასე რომ, ეგრეა, ახალგაზრდა ადამიანებმა უნდა იცოდნენ...”

**რომ ყველაფერი შესაძლებელია? – ვაწყვეტინებ მე.**

არა, არა, ეგრე არ არის, ყველაფერი არ არის შესაძლებელი. თავისით არაფერი არ ხდება. თუ მაგრა გინდა, აი ის, რაც მაგრა გინდა, თუ იმისკენ მიდიხარ, აი ეგ ხდება შესაძლებელი. ფორდის ქალიშვილს ჰკითხეს, ყველაზე მაგარი საჩუქარი მამათქვენისგან რა იყო, – მემკვიდრეობა თუ რაღაც სხვაო. ამ ქალმა უპასუხა, ყველაზე მაგარი საჩუქარი იყო წარწერა საშობაო ნამცხვარზე – „მიუხედავად იმისა, რისი გჯერა შენ, შეძლებ თუ ვერ შეძლებ, ორივე შემთხვევაში მართალი ხარ, რადგან გჯერა“. მოკლედ, მთავარია ის, რისიც გჯერა. ამერიკაში მივხვდი, რომ ეგ არის რწმენა. ამერიკამდეც მაგ რწმენით წავიდი, მივხვდი, რომ მე ეს შემიძლია. I can do იტ. არ ვიცი, ეს საიდან მაქვს, ალბათ ხასიათის ამბავია. ამერიკა, იმიტომ, რომ თავისუფალია, კი არ გთრგუნავს, გაძლიერებს. იმ ქვეყანამ მომცა ეს. გამაძლიერა. და მე მიწადა, რომ ჩემს ქვეყანაშიც იყოს ეს განცდა. რომ ადამიანები ერთმანეთს კი არ ასუსტებდნენ, კი არ აკომპლექსებდნენ, აძლიერებდნენ.

ზოგადად, თავისუფლება არსებობს, თავისუფალი სივრცე არსებობს, თავისუფალი სამყარო არსებობს. მე მიწადა, რომ ეს განცდა – დაცულობის, სიმშვიდის, თავისუფლების – იყოს ჩემს ქვეყანაშიც. აი, ეს მიწადა. მე ისედაც ვგრძნობ ამას და მიწადა, რომ სხვებმაც გაიგონ. ოღონდ, თავისუფლების ეს შეგრძნება „იქ“ შემთხვევითი არ არის, მიზანმიმართულად იშრომეს ამისათვის. ჩვენთან კი ადამიანები ინერციით, აბსოლუტურად გაუცნობიერებლად, პირველყოფილი ინსტინქტებით ცხოვრობენ. ძალიან ეგოცენტრულები და შემინებულები არიან. ერთმანეთს უღრენენ იმიტომ, რომ სხვისი ეშინიათ. ეს არათავისუფალი საზოგადოების პირველი ნიშანია, როცა ადამიანები ერთმანეთს არ ენდობიან. მარტივი ნდობა არ არსებობს, ზოგადი ნდობა, ზოგადი სიმშვიდე, ზოგადი თანხმობა არ არსებობს მარტივ ღრებულულებზე. ჩვენთან

არ არსებობს გაუბანძვლებელი ქეშმარიტებები. ინსტინქტურად ჰგონიათ, რომ ბოლო თავშესაფარი ამ წუთას რელიგია და ეკლესიაა და ცდილობენ, რომ ამას ჩაებლაუჭონ. ამ დროს ეს იმისთვის არ გამოდგება. აქ განათლების, პოლიტიკური სისტემის არარსებობის პრობლემაა, მაგრამ ამ სისტემებსაც ადამიანები ქმნიან“.

აქ სოფო მახსენდება: „შინაგანი თავისუფლების განცდა ჩვენს საზოგადოებას არა აქვს. ჩვენი ხელისუფლებაც ამ საზოგადოების ნაწილია. თითქოს მათაც ეშინიათ თავისუფლების. ეს ქალაქიც კარგავს სახეს, ძალაუფლებისთვის ბრძოლის პლაცდარმად იქცა. თითქოს დევკარგე შეხება აქაურობასთან, ნავსაყუდელი ვერ ვიპოვე. ყველაფერი ობობის ქსელივით დაიქსაქსა“.

ამის გამო, სოფომ ისევე მიიღო წასვლის გადაწყვეტილება, ამჯერად კახეთში მიდის, თავის ოჯახთან ერთად. „ახალი საქართველო უნდა აღმოვაჩინოთ. ავაშენეთ სახლი, გვექნება პატარა მუურნეობა და ბევრი დრო მნიშვნელოვან რაღაცებზე საფიქრალად. ბავშვებიც მიხვდებიან, რომ აქვთ არჩევანი, რომ სხვანაირი ცხოვრებაც არსებობს“, – ამბობს სოფო და თვალები უნათდება.

სოფო ახალი თავისუფლების კუნძულის საძებნელად მიდის. ნიკა კი მინისტრის კაბინეტში, ბუხართან ზის და ისევე თავისუფლებაზე ლაპარაკობს:

„როგორც კი ტანკები გავა აქედან, თავისუფლება იფეთქებს, ჩეხეთშიც ასე მოხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ადამიანებს შორის სოლიდარობაა, ვისაც ეს ესმის. ამ სივრცის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.“

მიშა დიქტატორი არ არის. თავის მიწულები აქვს, მაგრამ მისი მიზანი დიქტატორობა არ არის, დამიჯერეთ. აი, ჩვენი ოპონენტების უმრავლესობა კი სხვა ხალხია. ენის გარდა, მათთან საერთო არაფერი მაქვს. ეს ენაც, მგონია, რომ სხვა არის. სხვა ეპოქის ადამიანები არიან. რაღაც მოხდა ჩვენ შორის, ის სხვა ცივილიზაციაა, მე – სხვა. გეტანხმები, რომ თავისუფლება თუ გულწრფელად არ გინდა, აზრი არა აქვს. მაგრამ ის, ვინც არაგულწრფელია თავის მიზნებში, მისივე პრობლემაა. მისთვისევა ეს კონტრპროდუქტიული, მათი მიმდევრე-

ბის რიცხვიც პატარავდება.

ბოლო-ბოლო, არ არის საინტერესო, ვინ ვარ მე. ჩემდამი ეს ცნობისმოყვარეობა მაინც არასწორი მითოლოგიით არის განპირობებული. ჩემი მინისტრობა და ეს ყველაფერი მეათეხარისხოვანია. უფრო საინტერესოა ისეთი რაღაცები, რაც ახალგაზრდებს შთააგონებს.

ის, რასაც შენ დაწერ, თან გულწრფელი უნდა იყოს, თან ვიღაც უნდა გააძლიეროს. მე შემიძლია, ვიყო ინსპირაციული. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ ამას. მე შემიძლია ადამიანების მოტივირება, იმიტომ, რომ მე თვითონ ვარ მოტივირებული. ინსპირაცია გადამდებია, ჩემზეც ასე მოქმედებს სხვისი. მჯერა სიკარგის, მჯერა, რომ ის არსებობს. ამაში ამერიკა დამეხმარა, თუმცა ბავშვობიდან იდეალისტი ვიყავი. სიკეთის იმიტომ კი არ მჯერა, რომ სიკეთეა და კარგია და ასწორებს. აი, რაც კარგია და ასწორებს და მომწონს, მჯერა, რომ ის ასევე ძლიერია და აქვს აზრი, რომ მას იცავდე და მისთვის იბრძოდე. სიკეთე არ არის კონტროლის იარაღი, სიკეთე არსებობს როგორც ჰიპოსტაზი, როგორც თავისთავადი მოცემულობა ადამიანში. ადამიანში ნაბიჭვრობაც არის, ცხოველური, ველური, მტაცებლური რაღაცები. თუ იდეალიზმისგან დაცილები, ცუდი ცხოველი ხდები, ყველაზე საშიში მტაცებლებში და ყველაზე საცოდავი. მაგრამ თუ სიკეთეს არ ჩაკლავ, სულ გაქვს შანსი, რომ ეს კარგი გაზარდო და უკეთესი გახდე.

მეც რომ ვუყურებ, ბევრი სისულელე მაქვს ცხოვრებაში გაკეთებული, ჩემი თავისთვის ბევრჯერ ნალაღატები, მაგრამ სწორედ ამიტომ მჯერა მონანიების. ძალიან ადვილი იყო, რაღაც მომენტში დამეჯერებინა, რომ აი, ეგა ვარ, რაცა ვარ. და ისეთივე გამოუსადეგარი ვყოფილიყავი ჩემი თავისთვის და ქვეყნისთვის, როგორც ვიყავი. რეზო გაბრიაცემ მითხრა, – ჩემთვის იქამდე სრულიად უცნობმა კაცმა, დიდი ხანი ვილაპარაკეთ – იცი რაო, მთავარია, ადამიანს და ადამიანობას ემსახუროო. იგივე მითხრა, რასაც ელინგტონი ამბობს ზავინულის დისკზე „My people“. და ეს არ ნიშნავს, რომ ერთხელ გეძლევა ამის შანსი. არა, ამის უფლება და შანსი გაქვს ყოველთვის, მილიონნაირი დაცემის და შეცდომის მერეც“.



# ყურმოკრული დიალოგებით ახლოებილი აზრები

<<< ლასაწყისი 83. 76

- არც ციფრებთან და არც ფაქტებთან, - პასუხობს მეორე.

მერე დიდი დისკუსია იწყება: პატარა უზუსტობები, ცდომილებები და ამ ცდომილებებით გამოწვეული სკანდალები.

მაგალითისთვის დედოფლისა და მიშელ ოზამას შეხვედრას იხსენებენ. ჟურნალისტებში ერთი აურზაური რომ ატყდა, - როგორ გაბედა პრეზიდენტის მეუღლემ და დედოფალს ხელი გადახვიაო. კადრები კარგად რომ დაატრიალეს და დააკვირდნენ, მერე კი მიხვდნენ თავიანთ შეცდომას.

- აი, ჰუგო ჩავესმა კი მართლაც გაიწინა დედოფლისკენ საკოცნელად, - ისმის კომენტარი სიცილით.

- უყურე შენ ჰუგო ჩავესს...

\*\*\*

- ეს რა ჩანთა გიჭირავს? ჰარი პოტერის ჩანთით დადიხარ ამხელა კაცი?

- ჰო. ამას მთელი ისტორია აქვს. ეს ჩანთა ფილმის პრეზენტაციაზე მაჩუქეს, პატარა ჰარისთან ინტერვიუ რომ ჩაენერე, მაშინ. ისე ძვირფასი საჩუქარი კია, რას ფიქრობ, უარი უნდა მეთქვა?

- არა, რატომ. ეს ხომ სუვენირია.

- ჰო, მაგრამ ნამდვილი ტყავია და არცთუ იაფფასიანი საჩუქარია.

- არა, არა, მინც სამახსოვრო სუვენირი გამოდის.

- რა ვიცი, ძალიან გამოსადეგი კია.

- ისე, საჩუქრების საკითხი ძალიან საფრთხილოა.

ისევ ჟურნალისტური ეთიკის საკითხებს უბრუნდებიან.

- ოდესმე შენთვის ქრთამი თუ მოუთავაზებიათ?

- არა, მაგის ბედი ვინ მომცა.

- ერთხელ მობილური ტელეფონების მწარმოებელი დიდი კომპანიის პიარ მენეჯერმა ჟურნალისტები შეხვედრაზე მიიწვია. ამ შეხვედრიდან ყველა უკანასკნელი მოდელის მობილური ტელეფონით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ჩემს გაქუცულ ტელეფონს რომ დავხედე, ვიფიქრე, - ნეტა მეც წავსულიყავი ამ შეხვედრაზე-მეთქი.

- ჩვენთან კიდეც რა ხდება, იცით? ჩვენ ხომ კარგი ფეხბურთელები გვყავს. ამ ფეხბურთელებს ცნობილი კლუბები ყიდულობენ და, შესაბამისად, ანაზღაურებაც სოლიდური აქვთ. ჰოდა, ეს ჩვენი ჟურნალისტები სულ გამათხოვრდნენ. მიდიან ამ ფეხბურთელებთან და ფულს სთხოვენ, - ამდენი და ამდენი მომეცი და ჟურნალის გარეკანზე მოგათავსებო. ეს ფეხბურთელებიც ისე უყურებენ ამ ჟურნალისტებს, როგორც... რა გითხრა...

- წარმომიდგენია, რა რეპუტაცია ექნებათ.

- აზიაში წავედი რეპორტაჟის გასაკეთებლად. რესპონდენტმა ძვირფასი სამკაული გამომიგზავნა საჩუქრად.

უკან დავუბრუნე. ასეთი საჩუქრების მიღების უფლება არ გვაქვს. ის რესპონდენტი მას მერე აღარ მინახავს. ვიცი, რომ ძალიან ნაწყენი დარჩა.

- სტატია ის-ის იყო დასაბეჭდად უნდა ჩაგვეშვა, რომ იქ, ზემოთ დამიბარეს. კაბინეტში რომ შევედი, იმ ტიპმა ფულის შეკვრა გადმომიღო და მიოხრა, ახლა ან ამას აიღებ და სტატიას გააქრობ, ან კიდეც და... ცინიკურად გადმომხედა.

- მერე?

- არაფერი, ავიღე ფული და წამოვედი. ისე, კაი ფული კი იყო.

- არა უშავს, ეს ეთიკურ ქრთამად გეთვლება.

- კარგი რა?

- რას იზამ, ხომ გახსოვს, რა გვასწავლეს: ადამიანის სიცოცხლე ყოველთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი ჟურნალისტური სიუჟეტი.

\*\*\*

- რა ცუდი პროფესია გვაქვს, არა? არავის არ უყვარს ჟურნალისტები. თქვენთან რა, უყვართ?

- არა მგონია, მაგრამ მგონი, ცოტა ეშინიათ.

- ჰო, ეგ კი.

- ერთხელ მახსოვს, ქუჩაში რეპორტაჟს ვაკეთებდი და ხალხი ისე ცუდად შემხვდა, ვიღაც ჟურნალისტზე იყვნენ განაწყენებულნი; არადა, სულ არ ვიცნობდი იმ ჟურნალისტს. რატომღაც ჰგონიათ, რომ ყველა ჟურნალისტი ერთმანეთს იცნობს და ყველა ერთნაირია.

- ის ფილმი გახსოვს? მგონი კუსტურიცასია. ასეთი კადრია: ომიდან დაბრუნებულ ბიჭს ჟურნალისტი გადაელობება წინ მიკროფონით; ეს ბიჭი კი, პასუხის გაცემის ნაცვლად, კამერის წინ საჯაროდ დააბოყნებს. გული მერევა თქვენზეო, რა...

- ჰო, ბევრი ეგრე ფიქრობს. სამწუხაროდ, ზოგჯერ მართლებიც არიან. რა, ყველა სიმართლეს ამბობს?

- არა, რა თქმა უნდა. თუმცა ამ სიტყვას მინც ავერიდებოდი. ვინ იცის, სად არის სიმართლე? მოდით, ასე ვთქვათ, სიზუსტე. სიზუსტე უნდა დავიცვათ.

- მართალია, სიზუსტე. სიზუსტე და

## ბაბრქილება

ბალანსი.

- ჰო, თუმცა თქმა ადვილია.
- რას ვიზამთ, უნდა ვეცადოთ.
- ცუდია.
- რა?
- ტრენინგი რომ დამთავრდა და ერთმანეთს რომ უნდა დავემშვიდობოთ.
- ეგ კი.
- როგორ თქვა იმ დღეს ჩვენმა ტრენინგმა? რალაც მაგარი ფრაზა თქვა.
- კი, კი, ნამდვილი ოქროს ციტატაა.

ბლოკნოტივი კი ჩავინერე: „ურუნალის-ტი უფრო მეტია, ვიდრე ეროვნება“.

- ჰო, მაგარია.
- ზოგი ამბობს, - ვიდრე რელიგიაო, - მაგრამ მე ეროვნება უფრო მომწონს.
- ჰო, მაგონი მეც.

ტემზის სანაპიროს მიუყვები. უკვე შინ დაბრუნების დროა. ტრენინგიდან გამოყოფილი ფიქრები ნამომიტივტივდება გონებაში. დამოუკიდებლობა, პატიოსნება და მიუკერძოებლობა... რა არის თითქოს ახალი ამ სიტყვებში ჩემი

ქვეყნის შვილისთვის, სადაც სასკოლო ქრესტომათიული ქეშმარიტება „მართლის თქმის პრინციპია“ და სადაც ყველა მოკვდავმა ისიც სხაპასხუპით იცის, რომ „იმართლის მთქმელს ცხენიც შეკაზმული უნდა ჰყავდეს“. ეს ორი მტანჯველი მორალური ცოდნა მარადიულად იბრძვის ადამიანში და რომელი რომელს გადასძლავს, ეს თავად მასზეა დამოკიდებული. თუმცა, ძველ რომაელებს ესეც უთქვამთ, „ჟამსა ბრძოლისასა დუმს სამართალი“.



## ჟორა

<<< დასაწყისი გვ. 84

ჟორა ვერ „გამოსცადეს“, რადგან ბავშვობიდან ვერ იტანდა რძეს, ხოლო კვერცხის გულზე ისეთი ალერგია ჰქონდა, რომ ვერც ერთ ნამცხვარს ვერ ეკარებოდა. პირველ დღეს რომ ჟორას და მის თანამოსაკნეს, პეტერბურგელ მიხეილ ტოლსტიხს რძე მოუტანეს, ჟორას თავისი ჭიქა უკან გაუბრუნებია, - რძეს არა ვსვამო. ამის შემდეგ თურმე ტოლსტიხი მთელი დღე საყვედურობდა, - შენ არ სვამ, მაგრამ მე ხომ ვსვამო. ჟორას თავისი შეცდომა უღიარებია, მაგრამ მეორე დღეს კვერცხზე უთქვამს უარი, - ალერგია მაქვსო. ტოლსტიხი ისევ აღელვებულა, - მე ხომ არა მაქვს ალერგიაო! აქ ჟორა გამნარებულა და უთქვამს, - ტოლსტიხ, შენი ხათრით შეიძლება

რძე „შევიყვარო“, მაგრამ კვერცხზე ნუ მომანვები, ჯერ ერთი, პრინციპის საკითხია და მეორეც, ყოველდღე ორი კვერცხი თავისი ქოლესტერინით შენ ჯანმრთელობას დალუპავსო. მოკლედ, ვერ გაუგიათ ერთმანეთისთვის ემოციურ და პრინციპულ ქართველსა და ცივისსხლიან და არცთუ ისე პრინციპულ ნევისპირელს. დიდი მეგობრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ ზონაში რომ დაბრუნდნენ, გამარჯობის მეტი სიტყვა აღარ უთქვამთ ერთმანეთისთვის.

სხვათა შორის, ჟორას რომ კვერცხის გულზე ალერგია ჰქონდა, დიდხანს არც მე ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა, კვერცხს და ამისთანა ცილოვან საშინელებას ვინ მოგვაშავებდა?! 1986 წელს, 23 ოქტომბერს დიდი დაბადების დღე გადავიხადე -

ხუთი სამხრეთკავკასიელი ფედერატის გარდა, „დემოკრატები“ - პიტერელი მიხაილ პოლიაკოვი, მოსკოველი ვადიმ იანკოვი და თვითმფრინავის გამტაცებელი არენბერგი მოვიწვიე. ზღაპრული სუფრა მქონდა: ცხელი ჩაი კაცზე ხუთ-ხუთი ძალიან პატარა და მრგვალი კამფეტით, თევზის პაშტეტ „ვოლნას“ ბუტერბროდები (მესამეული ცხობის შავ პურზე) და, როგორც ზაქარია, იგივე ჯონი ლაშქარაშვილი იტყოდა, „პროგრამის ლურსმანი“ - აჭარული ხაჭაპური, გამომცხვარი გრიშა ფელდმანის სახელგანთქმულ ლუმელში (ინგრედიენტებად გამოყენებულ იქნა იმავე წლის 9 მაისს მიღებული თეთრი პური, რომელიც თვეთა განმავლობაში მეცნიერულად გავახმე, შემდგომ დაფუქვი, უფრო სწორად დავნაყე და ცომად მოვზილე, ჯონი ლაშქარაშვილის მიერ ავადმყოფობისას არშეჭმული და უფრო შავი დღისთვის შენახული კარაქი, ინგა ქარაიას მიერ სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ წელიწადში ერთხელ რომ გვეკუთვნოდა, იმ ხუთკილოიან ამანათში გამოგზავნილი გამხმარი სულგუნის ფრაგმენტი და ორ კოლოფ ნეკოში გადაცვლილი კვერცხის ფხვნილი). განაწილების დროს ჟორას კვერცხიანი ნაწილი მოუნია და არენბერგს შესთავაზა, - შენს უკვერცხოში გამიცვალეო, - და როცა ამ უკანასკნელმა უარი სტიკცა, ხომიზურმა თავხედური ტყუილი იკადრა, - ეს საკვები ტრადიციულად ღორის ხორციტ მზადდებაო, - და მართლმორწმუნე იუდეველი არენბერგი სუფრიდან გაგვექცა (რაც

მართალია, მართალია, ეს კაცი ყო-  
რას თავიდანვე არ მოსწონდა და მერე  
მართლა გარეწარი აღმოჩნდა – ჩვე-  
ნი თანაზონელის, უპატიოსნესი მიშა  
რიკინისთვის სასჯელის დამატებაში  
მოეხმარა ადმინისტრაციას). სწორედ  
ამ დროს გავიგეთ ყორას ალერგიის  
ამბავიც. არენბერგის ნაჭერი კი პო-  
ლიაკოვმა და იანკოვმა ხუთწუთიანი  
მოლაპარაკებების შემდეგ თავაზიანად  
გაინანილეს.

სამინელი (სხვა სიტყვა ვერ მომიფი-  
ქრებია) და დაუოკებელი ენთუზიაზ-  
მით სწავლობდა ქართულს, მაგრამ  
ძალიან უჭირდა. კითხვა ერთ კვირაში  
ისწავლა, ერთ თვეში მრგვლოვანს და  
ნუსხურს კითხულობდა. მრგვლოვანი  
ანბანის შესახებ მოცულობითი თეო-  
რია შექმნა (რა თქმა უნდა, ოცდაექვსს  
აქაც განსაკუთრებული მნიშვნელო-  
ბა ჰქონდა), გამალებით თარგმნიდა  
გალაკტიონს (დარდობდა, – არ გა-  
მომდისო, – ან ვის გამოსვლია, მა-  
გრამ ქართულად დააყოლებდა: „ისევ  
ვდგებოდი და მივიდიო“ და ხელა-  
ხლა თარგმნიდა), საათობით შეეძლო  
რუსთაველის ციტირება ზაბოლოცკის  
თარგმანით – ეს წიგნი ერევნის იზო-  
ლატორიდან მოყოლებული ჰქონდა და  
არავის ათხოვებდა. ჯერ რუსულად  
იტყოდა:

Что ты вертишь нас и крутишь,  
бессердечный мир земной?

Всякий, кто тебе поверит, будет  
советовать со мной.

Ты откуда нас приводишь, где  
сравнишь нас с землей?

Только бог один заступник всем  
отвергнутым тобой!

მერე ქართულად დააყოლებდა – ვა,  
სოფელო...

კონსტანტინ ბალმონტის თარგმანს  
არ ცნობდა, – პრიმიტიულად ეგზალ-  
ტირებული არისო; თვითონ კარგი  
პოეტი, მაგრამ რუსთველს თავის  
პრეტენციოზულ თარგმანში რაღაც-  
ნაირად თავს უყადრებსო, – ბრაზო-  
ბდა; შალვა ნუცუბიძის თარგმანს  
საერთოდ არ აღიარებდა, – როგორ  
შეიძლება ფილოსოფიის ისტორიკოს-  
მა ან თუნდაც ფილოსოფოსმა პოეტი  
თარგმნოსო, – ცხარობდა, – ქართული  
რუსულითაა დაწერილი, თანაც იმ სა-

ტანის (სტალინის) ხელი ურევიო (ყო-  
რასთვის დეტალურად მქონდა მოყო-  
ლილი ჩემი დიდი მასწავლებლისაგან,  
სიმონ ყაუხჩიშვილისგან განაგონი ის-  
ტორია შალვა ნუცუბიძის, მისი დის,  
თავად სიმონ ყაუხჩიშვილის, ვეფხის-  
ტყაოსნის, სტალინისა და, რა თქმა  
უნდა, ლავრენტი ბერიას შესახებ. ამ  
ისტორიაში ყველაზე პიკანტური ეპი-  
ზოდი ის კი არ იყო, რომ რუსთაველის  
ამხანაგ სტალინის მიერ მონონებულმა  
რუსულმა თარგმანმა შალვა ნუცუბიძე  
და მასთან ერთად სიმონ ყაუხჩიშვილი  
ციხეს გადაარჩინა, ყველაზე მაგარი  
ისიც კი არ იყო, რომ ციხეს გადარ-  
ჩენილი ქართველი მეცნიერები თა-  
ვისთან საქიფოდ ლავრენტი ბერიამ  
მიიწვია; არა, ყველაზე „ცხელი“ ამბა-  
ვი ის იყო, რომ კარგად გამომთვრალ  
შალვა ნუცუბიძეს ვეფხისტყაოსნის  
თავისი თარგმანის ხელნაწერი ბერიას-  
თან დარჩენია და ეს ორი ქართველი  
აკადემიკოსი ამხ. ბერიას თავზე რომ  
დადგომია, გაოგნებულ ლავრენტი პა-  
ვლეს ძეს ისტორიული სიტყვა უთქვა-  
მს: ჩემგან სამშვიდობოს წასულები  
ცოტა მინახავს, მაგრამ სამშვიდობო-  
დან ჩემთან თავისი ფეხით მოსულებს  
საერთოდ პირველად ვხედავო). ყორა  
წმინდა სისხლის ანტისაბჭოთა კაცი  
იყო და რა გასაკვირი იყო, რომ დე-  
დამინის ზურგზე სტალინზე მეტად  
არავინ ეჯავრებოდა, თამამად შეიძ-  
ლება ითქვას, რომ ყველა დროისა და  
ხალხის უდიდეს ლიდერზე, მსოფლიო  
პროლეტარიატის ბელადზე და გენე-  
რალისიმუსზე გიოგი ხომიზურს კვერ-  
ცხზე უფრო დიდი ალერგია ჰქონდა.

ჩვენ პატიმრობას ერთი დიდი თა-  
ვისებურება ახასიათებდა. ჩვენ, არა  
სამინელ ოცდაათიან წლებში, არა  
ომის დროს, არა დისიდენტური მო-  
ძრაობის გარიჟრაჟზე, არა ბრეჟნევის  
„ზასტოის“ ეპოქაში, არამედ საბჭოთა  
დემოკრატიის, საჯაროობისა და გარ-  
დაქმნების ეპოქაში ვისხედით. „პრა-  
ვდამი“ რომ სტალინისტები ერთ ამბავ-  
ში იყვნენ, „ოგონიოკში“ დისიდენტების  
წრეებში ფრიად სახელგანთქმული „წე-  
რილი სტალინისადმი“ ქვეყნდებოდა.  
ერთ დღეს რომ ტელევიზიით საბჭოთა  
საინფორმაციო ბალანდას მოგვართმე-  
ვდნენ, მეორე დღეს იმავე ეკრანიდან

რონალდ რეიგანი ახალ წელს გვილო-  
ცავდა. გამოცდილი ხალხი ამბობდა,  
– ასეთ დროში ჯდომა ყველაზე აუ-  
ტანელიაო. მე ვერაფერს ვიტყვი, სხვა  
დროში არ ვმჯდარვარ, მაგრამ ჩემზე  
ბევრად უფრო გამოცდილებს დაეჯე-  
რებოდათ.

მოკლედ, ვისხედით გლასნოსტისა  
და პერესტროიკის ეპოქაში. ამ ეპო-  
ქას კი, როგორც ყველა მნიშვნელოვან  
და გამორჩეულ ეპოქას, თავისი, სრუ-  
ლიად ახალი იმიჯის, განათლებული  
და ლიბერალი გმირები ჰყავდა. ერთ-  
ერთი ასეთი გმირი იყო ვადიმ ვიქტო-  
რის ძე ბაკატინი, ცნობილი რეფორ-  
მატორი და ლიბერალი, რომელსაც  
ჩვენ სულ სხვა კუთხით გავეცანით.  
ჩვენთან კლუბ-სასადილოში სიტყვით  
გამოსვლისას იმხანად საბჭოთა კავში-  
რის კომუნისტური პარტიის კიროვის  
საოლქო კომიტეტის (ობკომის) პირ-  
ველმა მდივანმა და შემდგომში შსს  
მინისტრმა და სუკის თავმჯდომარემ,  
ამხანაგმა ბაკატინმა მიწასთან გაასწო-  
რა ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პრო-  
პაგანდის მუხლით გასამართლებული  
დისიდენტები და ცაში აიყვანა ჩვენი  
მეზობელი განსაკუთრებული რეჟიმის  
მესამე ზონის მოსახლეობა – „პალა-  
სატნიკები“ ანუ ზოლიანები (ასეთი,  
განივზოლიანი „ფორმები“ ეცვათ),  
იგივე რეციდივისტები: მკვლელები და  
მძარცველები, თქვენთან შედარებით  
წესიერი ხალხია, პატრიოტები მაინც  
არიან, თავისი ქვეყნის წინააღმდეგ სი-  
ტყვა არ დაუძრავთო.

პერესტროიკის გმირის მიერ წარ-  
მოთქმული ამ ტირადის გაგონებაზე  
ჩვენი ზონის უფროსს, ალექსანდრ  
ალექსეის ძე შალინსაც კი მოელუშა  
სახე, მაგრამ თავის სიმართლეში და-  
რწმუნებული ბაკატინი არ იშლიდა  
და ისევ ისე აგრძელებდა. ჯერ ჯონი  
ლაშქარაშვილი წამოდგა და ურჩია,  
– ეგ პროსტინა (კლუბ-სასადილოს  
ეკრანს გულისხმობდა) გარეცხე, გე-  
ნერალური მდივარი შავად გამოიყუ-  
რება და სამშობლოს სიყვარულზე  
მერე ილაპარაკეო. მაგრამ ბაკატინმა  
ჯონის აქცენტს სწრაფად ვერ აუღო  
აღლო და – ვერ გავიგეო, – ჩაილა-  
პარაკა. მაგრამ შემდეგ ყორა წამოდ-  
გა და მთელი ხმით დაიძახა: რა თქმა

უნდა, თქვენთვის მკვლევები და მძარცველები სოციალურად უფრო ახლოს არიან, თქვენაც ხომ იმავე საქმის ოსტატები ხართ, რისიც ისინიო. სახელგანთქმულ „ლიბერალს“ სახე შეეცვალა, ფერი დაეკარგა (როგორც შოთა იტყოდა, „ფერმიხდილი“ გახდა და როგორც ვიკტორ ნოზაძე განმარტავდა, წითელი ფერი გაუთეთრდა), როგორ ბედავთო, – წამოილულულა და მთელი „დემოკრატიული“ ზონის ტაშის გრიალში კლუბ-სასადილოდან გაიქცა (ჯაშუშები, სამშობლოს მოლატეები, ტერორისტები და სამხედრო დამნაშავეები, რა თქმა უნდა, ტაშს არ უკრავდნენ, მაგრამ დემოკრატები საკმარისად ვიყავით, რომ პატარა კლუბ-სასადილო ოვაციებით დაგვენგრიან). ადმინისტრაცია სახელგანთქმული მესამე ზონის რეციდივისტებზე, მკვლელებსა და მძარცველებზე შეყვარებულ გაქცეულ ლიბერალს კუდში მისდევდა, მაგრამ ფერმიხდილი და შეურაცხყოფილი სუკის მომავალი ხელმძღვანელი და გორბაჩოვისეული საბჭოთა დემოკრატიის მომავალი გიგანტი ისეთი სვლით მიდიოდა, ზონის ადმინისტრაცია კი არა, ფეხმარდი აქილევსი ვერ დაენეოდა.

ვადიმ ბაკატინმა ზონიდან გასვლა ვერ მოასწრო, რომ ДПНК (Дежурный помощник начальника колонии, კოლონიის უფროსის მორიგე მოადგილე) ანუ დეპუტე სურაიკინმა ჟორა ბარაკიდან გამოიხმო და შიზოსაკენ, საჯარო იზოლატორისკენ გაუძღვა. მთელი ზონა გამოეფინა: მიჰყავს სურაიკინს ჟორა ცუდი ციხიდან კიდე უფრო ცუდ ციხეში. აქ მე თავი ვერ შევიკავე და მიეუახლოვდი სურაიკინს.

– რა ხდება, სურაიკინ? – ვკითხე გაოგნებულ დეპუტეკას (პატიმრისგან კითხვის დასმას ანუ გაუგონარ თავხედობას და, მით უმეტეს, ასეთ ფაშა-ლარულ მიმართვას ჩვეული არ იყო, მიმართვის ფორმალური სახე იყო «Гражданин начальник» – „მოქალაქე უფროსო“). „დემოკრატი“ პატიმრები შემოგვეხვივნენ.

– შიზოში მიმყავს სასჯელმისჯილი ხომიზური გიორგი პავლეს ძე, – წესდების ფორმულებით მიპასუხა დაბნეულმა მაიორმა სურაიკინმა.

– რისთვის? – ჩავეკითხე მე.  
 – უხეშობისთვის, – მიპასუხა სურაიკინმა.  
 – მაიორო სურაიკინ, შენ და ბაკატინმა არ იცით, რა არის ნამდვილი უხეშობა. ყურადღებით იყავი, აი, ახლა იქნება უხეშობა: სურაიკინ, მე შენი დედა მ...  
 სურაიკინმა და იქვე აღმოჩენილმა კონტროლიორებმა, კისელიოვმა და ტრიფონოვმა სასწრაფოდ მიაბრძანეს ჟორა შიზოში და ჩემთან ისე სწრაფად დაბრუნდნენ, რომ თბილი ტანსაცმლის გადმოცემაც ვერ მოასწრეს მეგობარმა პატიმრებმა. შიზოში მეტი ადგილი არ იყო და მე და ჟორა ერთ საკანში მოგვათავსეს, მეორე საკანი მის თითქმის მუდმივ ბინადარს, ვიტაუტას შაბონასს ჰქონდა დაკავებული. შაბონასთან კი ვერავის შეასახლებდნენ, რადგან იგი უალერესად საშიში საქმიანობით იყო დაკავებული: მთელი დღის განმავლობაში ბაკატინის საყვარელ მესამე ზონას დაუღალავად და ძალზე ხმამაღლა გადასცემდა ინფორმაციას პოლიტიკური პატიმრების შესახებ და არ ავიწყებოდა პოლიტიკური მოთხოვნების დაყოფაც: „თავისუფლება სიმართლისთვის მებრძოლ ლიტველებს: ალგირდას ანდრეიკას, იანის ბარკანსს, ვიტაუტას სკუოდისს! თავისუფლება დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქართველებს: ძმებ დავით და ლევან ბერძენიშვილებს, ზაქარია ლაშქარაშვილს!“ ასეთ კაცთან რომელიმე ჩვენგანის შეშვება როგორ შეიძლებოდა, (ცუდი პოლიტიკური გავლენა რომ მოგვეხდინა?)

შემდგომში ზონის უფროსმა დიდი ხალისით წამაკითხა მაიორ სურაიკინის მოხსენებითი ბარათი. ზოშჩენკოს და ხარმის შემურდებოდათ, ისეთი მარგალიტი იყო. ყველაფერი აღარ მახსოვს, მაგრამ ჩემი და ჟორას ეპიზოდი დაახლოებით ასე ჟღერდა: „ჩემს მიერ ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, როდესაც ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის სასჯელმისჯილი ხომიზური გიორგი პავლეს ძე, ქართველი, დაბადებული ქ. ბაქოში 1942 წელს, მიმყავდა შიზოში, მომიახლოვდა ანტისაბჭოთა აგიტაციისა და

პროპაგანდისათვის სასჯელმისჯილი ბერძენიშვილი ლევან ვალერიანის ძე, დაბადებული ქ. ბათუმში 1953 წელს, და მომმართა უხეშად, კერძოდ, შემდეგი სიტყვებით: „სურაიკინ, მე შენი დედა მ...“, მე ჩავთვალე, რომ ეს მან შეურაცხყოფის მიზნით გააკეთა – ქართველები მხოლოდ ამ მიზნით იგინებინ, რის გამოც, სასჯელმისჯილი ბერძენიშვილი ლევან ვალერიანის ძე, დაბადებული 1953 წელს ქ. ბათუმში, ქართველი, ჩავსვი შიზოში 15 დღით, რის უფლებასაც მაძლევდა კანონი“. სურაიკინის ეს მოხსენებითი ბარათი ჟორას წყალობით სიტყვა-სიტყვით დაისწავლა მთელმა ბანაკმა.

გათავისუფლების შემდეგ ჟორა რამდენჯერმე ჩამოვიდა თბილისში, თავისი ოჯახის წევრები – მეუღლე ნინა, ქალიშვილი მამა და ვაჟი პავლიკა ჩამოვიყვანა; ჩვენი მეგობრობა ჩვენ ოჯახებსაც სწრაფად გადაედო. თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლას აპირებდნენ. გასაკუთრებით ჟორას ვაჟი, პავლიკა აქტიურობდა, თბილისი მოსწონდა და ქართველობას იჩემებდა, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა: ჟორას ცხოვრებამ კიდე ერთი სასტიკი დარტყმა მიაყენა: პავლიკა 13 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო ქალიშვილი მარიამი მონაზვნად აღიკვეცა.

ღრმად თავდაჯერებული ათეისტი (მისივე საყვარელი რუსთველის ტერმინით რომ ვთქვათ, „ჭკვიანი“ ანუ საზეო მიჯნურობას, ზეციურ საქმეს რომ ვერ მიხვდება, ისეთი), სულით ხორცამდე მატერიალისტი, რიცხვებისა და ფორმულების კაცი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი პავლეს ძე ხომიზური უკვე ჭარმაგ ასაკში შესული (ორ ხომიზურს პლუს ორი წლისა) თავისი ბრძოლით მოპოვებული ქართველობის განსამტკიცებლად მართლმადიდებლურად მოინათლა თბილისში, პატარა სამების ეკლესიაში. რიტუალში მონაწილე პირები – ნათლიაც (ამ სტრიქონების ავტორი) და მომნათველი მღვდელიც მასზე თითქმის ნახევარი ხომიზური წლით უმცროსები იყვნენ. და ეს ამბავიც, რა თქმა უნდა, ოცდაექვს აგვისტოს (ანუ ხომიზურ აგვისტოს, მერვე ანუ ოცდა-მეექვსე თვეს, 2+6=8) მოხდა.





# გმირი

<<< ლასაწყისი გვ. 88

ზემოქმედების ეს ფორმა კი თავად ჰეროიზმის დისკურსში, მის ფსიქოლოგიურ ზენოლის მექანიზმებშია ჩადებული: გმირი გამორჩეულობისა და განსაკუთრებული ძალის სიმბოლოა, მაგალითია იმისა, რომ ასეთი სიძლიერე ფასდება, ჯილდოვდება, რომლის ფონზეც ადამიანური ყოფა არასრულფასოვნებად გამოიყურება. გმირი საკუთარ თავში ორ ურთიერთსაპირისპირო მოდუსს – მინიერ დიდებას და უკვდავებას აერთიანებს. განსხვავებით რელიგიური წარმოდგენისაგან, სეკულარული უკვდავება არ ნიშნავს ტრანსცენდენტულ, „მიღმა“ სამყაროში გადასვლას. მკვდარი გმირი მიწაზე რჩება და მონუმენტად და ხსოვნისა თუ თავყვანისცემის საგნად გადაიქცევა. მისი უკვდავების ხანგრძლივობა კი იმ პოლიტიკური იდეოლოგიისა თუ სისტემის პირდაპირპროპორციულია, რომლის საყრდენსაც ეს უკვდავი მკვდარი წარმოადგენს.

სეკულარული გმირი, წმინდანის მსგავსად, სიკვდილით აღწევს სრულყოფილებას, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს სიკვდილი იძულებითია. ასეთ შემთხვევაში ის მსხვერპლია, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს უმაღლეს იდეალს სწირავს და მისი უკვდავების იდეა კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება

განკითხვისა და შურისძიების ქრისტიანულ სიუჟეტს, რომელიც „ახალი აღთქმის“ ბოლო თავიდან – „იოანეს გამოცხადებიდან“ იღებს დასაბამს. რამდენადაც ამ თხზულების თანახმად, ქრისტე თავადაა მსაჯული და თავად სჯის ურწმუნოებს, ქრისტიანი წმინდანიც, როგორცაა წმინდა მონამე გიორგი, თავადვე იძიებს შურს თავის მკვლელებზე. სეკულარული გმირის შემთხვევაში, მისი სამსხვერპლო სისხლი სამშობლოს, ერს, რევოლუციას და ა.შ. ეწირება, რომლისთვისაც შურისძიება მისი თავყვანისმცემელი ადამიანების მოვალეობაა. გმირის თავყვანისცემა – მისი ტრიუმფით დაკრძალვა და განსაკუთრებულ ადგილას აღმართული საფლავი, რომელიც საზოგადოებრივ საკუთრებად ცხადდება, არა მხოლოდ სიამაყით, არამედ შურისძიების სურვილითაც აერთიანებს საზოგადოებას. რამდენადაც, წმინდანისგან განსხვავებით, გმირი ზებუნებრივ ძალებს არ ფლობს, მისი ძალა ადამიანებში მიმიკრიული უნარების, მიმბაძველობის გაღვივებაა, რომელსაც გმირი თავისი განმაცვიფრებელი დიდებითა და ტრიუმფით აღძრავს. სახელგანთქმულობა და დიდება წმინდანობის სეკულარული ფორმებია, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას კორუმპირებულს ხდის და იმ იდეოლოგიური სტერეოტიპის მიბაძვისკენ უბიძგებს, რომელ-

საც მას მთელი თავისი პათეტიკური თეატრალიზმით გმირობის დისკურსი სთავაზობს. მკვდარი გმირი, როგორც ზომბი, განაგრძობს არსებობას, რაც მისი უკვდავების ფორმაა. ასეთი ზომბი-გმირების მეშვეობით ძალაუფლება გმირობის მრავალტირაჟიან რეპროდუქციას ახდენს: პანთეონების მსგავსად, სადაც რჩეულთა რჩეულნი – ანუ გმირების „ორიგინალები“ განისვენებენ, ჩნდება მეორე და მესამეხარისხოვანი და ნაკლებპრესტიჟული, მაგრამ უფრო მრავალადგილიანი სასაფლაოები, რომლებიც ჯერ ისევ „პანთეონის“ ტიტულს ატარებენ. შემდეგი საფეხურია ვეტერანთა და ომში დაღუპულ ჯარისკაცთა, ე.წ. „ძმათა სასაფლაოები“, რომელიც საბოლოოდ I და II მსოფლიო ომების შედეგად ისეთ ინფლაციას აღწევს, რომ საკულტო ობიექტიდან გმირის სახელი მთლიანად ქრება და „უცნობი ჯარისკაცის“ სახით „სრულყოფილ“ საფლავად გადაიქცევა. „უცნობი ჯარისკაცის საფლავი“ ჰეროიზმის კრისტალური ფორმაა და ამ იდეოლოგიის საბოლოო მიზანს ააშკარავებს: საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღების, ანუ სიკვდილის თავყვანისცემა, რომელშიც ადამიანის ყოველგვარი იდენტობა, როგორც მისი სიცოცხლის აღმნიშვნელი, იკარგება და გარკვეული იდეოლოგიური ინფორმაციის მატარებელ მასრად, საომარ მანქანად ყალიბდება. სასაფლაოების იერარქია, რომელიც „ერის მამებისა“ და „ეროვნული გმირების“ უმაღლესი პანთეონით იწყება და უცნობი ჯარისკაცის საფლავად კრისტალიზდება, სახელის ინფლაციის დინამიკას აჩვენებს. ადამიანის ვინაობას, მის პიროვნულ სახეს გმირის შარავანდედი შლის, ანადგურებს და დროში ცვალებად იდეოლოგიურ ფორმულად გარდაქმნის. ამგვარ პროცედურებს არაფერი საერთო ხალხთან, მის ნება-სურვილთან თუ სიყვარულთან არა აქვს. ფრანგი ისტორიკოსი როჟე შარტიე, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის კულტურულ წანამძღვრებს იკვლევდა, შეეცადა ეჩვენებინა, რომ ვოლტერი, რუსო ან სხვა განმანათლებლები რევოლუციის იდეოლოგები კი არ იყვნენ, არამედ ისინი პოლიტიკო-

სებმა შერაცხეს ასეთებად და ამით საკუთარ წინამორბედებად და ეროვნულ გმირებად აქციეს. ამის საფუძველზე აღმოჩნდნენ ისინი ნახევრად მითოლოგიური გმირების გვერდზე, რომლებსაც უკვე ფრანგული პატრიოტიზმის თეატრში „დიდი ერის“ (Grande Nation) რეპრეზენტანტობა ევალებოდათ. მალე ეს ტრადიცია მთელ მსოფლიოს მოედო: პოლიტიკოსები და იდეოლოგები პოლიტიკური სიტუაციისა და მიზნების მიხედვით ქმნიდნენ ახალ-ახალ გმირებს და მათ მისაბძობას ხალხს აჯერებდნენ. განსაკუთრებით პროდუქტიული ეს პროცესი ტოტალიტარულ რეჟიმებში, ყველაზე მეტად კი საბჭოთა კავშირში აღმოჩნდა, სადაც პანთეონებში აღზევებულ ბელადებსა და გმირებს ცოცხალი, – საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებიც შეუერთდნენ. ამით გმირობა უკვე იურიდიულ ინსტიტუციად და იდეოლოგიური კორუფციის ფორმად იქცა.

**გმირები „ოქროს აქწის“ ქვეყანაში**

*„მაგრამ, ქართველნი, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, ვისთვისაც ვსტირი?“  
ილია ჭავჭავაძე*

2005 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებამ თბილისში პარიზიდან გადმოსაგვინა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი, რომელიც ორდღიანი ცერემონიის შემდეგ მთაწმინდის პანთეონზე დაიკრძალა. 1988 წლის შემოდგომაზე, როდესაც საქართველოს საჯარო სივრცეში ახლად გამოჩენილმა ეროვნულმა მოძრაობამ ერთ-ერთ მანიფესტაციას იმ დროს სრულიად უცნობი ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი გამოიტანა, საქართველოში ახალ პოლიტიკურ ინსტიტუტს – ეროვნულ გმირს ჩაეყარა საფუძველი. თუმცა კი ამ ინსტიტუტის შემოსაღებად ვინმეს გმირად გამოცხადება ან თუნდაც მისი სადიდებელი თხზულებების შექმნა საკმარისი არაა და მას გმირად ინაუგურაციის საგანგებო რიტუალი – დაკრძალვა ესაჭიროება, რომელიც არა მხოლოდ გარეგნული ფორმალობაა, არამედ მისი ლეგიტიმურობის

განმსაზღვრელიც. ანუ დაკრძალვის ცერემონიის მასშტაბურობა და მასში რაც შეიძლება მეტი ადამიანის მონაწილეობა გმირს გმირობის საერთო-ეროვნულ მანდატს ანიჭებს. პირველი ქართველი, რომელიც ოფიციალურად ეროვნულ გმირად შეირაცხა, იყო 1989 წელს დაღუპული ყოფილი პოლიტიკატიმარი და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მერაბ კოსტავა, რომლის დაკრძალვამაც იმ დროს ყველაზე ხალხმრავალი მანიფესტაციის სახე მიიღო. 2007 წელს მრავალდღიანი პროცესითა და კიდევ უფრო მასშტაბური პომპეზურობით საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოში გადმოსაგვინა და მთაწმინდაზე დაკრძალა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც დამხოზიდან 15 წლის შემდეგ ასევე ეროვნული გმირის შარავანდედით შეიმოსა. კოსტავაც და გამსახურდიაც იყვნენ მათი დამკრძალავი საზოგადოების თანამედროვე ადამიანები და, შესაბამისად, მათი ეროვნულ გმირთა პანთეონში აღზევება კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას აღნიშნავდა: მერაბ კოსტავას მეშვეობით საქართველოში ეროვნული მოძრაობის დომინანტ პოლიტიკურ ძალად აღიარება მოხდა, ხოლო ზვიად გამსახურდიას მთაწმინდის პანთეონზე დაკრძალვით კი „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლის არაერთმა ლიდერმა პირველი პოლიტიკური ნაბიჯები გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ ბროლაში გადადგა, წარმატებით შეძლო მისი მომხრეებისა და მიმდევრების დიდი ნაწილის საკუთარ მხარეს გადაბირება. ამასთანავე მმართველმა პარტიამ საკუთარი თავი იდეოლოგიურად გამსახურდიას მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად გამოაცხადა.

უფრო მრავალმნიშვნელოვანი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნულ გმირად შერაცხვა, რომელიც უკანასკნელ ოცნლეულში ქართულ ანტისაბჭოთა საგმირო ეპოსის განსახიერებად იქცა. რამდენადაც ეს პიროვნება არ ყოფილა ქართული კოლექტიური ხსოვნის ნაწილი, ბევრად ადვილი აღმოჩნდა მისგან მითოსის შექმნა, რაც ყველაზე ნათლად მისი დაკრძალვის

გრანდიოზულ ცერემონიაშიც გამოვლინდა. ამასთანავე იგი პირდაპირ ჩაენერა გმირის ურჩხულთან ბრძოლის იმ არქაულ სიუჟეტშიც, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური რიტორიკის ბირთვს წარმოადგენს, მაგრამ, სანამ ამ თემას განვაგრძობდეთ, დავუბრუნდეთ ისევ ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაკრძალვას, რომელშიც თანამედროვე ქართული ჰეროიკული იდეოლოგიის წარმომავლობის დანახვაც შეიძლება. გარეგნულად მთელი ცერემონია თითქმის პირდაპირ იმეორებდა საბჭოთა პარადების პომპეზურობას და კინურ პათოსს (განსაკუთრებით აღსანიშნავია სამების ტაძრის ეზოში დაჩოქების რიტუალი და პარალელურად ლამის ისტერიული ხმებით წაკითხული ლექსები და გმირის ბიოგრაფია, რომელიც პარტიული თუ კომკავშირული ყრილობების დასკვნითი კონცერტებიდანაა ცნობილი). სიახლე არა სტრუქტურა და ფორმა, არამედ მართლმადიდებლური და პატრიოტული სიმბოლიკის ის ნაზავი იყო, რომელმაც საქართველოში საბჭოთა ჰეროიზმი გარდაისახა. ასეთი ტრანსფორმაციის შედეგად შეიცვალა იდეოლოგიური აქცენტები, რომელთა გამომხატველად გმირთა ახალი ფიგურები მოგვევლინენ. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 1924 წლის შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი, სააკაშვილის სამხედრო-პატრიოტული იდეოლოგიისა და ანტირუსულ-იმპერიალისტური განწყობის იდეალური სიმბოლო და ამდენად, ეროვნული გმირის ამ იდეოლოგიური ვერსიის განსახიერება აღმოჩნდა.

2003 წელს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლით საქართველოს ისტორიაში ახალი ჰეროიკული ეპოქა იწყება. ხელისუფლება XIX საუკუნის ევროპული ნაციონალიზმების სქემის საქართველოში გადმოტანას შეეცადა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ერთგვარი სეკულარული ფსევდორელიგიის ან, შეიძლება ითქვას, რელიგიურთან მიახლოებული სიმბოლური წესრიგის შექმნას გულისხმობს. ასეთი რელიგიურ-იდეოლოგიური წარმონაქმნი, ჩვეულებით

სამებრ, გმირების ფიგურებზე დგას. ასეთი გმირები ისტორიული თუ მითოლოგიური ფიგურებია ან ნაციონალიზებული წმინდანები, რომლებიც ფაქტობრივად ერთი ერის ან ქვეყნის მფარველად ან საკუთრებად ცხადდება. შემდეგ იდგმება მათი ძეგლები, იდეოლოგიურად ტრანსფორმირდება მათი ისტორიული თუ მითოლოგიურ-რელიგიური შინაარსებიც, რომელთა მიხედვითაც ეროვნული ნარაცია იქმნება - ანუ ეროვნული თვითშეგნებისა და მეხსიერების, სამყაროში მისი ადგილისა და დანიშნულების შესახებ ერთგვარი „მოძღვრება“. ეს მოძღვრება კი რელიგიურთან მიმსგავსებულ თვისებებს იძენს, წარმოშობს მთელ რიგ რიტუალებს, თაყვანისცემისა და ხსოვნის ადგილებს, რომელთა დანიშნულებაც ადამიანების გარკვეულ იდეოლოგიურ სქემაში მოთავსება და ამ სქემის მიხედვით მართვაა. რელიგიისა და პოლიტიკის რიტორიკულ ან რიტუალურ დონეზე ამგვარი დაახლოებით კი მიიღება ისეთი ჰიბრიდი, რომელიც „პოლიტიკური რელიგიის“ სახელითაა ცნობილი.

„პოლიტიკური რელიგია“ - ესაა ყოვლისმომცველი იდეოლოგია, რომელიც საკუთარ თავში სეკულარულ და საკრალურ სფეროებს აერთიანებს. ასეთი „რელიგიები“ პირველად გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმსა და სტალინის დროინდელ საბჭოთა კომუნისმს ენოდა, რომლებშიც პარტიულმა იდეოლოგიებმა რელიგიური შინაარსები შეიძინა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ნაციზმი ძველი გერმანული საგმირო ეპოსებისა და წარმართობის მოდიფიკაციას შეეცადა, ხოლო სტალინიზმმა ნიმუშად მართლმადიდებლური პოლიტიკური თეოლოგიის მოდელები აიღო. სწორედ ეს ორი ტოტალიტარული სისტემა იქცა ყველაზე მეტად ჰეროიკულად, სწორედ მათ წარმოშვეს ყველაზე მეტი გმირის ხატება და ძეგლი. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში სტალინის დროს, რევოლუციონერი და პროლეტარი გმირების პარალელურად, გაჩნდა ისტორიულ და კულტურულ გმირთა ხატებიც, რომლებიც თანაბარ სიმალეზე აღმოჩნდნენ საერ-

თო-საბჭოურ პანთეონში. სტალინის უშუალო თანამონაწილეობით შეიქმნა ქართული „კულტურული გმირების“, როგორც საქართველოს უმაღლესი კულტურული რეპრეზენტანტების - შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის კულტები. რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, სტალინისავე ინიცირებულია დავით აღმაშენებლის კულტი, რომელშიც იგი საკუთარი აბსოლუტიზმის ქართულ პროტოტიპს ხედავდა. დავით აღმაშენებელმა სწორედ საბჭოთა საქართველოში დაიკავა ყველაზე დიდი ქართველი მეფის ადგილი, რომელიც მანამდე ქართულ კულტურულ მეხსიერებაში თამარ მეფეს ეკავა. საბჭოთა ეპოქაშივე გავრცელდა საქართველოში ძეგლების დადგმისა და თაყვანისცემის ტრადიცია, სადაც ისტორიულ გმირთა გვერდით მითოლოგიური თუ გამოგონილი გმირების, მაგალითად, ქართლის დედისა და მზეჭაბუკის ძეგლებიც გაჩნდა. როდესაც პერესტროიკის ხანაში საბჭოთა იდეოლოგიამ, როგორც პოლიტიკურმა რელიგიამ, რღვევა იწყო, საქართველოში, ისევე, როგორც რუსეთში, მას ახალი ნაციონალისტურ-რელიგიური ჰიბრიდი ჩაენაცვლა, რომელზე საავტორო უფლებებისათვის კონკურენციას ერთნაირად შეუდგნენ მართლმადიდებელი ეკლესიაც და ნაციონალისტი პოლიტიკოსებიც. 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა პირველი ქართული სეკულარული პროექტის ავტორი ილია ჭავჭავაძე, რის შედეგადაც მან ქართველი ერის ფუძემდებლად და ერის მამად მიჩნეული პიროვნების, ანუ სრულიად სეკულარული ფიგურის საკრალიზაცია მოახდინა და ამით მისი საკუთარ დოგმატიკურ ავტორიტეტად მითავისება სცადა. ერთი წლის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ დააარსა პოლიტიკური პარტია „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ და ამით უკვე საკუთარ პოლიტიკურ იდეოლოგიას საკრალურობის მანდატი მიანიჭა.

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც საკუთარ პოეტურ თხზულებებში პირველი ქართული ჰეროიკული დისკურსი შექმნა, თანაბრად იქცა ჯერ საბჭო-

თა, შემდეგ კი მართლმადიდებლური და ნაციონალისტური იდეოლოგიების მიკერძოებული ინტერპრეტაციების მთავარ სამიზნედ. ილია ჭავჭავაძისეული გმირის პოეტური ხატი მისი თანადროული ევროპული მეამბოხე და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ფიგურის ანალოგიითაა შექმნილი, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს მამულისათვის სწირავს. ამ ხატების ისტორიული კონტექსტიდან ამოგლეჯვა ნებისმიერი სამხედრო-პატრიოტული იდეოლოგიის ინსტრუმენტად ქცევის შესაძლებლობას იძლევა. ყველაზე მეტად საბედისწერო კი ილიას მიერ შექმნილი „ბაზალეთის ტბის“ პოეტური მითი აღმოჩნდა, რომლის თანახმადაც, ბაზალეთის ტბის ძირას თამარ მეფის მიერ ჩადგმულ ოქროს აკვანში უცნობი ყრმა უნდა იწვეს, „ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“. ეს მითო-პოეტური ხატება უკვე საბჭოთა საქართველოში ყოველგვარ ლიტერატურულ კონტექსტს მოსწყდა და ნაკითხული და გაგებული იქნა პოლიტიკურ-რელიგიურ წინასწარმეტყველებად, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ზემიერი, მესია უნდა ეშვა. ეს მესია ჯერ სტალინთან გაიგივდა, პოსტსაბჭოთა ხანაში კი უკვე, ერთი მხრივ, გამსახურდიას პოლიტიკური მესიანიზმის, მეორე მხრივ კი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნაციონალისტური თეოლოგიის წყაროდ იქცა, რომელთა შემაჯამებელი დაგვირგვინებაცაა სააკაშვილის სამხედრო-პატრიოტული ჰეროიზმი და მისი ოპოზიციის სრულიად ოდიოზური საგმირო-რელიგიური პათეტიკა. ასე ჩამოყალიბდა მრავალმხრივ იდეოლოგიზირებული და გაყალბებული „ოქროს აკვნის“ პოეტური ალეგორია იმ აგრეგატად, რომელიც გმირების, წმინდანებისა და მესიების უსასრულო ტირაჟებს აწარმოებს, რის შედეგადაც XXI საუკუნის საქართველო მითოლოგიურ და მითოლოგიზირებულ არსებათა ბრძოლის თეატრად გადაიქცა, სადაც მსახიობებმაც და მსყურებელმაც რეალობასთან კავშირი, ფაქტობრივად, დაკარგეს და ამ სპექტაკლსაც დასასრული აღარ უჩანს.



# „პირველად იყო სიტყვა“

<<< დასაწყისი გვ. 94

ფრანგმა კინოკრიტიკოსებმა და მაცუ-რებელმა „ცეზარიტ“ დააჯილდოვეს დას-ტინ ჰოფმანი შემოქმედების ერთობლიო-ბისთვის. და ვინაიდან მე ის მართლაც უბრწყინვალეს მსახიობად მიმაჩნია, მო-მინდა გავაცნო ჩვენ მკითხველს „პარი მატჩისთვის“ მიცემული მისი ინტერვიუ. შეკითხვა: როდესაც საფრანგეთის კულ-ტურის მინისტრმა ხელოვნებისა და ლიტე-რატურის რაინდთა ორდენის კომანდორის ნოდება მოგანიჭათ, თქვენ ატირდით. ხში-რად ტირით? პასუხი: გამუდმებით. ვტირი იმდენივეს, რამდენსაც ვიცინი. 71 წლის ვარ, ამ ასაკში ველარ იკავებ ემოციებს. გუშინ სალამოს ვკითხულობდი ერთ რო-მანს, სადაც ავტორი ჰყვება, როგორი იყო მისი ქორწინების დასაწყისი, სანამ ყვე-ლაფერი ცუდად წავიდოდა და როგორ უმღეროდა მაშინ თავის გოგონას ძილის-პირულს. ამან ამაღლევა, გამახსენა დრო, როცა ჩვენი ბავშვები პატარები იყვნენ. და მე ვუთხარი ჩემ თავს, რომ ვერ ვაფა-სებდი ღირსეულად იმ ძვირფას წუთებს, რომლებიც არასდროს დაბრუნდება. მე იმდენ რამეს ჩაუთარე გვერდით... როდე-საც ბერდები, თავს განდეგილად აღიქვამ. ამერიკაში 40 წლის მსახიობი ქალები გა-დასაგდებად მიაჩნიათ. შეკითხვა: – მაგრამ არა კაცები! – ჩვენ პირობით ვარსებობთ. თუ შენი კარიერა თოფით ხელში განახორ-ციელებ, იგებ რამდენიმე წელიწადს. პრო-ბლემა ისაა, რომ მე არ ვარ არც ჰარისონ ფორდი და არც შონ კონერი. – შეკითხვა:

– ამისხენით, რატომ მორბიან ამერიკელი ვარსკვლავები თავქუდმოგლეჯილი, რო-გორც კი პარიზში ჯილდოს გადასცემენ. რა გხიბლავთ ასე საფრანგეთში? – არ ვიცი. სამაგიეროდ, ვიცი ერთი რამ: ამე-რიკელები დარწმუნებულები არიან, რომ ფრანგებს ისინი სძულთ. მე კი მგონია, რომ საქმე უარესადაა: ფრანგებს მთელი ქვეყნიერება სძულთ, ერთმანეთით და-წყებული! (კვდება სიცილით). შეკითხვა: – პირველი, რასაც სთხოვთ ღმერთს, როდე-საც სამოთხეში აღმოჩნდებით? – ოცდაათ სანტიმეტრს და სხვაგვარ გარეგნობას....

ასეთია ეს სხარტი და ენამოსწრებული ინტერვიუ. და რაკი დარწმუნებული ვარ, რომ „ადამიანი – ეს სტილია“, აშკარად მომწონს ადამიანი, რომელსაც ეს სტილი ავლენს.

არაერთხელ დამბადებია ეჭვი: რატომ მიჩნდება სურვილი, თან დაუოკებელი, დავწერო ის, რაც განმიცდია, რითიც ვცხოვრობდი და ვცხოვრობ, რაც მახა-რებს და მანვალებს, ხანდახან ძალიან ინტიმური განცდებიც კი; რა არის ეს, შენიღბული ეგზობიციონიზმი, თუ კო-მუნისტური ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება, სხვებთან ურთიერთო-ბის წყურვილი? და აი, ახლახან გადავა-წყედი მონტენის ნათქვამს თავისი „ესეე-ბის“ წინასიტყვაობაში: „მე ვუძღვნი მას (ნიგნს) ჩემი ნათესავეების და ახლობლე-ბის კომფორტს: იმას, რომ როდესაც დამკარგავენ (რაც ჩქარა დაემართებათ), მათ შეძლონ აღმოაჩინონ ჩემი ზოგიერთი

თვისება და განწყობა, და ამ გზით გა-ხადონ უფრო სრული და ცოცხალი თა-ვიანთი წარმოდგენა ჩემზე“. მართალი გითხრათ, ძალიან გულზე მომხვდა ეს, 1595 წელს ფრანგი ფილოსოფოსის მიერ დაწერილი სიტყვები, რაც ჩემს ეჭვებზე ერთგვარ პასუხად მივიჩნიე. ისიც გამა-ხსენდა, როგორ მსიამოვნებს, როდესაც ვხედავ, როგორი ინტერესით კითხულობს ჩემი მოგონებების წიგნს, თუ ჩანანერებს ლადო, ჩემი უფროსი შვილიშვილი, და სა-ბოლოოდ მივხვდი, რომ ჩემი წიგნიც და ეს კოლაჟიც უმთავრესად ჩემი შვილიშ-ვილებისათვის არის განკუთვნილი, თანაც იმ მომავალში, როცა „ქარს იმქვეყნიურს დავახვედრებ მალე წინ აფრას, დიდე-ბულია, გარდვიცქევი უცებ წინაბრად“ (ეს სტრიქონები რეზო თაბუკაშვილმა დაწერა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე). ასე რომ, ჩემო პატარებო, ლადო, ანა, სანდრო, გიო და ლანა, სხვა გზა არა გაქვთ, როცა თქვენ გვერდით აღარ ვიქ-ნები, წაიკითხეთ ჩემი ნაწერები და გამი-ცანით! მეც, როგორც წინაპარი, ზემოდან გადმოგხედავთ და დაგიქნევთ ხელს.

„დემონური წყვილი ხელოვნების ზე-ციურ წიაღში“ – ასეთია ქვესათაური უტრილოსა და მისი დედის – სიუზან ვალადონის – ერთობლივი გამოფენისა, რომელიც გაიხსნა მადლენის მოედანზე და რომელიც დიდიდან საღამომდე გა-დავსებულია მაცურებლით. საერთოდ ეს აქაურობის ერთ-ერთი ის მხარეა, რო-მელიც ჩემში ნამდვილ აღფრთოვანებას იწვევს – უნდა ნახოთ, რა ხდება ყველა საინტერესო კულტურულ მოვლენასთან დაკავშირებით! „პიკასოსა და მეტრების“ გამოფენაზე ხალხი საათობით იდგა რი-გში, ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მოგვიანებით ლამის სენანსებიც დაუმატეს და ხალხის ნაკადი ლამითაც არ წყდება. შესაშურია, არა? მაგრამ დავუბრუნ-დეთ უტრილოსა და მის დედას. თავისი სილამაზით განთქმული სიუზან ვალა-დონი, მონმარტრის მუზა, ბევრი დიდი მხატვრის – დეგას, რენუარის, ტულუზ ლოტრეკის, პიუვის დე შავანის მოდელი და საყვარელი, თუმცა იმ დროს არავინ იცოდა, რომ ის იმავდროულად მათი მო-წაფეც იყო. „სიუზანმა ისწავლა მხატვრო-ბა შიგნიდან, როგორც ლაბორატორიის

ცხოველმა, რომელიც ამ გზით დაეუფლა მედიცინას“. კრიტიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ მის მხატვრობას, ამიტომაც დღეს პარიზის პინაკოტეკაში ერთად არის გამოფენილი დედის და შვილის ასამდე ტილო. ისინი გვიამბობენ ნორმას აცდენილ დედა-შვილზე, „სილატაკის ორ ყვავილზე, რომელთაც ჰქონდათ ტალანტი, შეექმნათ ხელოვნება იმისგან, რაც ასე ჰგავს უბედურებას“. სიუზანი, მარტოხელა მრეცხავი დედის შვილი, გამოიქცა რელიგიური სასწავლებლიდან, სადაც ის მიაბარა დედამ, და თავის ბუნებრივ ადგილსამყოფელად ქუჩა აღიარა. ბუნებით პროვოკატორი, მშვენიერი სიუზანი დადიოდა მოკლედ შეჭრილი თმით და კაცის ფეხსაცმელებით, ყველგან და ყველგან ებრძოდა ცხოვრების დადგენილ ნორმებს. თავის სახელოსნოში ჰყავდა თხა, რომელსაც აღეჭინებდა თავის „ცუდ“ ნაწარმოებებს. და ხატავდა..... თავიდან ცარცით ტროტუარებზე, მერე ტილოებზე. ხატავდა იმდენად კარგად, რომ ერთხელ სიტყვაძუნწმა დეგამაც კი გაიმეტა მოულოდნელი ქათინაური: „თქვენ ერთ-ერთი ჩვენგანი ხართ“. გადადიოდა სახელოსნოდან სახელოსნოში, ადრეულ ასაკში უცნობი მამისგან გაჩენილი შვილი ფაქტობრივად მიტოვებული ჰყავდა. და მორისიც გაიზარდა ქუჩაში, როგორც ამბობდა ვლამინკი: „ყველანაირი სისასტიკე, ავხორცობა, სიხარული, მწუხარება, ქუჩისა და „ბორცვის“ (ასე ეძახდნენ მაშინ მონმარტრს, ლ. ლ.) პატარა ბაღების მთელი პოეზია ცოცხლობს უტრილოს ტილოებზე“. საბოლოოდ მხატვარმა დატოვა „ბორცვი“, თუმცა არასდროს დაინწყებია იგი. „იქ, მალა, ყველანი იდიოტები არიან, – ამბობდა სევდიანი ღიმილით, – მაგრამ მე ერთი საწყალი ტიპი ვარ და საათი არ გავა, რომ „ბორცვზე“ არ ვიფიქრო“. 14 წლის ასაკიდან მორისი უკვე ალკოჰოლიკია. დაეხეტება ქუჩა-ქუჩა, ღრიალებს, მღერის, იგინება, და ამავე დროს ხატავს, ხატავს თავის სინაზით და სისუფთავით სავსე, გამჭვირვალე ტილოებს. 21 წლის ასაკში უტრილო პირველად ხვდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მას მერე ეს დაწესებულება მისი ხშირი ადგილსამყოფელია, საიდანაც ის ასევე ხშირად იპარება. ცხოვრობს დედასთან ერთად, რომელიც ამ დროს საკმაოდ შეძლებულ კაცზეა გათხოვი-

ლი, მონმარტრის ბორცვზე, დედა შეძლებისდაგვარად მფარველობს, ხშირად ხატავს მის პორტრეტებს. და აი, ერთ დღეს მორისმა მოიყვანა სახლში თავისი საუკეთესო მეგობარი, მხატვარი, ქერათმიანი, მომხიბვლელი გარეგნობის ანდრე იუტერი. და მშფოთვარე სიუზანს ერთი ნახვით და თავდავიწყებით შეუყვარდა ეს, ოცდაერთი წლით მასზე უმცროსი ბიჭი, მისი შვილის მეგობარი, გაშორდა ქმარს და დასახლდა მასთან ერთად. უახლოესი ადამიანებისგან მოტყუებული, ეჭვიანობით შეპყრობილი მორისი ისევ გადაეშვა ქუჩურ, უთავბოლო ცხოვრებაში, ისევ სვამდა, აწყობდა დებოშებს და თან, ... დადგა თავისი მოღბრტი ქუჩაში, მონმარტრის შუაგულში და კვლავ შეუდგა ხატვას... „ბორცვის“ მაცხოვრებლები გაცივებით შესცქეროდნენ თავის საკუთარ ლოთს, მათ ნიაღში შობილ „იტრილოს“, რომელიც უეცრად მხატვრად გადაიქცა! ის კი იდგა შუა ქუჩაში და სულმოუთქმელად ხატავდა, ხატავდა თავის განუმეორებელ ტილოებს, „ბორცვის“ ქუჩებს და სახლებს...

და აი, ეს გამოფენაც! ის ისეთი ამაღლეველია, ტილოებზე აღბეჭდილი ამ საკვირველი დედა-შვილის ბნელი ვნებათაღელვითა და წმინდა აღმადრებით სავსე ცხოვრება! „შეუძლებელია, წარმოიდგინო უტრილო და სიუზანი ერთმანეთის გარეშე, მაგრამ მათი დრამა ისაა, რომ ისინი მუდმივად უმწარბედნენ ერთმანეთს სიცოცხლეს“, – წერს ჟან ფაბრი, მორის უტრილის მორალურ უფლებათა მფლობელი. ისინი არ ეკუთვნოდნენ არც ერთ სკოლას, არ ჰქონდათ არავითარი თეორია; გულწრფელი და შთაგონებული მხატვრები არ განიცდიდნენ რაიმე გავლენას, მათთვის მხატვრობა – ერთადერთი და საბოლოო განსაზღვრული იყო და „ბორცვი“ – მათი შთაგონების წყარო. ალბათ, სწორედ ამიტომ, მათ აქციეს მონმარტრი ფერწერის დედაქალაქად.

მისმა შესტმა შემოიარა მთელი მსოფლიო: ჯორჯ ბუშზე „ფეხსაცმლით თავდასხმის“ ავტორის პროცესი გაიხსნა 19 თებერვალს ბაღდადში. მას 15 წლით ციხე ემუქრება. და ამავე დროს მუნთაზერ ალ ზაიდის ფერხითი წევს მთელი ერაყი! ჩვენმა მკითხველმა, ცხადია, იცის, რომ

2008 წლის 14 დეკემბერს ერაყელმა ჟურნალისტმა ესროლა ფეხსაცმელი ჯორჯ ბუშს მისი ბოლო პრესკონფერენციის დროს ბაღდადში. მე საინტერესოდ მომეჩვენა არა თვითონ ფაქტი, არამედ მისი საყოველთაო მედიატიზირება და შედეგები. „ეს არის ერაყელების დამშვიდობების კოცნა, ჩვენი ქვრეების, ჩვენი ობლების, და ყველა ჩვენი მოკლულის სახელით“, – თქვა „ტყორცნის“ ავტორმა. მოულოდნელი იყო თვითონ ბუშის რეაქცია, რომელიც მოუწონდა ერაყის ხელისუფლებას, გადაჭარბებით არ შეაფასოს ეს ფაქტი და იუმორის გრძნობაც გამოამჟღავნა: „ერთადერთი, რაც შემძლია ვთქვა, არის ის, რომ მისი ზომა 10 იყო“ (ანუ ძალიან დიდი, ჩვენებური 44 თუ 46)! დღეს თვითონ დაპატიმრებული ავტორი მთელ ერაყში გმირად არის აღიარებული. და არა მარტო ერაყში; ეგვიპტედან პალესტინამდე, ინდონეზიისა და პაკისტანის ჩათვლით, ათასობით მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში მის დასაცავად. მუნთაზერ ალ ზაიდი იქცა მთელი მსოფლიოს დაჩაგრულთა კერპად. პოეტები წერენ ლექსებს მის სადიდებლად. შეიქმნა ასობით თამაში და გასაყიდი ნივთი. ტელევიზიამ დაამტკიცა, რომ კარგად ნასროლი ფეხსაცმელი მეტია, ვიდრე ომის საშინელებათა ათასი კლიშე და ათიათასი არგუმენტირებული სარედაქციო წერილი. მაგრამ ყველაზე სახალისო ამ ისტორიაში მაინც ის არის, რომ პირველად მსოფლიოში ფეხსაცმელს დაუდგეს ძეგლი! ცნობილმა ერაყელმა მოქანდაკემ – მათი ალ ამარიმ – ბრინჯაოსა და შუშისგან შექმნა უზარმაზარი ფეხსაცმლის ქანდაკება! ხელისუფლებამ მაშინვე მოინდომა მისი დემონტაჟი, მაგრამ ხალხი აღდგა მის დასაცავად, ვინაიდან დღეიდან ფეხსაცმელი პროტესტისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ეს სულ რამდენიმე თვის წინ ხდებოდა: ავსტრალიის ხალხით გადაჭედილი სტადიონის შუაგულში, პოდიუმზე იდგა ფედერერი – ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ნომერი, ტენისის მოყვარულთა ნამდვილი კერპი – და გულამოსკვნილი ტიროდა.

ეს ისეთი საინტერესოა – ეს მუდმივი ვნებათაღელვა ტენისის პლანეტაზე! თვითონ თამაშის გარდა, ჩემში უდიდეს ინ-

ტერესს იწვევს ამ შერკინების ემოციური მხარე, ადამიანის ვნებების ასეთი მწვავე გამოვლინებები. მოგების წყურვილი და მასთან გადაჯაჭვული მოგების შიში, სიამაყე, სიხარული, ბედნიერება, სასონარკვეთილება, კეთილშობილება, სიმწარე – ტენისის კორტები ყველა ამ ადამიანური ვნების მუდმივი სარბიელია. მისი უმწვავესი გამოვლინება სწორედ ავსტრალიის „დიდი შლემი“ იყო, ფედერერის და ნადალის დაპირისპირება ფინალში და ფედერერის, უკვე მერამდენე წაგება! მაშინ ცნობილი სპორტული ჟურნალისტი – კრისტიან დესპონი – წერდა: „არც ერთ კაცს არ დაუღვრია ამდენი ცრემლი დამარცხების გამო. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ დამარცხება. ეს დაუმორჩილებელი, სულის სიღრმიდან მომავალი ქვითინი გამოსატავდა ჩემპიონის მომთხოვნელობას საკუთარი თავის მიმართ, მოვალეობის გრძობას უამრავი ფანის წინაშე და მომავლის მოლოდინსაც. გუშინ ესთეტი ვერ გახდა ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე და ამ საერთო იმედგაცრუებას მან დაუმატა საკუთარი აღშფოთება“.

დამსწრენი ამბობდნენ, რომ ის ბავშვით ვით ტიროდა.

ისევე დესპონის წერილიდან: „ამ ცხოველური სიმარჯვის წინაშე ფედერერმა კიდევ ერთხელ – მესამედ – წააგო „დიდი შლემის“ ფინალი. ეს არ იყო მისი არც ფიზიკური და არც ხარისხობრივი დასუსტება, უბრალოდ, ესთეტი, ელეგანტურობის არბიტრი გამოვიდა დამამცირებლად წაგებული ადამიანურ ბრძოლაში. ნადალი ძალადობს მასზე, იმორჩილებს, ანადგურებს, კლავს... მერე იშვიათი გულწრფელობით ეხვევა, რომ შეასუსტოს მისი მწუხარება“. „როჯერ, მაპატიე ამ საღამოს გამო“, – ამბობდა მართლაც აღელვებული ნადალი.

მაშინ ფედერერს „დიდი შლემის“ 13 ტიტული ჰქონდა მოპოვებული, მას უსწრებდა მხოლოდ სამპრასი, თავისი 14 ტიტულით. სწორედ ეს იყო ფედერერის მიზანი – გატოლებოდა სამპრასს და გაესწრო მისთვის და ამგვარად გამხდარიყო ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე. თამაშის წინ ხუმრობდა: „უნდა შევხვდე ნომერ პირველს და, როგორც იცით, ეს ჩემთვის რაღაც ახალია“. ჩემი აზრით, არის რაღაცა ქვეშეცნეული, ღრმად ირაციონალური იმ ჰიპნოტურ მიზიდულობაში, რომელსაც

ახორციელებს ნადალი თავის უფროსზე. ეს არის ძალის ზემოქმედება გონიერებაზე, მიმწოდებისა – დახვეწილობაზე, გლადიატორისა – ესთეტიზე... „დაუმატეთ ამას მირკას (იმ დროს ფედერერის მრავალი წლის მეგობარი, ამჟამად – მეუღლე, ლ.ლ) შეყვარებული თვალები, ანთებული ვედრებისა და გაშმაგებული რწმენის ნაპერწკლებით! არა, ეს ღამე ვერ იქნება ისეთი, როგორც ყველა სხვა“, – წერდა ჟურნალისტი.

იყო მომენტი, მეორე სეტის შუაში, როცა ფედერერმა იგრძნო დამამცირებელი კაპიტულაციის მოახლოება და შეძლო საკუთარი თავის ხელში აყვანა – გამოამყვანა არტისტული სრულყოფილება, სპონტანური აღმადრენა, რისკის ძალა. მაგრამ მესამე სეტში ეს ველარ მოახერხა, ნადალის ცხოველურმა ყინმა თავისი გაიტანა. ფედერერმა გულლია ღიმილით ჩამოართვა ხელი გამარჯვებულს, მე კიდევაც ვიფიქრე, რა საოცარი თავშეკავების უნარი აქვს-მეთქი, მერე ორივე ფინალისტი გამოიძახეს კორტზე ჯილდოს მისაღებად და სიტყვის სათქმელად, ფედერერმა მოიმარჯვა მიკროფონი და... ხმა ვერ ამოიღო. ასე იდგა უსიტყვოდ, აშკარად ჩანდა, როგორ ებრძოდა საკუთარ თავს, უზარმაზარი სტადიონი სულგანაბული შესცქეროდა... ფედერერი იღიმებოდა და დუმდა... ძალიან დიდხანს, თითქოს უსასრულოდ. და როცა საბოლოოდ გადაწყვიტა ხმის ამოღება, სიტყვების ნაცვლად, ცრემლები წასკდა, დაუოკებელი ცრემლები... მერე ასე იდგა განაბული მყურებლის წინ, მიკროფონით ხელში და ქვითინებდა... როგორც ბავშვი... ნადალი შეუდარებელი იყო. ის ჯერ უხერხულად თავჩაქინდრული, როგორც დამნაშავე, წრიალებდა მოშორებით, სახეზე გულწრფელი მღელვარება ჰქონდა აღბეჭდილი, მერე მივარდა თავის ხუთიოდე წუთისწინანდელ მონინა-აღმდეგეს, გადაეხვია თვითონაც აცრემლებული და რაღაცებს ეუბნებოდა ჩუმად. ფედერერი უღიმოდა და თავს უქნევდა, ცრემლები კი თითქოს თავისთავად მოედინებოდა სახეზე. ბოლოს ნადალმა აიღო მიკროფონი და მთელი სიტყვა ფედერერს მიუძღვნა: „შენ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე ხარ, როჯერ! დარწმუნებული ვარ, რომ შენ კიდევ დაამყარებ მსოფლიო რეკორდს. როჯერ, მაპატიე ამ საღამოს გამო“... საბოლოოდ ფედერერი მეორედ



მივიდა მიკროფონთან და მოახერხა სიტყვის წარმოთქმა: „შენ ეს დაიმსახურე, ბიჭო, შენ კიდევ ერთხელ ითამაშე ფანტასტიური ფინალი, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს ამ სეზონში და მას მერეც“. ნადალმა კი თქვა მატჩის მერე: „როდესაც ამგვარ მწუხარებაში ხედავ მონინააღმდეგეს, რომელიც ამავე დროს შენი მეგობარია, ეს სიხარულს გინახევრებს“. ნადალის ფანი და ჟურნალისტი – აპოლინი – კი წერდა: „ოცნება, ეს სამყარო, რომელიც მიედინება თქვენ თვალწინ, უეცრად ქრება და ეს ყოველთვის წარღვნაა. აპოლინი კოცნით გიმშრალებს ცრემლებს, როჯერ!“ ამ დრამატული მოვლენების მერე ფედერერმა ისევ გამოთქვა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, ითამაშოს „დიდი შლემის“, თუ შლემების მოგებისათვის. მე კი მახსენდებოდა ნიცშეს სიტყვები: „მან, ვინც არ მოკლათ, გაგხადათ უფრო ძლიერი“ და ვფიქრობდი: იქნებ ამ საქვეყნო ტრაგედიის და დაუფარავი ტირილის შედეგად ფედერერი მართლაც უფრო მაგარი გახდა თავისი მენტალიტეტით, და სწორედ ამიტომ ის დაბრუნდება კორტზე უფრო ძლიერი და უკანასკნელ „დიდი შლემამდე“ ითამაშებს თავისი ოცნებისათვის....

და აი, დღეს ეს მოვლენაც შედგა! ფედერერმა მოიგო „როლან გაროსი“, ანუ მე-14 „დიდი შლემი“, და ამით გაუტოლდა სამპრასს და ამავე დროს აგასის, რომელსაც ერთადერთს ჰქონდა მოგებული ოთხივე საფარიანი ტურნირი. „გუშინ მაცეტროს გადაეცა მუშკეტერების თასი, რომელიც მიაგებს პატივს ელეგანტურობის სიმბოლოს და თვით სრულყოფილობის იდეას, როგორც არასდროს უნახავს ტენისის კორტს. გუშინ ის გადავიდა იმ გიგანტების კატეგორიაში, როგორც არიან პელები თუ მუჰამედ ალი. თუმცა როჯერ ფედერერს არ სჭირდება ვინმესთან შედარება. ის, სულ უბრალოდ, ლეგენდაა“, – წერს „ექიპი“. ფინალში მან დაამარცხა სოდე-ლინგი, რომელმაც რამდენიმე ტურის წინ მოუგო ნადალს. მატჩის შემდეგ ნადალმა თქვა: „ფედერერი არის ის, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებს ამ ტიტულს“. ზუსტად ამავე სიტყვებით შეაფასა ტურნირი მაკენრომი და დაუმატა: „ფედერერი გიყვება ტენისის თამაშზე, ეს არის მისი სიცოცხლის სიყვარული. ის უსათუოდ მოიგებს კიდევ ერთ უიმბლდონს“. ამელი მორეზმო: „მე აქ იმისთვის მოვდიოდი,



## გამოცა:

ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსიები, ახალგაზრდებისთვის



ვეფხისტყაოსანს მოგიტხოვრებთ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს მოგიტხოვრებთ ლევან გველესიანი და მამუკა ცეცხლაძე

მხატვრის ალბომი ვეფხისტყაოსნის მოტივებზე: „ვეფხისტყაოსანს წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი“

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფიული კატალოგი 1732 წლიდან 2009 წლამდე

## მოგიტხოვრებთ ვეფხისტყაოსნის შესახებ

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ  
ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანი“  
და სტამბა „სეზანი“.

ღაზვიკავშირდით:

არტ კაფე „ქარავანი“

მისამართი: ფურცელაძის ქ. 10

ტელეფონი: +995 32 99 66 91

899 67 77 56 ირინა შავერდაშვილი

სტამბა „სეზანი“

მისამართი: წერეთლის გამზ. 140

ტელეფონი: +995 32 35 70 02 ქეთი ბოჭორიშვილი

893 35 14 64 დათო კარაჯაევი

რომ მენახა, როგორ იწერებოდა ისტორია“. ანდრე აგასი, რომელმაც გადასცა თასი გამარჯვებულს: „მატჩის წინადასვლა ვთქვი, რომ ჩვენ ალბათ დიდი ისტორიული წუთის მომსწრენი გავხდებით“. ხოლო თასის გადაცემისას უთხრა როჯერს: „ეს შენი ბედისწერა იყო. შენ ის დაიმსახურე“. სოდერლინგის მწვრთნელი, მაგნუს ნორმანი: „ჩემთვის ფედერერი ყველა დროის უდიდესი მოთამაშეა. ასეთი სინატიფე და ასეთი კაცი! კულისებში ყველას, ყველას უნდოდა, რომ მას მოეგო „როლან გაროსი“. მრავალათასკაციანი სტადიონი, როგორც ერთი, ფეხზე იდგა და სკანდირებდა: როჯერ! როჯერ! როჯერ! ის კი მუხლებზე დაეცა და ასე გამოხატა თავისი ბედნიერება. მერე, პოდიუმზე კი ისევ ვერ შეიკავა ცრემლი, მაგრამ მხოლოდ ერთი...

ფედერერის ინტერვიუდან: „მთელი თამაშის დროს ტვინში დაქროდნენ გიჟური ფიქრები: რა მოხდება, თუ მოვიგე? რა მნიშვნელობა ექნება ამას? რას მოვყვები მერე? შედეგი იყო ის, რომ მესამე სეტის დასაწყისიდან ძალიან ვნერვიულობდი. ბოლო გეიმი კი საშინელი იყო, ფაქტობრივად ვეღარ ვთამაშობდი, ერთი იმედოვნად დამრჩა, რომ მას ოთხი შეცდომა დამეშვა. ემოციურად ეს ამერიკულ მთებს ჰგავდა. შეკითხვა: – რა იფიქრეთ მატჩბოლის მომენტში? – ჯერ ერთი, რომ ბურთი არ გადმოსცდა ბადეს! იმ მომენტში, როდესაც მოწინააღმდეგის ბურთი ბადეს ხვდება, შენ იცი, რომ ყველაფერი დამთავრდა, ოღონდ ჯერ ვერ ხვდები, რას იზამ, შემოირბენ მოედანს, თუ დავარდები მიწაზე, თუ... არაფერს არ გააკეთებ. მე ხშირად მაქვს ერთი და იგივე რეაქცია – მუხლებზე დაცემის, როგორც უიმბლდონში, როცა სამპრასს მოუგე... ჩემთვის ეს განცდის გამოხატვის, გამარჯვების შეგრძნების საუკეთესო საშუალებაა. შეკითხვა: – რა იფიქრეთ, როდესაც ნადალი გავარდა ტურნირიდან? – ვიცოდი, რომ ჩემი შანსები გაიზარდა. მაგრამ არ ვოცნებობდი ამაზე, ეს არ არის ჩემი სტილი. ჩემთვის მნიშვნელობა აქვს, რომ ხალხი ისევ ისე პატივს სცემდეს ნადალს, რომელმაც აქ ზედიზედ ოთხი ტურნირი მოიგო! ეს საოცარი რეკორდია“...

მართალი გითხრათ, არასოდეს წამიკითხავს გამარჯვებულის ასეთი გულწრფელი ინტერვიუ, რომლის მიღმა ასე აშკარად ჩანს ძლიერი და კეთილშობილი პიროვნება.

თანდათან სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რა მნიშვნელობის მოვლენაა ობამას მოსვლა მსოფლიოს პოლიტიკაში. მის გამოსვლას კაიროში 4 ივნისს სულგანაბული ელოდებოდა მუსლიმური სამყარო, და არა მხოლოდ ის. როდესაც მოვლენა შედგა, ისრაელელმა ჟურნალისტმა განაცხადა: „მთამ შვა მთა“ (ნაცვლად გავრცელებული გამოთქმისა „მთამ შვა თავი“). როგორც ამბობს ჩემ მიერ ამ წინაწერებში არაერთხელ ციტირებული ჟან დანიელი, „ლე ნუველ ობსერვატორის“ მთავარი რედაქტორი: „ობამა დარჩა ობამად. შთაგონებული ჰუმანისტი, შეუდარებელი ორატორი, და ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი იშვიათი სახელმწიფო მოღვაწე“.

გამოსვლის წინ ობამამ უთხრა „ნიუ იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს, რომ ის აპირებს, შესთავაზოს სარკე დაპირისპირების ყველა მონაწილეს, ანუ დააყენოს ყველა საკუთარი პასუხისმგებლობის წინაშე. და ეს მართლაც ასე მოხდა.

კაიროს გამოსვლა ისტორიული მოვლენაა, არა იმის გამო, რომ ის გვაუწყებს პოლიტიკურ გადწყვეტილებებს, არამედ ორიენტაციის ძირეული ცვლილების გამო.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიზანია, დაასრულოს 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების მერე დაბადებული ჯვაროსნული ომის იდეა. მისი სურვილია, დაარწმუნოს მაჰმადიანები, რომ არავინ იბრძოლებს ექსტრემიზმის წინააღმდეგ მათ გარეშე, და რომ უნდა დასრულდეს ტერორიზმის ასოცირება ისლამთან. (სწორედ აქედან გამომდინარეა ის მნიშვნელობა, რასაც ობამა ანიჭებს თურქეთის ევროპაში).

მან, პირველმა ამერიკის პრეზიდენტმა შორის, ილაპარაკა პალესტინელების ტანჯვაზე. „ამერიკა არ შეაქცევს ზურგს პალესტინელების კანონიერ მისწრაფებას ღირსების, პროგრესის და საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისადმი“. მაჰმადიანებისთვის ეს რადიკალური ცვლილებაა ამერიკის ადმინისტრაციის მენტალიტეტში. ამავე დროს, ობამა არ შედრკა და მილიონობით მუსლიმის წინაშე პატივი მიაგო ებრაელი ერის ტანჯვასა და უფლებებს.

დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს კაიროს გამოსვლიდან: სამი მონოთეისტური რელიგიის (ქრისტიანობა, ისლამი

და იუდაიზმი) და დემოკრატიის მონოდებების შედეგად შეიძლება მსოფლიოში დამყარდეს საყოველთაო ჰარმონია და მშვიდობა. ეს შეიძლება უტოპიად იქნას აღქმული, მაგრამ არ უნდა დაგვაინყვდეს, რომ ისტორიულად სწორედ ამგვარ უტოპიებს მიეყვანათ რეალური პროგრესისაკენ. უახლოეს წარსულში რობერ შუმანის და ევროპის სხვა ფუძემდებლების უტოპიურმა იდეებმა საფუძველი დაუდო გერმანიისა და საფრანგეთის საუკუნოებრივი მტრობის დასრულებას და ევროკავშირის დაარსებას. კაცობრიობის გადარჩენის შანსი „ცივილიზაციათა შეჯახება“ კი არაა, არამედ – ცივილიზაციათა ურთიერთგაგება და კავშირი. ვფიქრობ, რომ ამგვარი უტოპია საბოლოოდ უსათუოდ გამიმარჯვებს, ვინაიდან მიუხედავად ყველა დამანგრეველი დემონისა, რომელიც ბინადრობს ჰომო საპიენსის სულში, მასში ყველა სხვა ინსტინქტზე ძლიერი მანც თვითგადარჩენის ინსტინქტია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ იდეებს ქადაგებს გამორჩეული პიროვნება და მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტი.

დაბოლოს, ჩემი პირადი იმედები:

გასაგებია, რომ ობამასთვის რუსეთს თავისი როლი აკისრია ამ საყოველთაო ჰარმონიის დამყარების პროცესში, გასაგებია, რომ ის რუსეთსაც უწვდის ხელს თანამშრომლობისათვის. ნაკლებად მისაღებია, რომ ეს ჯერჯერობით მოთხოვნათა წაყენების გარეშე ხდება. მაგრამ მე მგონია, რომ ეს დროებითი მოვლენაა და განპირობებულია იმით, რომ ობამას არ შეუძლია ყველა ქვეყანას ერთდროულად დაუყენოს პირობები და რუსეთი ამ ეტაპზე მისთვის პრიორიტეტი არ არის. საბოლოოდ კი წარმოუდგენელია, ამერიკამ დათმოს მთელი რეგიონი – კავკასია, ვინაიდან ეს მისი სერიოზული გეოსტრატეგიული დამარცხება იქნება და უარი თქვას თავის პრინციპებზე – ყველანაირად ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირიდან გამოსული ქვეყნების დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის დამკვიდრებას. ჩემი იმედი ემყარება ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტის, ერთი მხრივ, პრაგმატულობას და, მეორე მხრივ, იდეურობას – ანუ ჰუმანისტური და სამართლიანი იდეებისადმი მიდრეკილებას. ამიტომაც მჯერა, რომ ჩქარა დადგება მომენტი, როცა ობამა სარკეში რუსეთსაც ჩაახედებს.



# დეგაპრინტი DEGAPRINT

**სივრული ოფსეტური ბეჭდვა**  
 ტელ.: +995 32 995007 / 998843  
 ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



13/335

## MARJANOFF EXPRESS

იტალიური რესტორანი



საღმარაო: ახალი მუსიკის  
 სტილი სივრული  
 იტალიური რესტორანი  
 მარჯანოფი  
**MARJANOFF LINE**  
 მუსიკა: გარდნი სივრული  
 მარჯანოფის  
 სივრული რესტორანი  
 სივრული რესტორანი  
 ფონიკური 21.35



36 95 16  
 95 03 23



Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8  
 თბილისი მარჯანიშვილის ქ. №8  
 Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS



რადიო „უცნობი“ წარმოგიღებთ დილის გადაცემას „დილა მშვიდობისა“

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად  
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოკითხვები
- მავარი სიმღერები

უსმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID:ucnobidila



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



Concept: French-European  
Interior: Modern European  
Cuisine: French-European



შარდენის 14. Chardin st.  
T: (+995 32) 439 349

BRASSERIE  
L'EXPRESS  
🌀





მოვლენები, რომლებიც ქმნის მომავალს



ფუხნანი „ლიბეჩიანი“

ყოველ მეორე ოთხშაბათს

*უარნარ „სხერი მოქორაფის“ გამომსყვერობისკან*

სანომანსოკნა ■ ჳოიოზიონა ■ მუნომბეჩი ■ სანაქთაშოიონსო ანბეზი ■ ანონსოიონა ■ ბიონანსი  
ბანათიკნა ■ ანანსაჳა ■ სანაქთიანი ■ ანანსიონის კაფიკეზი ■ ხიკიბიკი ■ მხიკი  
ბანიკომს დანკა ■ მანსიკიკნა ■ ანანი ბანსოლობიკი ■ ანიკეჳა ■ ნიბეზი